

"ძმური" მმართველობა A2



პავაროტის ჩაშლილი კონცერტები A8



საუკეთესოთა შორის საუკეთესოები C2

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი სამშაბათი, 11 ივლისი, 2006 წელი. №153 (1305) ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## სამართალი

### აცილებული სამართლებრივი დავა

ოზურგეთის რაიონის გამგეობამ და საკრებულომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის" შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად, მოსალოდნელი სასამართლო დავა თავიდან აიცილა.

A4



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 11/07 | 12/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 35 |
| ბათუმი | 27 | 30 |
| სოხუმი | 31 | 33 |
| ქუთაისი | 33 | 35 |
| გორი | 28 | 31 |
| თელავი | 33 | 33 |
| ზუგდიდი | 32 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7710 |
| ევრო | 2.2676 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2767 |
| რუბლი | 0.0659 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
ტენდერი A 6
რევიუ A 7
რევიუ A 8

# უნივერსიტეტი ხელახლა არსდება

## წერილი მეგობრებს

ზურაბ კიკნაძე

*ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ურთიერთობა და ურთიერთკეთილგანწყობა მაძლევს უფლებას, ზოგიერთი ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ იმ იმედით, რომ ენდობით ადამიანს, რომელიც ახლოს იცნობს უნივერსიტეტს და შეუძლია მასზე შიგნიდან ლაპარაკი.*

1. დავიწყოთ ავტონომიით. ამ ხალხს, რომელიც ასე ისტერიულად მოითხოვს უნივერსიტეტისთვის ავტონომიის დაბრუნებას, ოდნავ მაინც თუ ესმის, რას მოითხოვს? - მოითხოვს იმას, რაც არასდროს არსებულა, ახლოსაც არ გაჭაჭანებულა ამ შენობასთან ან მის შიგნით. რა ავტონომიაზე შეიძლება საუბარი, როცა ის საბჭო, რომლის წევრი მეც ვიყავი და ვიცი, უკაცრავად პასუხია, რა მთხლეც იყო, მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე იმას აკეთებდა, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ დანიშნული რექტორი ორჯერ აერჩია და მესამედაც აპირებდა (წესდებაში ჩაიწერა კიდეც რექტორის პოსტის მარადიულობა), რომ ახალ პრეზიდენტს არ შემოეთავაზებინა თავისი კანდიდატი.

გაგრძელება A3 გვერდზე



# სასაზღვრო "ომი"

## კონფლიქტის ზონაში ვითარების ესკალაციის ახალი გეგმა

*14 ივლისამდე საქართველოში როკის გვირაბით შემოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შემოუშვებენ. რუსეთის მიერ ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გადაკეტვის შემდეგ როკის გვირაბი ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ერთადერთი, თუმცა საქართველოს მიერ უკანონოდ გამოცხადებული გზა გახდა. რუსეთი სახელმწიფო საზღვრის გადატანას ცდილობს - მიაჩნიათ თბილისში. სასაზღვრო "ომის" გააქტიურებასთან ერთად, მოსკოვშიც და თბილისშიც განცხადებებს საბრძოლო მოქმედებების შესაძლო განახლებაზეც აკეთებენ.*

დიმიტრი ავალიანი
თეა თედლიაშვილი

რამდენიმე დღის წინ რუსეთ-საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური გამშვები პუნქტის "რემონტის" საბაბით მოულოდნელად გადაკეტვის შემდეგ, ქართულმა მხარემ რუსეთის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე ერგნეთის გამშვები პუნქტი გადაუკეტა, რომელსაც ზემო ლარსიდან გამობრუნებული მგზავრები და ტვირთები მოაწყდა.

შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის გელა ზოზიაშვილის განცხადებით, ერგნეთის გამშვებ პუნქტს ოფიციალური სტატუსი არ აქვს და, ამიტომ, სხვა ქვეყნის მოქალაქეები ლარსის გამშვები პუნქტის გახსნას უნდა დაელოდონ. **"სხვა ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთის მხრიდან შემოდიან და საბუთები წესრიგში აქვთ, შეუძლიათ აეროპორტის მომსახურებით ისარგებლონ, სხვა ჩვენ არაფერი შეგვიძლია,"** - აცხადებდა გუშინ გელა ზოზიაშვილი.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ერგნეთის საგუშაგოზე მოძრაობა მხოლოდ ორი საათის განმავლობაში იყო შესაძლებელი, ისიც საქართველოს მოქალაქეებისთვის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ფე-ეს-ბე-ს დირექტორის ანგარიში:
# ბასაევი განადგურებულია

*რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ნიკოლაი პატრუშევმა რუსეთის პრეზიდენტს გუშინ ანგარიში ჩააბარა: 10 ივლისს, ინგუშეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ლიკვიდირებულია შამილ ბასაევი და მისი ჯგუფის რამდენიმე წევრი. პატრუშევის ინფორმაციით, ბასაევი და მისი ჯგუფი ინგუშეთში ტერორისტულ აქტის განხორციელებას გეგმავდა. "დიდი რვიანის" სამიტის წინ ტერორისტულ-დივერსიული აქტის განხორციელებით ტერორისტთა ჯგუფი რუსეთის ხელისუფლებაზე დარტყმის მიყენებას აპირებდა," - განაცხადა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*შამილ ბასაევი და მისი ჯგუფის რამდენიმე წევრი ლიკვიდირებულია.*

# პარლამენტის რიგგარეშე თავყრილობა

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ გასულ წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 2006 წლის 15 ივლისამდე უნდა განეხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხი. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დამტკიცებულ 13-14 ივლისის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში ეს საკითხი შეტანილი არ აღმოჩნდა. დეპუტატები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ელოდებიან "დიდი რვიანის" ქვეყნების ლიდერების სამიტს, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, კონფლიქტების დარეგულირების თემატიკაც განიხილება.

რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხს პარლამენტი G-8-ის დასრულების შემდეგ, მომავალ რიგგარეშე სესიაზე დაუბრუნდება, რომელიც, სავარაუდოდ, 25 ივლისს ჩატარდება.

13-14 ივლისის სესიის დღის წესრიგში, თავდაპირველად, სახალხო დამცველის მოხსენების შეტანაც "გამორჩათ". არადა, სოზარ სუბარის ანგარიში კანონმდებლებს ჯერ კიდევ საგაზაფხულო სესიაზე უნდა განეხილათ. გუშინ, როდესაც ეს საკითხი დღის წესრიგში ვერ იპოვა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ძალიან აღშფოთდა. მისმა "ბრძოლამ", ბოლოს, შედეგი მაინც გამოიღო და ბიუროს გადაწყვეტილებით, ომბუდსმენის მოხსენებას კანონმდებლები პარასკევს, დღის მეორე ნახევარში მოისმენენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

*ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტესტური გამოცდით დაიწყო. ტესტები ეროვნული ბანკის საცავებიდან დილის შვიდი საათისათვის სარეგისტრაციო ცენტრებში გადაიტანეს. გადატანის პროცესს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია პირადად დაესწრო. ქართული ენის გამოცდას სულ 16400 აბიტურიენტი დაესწრება, აქედან პირველ სესიაში მონაწილეობა უნდა მიეღო 8129 აბიტურიენტს, თუმცა 358 სარეგისტრაციო ცენტრში არ გამოცხადდა, აქედან შვიდი აბიტურიენტი გამოცდაზე დაგვიანების გამო არ დაიშვა.*

ნინო ბერელიძე

ამდენივე აბიტურიენტი დღეს მივა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩასაბარებლად სარეგისტრაციო უბნებში, რომელიც საქართველოს თორმეტი დიდი ქალაქის თოთხმეტ სარეგისტრაციო ცენტრში ფუნქციონირებს.

წელევანდელი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტები ახალი ფორმატით შემუშავდა. როგორც გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, აღნიშნული ცვლილებები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული აბიტურიენტების ერთიან საკონკურსო პირობებში ჩასაყენებლად განხორციელდა. აბიტურიენტები ქართულ ენაში ერთნაირი სირთულის ტესტებს გააკეთებენ.

**"ქათული ენისა და ლიტერატურის ტესტები ძირითადად ეროვნულ კომპეტენციაზეა ფოკუსირებული, მაგალითად, ტესტებში არ იქნება ე.წ. მეხსიერებაზე ორიენტირებული კითხვები. მოცემული იქნება ტექსტის ნაწყვეტები და აბიტურიენტს ამ ნაწილის გააზრება მოეთხოვება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულებმა ქართული ენის გამოცდაზე მინიმუმ 15 ქულიანი ბარიერის გადალახვა უნდა შეძლონ,"** - განმარტა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტიმოშენკო თუ იანუკოვიჩი?

## პრეზიდენტ იუშჩენკოს 15 დღე აქვს, რომ ამ კითხვას უპასუხოს.

*უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურას უკრაინის პრეზიდენტი ხვალ მიიღებს დასამტკიცებლად. ამის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერმა ალექსანდრ მოროზმა გუშინ განაცხადა.*

გასულ პარასკევს უკრაინის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შემდგარი "ნარინჯისფერი" კოალიცია საბოლოოდ დაიშალა. "ნარინჯისფერებს" "სოციალისტებმა" უღალატეს და იანუკოვიჩის "რეგიონების პარტიასთან" და კომუნისტებთან ერთად ახალი კოალიცია შექმნეს. ახლად შექმნილმა კოალიციამ უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე საკუთარ კანდიდატად ვიქტორ იანუკოვიჩი დაასახელა. **"პრეზიდენტს აქვს 15 დღე. ამ ვადაში მან პარლამენტს დასამტკიცებლად პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა წარუდგინოს,"** - მოკლედ მოჭრა ალექსანდრ მოროზმა, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერის სავარძელზე მოკალათდა.

მისი თქმით, სამშაბათს უკრაინელი დეპუტატები ოფიციალურად მიიღებენ გადაწყვეტილებას "ნარინჯისფერი" კოალიციის დაშლისა და ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბების შესახებ.

მოროზის თქმით, პრეზიდენტი იუშჩენკო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად იულია ტიმოშენკოს არ დაასახელებს. "დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება," - აცხადებენ "სოციალისტები" და ტიმოშენკოს ბლოკთან ურთიერთობების გაწყვეტისკენ მოუწოდებენ "ნაშა უკრაინასაც". **"სასურველი იქნება, თუ პრეზიდენტ იუშჩენკოს პარტიაც ჩვენს კოალიციას შეუერთდება. ეს კარგად იქნება აღქმული საზოგადოების მიერ და ხელს შეუწყობს პარლამენტისა და პრეზიდენტის კონსტრუქციულ თანამშრომლობას,"** - განაცხადა მოროზმა.

საპარლამენტო ბატალიებს გუშინ პრეზიდენტი იუშჩენკოც გამოეხმაურა, რომელიც პარლამენტის მუშაობით უკმაყოფილოა. **"რადაში განვითარებულმა მოვლენებმა ფართო საზოგადოებრივი რეაქცია გამოიწვია,** - აღნიშნულია უკრაინის პრეზიდენტის განცხადებაში, - **უკრაინის პრეზიდენტისთვის გაკეთებული მრავალრიცხოვანი მიმართვები ცხადყოფს, რომ საზოგადოება უკმაყოფილოა პარლამენტის უმოქმედობითა და პოლიტიკური ინტრიგებით, რაც უკრაინის კონსტიტუციის უპატივცემლობაზე მიანიშნებს."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

პირველი გვერდიდან

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში საგამოცდო ცვლილებების შეტანა, გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ მოხდა ფაკულტეტების გამსხვილება. ეს იმას ნიშნავს, რომ აბიტურიენტი აბარებს ერთ ფაკულტეტზე. კონკრეტული სპეციალობისა და სექტორის არჩევის საშუალება სტუდენტებს კი უმაღლესში ჩაბარების შემდეგ, სწავლების გარკვეულ პერიოდში მიეცემათ. კიდევ ერთი, საყურადღებო ცვლილების შეტანა მოხდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმატში, რითაც რუსულენოვან აბიტურიენტებს უფლება ეძლევათ, მისაღებ გამოცდებზე რუსული ენა, როგორც უცხო ენა, ისე ჩააბარონ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველმა სესიამ ექსცესებისა და დარღვევების გარეშე ჩაიარა. აბირურიენტები და მათი მშობლები, რომლებიც გარეთ დამონტაჟებული მონიტორებით ადევნებენ თვალყურს საგამოცდო პროცესს - იმედოვნებენ, რომ გამოცდების შედეგებიც ობიექტური იქნება.

ირინა კალიჩენკო, აბიტურიენტი: **" სულაც არ გამჭირვებია პირველი გამოცდის ჩაბარება, ჩემთვის რთული და გაუგებარი არაფერი ყოფილა, თუმცა რუსულენოვანი სკოლა დავამთავრე და გამოცდებისათვის რამდენიმე წელი ვემზადებოდი, ვიცოდი, რომ ქართული კარგად უნდა მესწავლა."**

მიმდინარე გამოცდებს რამდენიმე ათეულობით ადამიანი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დააკვირდებიან. მათ რიცხვს ორგანიზაცია "ახალგაზრდული ალტერნატივა" გუშინ შეუერთდა. ორგანიზაციის წევრები ირწმუნებიან, რომ დაიცავენ აბიტურიენტების ინტერესებს და მაქსიმალურად გააკონტროლებენ გამოცდების გამჭვირვალობას.

ამ ფაქტს გამოეხმაურა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ **"დამკვირვებელთა შეფასებები პროცესების ადეკვატური იქნება და გასული წლის მსგავსად დადებითად შეფასდება"**.

აბიტურიენტები სულ სამ სავალდებულო გამოცდას ჩააბარებენ: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და უცხო ენა. არჩევითია ოთხი საგანი: მათემატიკა, საქართველოს ისტორია, საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ლიტერატურა.

გამოცდები ტესტური სახით ჩატარდება ზოგად უნარებში - 13-14 ივლისს, უცხო ენებში 17-19 ივლისს, მათემატიკაში 20 ივლისს, საქართველოს ისტორია - საზოგადოებრივ მეცნიერებებში - 21 ივლისს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - 24 ივლისს. ქართული ენის გამოცდა კი დღეს დასრულდება.

აბიტურიენტები ჩაბარებული ტესტური გამოცდის შედეგებს შეიტყობენ ყოველი კონკრეტული გამოცდის შემდეგ. საბოლოო შედეგები კი ცნობილი გახდება 20 აგვისტომდე.

2006-2007 წლისათვის, სტუდენტობის მსურველთა რიცხვი, გასულ წელთან შედარებით გაცილებით დიდია - რეგისტრაცია 32 800 აბიტურიენტმა გაიარა, თუმცა აქედან სტუდენტი მხოლოდ 19 699 აბიტურიენტი გახდება.

# ტიმოშენკო თუ იანუკოვიჩი?

პირველი გვერდიდან

იუშჩენკომ ასევე აღნიშნა, რომ არ მიიღებს "არავითარ კონფრონტაციულ სცენარებს, რომლებსაც შეუძლია, ზიანი მოუტანოს ხალხს და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას". **"კოალიციის ფორმატის მიუხედავად, კატეგორიულად მოვითხოვ საპარლამენტო უმრავლესობისგან ქვეყნის ერთიანობის პრინციპებისა და იმ რეფორმების ერთგულების დაცვას, რომლებიც ქვეყანაში 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხორციელდება,"** - აღნიშნავს იუშჩენკო.

ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს იულია ტიმოშენკო, რომელიც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ ტიმოშენკომ გუშინ, "ნაშა უკრაინასა" და ტიმოშენკოს ბლოკის სხდომის შემდეგ განაცხადა. ვადამდელი არჩევნების ჩატარების მთავარ მიზეზად, "ნარინჯისფერი" პრინცესა პარლამენტში არალეგიტიმური კოალიციის შექმნის მცდელობას ასახელებს. **"სოციალისტებმა" არჩევნები "ნარინჯისფერი იდეების დეკლარირების შემდეგ მოიგეს, დღეს კი ისინი იანუკოვიჩთან კოალიციას ქმნიან. ეს დიდი მოულოდნელობა იქნება "სოციალისტების" ამომრჩევლებისთვის და პოლიტიკურად არალეგიტიმური საქციელია,"** - არ ცხრება ლედი იუ, რომლის კანდიდატურა უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე პრეზიდენტ იუშჩენკოს დასამტკიცებლად უკვე გუშინ წარედგინა.

**"პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარდგენილია. ეს კანდიდატურა კოალიციამ წარადგინა,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ფრაქცია "ნაშა უკრაინას" წევრმა რომან ზვარიჩმა. მისი თქმით, იანუკოვიჩის, სოციალისტებისა და კომუნისტების კოალიცია ჯერ არ შემდგარა და შედგება თუ არა, არავინ იცის.

**"დე-იურე ნარინჯისფერი კოალიცია ჯერ კიდევ არსებობს. მხოლოდ კოალიციას შეუძლია პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა პრეზიდენტს წარუდგინოს და ჩვენ ეს უკვე გავაკეთეთ,"** - აცხადებს ზვარიჩი და უკრაინის კონსტიტუციაზე აპელირებს, რომლის თანახმადაც, უკრაინის რადაში ორი კოალიციის არსებობა იკრძალება. **"შესაბამისად, პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ორ კანდიდატურას ვერ წარუდგენთ,"** - აცხადებს ზვარიჩი.

როგორც "ნაშა უკრაინელები" აცხადებენ, "სოციალისტების" ლიდერს მოროზს მათთვის კოალიციიდან გასვლის მოთხოვნით ოფიციალურად არ მოუმართავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად მოროზი კვლავ "ნაშა უკრაინასთან" და ტიმოშენკოს ბლოკთან ერთ კოალიციაში ირიცხება. როგორც ჩანს, "ნარინჯისფერებს" მოროზი ოფიციალურად სწორედ დღეს გაეყრება.

**FRANCK PROVOST**
**Paris**
ფრანგული თმის სალონი-ს
ფილიალი საქართველოში

აცხადებს კონკურსს პროფესიონალი
ხელოსნების მიღებაზე
მოთხოვნები:

-არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე
სტილისტები, 20დან-40 წლამდე
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
ტელ.: (995 77) 99 55 22
(995 99) 26 77 97
(995 99) 14 30 06
გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი

***International School of Economics***
მიიღეთ საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისი განათლება!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინგლისურენოვანი მაგისტრატურა.

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის, BP-ს, SIDA-ს, და სხვა დონორების დახმარებით სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.

სასწავლო პროცესს წარმართავენ დასავლეთის ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები.

იჩქარეთ, საბუთების მიღება 15 ივლისამდე.

მისამართი: თსუ I კორპუსი, ოთახი 220, ტელ. 22 11 17.
www.iset.tsu.ge

ღია კარის დღე გაიმართება 11 ივლისს, 17 საათზე, თსუ I კორპუსის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში.

# პარლამენტის რიგგარეშე თავყრილობა

პირველი გვერდიდან

**"სოზარ სუბარის მოსმენა ღამით სჯობია, ვიდრე დილით,"** - შენიშნავს ვიცე-სპიკერი ჯემალ ინაიშვილი. მისი ხუმრობა თევდორაძეს არ მოსწონს და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს შეახსენებს, რომ "სახალხო დამცველის მოხსენება სერიოზული რამ არის და მის ირგვლივ პარლამენტმა პირველ რიგში უნდა იმსჯელოს".

13-14 ივლისის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში მრავლად არის საკადრო საკითხები. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს რევაზ ადამიას ირაკლი ალასანია შეცვლის. გაცილებით რთული აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოს ორი მოსამართლის კანდიდატურის შერჩევა. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, სახელისუფლებო ფრაქციას ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, განსხვავებით ფრაქცია "მაჟორიტარებისგან", რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ სიღნაღის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ნუგზარ შოშიაშვილს უჭერს მხარს.



რიგგარეშე სესიაზე დეპუტატები ასევე დაამტკიცებენ 2006 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, რომელიც ბიუჯეტის 77 მილიონი ლარით გაზრდას ითვალისწინებს.

# სასაზღვრო "ომი"

პირველი გვერდიდან

**"ერგნეთის საგუშაგო არის შემოვლითი გზა, ამ გზით შემოსვლა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ეკრძალებათ და ამიტომ ჩვენ არ დავუშვებთ უკანონობას. ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ ტვირთს, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს შემოაქვთ, ვინაიდან არ გვაქვს საბაჟო გამშვები პუნქტი. ასევე, შესაძლოა, შემოვლითი გზის გახსნას მოჰყვეს ძებნილის შემოსვლა. ან არალეგალურად შემოვიდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. ამიტომ რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ტერიტორიაზე მანამდე ვერ გადმოვლენ, ვიდრე რუსეთი ოფიციალურ გამშვებ პუნქტს არ გახსნის,"** - განაცხადა შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზურაბ არსოშვილმა.

**"ეს არის რუსეთის მიზანმიმართული მცდელობა, რათა მოხდეს საქართველო- რუსეთის საზღვრის გადმოტანა როკიდან ერგნეთის მიდამოებში, მიმართული კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ და სამხედრო ესკალაციისკენ,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ. მისი თქმით, საქართველო ამას არ დაუშვებს.

მერაბ ანთაძის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 14 ივლისამდე როკის გვირაბიდან შემოსული მოქალაქეები დაუბრკოლებლად შემოუშვას. თუმცა, ეს მხოლოდ მგზავრებს ეხება - ტვირთების გადატანა ერგნეთიდან არ დაიშვება.

იმავდროულად, ოსური და რუსული მხარეები ავრცელებენ ინფორმაციას საქართველოს მიერ უახლოეს მომავალში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ. ცხინვალში აცხადებენ, რომ ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი.

რუსული მედიის მიერ "ინფორმირებულ წყაროზე" დაყრდნობით რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გუშინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს აგვისტოს შუა რიცხვებისათვის საქართველო სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გეგმავს. ანონიმურ წყაროს მიაჩნია, რომ ომის დაწყების ალბათობა 70 პროცენტია. **"ამ ომისთვის რუსეთის ხელმძღვანელობაც ემზადება. საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში რუსეთის პოზიცია უკიდურესად მკაცრი იქნება. არავითარი "აჭარის სცენარი" არ განმეორდება: რუსეთი საკუთარ მოქალაქეებს დაიცავს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის "ჩაბარება" გამორიცხულია,"** - იტყობინება ანონიმური რუსული წყარო.

**"რუსეთის ბოლოდროინდელი განცხადებები, მათ შორის ოფიციალური პირების მხრიდან, თითქოს საქართველო გეგმავს, სამხედრო გზით გადაჭრას კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, არის მცდელობა, მოამზადონ როგორც რუსეთის საზოგადოება, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობა შესაძლო სამხედრო მოქმედებებისათვის, რასაც რუსეთი, როგორც თვითონ აცხადებს, გამოიყენებს იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება მათი მოქალაქეების დაცვა,"** - განაცხადა გუშინ მერაბ ანთაძემ.

**"ჩვენ არ ავყვებით პროვოკაციებს. ჩვენ გვაქვს სწორად განსაზღვრული დღის წესრიგი და ჩვენს პარტნიორებთან ერთად გეგმაზომიერად შევეცდებით ამ დღის წესრიგის განხორციელებას და კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებას,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

იგი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის ოლეგ ალბოროვის მკვლელობასაც გამოეხმაურა, რომელსაც მან **"ტერორისტული აქტის საშუალებით პოლიტიკური ოპონენტის მოშორება"** უწოდა.

# "ძმური" მმართველობა

## ანუ ნეპოტიზმი პოლონეთის ხელისუფლებაში

ხათუნა გაბიევი

პოლონეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყანაში უთანხმოება და ევროკავშირთან ისედაც დაძაბული ურთიერთობები. ლეხ კაჩინსკიმ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ტყუპისცალი ძმა და, ამასთანავე, პოლიტიკური პარტნიორი იაროსლავი დანიშნა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კაზიმირ მარცინკევიჩმა, ერთ-ერთმა გავლენიანმა და ხელისუფლების ნაციონალურ-კონსერვატიული კოალიციის ყველაზე ზომიერმა პოლიტიკოსმა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ გასულ კვირას გააკეთა. ლეხ კაჩინსკიმ მისი განცხადება შაბათს დააკმაყოფილა, თუმცა, ამის მიუხედავად, მიზეზების ოფიციალური ახსნა-განმარტების მიცემით თავი არც მთავრობას და არც პრეზიდენტის ოფისს შეუწუხებია. ექსპერტების მოსაზრებით, საკადრო ცვლილება ძმები კაჩინსკების სურვილითაა განპირობებული, გააძლიერონ თავიანთი ძალაუფლება მყიფე კოალიციურ მთავრობაში ნოემბერში დანიშნული ადგილობრივი არჩევნებისთვის.

რაც შეეხება ყოფილ პრემიერს, 46 წლის პოლიტიკოსს, განათლებით კი ფიზიკოსს კაზიმირ მარცინკევიჩს, მისი დანიშვნა გასული წლის ოქტომბერში ამ თანამდებობაზე ყველასთვის მოულოდნელი იყო. მართალია, თავიდანვე პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე იაროსლავ კაჩინსკის სავარაუდო დანიშვნის შესახებ იყო საუბარი, მით უფრო, რომ იგი გახლდათ კანონისა და სამართლიანობის პარტიის ფუძემდებელი, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი ტყუპისცალი ძმა ქვეყნის პირველი პირი გახდა, ვითარება შეიცვალა. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ამჯობინა, სახელისუფლებო პოსტები სხვაგვარად გაენაწილებინა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობას მისი დემოკრატიულობის შესახებ მცდარი წარმოდგენა არ შექმნოდა. პირველი პირის ამპლუაში მისი პირვანდელი გათვლები სწორიც აღმოჩნდა, რადგან ანალიტიკოსები უკვე სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ ევროპაში პოლონეთის როლის დასუსტების პერსპექტივაზე პოლიტიკის სფეროში ორი უმაღლესი თანამდებობის ძმებს შორის გადანაწილების შემთხვევაში.



მარცხნივ პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, მარჯვნივ მისი ტყუპისცალი იაროსლავი.

თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ლეხ კაჩინსკის გადაწყვეტილება მხოლოდ მოკლევადიანი გათვლა იყო და მეტი არაფერი.

**"იმ დროს, როდესაც პოლონეთი ცდილობს, დაეხმაროს ბელარუსის დემოკრატიზაციას, მხარი დაუჭიროს უკრაინის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატო-ში და აქვს კიდეც გარკვეული წონა საერთაშორისო ასპარეზზე, მიზნების განსახორციელებლად ევროპულ სივრცეში გავლენიანი მეგობარი სჭირდება და ეს მეგობარი გერმანია უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა უკვე აღარ მიემართება ამ გზით. კაჩინსკის გადაწყვეტილება აშკარად შეასუსტებს ევროპაში პოლონეთის გავლენას და გარკვეულწილად იზოლაციაშიც მოაქცევს მას,"** - განაცხადა იან ტრუშჩინზსკიმ კვირის სატელეფონო ინტერვიუში. იან ტრუშჩინზსკი ერთ-ერთი ის გავლენიანი პირია, რომელიც 2004 წელს ევროპის გაფართოების მოლაპარაკებებში მონაწილეობდა.

"კანონისა და სამართლიანობის პარტიას" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უთანხმოება გერმანიასა და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთანაც გაუჩნდა, რაც ძირითადად, ამ პარტიის პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო. პოლონეთის ეკონომიკის არასწორ განვითარებაზე ეუთო-ს ანგარიშიც მეტყველებდა. ამ ანგარიშის მიხედვით, პოლონეთის ეკონომიკა, რომლის ზრდის მაჩვენებელი 5.2 პროცენტს შეადგენს, დიდხანს ვერ შეინარჩუნებს სტაბილურობას, რადგან ხელისუფლება უფრო და უფრო ამცირებს საჯარო საკუთრებას, ნაკლებად უშვებს ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებს და არასწორ სტრუქტურულ ცვლილებებს ახორციელებს განსაკუთრებით შრომის ბაზარზე. ამდენად, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, როგორ აპირებენ ძმები კაჩინსკები ამ პრობლემების მოგვარებას, მით უფრო, ადგილობრივ არჩევნებამდე.

საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩაატარა პოლონურმა გაზეთმა "ვიბორჩა". გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 80 პროცენტი კმაყოფილი იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე კაზიმირ მარცინკევიჩის მუშაობით, მაშინ როდესაც დანარჩენ 20 პროცენტს მეტი იმედები იაროსლავ კაჩინსკიზე აქვს დამყარებული.

კაზიმირ მარცინკევიჩი ცდილობდა, გაეტარებინა ზომიერი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკა, მაგრამ მას ხელს ხშირად პრეზიდენტი კაჩინსკი და კოალიციური პარტნიორები უშლიდნენ. ამ პარტნიორებს შორის იყო ფერმერთა დაცვის პარტია ანჯეი ლეპერის მეთაურობით, რომელიც მეტ სოციალურ დანახარჯებს ითხოვდა, ასევე პოლონური ოჯახების ნაციონალისტური პროკათოლიკური ლიგა, რომელსაც განათლების მინისტრი რომან გერტიჩი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც ეს ორი პარტია შეუერთდა მმართველ კოალიციას, პოლიტიკურად ნეიტრალური საგარეო საქმეთა მინისტრი შტეფან მელერი გადადგა. გადადგომის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ იგი ვერ გაიზიარებდა ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, რამაც ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა. მელერის შემცვლელი კი პრემიერ-მინისტრს არ დაუსახელებია, პრეზიდენტმა კაჩინსკიმ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე თავისი მრჩეველი საგარეო ურთიერთობებში ანა ფოტიგა დანიშნა.

თუმცა, პოლონეთის ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები არც საგარეო საქმეთა მინისტრის გადაგომით დასრულებულა. გასულ თვეში ფინანსთა მინისტრის პორტფელი ზიტა გილოვსკამ დათმო, როდესაც 1980-იან წლებში კომუნისტების საიდუმლო პოლიციის ინფორმატორობის ისტორია გაუმჟღავნდა.

თუმცა, ანალიტიკოსებისთვის ყველაზე შემაშფოთებელ ფაქტად პოლონურ პოლიტიკაში მაინც მარცინკევიჩის გადადგომა იქცა. პრემიერ-მინისტრმა პოსტი რამდენიმე დღით ადრე დატოვა, სანამ პრეზიდენტი კაჩინსკი გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან და საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან "ვაიმარის სამკუთხედის" ფარგლებში დაგეგმილ სამიტს ჩაშლიდა. "ვაიმარის სამკუთხედი" ჯერ კიდევ 15 წლის წინ ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, რათა ევროპულ სივრცეში სამი დიდი ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების დარგში კავშირები კიდევ უფრო გაეღრმავებინა და ხელი შეეწყო ვარშავასა და ბერლინის შორის ათეულობით წლების განმავლობაში არსებული დაძაბული და ეჭვებით სავსე ურთიერთობებისთვის.

სამიტის გაუქმების მიზეზად პრეზიდენტ კაჩინსკის ადმინისტრაციამ ქვეყნის პირველი პირის ავადმყოფობა დაასახელა. თუმცა, პოლონელი დიპლომატები და ოპოზიციის წარმომადგენლები სამიტის ჩაშლის ნამდვილ მიზეზად გერმანულ ყოველდღიურ გაზეთში "ტაზ" გამოქვეყნებულ მეტად სატირულ სტატიას ასახელებენ, რომელშიც კაჩინსკი "ახალ პოლონურ კარტოფილადაა" მოხსენიებული. ამ სტატიის გამო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა ფოტიგამ საჯაროდ მოსთხოვა გერმანელ კოლეგას, ოფიციალურ დონეზე მოეხადა გერმანიას ბოდიში, რაზეც ბერლინის უარი მიიღო. ოფიციალურმა ბერლინმა უარი პრესის თავისუფლებით დაასაბუთა, რის პასუხადაც ფოტიგამ ზემოაღნიშნული სტატია ნაციზმის პერიოდის პროპაგანდას შეადარა.

მოვლენების ამგვარი განვითარების გამო პოლონეთის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ყოფილი რვა საგარეო საქმეთა მინისტრის გულისწყრომაც დაიმსახურა. თანამემამულეებმა კაჩინსკის მთავრობა უფლებების გადამეტებაში და სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაში დაადანაშაულა ხუთშაბათს ერთ-ერთ პოლონურ გაზეთში გამოქვეყნებულ ღია წერილში. წერილში ნათქვამია, რომ სამიტის ჩაშლამ უშუალოდ პოლონეთის სახლემწიფო ინტერესებს დაარტყა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანიისა და საფრანგეთის მხარდაჭერა ქვეყანას სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ "დიდი რვიანის" შეხვედრაზე საკუთარი ინტერესების დასაცავად სჭირდება. როგორც ცნობილია, "დიდი რვიანის" სამიტის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ენერგოუსაფრთხოებაა, პოლონეთმა კი ევროკავშირს ცოტა ხნის წინ სთხოვა, შეემცირებინა მისი დამოკიდებულება რუსულ გაზზე, რადგან არ არის გამორცხული, ოფიციალურმა მოსკოვმა ენერგორესურსი პოლიტიკურ იარაღად გამოიყენოს.

## მოკლედ

### ქართულ-აფხაზურ მხარეებს შეთანხმების შესრულებისკენ მოუწოდებენ

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა საქართველოს ხელისუფლებას და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებს მოუწოდა, შეასრულონ 2006 წლის თებერვალში ჟენევაში მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება. გენერალური მდივნის აზრით, ზემოხსენებული შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს აფხაზური მხარის მოთხოვნები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, აფხაზურმა მხარემ კი უნდა დაუშვას ქართულ ენაზე სწავლება გალის რაიონში.

ასევე, ანანის განცხადებით, გალის რაიონში უნდა დაუშვან გაერო-ს მისიის პოლიციელები, რაც დანაშაულთან ეფექტიან ბრძოლას ხელს შეუწყობს. გაერო-ს გენერალური მდივნის განმარტებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალის გამოუყენებლობისა და დევნილების დაბრუნების შესახებ დოკუმენტების პაკეტზე მუშაობის დასრულება. ამასთან, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ქართულ-აფხაზურმა საკოორდინაციო საბჭომ მუშაობა განაახლოს. თუმცა, მხარეები კონფლიქტის მოგვარების პრინციპებს, რომელიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები", ფორმალურად არ უნდა მიუდგნენ და ის კონსტრუქციულად უნდა განიხილონ.

კოფი ანანის თქმით, აუცილებელია იმ პირთა დასჯა, რომლებმაც წინა წლებში გაერო-ს სამეთვალყურეო მისიის დამკვირვებელთა წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს და დღემდე არ არიან პასუხისგებაში მიცემულნი; 1998 წლის სექტემბერში სოხუმში თავს დაესხნენ გაერო-ს სამეთვალყურეო მისიის ავტობუსს. 2001 წლის ოქტომბერში კი კოდორის ხეობაში გაერო-ს სამეთვალყურეო მისიის კუთვნილი ვერტმფრენი ჩამოაგდეს. **მედიანიუსი**

### საქართველოს საგარეო უწყება რუსეთს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რუსეთში, ქალაქ ირკუტსკში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრების დაღუპვასთან დაკავშირებით. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. გუშინ, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე გლოვის დღე იყო გამოცხადებული. ავიაკომპანია "სიბირის" აერობუსმა A-310-მა კატასტროფა 9 ივლისს დაშვების შემდეგ განიცადა. აერობუსი რეისს მოსკოვი-ირკუტსკის მიმართულებით ასრულებდა. მის ბორტზე 203 ადამიანი იმყოფებოდა. მათგან მხოლოდ 74 გადარჩა. კატასტროფის მიზეზების დასადგენად გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს. ერთ-ერთ ძირითად ვერსიად ტექნიკური გაუმართაობა განიხილება. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# უნივერსიტეტი ხელახლა არსდება

პირველი გვერდიდან

არც მაშინ, როცა წინანდელი რექტორი ხმების უმრავლესობას იღებდა და არც მაშინ, როცა შემოთავაზებული კანდიდატი აირჩია, არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია ამ საბჭოს. მეც პასუხისმგებელი ვარ, არ უარვყოფ. არასოდეს საბჭოს არ გასჩენია მოთხოვნილება, ოცნებაშიც კი, რომ თავისი ნებით წამოყენებული კანდიდატი ჰყოლოდა. რა ავტონომიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა პოსტსაბჭოურ ხანაში კორუპციამ მოწესრიგებული ხასიათი მიიღო: პარტიზანული თუ ინდივიდუალური მოქმედებიდან, რაც უნივერსიტეტში ყოველთვის არსებობდა (ვის შეუძლია უარყოს?) პოსტსაბჭოურ პერიოდში ანუ ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ორგანიზებული სახით ჩამოყალიბდა. მას ჰყავდა თავისი გენერალი, ოფიცრები და ჯარისკაცები. მაზანდა, თუ ამ წელს რომელი ფაკულტეტი რა ღირდა, უკვე სააშკარაოდ ცხადდებოდა მაღლივის ერთ-ერთ კუნჭულში ამ საქმეზე ოფიციალურად მიჩენილი ჰეროლდის პირით. გამჭვირვალობა სანიმუშო იყო. აღშფოთდა ვინმე, ასტეხა ვინმემ განგაში ავტონომიის დასაცავად? გაიძახიან, უნივერსიტეტი გადავარჩინოთო! რომელი (თუ როგორი) უნივერსიტეტის გადარჩენა სურთ?

2. უნივერსიტეტის ავტონომიას იმ ხანებში შეენაცვლა ტაძრის სტატუსი. დაიწერა წიგნიც სათაურით "ტაძარი". კაცი იფიქრებდა, რომ ეს უნივერსიტეტის მიმართ უდიდესი მოკრძალებისა და მოწიწების გამოხატულება იყო. შეცდება ეს ადამიანი, თუ ასე იფიქრებს. წიგნის ავტორმა სიწმიდის სტატუსი უნივერსიტეტს წერილობით დაუმტკიცა, რათა იგი გარეშე ძალისგან ხელშეუვალი ყოფილიყო. Noli me tangere! (არ შემეხო!) უნივერსიტეტი შეუბღალავია, როგორც ეკლესია, მისი პროფესურა, როგორც ღვთისმსახურნი, შეუბღალავნი არიან. ხელები შორს "თეთრი ტაძრისგან"! აქ მისი დამაარსებლის სული ტრიალებს. როგორც ახლა მის სავარძელზე ლაპარაკობენ. არ ახსოვთ, ვინ იჯდა ამ ბოლო დროს ამ სავარძელზე? აი, ამ იდეოლოგიით იცავდა თავს უნივერსიტეტის გენერალიტეტი. აი, ასეთი ავტონომია მოიმარჯვა იარაღად. ეს მართლაც ტაძარი იყო ან, უფრო სწორად, საიდუმლო ორდენი, რომელსაც თავისი განდობილი ხალხი ჰყავდა და ინაწილებდა პატივს, დანარჩენი მასა სრულ უმეცრებაში იყო.

3. ეს ხალხი, რომელიც პროვოკაციულად აღარ იკეტება სააქტო უფანჯრებო დარბაზში (რადგან მიაღწია მიზანს), ახლა უნივერსიტეტის ეზოში ავტონომიასთან ერთად "გადაყვანა, გადაყვანას" გაიძახის, ესმის, რას მოითხოვს? ეს სიტყვა დაწერილია კანონში, მაგრამ ის ცარიელი სიტყვაა წესის გარეშე, თუ როგორ უნდა მოხდეს გადაყვანა ახალ ანაზღაურებად თანამდებობებზე (იგულისხმება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), რომლებიც არ შეესაბამება დღევანდელ თანამდებობებს (პროფესორი, დოცენტი, მასწავლებელი - უფროსი, უმცროსი, ლაბორანტი - უფროსი, უმცროსი). წესის გარეშე, რომელიც კონკურსში მდგომარეობს, როგორ, რა კრიტერიუმებით უნდა გადაიყვანო დღევანდელი თანამდებობები ახალ თანამდებობებზე. ან თუ გადაიყვან, რა იცვლება ამით. ეს ხალხი კონკურსს უარყოფს, როგორც უზნეოს - როგორ შეიძლება კოლეგები ერთმანეთს დაუპირისპირდნენო! მაღალზნეობრივი პრინციპებიდან უარს ამბობენ კონკურსზე, რომელიც, კარგად იცით, მთელ მსოფლიოშია მიღებული. მხოლოდ ამ გზით ხერხდება თანამდებობების დაკავება უნივერსიტეტებში. ჩვენი უნივერსიტეტი კი გამონაკლისია, რადგან ის ტაძარია. პროფესორები აქვე, საკურთხეველში, დავიბადეთ პროფესორებად და აქვე დავიხოცებით - მემკვიდრეობით გვერგო ეს ადგილი, ვისა აქვს ჩვენი შემოწმების უფლება?

4. ახლა შემოწმებაზე ვთქვათ. სილაბუსების კომპიუტერიზაციამ ანუ მისმა გამჭვირვალობამ ცხადყო, რომ სხვადასხვა დასახელებით ერთი და იგივე საგანი იკითხება. ანუ დისციპლინა, დავუშვათ, სამია და პროგრამა - ერთი. მიზანი ადვილი გასაგებია. ვის ვატყუებთ? - პირველ რიგში, სტუდენტს და მერე ადმინისტრაციას. მაგრამ ტაძრის მსახურნი ამბობენ: უნივერსიტეტი წმიდა ადგილია, ვის ხელეწიფება მისი შემოწმება? ქუჩიდან მოსულ ხალხს? თავისუფლების ინსტიტუტს? სოროსს...? თუმცა კარგად იციან, რომ საკონკურსო კომისიის წევრები არც ქუჩიდან არიან და არც არავითარი კავშირი ამ ორგანიზაციებთან არა აქვთ.

5. ახლა ამ ყბადაღებული პოლიციის უნივერსიტეტში შემოსვლის შესახებ. ვის მოუბრუნდება ენა, რომ გაამართლოს ეს ფაქტი. თუ ვინმესთვის ეს ფაქტი შეუწყნარებელია, როგორც უნივერსიტეტის იდეასთან, მის ავტონომიურობასთან შეუთავსებელი, თქვენი მონა-მორჩილია. ალბათ არ წაგიკითხავთ ჩემი ნაწერები უნივერსიტეტის და მისი ავტონომიის შესახებ (1988-1991). ერთმა ჯგუფმა ავტონომიის აღსადგენად წამოიწყო ქმედებები, ოფიციალურადაც იქნა გამოცხადებული, ვეძებდით ასარჩევ რექტორს (არსებულს ვადა გასდიოდა). მიზანს ვერ მივაღწიეთ, ჩანდა, ეს იდეა არ იყო პოპულარული (რექტორი უსათუოდ "ზემოდან" დანიშნული უნდა ყოფილიყო!), ცოტას თუ ესმოდა იმხანად. სტუდენტები (მაშინ იყო ცნობილი "პრესკლუბი") პოლიტიკაში იყვნენ გადავარდნილი... ჩვენმა ჯგუფმა იცოდა მაშინ უნივერსიტეტის თვისებები, მისი თანდაყოლილი ბუნება, კერძოდ, რომ მილიციელი მის ეზოშიც კი ვერ უნდა შემოსულიყო... ისტორიას არ ახსოვსო? რა არ ახსოვს უნივერსიტეტის ისტორიას? პროფესორთა და სტუდენტთა პერმანენტული დაჭერები არ ახსოვს? სუკის აგენტები არ უნახავს კედლებში - შტატიანი და უშტატო? დავანებოთ თავი წარსულს. ამ ხალხს, პოლიციელებზე რომ ლაპარაკობს, ნუთუ არ ახსოვს, პრეზიდენტის (წარსულის და ახლანდელის) ყოველ მოსვლაზე კარები რომ ილუქება, უშიშროების თანამშრომლებით რომ ივსება დერეფნები, და ა. შ? რაღაც არ მახსოვს, რომ ვინმეს აღშფოთება გამოეხატოს. ჭაჭანებდა მათ თავში უნივერსიტეტის იდეა, ახლა რომ ისტერიულად ამცნობენ ქვეყანას ახალ აღმოჩენასავით?

6. ავტონომია ნიშნავდა: რასაც მინდა, იმას გავაკეთებ! ეს ჩვენი საშინაო საქმეა. რეფორმას კი სურს, ჭეშმარიტი ავტონომია აღუდგინოს უნივერსიტეტს, რომელიც მას რეალურად ჰქონდა თავის გენეზისში და არსებობდა 1926 წლამდე. ახლანდელი ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ამჟამად, რეფორმირების პერიოდში, ავტონომია, თუკი მისი აჩრდილი არსებობდა, შეჩერებულია. ამას არ ნიშნავს - "რექტორის თანამდებობის შემსრულებელი"? ახლა ის პერიოდია, როცა უნივერსიტეტი ხელახლა არსდება და მისი არსებობა პარადოქსულია: არსებობს, არც არსებობს. ის თითქოს ვაკუუმში იბადება. ბევრია წოდებული, მაგრამ მცირედნი არიან რჩეულნი. ასეა უნივერსიტეტის საქმეც. სხვაგვარად, სხვა ფსიქოლოგიით უნივერსიტეტი ვერ დაარსდება, ვერ განახლდება. მთხლე საბჭოს აღდგენა, მისი მეშვეობით უნივერსიტეტის განახლება აბსურდია (იურიდიულადაც ის გაუქმებულია). მას არა აქვს რესურსი, რომელსაც სიახლის შემოტანა შეუძლია. ის ფენიქსი არ არის, თავისი ფერფლიდან რომ იწყებდეს აღორძინებას.

7. ახლა ისევ პოლიციას მივუბრუნდეთ. არ აღმაფრთოვანა პოლიციის გამოყენებამ ადმინისტრაციის მიერ. მაგრამ გულწრფელად გეტყვით: მე არც უკმაყოფილო პროფესორების საქციელი აღმაფრთოვანებს. თუ უნივერსიტეტი მათთვის ტაძარია, როგორ წარმოუდგენიათ ტაძარში "წადი, წადის" გაუთავებელი, ისტერიამდე მისული ძახილი (კარვის ქალები არ მოგაგონდათ?). წარმოიდგინეთ: პროფესორები გაუქმებული საბჭოს მიერ "არჩეული" რექტორის მეთაურობით ეჭრებიან რექტორის მოვალეობის შემსრულებელს კაბინეტში, უწოდებენ თვითმარქვიას (თითქოს მას თავად დაენიშნოს თავისი თავი რექტორად), ეუბნებიან, აიკარი გუდანაბადი, აქ მე უნდა ვიჯდე, საბჭოს არჩეული რექტორი ვარ და ა.შ. რა შეიძლება ამ ქმედებას ვუწოდოთ, თუ არა პროვოკაცია? ამ შეჭრით, ამ ლანძღვა-გინებით ხომ გაითელა უნივერსიტეტის იდეა, ახლა ვისღა შეუძლია თქვას, უნივერსიტეტი ხელშეუხებელია, პოლიცია შემოსვლას როგორ ბედავსო? აქვს უფლება ამ ხალხს, რაიმე პრეტენზია წამოაყენოს უნივერსიტეტის სახელით მის დასაცავად? რა გამოდის? პროფესორებს, რომლებიც უნივერსიტეტთან აიგივებენ თავს, ძალადობის უფლება აქვთ, უნივერსიტეტს კი ეკრძალება ძალადობისგან თავის დაცვა. ვინ გამოხატავდა იმ შეჯახებაში უნივერსიტეტს? მოძალადე პროფესურა თუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც სრულიად ლეგიტიმურად თავის კაბინეტში იჯდა? დამეთანხმებით, პროფესურამ თავადვე არათუ უარყო, არამედ გათელა უნივერსიტეტის იდეა. ხომ იცით, არსებობს ცნება ბიბლიაში "გატიალების სიბილწე" - ეს რეალობა სწორედ შელახულ სიწმიდეში ისადგურებს. როცა იერუსალიმის ტაძრიდან შებღალული სიწმიდე გავიდა, მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი მისი ნანგრევებად ქცევა. დავანებოთ ანალოგიებს თავი - ვითარება ისედაც ცხადია, რომ ეს დემაგოგია გამიზნულად პროვოკაციულია. თუნდაც, წარმოიდგინეთ ინტელექტუალური ძალები, როგორიც უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესურა, ამჟამად კონკურსის მოწინააღმდეგენი, მთელი ღამით იკავებენ უფანჯრო სააქტო დარბაზს, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ზეწოლის მიზნით უნივერსიტეტის ოკუპაციას, პრეტენზიებით, თუ რატომ არ აწვდიან კონდიციურ ჰაერს და ა.შ. მიმართავენ ათასგვარ ინსინუაციას, პრეტენზიებს რომ თავი დავანებოთ. ეს სასაცილოა, იმდენად არის თეთრი ძაფით ნაკერი. სარჩელიც კი შეუტანია ერთ ლიდერს ხალხის წამების მუხლით, თუმცა კარგად მოეხსენება, რომ ეზოში გასასვლელი და შინ წასასვლელი კარი ყველასთვის ღია იყო. მითხარით, იყო ინტელექტის ჭაჭანება იმ დარბაზში?

8. ინტელექტისგან პროფესორთა აბდიკაცია ახალი რექტორის დანიშვნის პირველსავე დღეებში მოხდა. გვახსოვს ულტიმატუმები, ლანძღვა-გინება, დორბლები, ცოფების ყრა. ყველამ იცის, რა ბაგაჟის და ზნეობის ადამიანებთან გვაქვს საქმე. ისურვებდით, ამ ჯურის ხალხისგან შემდგარ უნივერსიტეტში სწავლას და მუშაობას? ვინმემ იფიქრა იმაზე, თუ რატომ დუმან სტუდენტები? სიმართლედ არ მიუთვლით ამ დუმილს? ისინიც ხელისუფლებამ მოისყიდა, როგორც, მაგალითად, თქვენი მონა-მორჩილი, რომელსაც რექტორმა თურმე ასი დოლარი მისცა მხარდაჭერის იმედით, რასაც პატიოსნად ვასრულებ (როგორც ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარყოფილმა გამოაცხადა ერთ პატიოსან საზოგადოებაში)? გარწმუნებთ, მე არ ვაქცევ ყურადღებას საზოგადოებრივ აზრს, რადგან კარგად ვიცი მისი ფასი. მეტსაც მოველი, მზად ვარ ყველაფრისთვის. იცით, მაგრამ შეგახსენებთ, როგორ მთავრდება იბსენის "ხალხის მტერი". დოქტორი სტოკმანი, ქალაქის საზოგადოებიდან სრულიად გარიყული, ცოლს ეუბნება, სიტყვა-სიტყვით: "მე აღმოვაჩინე, რომ ყველაზე ძლიერი კაცი ვარ დედამიწის ზურგზე, რადგან ყველაზე მარტო ვარ". პარადოქსია? არაადამიანურია? დამეთანხმებით, რომ დგება მომენტი ადამიანის ცხოვრებაში, როცა უნდა გასცდეს კაცი ადამიანური შესაძლებლობის საზღვრებს. ამას იმიტომაც გეუბნებით, რომ მენანება თქვენი თავი ცოფიან ოპოზიციონერებს შორის, რომელთაც მარცხენა მარჯვენისგან ვერ გაურჩევიათ და ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ პრობლემებს ერთმანეთს უკავშირებენ. გრ. რობაქიძე ერთგან წერდა "ქართველთა უდისციპლინო აზროვნებაზე" ("ხომ იცი, ჩემო არჩილ, ქართველთა უდისციპლინო აზროვნების ამბავიო"). რბილად არის ნათქვამი, ინტელიგენტურად. ღმერთმა ნუ ქნას, ამ გაავებულ და უდისციპლინო აზროვნების ადამიანებს ძალაუფლება ჩაუვარდეს ხელში.

9. რაც შეეხება, გაუთავებელ სკანდირებას, ასევე დემაგოგიურს, რომ ინგრევა უნივერსიტეტი, დაინგრა განათლების სისტემა. მიუხედავად ჩემი პირადად ნეგატიური დამოკიდებულებისა ამ ხელისუფლებისადმი, სავსებით მხარს ვუჭერ რეფორმების მთელ სისტემას, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს. რატომ? იმიტომ რომ, მე თავად ჩაბმული ვარ ამ საქმიანობაში, კერძოდ, საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების და საუნივერსიტეტო პროგრამების შექმნის პროცესში და ვიცი, რას ვაკეთებ. რას მოითხოვს სკოლა მოსწავლისგან? დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, ახლის ძიების წყურვილს და ა.შ. რას მოითხოვს საკონკურსო კომისია კონკურსანტისგან? წარმოადგინოს დისციპლინის თავისი ხედვა, წარმოადგინოს ორი სილაბუსი - ორი კურსის ანალიტიკური გეგმა-შინაარსი, რას ასწავლის, როგორ ასწავლის, რა ლიტერატურას უთითებს, რა მეთოდით ამოწმებს ცოდნას და ა.შ. არავინ გზლუდავს - ჩემი კოლეგა პროფესორები რომ გაიძახიან "საათები, საათები შეამცირეს", რომც შეემცირებინათ, თითქოს სწავლება საათების რაოდენობით იზომებოდეს. კონკურსი შეიძლება უფრო დაუნდობელიც ყოფილიყო, თუ ის პროფესორ-მასწავლებელთა აუდიტორიას შეამოწმებდა. მერწმუნეთ, ბევრი სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ეს ყველამ იცის.

10. შემეძლო კიდევ საუბარი გაერთიანებული ჰუმანიტარული ფაკულტეტის შესახებ (რაც ასევე თურმე უნივერსიტეტის ნგრევა და სპეციალობების მოსპობა ყოფილა), მის ნოვატორულ ხასიათზე, მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ. მზად ვარ, თუ ინტერესი იქნება, ამაზეც გესაუბროთ, თუ მოისურვებთ.

Dixi, quod dixi (რაც ვთქვი, ვთქვი).

08.07.06

# საკონკურსო კომისიის წევრები პოსტებს ტოვებენ

*უნივერსიტეტის ეზოში გუშინ განახლებული მიტინგის წარმართვას პროფესორ-მასწავლებლები ამჯერად თავად ცდილობდნენ. მათი პოზიცია ასეთი იყო: რეფორმა აუცილებლად უნდა განხორციელდეს, ოღონდ არა "ზემოდან" და არა კანონის დარღვევით. "თუ ხელისუფლება არ ჩაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში და უნივერსიტეტის მართვის საშუალებას მოგვცემს, რამდენიმე წლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება," - ამგვარი პირობა მისცა მიტინგის მონაწილეებს პრეზიდენტის მიერ დათხოვილი დიდი საბჭოს მიერ არჩეულმა რექტორმა ჯემალ მებონიამ.*

ვერიკო თევზაძე

მებონიას თქმით, უნივერსიტეტი მზადაა როგორც რეფომების განსახორციელებლად, ასევე ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ. რაც შეეხება ხელისუფლებისადმი მთავარ მოთხოვნებს, ეს არის უნივერსიტეტიდან ხუბუას და მისი გარემოცვის დათხოვნა და უნივერსიტეტისათვის ავტონომიის დაბრუნება. გარდა ამისა, არაერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, რომელიც გია ხუბუას სახით უნივერსიტეტს მართავს, პოსტიდან უნდა გადადგეს.

გოგი გოგოლაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, როცა ამტკიცებს, რომ კონკურსი გამჭვირვალედ ჩატარდება. მან კონკრეტული მაგალითებიც დაასახელა: "ჰუმანიტარული ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის წევრთა გვარები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაშინ როცა საბუთების მიღება 23 ივნისს დამთავრდა."

მიტინგის მსვლელობისას "24 საათმა" კომენტარი სთხოვა უნივერსიტეტის თანამშრომელს თამაზ ჯოლოგუას: **"უნივერსიტეტი დიდი ხანია პოლიტიზირებულია, იგი ემორჩილება ნაციონალური მოძრაობის ნებას. ნოდარ გრიგალაშვილმა, რომელიც გამოხატულებაა სახელისუფლებო აზრისა, თქვა, რომ კანონზე მაღლა პოლიტიკური ნება დგას და უნივერსიტეტში რაც ხდება, ეს პოლიტიკური ნებაა. ჩვენი პოზიცია ასეთია: მთავარი უნდა იყოს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მოგვწონს. რეფორმა უსიკვდილოდ უნდა ჩატარდეს, კონკურსიც სასიცოცხლოდ აუცილებლია, ოღონდ ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს. კანონში ასეთი რამ წერია: თანამშრომლები უნდა გადაიყვანონ აკადემიურ თანამდებობზე, შემდეგ უნდა შეიქმნას საფაკულტეტო საბჭოები, მერე შედგეს დიდი საბჭო და იმ საბჭომ უნდა განსაზღვროს კონკურსის პირობები. ხუბუამ ბრძანა, გრამატიკული პრობლემაა - გადაყვანა კონკურსს ნიშნავსო. ხელისუფლებამ იცის, რომ კანონს არღვევს და ჩემი ვარაუდით, ამას ერთადერთი მიზნით აკეთებს: წლის ბოლოს გარდამავალი პერიოდი მთავრდება და აუცილებლად უნდა ჩატარდეს არჩევნები. ხელისუფლებას სურს, არჩევნებს დაასწროს საკადრო წმენდა, რათა შედეგად ხელისუფლების მხარდამჭერი საბჭოები და რექტორი მიიღონ. დღეისათვის ხუბუას ბრძანებით, ყველა საშტატო ერთეული გაუქმებულია, მათ შორის მასწავლებლების, ასისტენტების, ლაბორანტების, რომელთაც კონკურსი არ ეხებათ. ფაქტობრივად, არადეკლარირებულად ხდება უნივერსიტეტის ლიკვიდაცია. მის ნანგრევებზე ახალი, ხელისუფლების მორჩილი უნივერსიტეტი შეიქმნება."**

უნივერსიტეტში გუშინდელ მიტინგზე დაასახელეს ის ადამიანები, რომლებმაც პროტესტის ნიშნად, უარი თქვეს საკონკურსო კომისიის წევრობაზე. ესენი არიან: ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსანდრე ქორელი, ბაჩანა ბრეგაძე, მზექალა შანიძე, ირა გოცირიძე, ბიძინა სავანელი, ლევან ნადარეიშვილი, მერაბ ღებანიძე, დოდო ღვალაძე, ნონა ფოცხვერაშვილი.

თუმცა, მოგვიანებით, უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ სატელევიზიო ეთერით განცხადება გააკეთა, რომ ხსენებული პირები არ არიან დამტკიცებული კომისიის წევრებად, მათ, უბრალოდ, შესთავაზეს კომისიაში შესვლა.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი სრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით სრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით სრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით სრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით სრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

## აცილებული სამართლებრივი დავა

*ოზურგეთის რაიონის გამგეობამ და საკრებულომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის" შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად, მოსალოდნელი სასამართლო დავა თავიდან აიცილა.*

ოზურგეთის რაიონის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2006 წლის ბიუჯეტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, სარჩელი "საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირმა" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოზურგეთის წარმომადგენლობამ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანეს.

სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, გამგეობას გაეგზავნა რეკომენდაციები, რომლებიც, თავის დროზე, გამგეობამ არ გაითვალისწინა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის რაიონის საკრებულოს 2006 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება ოზურგეთის ბიუჯეტის შესახებ უკანონო იყო და ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მთელ რიგ მოთხოვნებს, რის გამოც აუცილებელი იყო სასამართლოს ძალით მისი გაუქმება.

სარჩელის შეტანის პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შენიშვნები კიდევ ერთხელ მიაწოდეს რაიონული მმართველობის ორგანოებს. ვიდრე სასამართლო სადავო საკითხის განხილვას დაიწყებდა, რაიონული მმართველობის ორგანოებმა არასამთავრობოებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს და შედგა არაერთი საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა ოზურგეთის რაიონის გამგებელთან და საფინანსო სამსახურის წარმომადგენელთან.

"ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციამ" რაიონის ხელმძღვანელობას პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაცია-დახმარება გაუწია და შენიშვნების გათვალისწინებით, რაიონის ბიუჯეტის პროექტი თანდათან დაიხვეწა. მართალია, როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" აცხადებენ, ძნელია იმის თქმა, რომ რაიონის მმართველი ორგანოების მიერ შეტანილი ცვლილებებით ბიუჯეტი იდეალური გახდა, მაგრამ არასამთავრობოები აღიარებენ, რომ ყველა შენიშვნა შეძლებისდაგვარად არის გათვალისწინებული.

**"ამ ეტაპზე ოზურგეთის რაიონის 2006 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად მიუახლოვდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და კანონმდებლობის ჩარჩოში მოექცა. გამგეობამ და საკრებულომ 2006 წლის ბიუჯეტში სწორედ კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად შეიტანა ცვლილებები,"** - განმარტავენ "ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაციაში".

რაც შეეხება სასამართლო პროცესს. იმის გამო, რომ აღნიშნულ საკითხზე პროცესის გამართვისას დავის საგანი აღარ არსებობდა, საქმის წარმოების შემდგომმა გაგრძელებამ აზრი დაკარგა. აქედან გამომდინარე, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოზურგეთის წარმომადგენლობისა და "საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის" შუამდგომლობის საფუძველზე და მოპასუხე მხარის თანხმობით, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოპასუხე მხარეებს (რაინულ გამგეობას და საკრებულოს) სოლიდარულად დაეკისრათ ბაჟის გადახდა 40 ლარის ოდენობით.

*24 საათი*

## მოკლედ

### შეხვედრა ევროსაბჭოს კომისართან

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ტომას ჰამარბერგი, რომელიც თბილისს ოფიციალური ვიზიტით გუშინ ეწვია, საქართველოს იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს შეხვდა. ტომას ჰამარბერგი საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმითა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა. იუსტიციის მინისტრმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ინფორმაცია მიაწოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის კონცეფციასა და "ყოფილი სახრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის შესახებ კანონის" პროექტზე. გია ქავთარაძემ ტომას ჰამარბერგთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე. მინისტრის განცხადებით, ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვერ ვრცელდება, შესაბამისად, მთავრობას არ აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევაზე რეაგირების მექანიზმი. მინისტრმა ადამიანის უფლებათა კომისარს მდგომარეობის შესასწავლად კონფლიქტის რეგიონებში გამგზავრება სთხოვა და დასძინა, რომ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ტომას ჰამარბერგის განცხადებით, ასეთი ვიზიტი, შესაძლოა, მომავალი წლის დასაწყისში განხორციელდეს. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ სტუმარს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება, თბილისის N5 და რუსთავის N6 საპყრობილეები დაათვალიერებინეს. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ევროპის საბჭოს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი ახლდა. **24 საათი**

### ფინანსურმა პოლიციამ ერგნეთის გზა ჩაკეტა

ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ ცხინვალთან დამაკავშირებელი ერგნეთის გზა ჩაკეტა. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსის ზურაბ არსოშვილის განცხადებით, გზის მონაკვეთი დაკეტილი იქნება მანამდე, ვიდრე რუსეთის მხარე "ზემო ლარსის" სასაზღვრო გამშვებ პუნქტს არ გახსნის. მისი თქმით, ოფიციალური საზღვარი საქართველოს რუსეთთან სწორედ ზემო ლარსთან აქვს, როკის გვირაბით შემოსული მგზავრების გაკონტროლება კი ერგნეთთან ტექნიკურადაც შეუძლებელია და არც მოხდება. საქართველო-რუსეთის საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთი რუსეთმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე 8 ივლისს ჩაკეტა. საზღვართან მყოფმა მგზავრების ნაწილმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა როკის გვირაბით, ცხინვალზე გავლით სცადა, თუმცა, მათ ერგნეთის საგუშაგოსთან აღარ გამოატარებენ. **პრაიმ-ნიუსი**

### ფინანსური დარღვევები ტოტალიზატორებში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ რეგიონში მდებარე ექვს ტოტალიზატორში დარღვევები აღმოაჩინა. პოლიციამ სამტრედიაში მდებარე სამი ტოტალიზატორის - "ზურაბ ნიკურაძის", "გიორგი ჯავრიშვილის" და "გიორგი ნიკოლეიშვილის" შემოწმება დაიწყო. მიმდინარეობს ზესტაფონსა და წყალტუბოში არსებული ტოტალიზატორების - "ალექსანდრე ჭიჭინაძის", "ტოტალიზატორ ფორტუნასა" და "ზაზა ქუთათელაძის" შემოწმება. ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, ექვსივე ტოტალიზატორის ხელმძღვანელობა ყალბ ანგარიშ-ფაქტურებს იყენებდა, რის გამოც ტოტალიზატორებიდან ამოღებულია საბუღალტრო დოკუმენტაცია და ტარდება რევიზია. გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. როგორც პოლიციაში აცხადებენ, გაფლანგვის შესახებ ისინი წინასწარ ინფორმაციას ფლობდნენ.. "უახლოეს დღეებში ჩატარდება საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია, რის შედეგადაც მითვისებული და გაფლანგული თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ეჭვმიტანილი საავადმყოფოდან გაიქცა

თბილისის N1 კლინიკური საავადმყოფოდან ეჭვმიტანილი, 17 წლის მინდია გოგოჭური გაიქცა. ერთ-ერთი ვერსიით, დაკავებულმა გაქცევა საპირფარეშოს ფანჯრიდან მოახერხა. თვითმხილველთა განცხადებით, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს, გოგოჭური საპირფარეშოში შევიდა, იქიდან გამოსულმა კი პირდაპირ ცენტრალურ გასასვლელს მიაშურა და უპრობლემოდ დატოვა საავადმყოფოს შენობა, იმ დროს, როდესაც ბადრაგი მას პალატაში ელოდებოდა. მინდია გოგოჭური 8 ივლისს, სოლოლაკში მომხდარი ჩხუბის დროს დააკავეს. თავდაპირველად იგი ე.წ. "მიხაილოვის საავადმყოფოში" მოათავსეს, თუმცა, მოგვიანებით თავის ტვინის დაჟეჟილობის დიაგნოზით N1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გოგოჭური 23 წლის გიორგი ხელაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. საავადმყოფოშია მოთავსებული ხელაშვილიც, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა და როგორც ექიმები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სისხლის სამართლის საქმე საპატრულო პოლიციის იმ ორი თანამშრომლის მიმართაც აღიძრა, რომლებიც კლინიკაში მყოფ მინდია გოგოჭურს იცავდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### დააკავეს ძებნილი

თბილისის აეროპორტში სასაზღვრო საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. 8 ივლისს "სიმფეროპოლი-თბილისის" რეისზე, ხოლო 9 ივლისს - "დონეცკი-თბილისის რეისზე ". დაკავებულები შსს-ს ისანი-სამგორის რაიონულ განყოფილებას გადაეცნენ. რეგიონული სამმართველო "აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც საქართველოდან თურქეთში გასვლას ყალბი პასპორტით ცდილობდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფე-ეს-ბე-ს დირექტორის ანგარიში: ბასაევი განადგურებულია

პირველი გვერდიდან



*ბასაევის ლიკვიდაცია უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეფასდა.*

რუსეთის პრეზიდენტმა უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებს წარმატებული ოპერაციის ჩატარება მიულოცა.

**"განადგურებული ტერორისტები შურისძიებას იმსახურებდნენ, ბესლანში მოკლული ჩვენი შვილებისთვის, ბუდიონოვკის ტერაქტისა და სხვა იმ ტერქტებისთვის, რაც მათ მოსკოვში და რუსეთის სხვა რეგიონებში, მათ შორის ჩეჩნეთსა და ინგუშეთში განახორციელეს,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და პატრუშევს იმ სპეცრაზმელთა ჯილდოზე წარდგენა მოსთხოვა, რომლებიც ბასაევის განადგურების ოპერაციაში მონაწილეობდნენ.

ინგუშეთის ნაზრანის რაიონის სოფელ ეკაჟევოში საველე მეთაურის ლიკვიდაციის მიზნით სპეცოპერაცია 10 ივლისს გამთენიისას ჩატარდა. გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ბასაევი ლიკვიდირებული იქნა "კამაზის" ტიპის ავტომანქანის აფეთქებისას. მსუბუქ მანქანაში, რომელიც დანაღმული "კამაზის" გვერდით იდგა, ოთხი ჩეჩენი მებრძოლი იმყოფებოდა, მათ შორის ბასაევი და იჩქერიის პრეზიდენტად არჩეული დოკუ უმაროვის უახლოესი თანამებრძოლი ტარხან განჯიევი.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში სწორედ ტარხან განჯიევი უწევდა კოორდინირებას ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებულ დაჯგუფებათა მოქმედებას.

უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, ბასაევის ლიკვიდაციის ოპერაცია დიდი ხნის მანძილზე იგეგმებოდა, მათ ჰქონდათ დაზუსტებული მონაცემები იმის შესახებ, რომ ჯგუფი მიემგზავრებოდა ინგუშეთის ერთ-ერთ სოფელში ტერაქტის ჩასატარებლად. განხორციელებული აფეთქების ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ "კამაზის" ტიპის მანქანის ფრაგმენტებიღა დარჩა, იგივე მდგომარეობაშია აფეთქებული მსუბუქი ავტომობილებიც.

უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა იდენტიფიკაცია ბასაევის დანაწევრებულ ცხედარს ჩაუტარეს. **"ტერორისტის იდენტიფიკაცია თავით მოხდა, რისი დათვალიერების შედეგადაც დადასტურებულად შეიძლება თქმა, რომ მოკლული ნამდვილად შამილ ბასაევია,"** - განაცხადეს უშიშროების სამსახურის ექსპერტებმა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალუ ალხანოვის განცხადებით, ბასაევის ლიკვიდაცია წერტილს დაუსვამს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებას. **"ვთვლი, რომ დღეს ლოგიკურად დასრულდა სპეცსამსახურების მიერ წარმოებული უმძიმესი ბრძოლა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან. ბასაევმა 15 წლის მანძილზე უამრავი ტერაქტი განახორციელა და საბოლოოდ მიიღო ის, რისი ღირსიც იყო,"** - განაცხადა ალხანოვმა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი ნანობს, რომ არ მონაწილეობდა ბასაევის ლიკვიდაციის ოპერაციაში. **"ბასაევის ლიკვიდაცია სპეცსამსახურების უდიდესი წარმატებაა,"** - განაცხადა კადიროვმა.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი დირექტორი და ყოფილი პრემიერი სერგეი სტეპაშინი მიიჩნევს, რომ ბასაევის ლიკვიდაცია რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობისთვის ახალი ეტაპია. **"ის, რაც ბასაევმა ჩაიდინა ბუდიონოვკის ტერაქტისას, იყო სერიოზული დარტყმა ქვეყნისთვის. ბასაევის განადგურება არის ტერორიზმის ხერხემალში გადატეხა,"** - განაცხადა სტეპაშინმა.

**"ბასაევის განადგურება ჩეჩნეთში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციის უსერიოზულესი შედეგია,"** - ასეთი აზრისაა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატთა უმრავლესობა. სახელმწიფო დუმის პირველმა ვიცე-სპიკერმა სლისკამ ოპერაციის შეფასებისას განაცხადა, რომ: **"ბასაევისა და სხვა ბოევიკების განადგურებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეული უდიდესი წარმატების გარდა, ის მნიშვნელობაც გააჩნია, რომ ტერორისტებს დარტყმა "დიდი რვიანის" სამიტის წინ მიაყენეს."**

შამილ ბასაევის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პოლიტიკოსებმა, პოლიტოლოგებმა - მათ სპეცოპერაციას დადებითი შეფასება მისცეს. შეფასებები ერთი შინაარსისაა: **"ბასაევის ლიკვიდაცია რუს ძალოვანთა უდიდესი წარმატებაა, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა."**

**"მასხადოვისა და აბდულ-ხალიბა საიდულაევის ლიკვიდაციის შემდეგ, ბასაევის განადგურება რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ღირსების საქმე იყო. ამჯერად, ბოევიკები ერთი მეთაურის - დოკუ უმაროვის ამარა არიან დარჩენილი,"** - აცხადებენ რუსეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები და უმაროვის ლიკვიდაციის პირობასაც დებენ.

*24 საათი*

# სპეცოპერაციის საქმის გამოძიების ხარვეზიანი დეტალები

*2 მაისს, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის დედა ციალა შანავა, ბოლოს და ბოლოს, პროკურატურამ დაზარალებულად ცნო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოკლულის ოჯახის ინტერესების დამცველებმა, რამდენიმე დღის წინ, გენერალურ პროკურატურას შუამდგომლობით მიმართეს. საქმეში დაზარალებულად ცნობის გარდა, ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები გენერალურ პროკურატურაში შეტანილი შუამდგომლობით, გამოძიებიდან თბილისის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აცილებას მოითხოვდნენ.*

საქმე ისაა, რომ სპეცოპერაციის დღესვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო ზურაბ ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვის და ბონდო ფუთურიძის მიმართ. ჯგუფურად, ყაჩაღური თავდასხმის მომზადების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმიდან კი, რამდენიმე დღეში, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე - პოლიციის მუშაკების მიერ დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით მკვლელობის ფაქტზე და გამოყოფილი საქმე გამოძიებისთვის გადაეგზავნა თბილისის პროკურატურას.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და ვაზაგაშვილების ინტერესების დამცველები, ორივე საქმის გაერთიანებას და გენერალური პროკურატურის დაქვემდებარებში გადაცემასაც მოითხოვდნენ.

ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები ირმა ჭკადუა და მალხაზ ჯანგირაშვილი, ისევე როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის " იურისტები, რომლებიც ამ საქმეში არიან ჩართული, თვლიან, რომ ციალა შანავას დაზარალებულად ცნობა, პროკურატურის მხრიდან გაკეთებული გარკვეული მანევრია, რადგან გენერალურ პროკურატურას მათ სხვა მოთხოვნებზე პასუხი ჯერჯერობით არ გაუცია, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ პროკურატურას პასუხის გასაცემად, 108-ე მუხლის მეცხრე ნაწილის შესაბამისად, 24-საათიანი ვადა აქვს. გენერალურ პროკურატურაში შუამდგომლობის შეტანიდან კი უკვე საკმაოდ დიდი დროა გასული. ერთი სიტყვით, გაერთიანდება თუ არა 2 მაისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებული ორი სისხლის სამართლის საქმე და გაერთიანების შემდეგ დაექვემდებარება თუ არა ის გენერალურ პეროკურატურას, შუამდგომლობის ავტორებმა ამაზე პასუხი ვერ მიიღეს.

**"შუამდგომლობის შეტანიდან მეორე დღესვე, თბილისის პროკურატურიდან დაგვიკავშირდა გამომძიებელი და გვამცნო, რომ სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ზურაბ ვაზაგაშვილის დედა, ციალა შანავა გამოძიებამ დაზარალებულად ცნო. დაგვიბარეს კიდეც და გადმოგვცეს ფარატინა ფურცელი. არანაირი დადგენილება თბილისის პროკურატურაში ჩვენთვის არ მოუციათ. საპროცესო კოდექსში შეტანილი უამრავი ხარვეზიანი ცვლილების საფუძველზე, დაზარალებულ მხარეს იმის საშუალება არ აქვს, გაეცნოს საქმის მასალებს. ადვოკატებს საქმის მასალების ქსეროასლების გადაღების საშუალებაც მოგვისპეს. მართალია, მოკლული ვაზაგაშვილის დედა დაზარალებულად ცნეს, მაგრამ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის უფლება მას მაინც არ ეძლევა,"** - ასეთი განცხადებები კეთდებოდა გუშინ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოფისში, სადაც ვაზაგაშვილის საქმეში ჩართული იურისტები და ადვოკატები საქმის ყველა დეტალს მიმოიხილავდნენ და გენერალური პროკურატურის მხრიდან კანონის უხეშ დარღვევებზე საუბრობდნენ.

*24 საათი*



# ცვლილებები აფხაზეთთან დაკავშირებული მოლაპარაკების პროცესში

*ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში ახალი გეგმები გაჩნდა და იმავდროულად, ყველა წამყვანი ფიგურა შეიცვალა.*

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი ერთდროულად ორმა გავლენიანმა ფიგურამ დატოვა. მოლაპარაკებების პროცესში მთავარმა საერთაშორისო შუამავალმა – საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინიმ და საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ, რომელმაც მოლაპარაკებებზე აფხაზური მხარის წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება მოახერხა, ახალი თანამდებობები მიიღეს.

მათი წასვლა მნიშვნელოვან მოვლენას – ხუთწლიანი შესვენების შემდეგ გაერო-ს მხარდაჭერით-Yმომუშავე საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების აღდგენას დაემთხვა. დღეისათვის მხარეები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის შექმნის, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების საკითხებს განიხილავენ.

მიმდინარე წლის მაისში, 1993 წელს კონფლიქტის საომარი ფაზის დასრულების შემდეგ პირველად, მხარეებმა კონფლიქტის დარეგულირების ოფიციალური გეგმები გაცვალეს.

გაერო-ს გენერალური მდივნის ახალი სპეციალური წარმომადგენლის ვინაობა, ჯერჯერობით, ცნობილი არაა, ამიტომაც დროებით ამ მოვალეობას ტალიავინის მოადგილე, ბულგარელი დიპლომატი ივო პეტროვი შეასრულებს.

ამავდროულად სრულდება გაერო-ს მისიის კიდევ ერთი მაღალჩინოსნის – პოლიტიკური მრჩევლის მარიანა სტაშევსკის მანდატი, რომელმაც აფხაზეთში 13 წელიწადი უწყვეტად იმუშავა და ახლა პენსიაზე გადის.

32 წლის ირაკლი ალასანია, რომელიც კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი იყო, გაერო-ში საქართველოს ახალ ელჩად დაინიშნა.

ალასანია კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ქართულ მხარეს 2004 წელს ჩაუდგა სათავეში, როცა მხარეებს შორის ურთიერთობები გამძაფრებული იყო. თუმცა, ალასანიამ მოლაპარაკებათა მაგიდის მეორე მხარეს მსხდომებთან კონტაქტის დამყარება წარმატებით მოახერხა.

ქართველი პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი დარეგულირების პროცესს ორ ნაწილად ყოფს – საერთაშორისო დახმარებად და მხარეთა უშუალო კონტაქტად. მისი თქმით, ლიდერთა შეცვლის შედეგად მოლაპარაკებების პროცესში „არ შეიცვლება საერთაშორისო ნაწილი, რომელიც ისედაც ძლიერი იყო, ხოლო ისედაც სუსტი მეორე ნაწილი კიდევ უფრო დასუსტდება".

„ტალიავინის წასვლით პოლიტიკა არ შეცვლილა, შეიცვლება მხოლოდ პიროვნება. ალასანიას წასვლა კი რეალური დანაკარგია. ქართველი პოლიტიკოსი აფხაზთა შეშფოთების მიზეზებს პირველად მოეკიდა სერიოზულად. ეს კი აფხაზურმა მხარემ მეტად დააფასა", – უთხრა IWPR-ს ზაქარეიშვილმა.

„ალასანიას წასვლა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ჰგავს – საქართველოს მთავრობაში ვიღაცას აფხაზებთან უშუალო კონტაქტების დამყარება არ მოსწონს", – დასძინა მან.

აფხაზი პოლიტოლოგი სპარტაკ ჟიდკოვი გაერო-ს მთავარი შუამავლის წასვლას „(გაერო-ს) მიერ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გადაფასებას" უკავშირებს.

„შესაძლოა, საერთაშორისო საზოგადოების ახალმა სახემ მოლაპარაკებების პროცესში ამ ახალ შეფასებებზე წარმოდგენა შეგვიქმნას", – თქვა მან.

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი, რომელსაც მანდატი 1 ივლისს ამოეწურა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე ხუთი წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი. 23 ივნისს სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ტალიავინიმ განაცხადა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად, რაც ძალუძდა, ყველაფერი გააკეთა.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ შესაძლო მაქსიმუმი გავაკეთე – მაქსიმუმი იმისა, რაც ყველა ობიექტური ნიუანსის გათვალისწინებით შემეძლო", – თქვა მან.

თავის მთავარ დამსახურებად ტალიავინი კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ძირითადი პირობების შექმნას მიიჩნევს. მან 2001 წელს გალის რაიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მეტად სერიოზული პრობლემები გაიხსენა და განაცხადა, რომ ამ რეგიონში „უკანასკნელი წლების განმავლობაში სიტუაცია სერიოზულად გაუმჯობესდა. და მე ამ დადებით ცვლილებებს, სხვა ფაქტორებთან ერთად გაერო-ს მისიის მუშაობასაც ვუკავშირებ".

ძირითადად ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში სიტუაციის რეალურად გაუმჯობესების ფაქტთან დაკავშირებით ყველა მხარე ერთსულოვანია. შეიარაღებული თავდასხმები და აფეთქებები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში შიშს თესავდა, აღარ ხდება. თუმცა დღეისათვის ძირითად პრობლემად მაინც დამნაშავეობა რჩება.

თუმცა გალის რაიონის ირგვლივ ვნებები არ ცხრება. ჯერჯერობით, აფხაზური მხარე რაიონში სამოქალაქო პოლიციის შეყვანასა და აქ გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნაზე უარს აცხადებს. აფხაზი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ორივე იდეას უარყოფენ, რადგან მათ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში თანდათანობით დაბრუნების გეგმის ნაწილად მიიჩნევენ.

არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისადმი ასეთ მიდგომას სავსებით ეთანხმება.

„ჩვენ ქვეყანაში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა სერიოზული კომპონენტი გვყავს და დაახლოებით იგივე ფუნქციების მქონე სამოქალაქო პოლიციელთა მცირე რაოდენობის მიმატებით არაფერი შეიცვლება. თუ ამ ნაბიჯს არ გადავდგამთ, ჩვენდამი დამოკიდებულება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კიდევ მეტად ნეგატიური გახდება. იგივე მინდა ვთქვა გალის რაიონში გაერო-ს ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნაზეც", – უთხრა მან IWPR-ს.

ამავე დროს, შამბამ გამოთქვა შეშფოთება, რომ „საქართველოს მთავრობის არაადეკვატურმა რეაქციამ მოლაპარაკებების პროცესის რეალურ მიმდინარეობასთან დაკავშირებით, შესაძლოა გალის რაიონში სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის შეყვანასა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის გახსნაზე უარის თქმაც გვაიძულოს".



*გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი*

ქართული და აფხაზური მხარეების მიერ დარეგულირების ოფიციალური გეგმების შემუშავებამ ამ საკითხის აქტუალობა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მთელ ისტორიაში პირველად, უკანა პლანზე გადასწია.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში აფხაზურ მხარეს არაერთხელ განუცხადებია, რომ მოლაპარაკებებში, რომლის ათვლის წერტილიც გაერო-ს გენერალური მდივნის პირველი სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული დარეგულირების გეგმა იქნება, მონაწილეობას არ მიიღებს.

საქართველოს ხელისუფლებამ მოიწონა „ბოდენის გეგმა", რომელიც საქართველოს ერთიან ფედერალურ სახელმწიფოში აფხაზეთის ფართო ავტონომიური უფლებებით შესვლას ითვალისწინებდა. თუმცა სოხუმი ამ გეგმის განხილვაზეც კი კატეგორიულ უარს აცხადებს, რადგან 1999 წლის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობამ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება ამჯობინა.

საერთაშორისო საზოგადოება უკანასკნელ ხანებამდე დარეგულირების პროცესის ასეთი ფორმატით განვითარებას კატეგორიულად მოითხოვდა. ახლა კი მოლაპარაკებების პროცესი ცარიელი ფურცლიდან იწყება, რაც ჰაიდი ტალიავინის სიტყვებმაცYდაადასტურა. „როგორც ჩანს, ჩვენ დარეგულირების პროცესის ბოდენის გეგმის მიხედვით წარმართვას ვერ შევძლებთ", – განაცხადა ტალიავინიმ აფხაზ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

საქართველოს დატოვების წინ წარმოთქმულ ბოლო სიტყვაში ტალიავინიმ ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში „პირადი მეგობრობის" დამყარების საჭიროებაზე ისაუბრა. „აუცილებელია მოლაპარაკებების პროცესში მონაწილე კონკრეტულ ადამიანებს შორის ნდობით აღსავსე ურთიერთობები დამყარდეს", – თქვა მან და დიტერ ბოდენის მიერ მისი მანდატის ვადის ამოწურვის ამბის შეტყობის შემდეგ ნათქვამი ფრაზის ციტირება მოახდინა: „კავკასიის დავიწყებას ვერასოდეს შევძლებ".

www.iwpr.net

# მთიანი ყარაბაღი: ხანძრის გაჩენამ დაპირისპირება გაამძაფრა

*სადავო ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენაში სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს ადანაშაულებენ, თუმცა ზოგი ცეცხლის გაჩენას მშრალი ზაფხულის სიცხეს უკავშირდება.*

რუფატ აბასოვი, ბაქო
კარინე ოჰანიანი, სტეფანაკერტი
კარინე ასატრიანი, სტრასბურგი

მთიანი ყარაბაღის მახლობლად უეცრად გაჩენილი ხანძრების სერიამ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტის გამო არსებულ დაპირისპირებაში ახალი „სიტყვიერი ომი" წარმოშვა.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ სომხური მხარე ყარაბაღის აღმოსავლეთით მდებარე რეგიონში ხანძრის განზრახ გაჩენაში დაადანაშაულა. რეგიონი, სადაც ცეცხლი გავრცელდა, სადავო ტერიტორიის ნაწილი არაა, თუმცა 1994 წლიდან – ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ სომხეთის კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ამ ტერიტორიებზე არავინ ცხოვრობს, თუმცა აქაურ მიწას ყარაბაღში მცხოვრები სომეხი გლეხები ამუშავებენ.

აზერბაიჯანის გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებით, ხანძრების შედეგად 132 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი დაიწვა. მიყენებული ზარალი დაახლოებით 5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. როგორც აზერბაიჯანელი გარემოს დამცველები აცხადებენ, ყარაბაღის აღმოსავლეთით მდებარე აღდამის რეგიონის ექვსი სოფელი სრულიად განადგურდა.

ყარაბაღში სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ბრალდებები უარყვეს და განაცხადეს, რომ ცეცხლი ბუნებრივად – გვალვის შედეგად ან ადგილობრივი მოსახლეობის დაუდევრობის გამო გაჩნდა. არ გამორიცხავენ, რომ ხანძარი საკონტროლო ხაზზე აზერბაიჯანის მხრიდან განხორციელებულმა სროლებმა გამოიწვია.

„ეს სპეციალურად მოწყობილი ხანძარი იყო", – განაცხადა აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა იგბალ აგაზადემ, რომელმაც ორი მხარის გამყოფი საკონტროლო ხაზი მოინახულა.

„ეს ბუნებრივად გამოწვეული ხანძარი არ არის. ეს სომხების პოლიტიკის გაგრძლებაა და მიზნად ყველა იმ სამხილის განადგურებას ისახავს, რომელიც ადასტურებს, რომ ყარაბაღი უძველესი აზერბაიჯანული მიწაა. მართლა ასე რომ არ იყოს, მაშინ ხანძარი აზერბაიჯანელების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზეც გაჩნდებოდა, სადაც იგივე კლიმატური პირობებია", – განაცხადა აგაზადემ IWPR-თან საუბრისას.

„ამას სომხები მიზანმიმართულად, ჩვენი სასაფლაოებისა და ისტორიული ძეგლების განადგურების მიზნით აკეთებენ. 2 ათას წელზე მეტი ხნის ისტორიული ძეგლი – ნარგიზტეპე პირისაგან მიწისა უკვე აღიგავა. ეს ეკოლოგიური ტერორიზმია", – დასძინა აგაზადემ.

მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ამ ბრალდებებს უარყოფს.

„მთიან ყარაბაღში წელიწადის ამ დროს ხორბლის ყანებში ხანძრის გაჩენა უჩვეულო მოვლენა არ არის და ამას მრავალი გამომწვევი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ წელს აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე ხორბლის ყანებში აზერბაიჯანის მხრიდან მიმდინარე სროლების გამო ხანძრების შემთხვევების რაოდენობამ და მასშტაბმა გარკვეულწილად მოიმატა. ისინი ისეთ ტყვიებს იყენებენ, რომლებიც მაშინვე ცეცხლის გაჩენას იწვევს", – განაცხადა ყარაბაღის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვაჰრამ ბაღდასარიანმა IWPR-თან საუბრისას.

„წელიწადის ამ დროს, როცა ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსამდე და უფრო მაღლაც ადის, ყანებში ცეცხლის გაჩენა ბუნებრივია – ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხანძარი სპეციალურად გააჩინეს. თუმცა აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მიერ ცეცხლის გაჩენის ფაქტებიც არსებობს", – განაცხადა სტეფანაკერტის (აზერბაიჯანულად ხანკენდი) მთავრობის პრესსპიკერმა დავიდ მიქაელიანმა.

მიქაელიანის განცხადებით, ცეცხლის ჩასაქრობად ადგილზე ადგილობრივი სახანძრო სამსახური გაიგზავნა. სტეფანაკერტის საგანგებო სიტუაციათა სამმართველოს წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ამ სეზონზე 128 ხანძარი დააფიქსირეს და სახანძრო სამსახური ყველა შემთხვევის ადგილას გაიგზავნა. აღნიშნული უწყების პრესმდივანის არმენ ნარიმანიანის განცხადებით, ცეცხლის შედეგად 1000 ჰექტარზე მეტი ფართობის დაუმუშავებელი მიწა და 165 ჰექტარი დამუშავებული ნაკვეთი გადაიწვა.

არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაის მაილიანმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ სახანძრო სამსახურს ცეცხლის ჩაქრობა გაუჭირდა, რადგან აზერბაიჯანის მხრიდან დაწყებული სროლა მეხანძრეების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა.

3 ივლისს ყარაბაღის ხელისუფლებამ გაავრცელა განცხადება, რომ ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი ანდრჟეი კასპრზიკი აღდამის რეგიონში მონიტორინგს ახორციელებდა და დასახლებული პუნქტების გადაწვის შესახებ აზერბაიჯანელების მიერ გაჟღერებული ბრალდების დამადასტურებელი საბუთი ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, რესპუბლიკის ხელისუფლების მტკიცებით, მან აზერბაიჯანული მხარის მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად გაჩენილი ხანძრის კვალი ნახა. (ბოლო ცხრა წლის განმავლობაში კასპრზიკი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარის წარმომადგენლის რანგში ცეცხლის შეწყვეტის საკონტროლო ხაზის მთავარი საერთაშორისო მონიტორია).

ამ განცხადების საპირისპიროდ, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა განაცხადა, რომ ეუთო-ს ელჩმა სომხების მიერ ცეცხლის განზრახ გაჩენის დამადასტურებელი საბუთი „ფაქტობრივად საკუთარი თვალით" ნახა.

IWPR-მა საკითხის გარკვევის მიზნით კასპრზიკთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ და ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში მთავარმა შუამავალმა მეთიუ ბრაიზამ აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტო დაყ.აზ-ს განუცხადა, რომ მას „გავრცელებული ინფორმაცია" აშფოთებს, რადგან თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები ნახა, სადაც „ხანძრის საზღვრები იმდენადაა გამოკვეთილი, თითქოს ვიღაცამ ხანძრის გაჩენა და ცეცხლის გავრცელების მიმართულებები წინასწარ დაგეგმა".

როგორც ბრაიზამ განაცხადა, ანდრჟეი კასპრზიკის მიერ განცხადების გაკეთებამდე იგი დასკვნების გამოტანისგან თავს იკავებს.

27 ივნისს, აზერბაიჯანის დელეგაციამ სტრასბურგში განცხადება გაავრცელა და სომხები „აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტეროტორიებზე მასიური ხანძრის გაჩენაში" დაადანაშაულა.

„შედეგად განადგურდა ათასობით ჰექტარი მიწა და უზარმაზარი ზარალი მიადგა გარემოს. ცეცხლი აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც გავრცელდა, სადაც ფაუნა, შენობები და ძეგლები სრულიად განადგურდა", – ნათქვამია განცხადებაში.

საპასუხოდ, სომხეთის დელეგატმა ჰელინე ნაღდალიანმა განაცხადა, რომ „აზერბაიჯანელები ვერ ხვდებიან, რომ ცეცხლი ადმინისტრაციულ საზღვრებს არ სცნობს".

„აზერბაიჯანელები მთიანი ყარაბაღის საზღვარზე ხანძრის განზრახ გაჩენაზე საუბრობენ და არ ესმით, რომ ყარაბაღელები ცეცხლს არ წაუკიდებდნენ იმ ყანებისა და ტყეებს, რომლებსაც თვითონვე იყენებენ", – განაცხადა ნაღდალიანმა.

ნაღდალიანის განცხადებით, აზერბაიჯანული მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები ნახიჩევანის შუა საუკუნეების სომხური სასაფლაოს – ჯუღას განადგურების ფაქტისგან ყურადღების გადატანის მცდელობაა.

აზერბაიჯანის პარლამენტის დეპუტატმა მალაჰატ ჰასანოვმა IWPR-ს მოვლენათა სხვა ვერსია შესთავაზა. მისი განცხადებით, სომხები „მიწის გადაწვის პოლიტიკას" ახორციელებენ, რადგან ესმით, რომ მალე ამ ტერიტორიების დატოვება მოუწევთ და „მხოლოდ განადგურებული და დამწვარი მიწების დატოვებას ცდილობენ".

თუმცა, ყველა არ მიიჩნევს, რომ მომხდარს პოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად. IWPR-ის მიერ გამოკითხული გლეხებიდან ბევრი აცხადებს, რომ რეგიონში ხანძარი საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა.

„ერთი უყურადღებოდ დაგდებული სიგარეტი და, ცეცხლი მაშინვე ჩნდება", – განაცხადა ყარაბაღის სოფელ შაჰბულახის მცხოვრებმა ლარისა დანიელიანმა.

„საზღვრის მახლობლად ორ მეტრზე მეტი სიმაღლის სარეველა ბალახი დაიწვა, რომელიც ყარაბაღელ და აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს ერთმანეთის დანახვაში ხელს უშლიდა", – განაცხადა მარტუნის ოლქის სოფელ ბერდაშენის მკვიდრმა ლეონიდ სოღომონიანმა.

სოღომონიანის განცხადებით, ბალახი თავად ჯარისკაცებმა დაწვეს (ორივე მხრიდან), რათა მოწინააღმდეგის უკეთ დანახვის საშუალება ჰქონოდათ. მან ისიც აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ მიზეზით ხანძარი არაერთხელ გაჩენილა.

„მაგრამ როცა ასეთი ხანძარი ჩნდება, მისი შეჩერება შეუძლებელია. ბალახი გამომშრალია და ცეცხლი ძალიან სწრაფად ვრცელდება. ჩვენი მიწები საზღვართან მდებარეობს და ამ ხანძრებისგან ბევრი ნაკვეთი ძალიან დაზიანდა. ფერმერებმა მოსავლიანი მიწის 10-15 ჰექტარი დაკარგეს", – დასძინა სოღომონიანმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ყაბარდო-ბალყარეთში ახალი თავდასხმების შიში აქვთ

*გასულ წელს ნალჩიკში განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებების წევრებს მილიცია ქუჩებსა და მთებში ეძებს.*

დანა ცეი, ნალჩიკი

ბოლო ერთი თვეა, ყაბარდო-ბალყარეთი საგანგებო მდგომარეობაში იმყოფება – ხელისუფლება ისლამისტური სამხედრო დაჯგუფებების დასაპატიმრებლად ძალისხმევას აქტიურებს.

ნალჩიკში მომხდარი სისხლიანი შეტაკებიდან რვა თვის შემდეგ, რომელსაც ასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხელისუფლება აცხადებს, რომ ძალადობაში ეჭვმიტანილთა დაკავებას ჯერ კიდევ გრძელდება. ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი ზაურ გუჩევი, რომელიც ძებნილთა 24-კაციანი სიის სათავეშია, 3 ივლისს დააკავეს.

5-12 ივნისის კვირა განსაკუთრებით დაძაბული იყო. მილიცია გაძლიერებული დანაყოფების საშუალებით მთავარ გზებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე რეიდებს აწყობდა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარყვეს გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ მილიცია ცნობილ ჩეჩენ „ბოევიკს" შამილ ბასაევს ეძებდა. თუმცა ქუჩებში ხალხს ესმოდა, როგორ ამბობდნენ მილიციის თანამშრომლები, „ბასაევს ვეძებთო". გავრცელებული ინფორმაციით, ბასაევი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შენიშნეს.

ივნისში ყაბარდო-ბალყარეთში შამილ ბასაევის ყოფნის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ არსებობს, თუმცა წარსულში იგი რესპუბლიკაში არაერთხელ ჩასულა. 2003 წელს როცა ნალჩიკიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ ბაქსანის ერთ-ერთ სახლში მყოფი ბასაევი ალყაში მოაქციეს, იგი დაკავებასა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. როგორც მემბოხეთა ლიდერი თავად აცხადებს, გასულ ოქტომბერში მომხდარ ძალადობამდე ცოტა ხნით ადრე ნალჩიკის ერთ-ერთ გარეუბანში იმყოფებოდა.

ცოტა ხნის წინ ისლამისტურმა ვებგვერდმა „კავკაზ ცენტრმა" სავარაუდოდ ბასაევის მიერ აპრილში ყაბარდო-ბალყარეთში გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც მზის დაბნელებაა აღბეჭდილი. დაბნელების ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოტოები ნამდვილად რესპუბლიკაშია გადაღებული.

6 ივნისს მილიციამ იალბუზის მახლობლად მთებში ფართომასშტაბიანი ოპერაცია განახორციელა.Aყაბარდო-ბალყარეთის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის იური ტომჩაკის განცხადებით, ოპერაციაში რუსეთის უშიშროების სამსახურის ძალებიც მონაწილეობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, ოპერაციის დღეს აღნიშნულ ტერიტორიამდე მისასვლელი ყველა გზა და ბილიკი ჩაკეტილი იყო. ორი დღის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბაქსანში მცხოვრები 32 წლის მამაკაცისთვის უკანონო იარაღის ჩამორთმევის შესახებ განცხადება გაავრცელა.

ტომჩაკი ახალ თანამდებობაზე ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტმა არსენ კანოკოვმა დანიშნა. მან უკვე შეძლო მუშაობის გაცილებით ლია სტილის დამკვიდრება, ვიდრე მის წინამორბედებს ჰქონდათ.

5 ივნისს, იალბუზის რეგიონში ოპერაციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე შინაგან საქმეთა მინისტრმა იმ 24 ეჭვმიტანილის სია გამოაქვეყნა, რომლებსაც სავარაუდოდ ოქტომბრის შეტაკებასთან კავშირი ჰქონდათ.

აღნიშნულ სიაში პირველ ნომრად 40 წლის არტურ მუხოჟევია (იგი მუსას სახელითაა ცნობილი), რომელიც „ჯამაათის" – ყაბარდო-ბალყარეთის ისლამისტური დაჯგუფების „ემირი" ანუ მეთაურია. რესპუბლიკაში ისლამის მკვლევარის ირინა ბაბიჩის ცნობით, მუხოჟევი დაახლოებით 10 ათასამდე მუსლიმანის მხარდაჭერით სარგებლობს.

მუხოჟევს ოქტომბერში მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია. ამასთან დაკავშირებით მას განცხადება არ გაუკეთებია.

„მუსას რომ ამის შესახებ სცოდნოდა, მაშინ შეტაკებაში არა ასობით, არამედ ათასობით მუსლიმანი მიიღებდა მონაწილეობას", – განაცხადა მუხოჟევთან დაახლოებულმა პიროვნებამ IWPR-თან საუბრისას.

მუხოჟევის ზუსტი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის. მის შესახებ ხშირად წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდება – ზოგი ამბობს, რომ ახლო აღმოსავლეთში იმყოფება, ზოგი ამტკიცებს, რომ გარდაიცვალა, ზოგი კი, დარწმუნებულია, რომ ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე იატაკქვეშა საქმიანობას ეწევა.

ძებნილთა სიაში მეორე ნომერი 30 წლის ანზორ ასტემიროვია. ასტემიროვი ერ რიადის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი და არაბულენოვანი სატელევიზიო არხის „ალ-ჯაზირას" კორესპონდენტი იყო. იგი რესპუბლიკაში განათლებულ ადამიანად მიიჩნეოდა. შემდეგ კი მისი „ბოევიკური საქმიანობის" შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

გასულ ზაფხულს ასტემიროვმა განაცხადა, რომ ბასაევის დაჯგუფებას შეუერთდა, რომელმაც იგი „კავკასიის ფრონტის ყაბარდო-ბალყარეთის სექტორის სამხედრო ემირად" გამოაცხადა.

მუხოჟევისგან განსხვავებით, ასტემიროვმა გასულ ოქტომბერს ნალჩიკში მთავრობის შენობებზე განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო. „კავკაზ ცენტრის" ვებგვერდზე რეგულარულად ვრცელდება განცხადებები, სადაც იგი ამბობს, რომ ყაბარდო-ბალყარეთის „ჯამაათი" ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს.

ძებნილთა სია გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. მაგალითად, ჩამონათვალში შეყვანილია 24 წლის აზამატ კანჩუკოევი, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოქტომბრის თავდასხმის დროს დაიღუპა.

ოფიციალურად შეიარაღებული ამბოხებულების მიერ ნალჩიკში მილიციისა და მთავრობის შენობებზე ერთდროულად განხორციელებული თავდასხმა ტერორიზმის აქტად შეფასდა. სროლების დროს დაღუპული სულ ცოტა 90 თავდამსხმელის გვამი ნათესავებს დასასამარხად არ გადასცეს. გვამები ჯერ კიდევ ვაგონ-რეფრიჟერატორებში ინახება, სადაც თავის დროზე ვაჟის სხეულის მოსაძებნად კანჩუკოვის მშობლებიც მივიდნენ. და როგორც ამტკიცებენ, ამოიცნეს კიდეც იგი.

ძებნილთა სიაში ასევე ორი ყაბარდო-ბალყარელი მამაკაცის სახელებია შეტანილი, რომლებიც წარსულში გუანტანამოს ბაზაზე იყვნენ დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი რასულ კუდაევია, რომელიც სამართალდამცველების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და ოქტომბერში მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდებით გასამართლებას ელის. მეორე მამაკაცი, რუსლან ორუჯევი კი 2004 წლის ოქტომბრიდან მიმალვაში იმყოფება.

სიაში მოხვდა ნალჩიკში მუსლიმანურ საკითხთა კვლევის ინსტიტუტის დირექტორი რუსლან ნახუშევიც, რომელიც მას შემდეგ გაუჩინარდა, რაც გასული წლის ნოემბერში რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა დააკავა. ნახუშევი უშიშროების სამსახურის ყოფილი მაიორია, რომელიც ისლამისტური ოპოზიციის ლიდერებს დაუახლოვდა და მათ იურიდიულ რჩევებს აძლევდა. მუხოჟევი და ასტემიროვი მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები იყვნენ.

გასულ თვეში ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენერალმა იური კოკოვმა უჩვეულო გულწრფელობით განაცხადა, რომ მისი სამინისტრო ტერორისტული კერებისთვის დაფინანსების შეჩერების მისიას ვერ ასრულებს. კოკოვის განცხადებით, მისი კოლეგები ყაბარდო-ბალყარეთში „ბოევიკების" რაოდენობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობენ. მინისტრის მოადგილემ იმის მიზეზად, რომ ტერორისტული აქტების აღკვეთა ვერ ხერხდება, კორუფცია დაასახელა.

www.iwpr.net

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს რუსთაველის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის ფასადის პარაპეტის კომპოზიტური პანელით მოწყობისა და ისტორიულ "ძველ ბათუმში" შენობება-ნაგებობების ფასადების, აივნების, საჩრდილობლების (მარკიზების) აღდგენა-რესტავრაციისა და შეღებვითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ისტორიულ "ძველ ბათუმში" შენობება-ნაგებობების ფასადების შეღებვითი სამუშაოები.

**ლოტი N2** ისტორიულ "ძველ ბათუმში" შენობება-ნაგებობების ფასადების აღდგენა-რესტავრაციისა და შეღებვითი სამუშაოები.

**ლოტი N3** ისტორიულ "ძველ ბათუმში" შენობება-ნაგებობების აივნებისა და საჩრდილობლების (მარკიზების) აღდგენითი სამუშაოები.

**ლოტი N4** რუსთაველის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის ფასადის პარაპეტის კომპოზიტური პანელით მოწყობის სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 დეკებრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 ივლისიდან 2006 წლის 1 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 31 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**6**. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ოთხი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

**საქართველოს შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აცხადებს კონკურსს აეროპორტ თბილისში მესაზღვრე-კონტროლიორის ვაკანტურ თანამდებობებზე.**

**კანდიდატისათვის საჭირო კვალიფიკაცია და მოთხოვნებია:**

**- უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭება სამართალმცოდნეს);**

**- ქართული და უცხო ენის ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენას).**

**საბუთების მიღება იწარმოებს 24 ივლისამდე შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის საკადრო საკითხთა სამმართველოში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკადრო საკითხთა განყოფილებას. ტელ.: 37-02-99.**

**შპს "ქუთაისის აეროპორტი" აცხადებს ხელახალ ტენდერს საწვავის შესაძენად. ტენდერის გამოცხადების თარიღია 10 ივლისი 2006 წ.**

შესყიდვის ობიექტი:

ბენზინი (რეგულარი) A 91, 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლიტრი.

დიზელი (ევრო) L 62, 8 500 (რვაათას ხუთასი) ლიტრი.

დამატებითი პირობები:

საწვავის მიწოდება უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურად.

მიწოდების ადგილი:

საწვავის მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის დანიშნულების ობიექტამდე (კოპიტნარის აეროპორტი).

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადაა 8.08.2006 წ. 18 საათი.

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. თანხა გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ა/ა №2433607, მფო: 220102605, სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" ქუთაისის ფილიალი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქ. №85. ტელ.: 8(231) 7-25-38. მობ.: 8(99) 51-47-04.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

**ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად ერთი წლის ვადით. საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა. აუქციონზე "ბიჯი" შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

ამბროლაურის, ახმეტის, ხაშური-ქარელის, ზემო სვანეთის, ოდიშის, ხარაგაულის, ბაღდათის, დუშეთის, კასპის, ადიგენის, ცაგერის, ლენტეხის, ახალგორის, ონის, ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის ტყეკაფები მთავარი და მოვლითი სახის ჭრებით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განცხადება სასურველი ტყეკაფის მითითებით (სატყეო, კვარტალი, უბანი)

2) იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას თან უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები

3) სალიცენზიო მოსაკრებლის (8 ლარი) გადახდის ქვითარი

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **300033050.**

**4)** "ბე"-ს გადახდის ქვითარი

"ბე"-ს გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **302003000.**

5). გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყეკაფის გამოყოფის ხარჯები შემდეგნაირად: პირწმინდა და პლანტაციურ ჭრებზე 0.66 ლარი ერთ კუბურ მეტრ ლიკვიდურ მერქანზე, ხოლო სხვა სახის ჭრებზე 2.70 ლარი ერთ კუბურ მეტრ ლიკვიდურ მერქანზე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 11 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 10 აგვისტოს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.
T 27-57-60.
www.moe.gov.ge

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კბმ: სამასალე | საშეშე | სულ (ლიკვიდი) | საწყისი ფასი | „ბე" | „ბიჯი" 10 % | ახალი გზის მშენებლობა(კმ): სამანქანო | სატრაქტორო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 1 | ამბროლაური | ლიხეთი | 36 | 1 | მთავარი | 12.0 | ფოთლ. | IV | 93 | 272 | **365** | **2 731** | 546 | **273** | | |
| 2 | | ურავი | 13 | 3 | მთავარი | 13.0 | წიწვ | IV | 480 | 486 | 966 | **8 086** | 1617 | **809** | | |
| | | | | | | | ფოთლ | | 125 | 134 | 259 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 605 | 620 | **1225** | | | | | |
| 3 | | ღვიარა | 19 | 2 | მთავარი | 15.0 | წიწვ | IV | 389 | 373 | 762 | **5 758** | 1152 | **576** | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 63 | 137 | 200 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 452 | 510 | **962** | | | | | |
| 4 | | ნიკორწმინდა | 36 | 6 | მოვლითი | 7.0 | წიწვ | III | 174 | 92 | 266 | **2 929** | 586 | **293** | | 2.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 16 | 36 | 52 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 190 | 128 | **318** | | | | | |
| 5 | ახმეტა | მატანი | 1 | 6 | მთავარი | 11.0 | ფოთლ. | IV | 523 | 363 | **886** | **12 316** | 2463 | **1232** | | 0.6 |
| 6 | | მატანი | 8 | 9 | მთავარი | 5.0 | ფოთლ. | IV | 265 | 164 | **429** | **6 189** | 1238 | **619** | | 0.5 |
| 7 | | მატანი | 3 | 17 | მთავარი | 6.0 | ფოთლ. | IV | 242 | 132 | **374** | **5 605** | 1121 | **560** | | 0.4 |
| 8 | | მატანი | 4 | 5 | მთავარი | 7.0 | ფოთლ. | IV | 123 | 73 | **196** | **2 864** | 573 | **286** | | 0.5 |
| 9 | | მატანი | 16 | 3 | მთავარი | 14.0 | ფოთლ. | IV | 385 | 216 | **601** | **8 933** | 1787 | **893** | | 1.1 |
| 10 | | ილტო | 80 | 12.16 | მთავარი | 10.0 | ფოთლ. | IV | 439 | 246 | **685** | **10 185** | 2037 | **1018** | | 0.7 |
| 11 | | ილტო | 52 | 5 | მთავარი | 15.0 | ფოთლ. | IV | 517 | 339 | **856** | **12 123** | 2425 | **1212** | | 1.0 |
| 12 | | ილტო | 36 | 13.14 | მთავარი | 16.0 | ფოთლ. | IV | 523 | 356 | **879** | **12 298** | 2460 | **12 30** | | 0.4 |
| 13 | | ილტო | 59 | 3 | მთავარი | 20.0 | ფოთლ. | IV | 303 | 244 | **547** | **7 223** | 1445 | **7 22** | | 0.5 |
| 14 | | ორვილი | 45 | 6 | მთავარი | 4.0 | ფოთლ. | IV | 102 | 73 | **175** | **2 408** | 481 | **2 41** | | 0.3 |
| 15 | ხაშური-ქარელი | ძამა | 20 | 6 | მოვლითი | 10.0 | წიწვ | II | 174 | 153 | 327 | **3 421** | 684 | **3 42** | | |
| | | | | | | | ფოთლ | | 4 | 5 | 9 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 178 | 158 | **336** | | | | | |
| 16 | ზ. სვანეთი | ჯორკვალი | 53 | 6 | მთავარი | 18.0 | წიწვ. | IV | 401 | 288 | **689** | **3 988** | 798 | **3 99** | 1.5 | |
| 17 | | ჯორკვალი | 63 | 3 | მთავარი | 6.0 | წიწვ. | IV | 213 | 104 | **317** | **2 033** | 407 | **2 03** | 2.0 | |
| 18 | | ლახამულა | 19 | 4 | მთავარი | 12.0 | წიწვ. | IV | 275 | 150 | **425** | **2 652** | 530 | **265** | 1.0 | |
| 19 | | ლახამულა | 66 | 6 | მთავარი | 14.0 | წიწვ. | IV | 514 | 328 | **842** | **5 040** | 1008 | **504** | 0.9 | |
| 20 | | ლახამულა | 69 | 3 | მთავარი | 14.0 | წიწვ. | IV | 422 | 290 | **712** | **4 174** | 835 | **417** | 1.4 | |
| 21 | | ლახამულა | 51 | 1 | მთავარი | 9.0 | წიწვ | IV | 550 | 234 | 784 | **7 378** | 1476 | **738** | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 93 | 64 | 157 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 643 | 298 | **941** | | | | | |
| 22 | | ჭუბერი | 68 | 8 | მთავარი | 9.0 | წიწვ | IV | 603 | 372 | 975 | **6 756** | 1351 | **676** | | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 38 | 15 | 53 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 641 | 387 | **1028** | | | | | |
| 23 | ოდიში | მუხური | 29 | 6 | მთავარი | 14.0 | ფოთლ. | IV | 620 | 1047 | **1667** | **16 209** | 3242 | **1621** | | 1.6 |
| 24 | | მუხური | 33 | 10 | მთავარი | 6.3 | ფოთლ. | IV | 177 | 397 | **574** | **4 883** | 977 | **488** | | 0.4 |
| 25 | | უხური | 36 | 5 | მთავარი | 17.0 | ფოთლ. | IV | 964 | 1125 | 2089 | **23 924** | 4785 | **2392** | | 1.25 |
| | | | | | | | წიწვ. | | 3 | 4 | 7 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 967 | 1129 | **2096** | | | | | |
| 26 | ხარაგაული | ბოსლევი | 10 | 3 | მოვლითი | 15.0 | წიწვ | II | 5 | 35 | **40** | **200** | 40 | **20** | 0.3 | |
| 27 | | ბოსლევი | 25 | 21 | მოვლითი | 12.0 | თხმელა | II | 20 | 41 | 61 | **417** | 83 | **42** | 0.3 | |
| | | | | | | | ფოთლ | | - | 24 | 24 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 20 | 65 | **85** | | | | | |
| 28 | | ბოსლევი | 13 | 2 | მოვლითი | 2.7 | წიწვ | II | 15 | 49 | **64** | **405** | 81 | **40** | 0.3 | |
| 29 | | ბოსლევი | 18 | 4 | მოვლითი | 11.0 | თხმელა | III | 29 | 44 | 73 | **279** | 56 | **28** | 0.5 | |
| | | | | | | | ვერხვი | | 2 | 2 | 4 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 31 | 46 | **77** | | | | | |
| 30 | | საწაბლე | 18 | 8 | მოვლითი | 2.2 | წიწვ | II | 6 | 21 | **27** | **1 167** | 33 | **117** | | |
| 31 | | საწაბლე | 9 | 15 | მოვლითი | 3.5 | თხმელა | II | 25 | 48 | **73** | **344** | 69 | **34** | | |
| 32 | | მოლითი | 22 | 13 | მოვლითი | 7.0 | ფოთლ | II | 81 | 90 | **171** | **3 287** | 657 | **329** | | 1.5 |
| 33 | | ვარძია | 16 | 12 | მთავარი | 6.0 | ფოთლ | II | 97 | 120 | **217** | **4 000** | 800 | **400** | | 0.4 |
| 34 | ბაღდათი | ვანი-საირმე | 20 | 11,15 | მთავარი | 21.0 | ფოთლ | IV | 683 | 522 | 1205 | **17 215** | 3443 | **1721** | | 0.5 |
| | | | | | | | წიწვ | | 97 | 93 | 190 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 780 | 615 | **1395** | | | | | |
| 35 | | ვანი-საირმე | 50 | 10 | მოვლითი | 20.0 | წიწვ | IV | 362 | 384 | **746** | **3 816** | 763 | **382** | 3.0 | 1.0 |
| 36 | დუშეთი | მაღაროსკარი | 122 | 25 | მთავარი | 23..0 | ფოთლ | IV | 100 | 178 | **278** | **2 638** | 528 | **264** | | 1..5 |
| 37 | კასპი | რკონი | 18 | 20 | მთავარი | 2.5 | წიწვ | III | 161 | 51 | 212 | **2 166** | 433 | **217** | | 3.0 |
| | | | | | | | არყი | | - | 25 | 25 | | | | | |
| | | | | | | | ვერხვი | | - | 3 | 3 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 161 | 79 | **240** | | | | | |
| 38 | | რკონი | 18 | 11 | მთავარი | 5.2 | წიწვ | III | 368 | 149 | 517 | **4 874** | 975 | **487** | | 1.5 |
| | | | | | | | ვერხვი | | - | 2 | 2 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 368 | 151 | **519** | | | | | |
| 39 | კასპი | რკონი | 32 | 11 | მთავარი | 8.0 | ფოთლ | III | 186 | 243 | 429 | **10 426** | 2085 | **1043** | | 2.5 |
| | | | | | | | წიწვ | | 334 | 130 | 464 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 520 | 373 | **893** | | | | | |
| 40 | | რკონი | 33 | 4 | მთავარი | 20.0 | ფოთლ | III | 897 | 961 | 1858 | **36 624** | 7325 | **3662** | | 3.0 |
| | | | | | | | წიწვ | | 639 | 208 | 847 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 1536 | 1169 | **2705** | | | | | |
| 41 | ადიგენი | უტყისუბანი | 23 | 7 | მთავარი | 9.0 | წიწვ | IV | 388 | 410 | **798** | **4 087** | 817 | **409** | 0.6 | 0.7 |
| 42 | | უტყისუბანი | 29 | 3 | მთავარი | 5.0 | წიწვ | IV | 313 | 154 | **467** | **2 990** | 598 | **299** | 0.7 | |
| 43 | | უტყისუბანი | 25 | 22 | მთავარი | 10.0 | წიწვ | IV | 666 | 359 | **1025** | **6 416** | 1283 | **642** | | |
| 44 | | კეხოვანი | 25 | 12 | მთავარი | 21.0 | წიწვ | IV | 2042 | 1186 | **3228** | **19 819** | 3964 | **1982** | | |
| 45 | | კეხოვანი | 22 | 21 | მთავარი | 11.0 | წიწვ | IV | 1027 | 357 | **1384** | **9 551** | 1910 | **955** | | |
| 46 | | წახანი | 23 | 20 | მთავარი | 4.0 | წიწვ | II | 269 | 133 | **402** | **4 673** | 935 | **467** | | 1.5 |
| 47 | | წახანი | 36 | 7 | მთავარი | 5.0 | წიწვ | II | 275 | 131 | **406** | **4 760** | 952 | **476** | 1.0 | 1.0 |
| 48 | | ადიგენი | 6 | 5 | მთავარი | 8.0 | წიწვ | IV | 226 | 164 | **390** | **2 250** | 450 | **225** | | 0.5 |
| 49 | | კურცხანა | 33 | 8 | მთავარი | 6.0 | წიწვ | III | 269 | 139 | **408** | **3 637** | 727 | **364** | | |
| 50 | | კურცხანა | 15 | 9 | მთავარი | 8.0 | წიწვ | III | 797 | 305 | **1102** | **10 498** | 2100 | **1050** | | 0.5 |
| 51 | ცაგერი | ცაგერი | 6 | 16 | მთავარი | 11.0 | წიწვ | IV | 219 | 250 | 469 | **3 115** | 623 | **311** | 3.0 | 1.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 31 | 39 | 70 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 250 | 289 | **539** | | | | | |
| 52 | | ცაგერი | 21 | 13,15 | მთავარი | 16.0 | ფოთლ | IV | 200 | 244 | **444** | **4 984** | 997 | **498** | 5.0 | 1.0 |
| 53 | | ქულბაქი | 4 | 21 | მთავარი | 6.9 | წიწვ | IV | 293 | 219 | 512 | **4 339** | 868 | **434** | 2.0 | |
| | | | | | | | ფოთლ | | 59 | 49 | 108 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 352 | 268 | **620** | | | | | |
| 54 | | ქულბაქი | 11 | 3 | მთავარი | 10.0 | წიწვ | IV | 186 | 194 | 380 | **2 477** | 495 | **248** | 3.0 | |
| | | | | | | | ფოთლ | | 21 | 25 | 46 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 207 | 219 | **426** | | | | | |
| 55 | | ქულბაქი | 34 | 5 | მთავარი | 15.0 | ფოთლ | IV | 111 | 140 | 251 | **3 890** | 778 | **389** | 2.0 | |
| | | | | | | | წიწვ | | 105 | 114 | 219 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 216 | 254 | **470** | | | | | |
| 56 | | ზუბი | 5 | 9 | მთავარი | 7,8 | წიწვ | IV | 260 | 144 | **404** | **2 511** | 502 | **251** | | 1.0 |
| 57 | | ზუბი | 35 | 10 | მთავარი | 21.0 | ფოთლ | IV | 265 | 247 | **512** | **6 405** | 1281 | **640** | 2.0 | 1.0 |
| 58 | | ტვიში | 19 | 5 | მთავარი | 11.0 | წიწვ | IV | 149 | 153 | **302** | **1 562** | 312 | **156** | 4.0 | 2.0 |
| 59 | | ტვიში | 13 | 2 | მთავარი | 40.0 | ფოთლ | IV | 236 | 306 | **542** | **4 929** | 186 | **493** | 7.0 | 1.0 |
| 60 | ლენტეხი | ხოფური | 36 | 20 | მთავარი | 12.0 | წიწვ | IV | 416 | 243 | 659 | **4 570** | 914 | **457** | | |
| | | | | | | | ფოთლ | | 22 | 20 | 42 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 438 | 263 | **701** | | | | | |
| 61 | | ხოფური | 28 | 6 | მთავარი | 12.0 | წიწვ | IV | 528 | 340 | **868** | **5 183** | 137 | **518** | | 0.3 |
| 62 | ლენტეხი | ხელედი | 34 | 9 | მთავარი | 14.0 | წიწვ | IV | 324 | 166 | 490 | **4 179** | 836 | **418** | | |
| | | | | | | | ფოთლ | | 37 | 103 | 140 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 361 | 269 | **630** | | | | | |
| 63 | | ხელედი | 79 | 7 | მთავარი | 39.0 | წიწვ | IV | 196 | 77 | 273 | **9 660** | 1932 | **966** | 1.5 | 0.4 |
| | | | | | | | ფოთლ | | 334 | 215 | 549 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 530 | 292 | **822** | | | | | |
| 64 | | ხელედი | 28 | 4 | მთავარი | 16.0 | წიწვ | IV | 446 | 212 | 658 | **4 458** | 892 | **446** | 0.7 | 1.1 |
| | | | | | | | ფოთლ | | - | 81 | 81 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 446 | 293 | **739** | | | | | |
| 65 | | ხელედი | 77 | 11 | მთავარი | 24.0 | წიწვ | IV | 682 | 209 | 891 | **11 291** | 2258 | **1129** | 1.6 | 1.6 |
| | | | | | | | ფოთლ | | 194 | 299 | 493 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 876 | 508 | **1384** | | | | | |
| 66 | | ლენტეხი | 60 | 2 | მთავარი | 9.2 | წიწვ | IV | 316 | 163 | 479 | **4 102** | 820 | **410** | | 1.1 |
| | | | | | | | ფოთლ | | 40 | 77 | 117 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 356 | 240 | **596** | | | | | |
| 67 | | ლენტეხი | 82 | 4 | მთავარი | 14.0 | წიწვ | IV | 189 | 81 | 270 | **2 469** | 494 | **247** | | 1.5 |
| | | | | | | | ფოთლ | | 26 | 46 | 72 | | | | | |
| | | სულ: | | | | | | | 215 | 127 | **342** | | | | | |
| 68 | ხარაგაული | მოლითი | 12 | 10 | მთავარი | 8.5 | ფოთლ | II | 145 | 166 | **311** | **5 910** | 1182 | **591** | | 1.5 |
| 69 | | მოლითი | 6 | 9 | მთავარი | 9.0 | ფოთლ | II | 144 | 152 | **296** | **5 802** | 1160 | **580** | | 0.4 |
| 70 | | ბორითი | 4 | 32 | მთავარი | 5.0 | ფოთლ | II | 75 | 83 | **158** | **3 042** | 608 | **304** | | 0.5 |

**გაგრძელება A7 გვერდზე**

# აფხაზეთი დროსთან ერთად რომ არ გაგვექცეს

ნატო კორსანტია

ხომ არ გაგვინელდა აფხაზეთის, ჩვენი რწმენით, დროებით წართმევით გამოწვეული თავის დროზე გაუსაძლისი ტკივილი? რამდენად აღელვებთ ეს პრობლემა ქართველ შემოქმედთ? ამ კონკრეტულ შემთხვევაში მუსიკოსებსა და დრამატურგებს. სწორედ ეს იყო უმთავრესი ჩანაფიქრი შემოქმედებითი კონკურსისა - "გიორგობიდან გიორგობამდე", რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ შარშან შემოდგომაზე აფხაზეთის თემაზე შექმნილი საუკეთესო მუსიკალური და დრამატურგიული ნაწარმოების გამოსავლენად გამოაცხადა და შედეგები კი აგერ ახლახან შეაჯამა. ამ იდეას თავიდანვე აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. დრამატურგიული კონკურსი მთლიანად ამ სამინისტრომ დააფინანსა.

კონკურსზე წარმოდგენილი, როგორც დრამატურგიული, ისე მუსიკალური ნაწარმოებები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა. მუსიკალური კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე იყო კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე, წევრები: კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი და მუსიკოსი ია მაისაია. დრამატურგიული ნაწარმოებების კონკურსს თავმჯდომარეობდა დრამატურგი ირაკლი სამსონაძე, წევრები კი იყვნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იამზე გვათუა და მწერალი გელა ჩქვანავა.

საკონკურსოდ შემოვიდა 20 პიესა და 49 სხვადასხვა ჟანრის (სიმღერა, საგუნდო და საფორტეპიანო პიესები) მუსიკალური ნაწარმოები. საგულისხმოა, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ჟიურიმ მიიჩნია, რომ კონკურსზე არ წარმოდგენილა ისეთი დონის ნაწარმოები, რომელიც პირველ პრემიას დაიმსახურებდა. პირველი პრემია არ გაცემულა. მუსიკალური ნაწარმოებების კონკურსზე გაიცა ერთი II პრემია (1000 ლარი) და ორი III პრემია (700-700ლარი). II პრემიის მფლობელი გახდა კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე, III პრემია კი მიეკუთვნათ კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერსა და მუსიკოს თამარ სალუქვაძეს. თითქმის იგივე განმეორდა დრამატურგიული ნაწარმოებების კონკურსზეც: გაიცა ორი II პრემია (1000-1000 ლარი), რომელიც მოიპოვეს დრამატურგებმა კობა ცხაკაიამ და პაატა მოისწრაფიშვილმა, ორი III პრემიის (500-500 ლარი) მფლობელები კი გახდნენ მწერალი ნანა ქარდავა და დრამატურგი სოსო მჭედლიშვილი. ჟიურის გადაწყვეტილებით მხოლოდ II ადგილზე გასულ ნაწარმოებებს გაეწევათ რეკომენდაცია თეატრში დასადგმელად.

**- კონკურსმა ერთგვარად ბარომეტრის როლი შეასრულა იმის განსასაზღვრად, რამდენად მგრძნობიარე დარჩა ქართული ხელოვნება აფხაზეთის თემის მიმართ,** - განაცხადა კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ **სალომე კაპანაძემ** და დასძინა, - **დღეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების პარალელურად აფხაზეთის საკითხი აქტიურად უნდა მოჩანდეს ხელოვნების ავანსცენაზე. ამ თვალსაზრისით მას განსაკუთრებული მისია აკისრია და სულაც არ არის აუცილებელი მხოლოდ ტრაგიკული მოტივების ვარირება. რწმენა, რომ აფხაზეთი დღეს თუ არა ხვალ დაგვიბრუნდება, ქართველებს იმ მომავლისათვის გვჭირდება, რომელსაც ვაშენებთ. პატრიოტიზმი ყველაზე ფართო გაგებით სწორედ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემასთან მიმართებაში უნდა იგრძნობოდეს. შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოში ქართველებს ვერასოდეს გვექნება სრულფასოვანი ეროვნული ღირსების განცდა. ის ულამაზესი სიმღერები და პიესები, რომლებიც ამ კონკურსმა მოგვცა, სწორედ ამის მოკრძალებული შეხსენებაა.**

**ია მაისაია: აფხაზეთი ჩვენი სიყვარულის, მონატრებისა და ტკივილის საგანია. კონკურსი ამის გამოხატვის საშუალებას იძლევა. ამიტომაც მიიღო მასში მონაწილეობა ამდენმა შემოქმედმა.**

პირველი პრემია არც ერთ მუსიკალურ და არც ერთ დრამატურგიულ ნაწარმოებს არ მიუღია, შესაბამისად გაჩნდა შეკითხვა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საზოგადოებაში აფხაზეთის პრობლემისადმი ყურადღება მოდუნებულია და ამდენად შემოქმედნიც ამ თემაზე უფრო მაღალი ღირებულების ნაწარმოებებს ვერ ქმნიან? სწორედ ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძესთან:

**იოსებ კეჭაყმაძე - არა, ასე არ ვფიქრობ. კონკურსი ამგვარი შედეგით შეიძლებოდა, ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც დასრულებულიყო. ტარდება ხოლმე კონკურსი, რომელზეც მეორე პრემიაც კი არ გაიცემა, ან პირიქით გაიცემა პირველი პრემია და სხვა არა. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ შემოქმედნი აფხაზეთის პრობლემით არ დაინტერესდნენ, უფრო პირიქით ითქმის, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, შექმნილიყო უფრო მაღალი დონის, უფრო განსაკუთრებული ნაწარმოები... თავისთავად შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ გაიმარჯვეს ღირსეულმა ნაწარმოებებმა. თუმცა, მინდა, უკეთესი ნაწარმოები შეიქმნას. ამისთვის კი საჭიროა, ხშირად ჩატარდეს ამგვარი კონკურსები, რათა ნაწარმოებთა რაოდენობა თანდათან მათ ხარისხში გადაიზარდოს.**

- შეფასებისას რა იყო უმთავრესი, აფხაზეთის პრობლემის დასმის სიმწვავე, ამ პრობლემის გადმოსაცემად არჩეული მუსიკალური ხერხები და მეთოდები თუ ეს ყველაფერი ერთად?

**- უმთავრესი იყო, რა თქმა უნდა, ნაწარმოების ხარისხი და მისი ადეკვატურობა კონკურსით გამოცხადებულ თემასთან. ეს მთლიანობაში, ცხადია, გამოხატავდა ქართველი კაცის დამოკიდებულებას აფხაზეთის პრობლემისადმი, მასთან დაკავშირებული ტკივილისადმი. პირადად მე, ყველა პოზიტიურ საქმეს, თუნდაც დეტალს და ნიუანსს, რაც აფხაზეთს უკავშირდება, პრიორიტეტულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ამიტომაც დავთანხმდი ამ კონკურსში მონაწილეობაზე.**

- თქვენ თვითონ არ გიფიქრიათ ამ თემაზე ნაწარმოები შეგექმნათ?

**- მიფიქრია, მაგრამ... ფიქრი არ კმარა, ახლა რთული დროა და ძალიან ჭირს ჩანაფიქრის განხორციელება.**

- ანუ, მიგაჩნიათ, რომ კონკურსში მონაწილე ადამიანებმა გარკვეული სირთულეები გადალახეს?

**- დიახ, ეს ნამდვილად ასეა.**

ასევე მიაჩნია ამ კონკურსის გამარჯვებულს და საერთოდაც ერთ-ერთ გამორჩეულ კომპოზიტორს რუსუდან სებისკვერაძესაც. მისი აზრით, დღეს რაც არ უნდა ფასეული ნაწარმოები შექმნა, თუ ეკონომიურადაც არ ხარ წელში გამართული, მას ფართო აუდიტორიის წინაშე ვერ გამოიტან, დიდ ხანს უჯრაში გექნება გამოკეტილი.

სწორედ ამ თვალსაზრისითაც გასწია კეთილი სამსახური კონკურსმა "ჩვენი აფხაზეთი". რუსუდან სებისკვერაძემ კონკურსის ორგანიზატორთა დაჟინებით მხოლოდ ბოლო დღეს გადაწყვიტა, კონკურსზე წარედგინა, ეგრეთ წოდებული, უჯრაში ჩაკეტილი სიმღერა, რომლის შექმნასაც თავისი ისტორია აქვს: ეს სიმღერა თავის დროზე რუსუდან სებისკვერაძემ აწ გარდაცვლილი პოლიტიკოსის ზურაბ ჟვანიას თხოვნით შექმნა.

**რუსუდან სებისკვერაძე: - ერთხელ ზურაბ ჟვანიამ, რომელიც ყველა ხელოვანის მფარველი და თანამდგომი იყო, მითხრა: შენი პატრიოტული სიმღერებიდან სულ სხვა მუხტი მოდის და იქნებ, აფხაზეთის თემაზე დაგეწერა სიმღერაო. ხელოვანს ხომ ზოგჯერ შეძახილი სჭირდება. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ლექსის დაწერა გია ჯოხაძეს ვთხოვე, თანაც ვუთხარი: გოგი დოლიძის დედის ნამღერი ნანა თუ მოგისმენია, ის ნანას რაღაცნაირად სხვანაირად სევდიანად ახვევდა. ტექსტში რაღაც იმგვარი სიტყვები უნდა მქონდეს, ისე ჩახვევა შევძლო, მერე კი იმედიანი მისამღერი-მეთქი. საერთოდაც სიმღერა არ შეიძლება, იწვევდეს მხოლოდ ნაღველს, სევდას... აფხაზეთს რომ მივსტირით, გასაგებია, მაგრამ მისი დაბრუნების იმედიც ხომ უნდა გვქონდეს.**

მართლაც ასე ბუნებრივად ენაცვლება რუსუდან სებისკვერაძის ამ სიმღერაში ერთმანეთს სევდა და იმედი. თვით სიმღერას კი ალბათ, გამოუჩნდება ისეთი გულშემატკივარი, რომელიც მას კლიპად აქცევს და ფართო მსმენელისთვის მისაწვდომს გახდის. იგივეს თქმა შეიძლება კომპოზიტორ ჯუმბერ ჯანდიერის სიმღერასა და მუსიკოს თამარ სალუქვაძის საფორტეპიანო პიესაზეც.

რაც შეეხება კონკურსში გამარჯვებულ პიესებს, მათ გაცოცხლებას და საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანას, ალბათ, გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება. თუმცა ეს შეიძლება, სრულიად მოულოდნელადაც მოხდეს, მათში გადმოცემული სათქმელი რომელიმე რეჟისორის სათქმელს დაემთხვეს და მერე უფრო მეტადაც განივრცოს და გაიშალოს. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, საგულისხმოა, რომ დრამატურგი და ამ შემთხვევაში დრამატურგიული კონკურსის თავმჯდომარე ირაკლი სამსონაძე ზოგადად დრამატურგიული ჟანრის განვითარებისთვის აუცილებელ მინიშნებებსაც აკეთებს. ეს კი იმაზეც მიუთითებს, რომ ეს კონკურსი აშკარად გაცდა თემატურ ჩარჩოებს, ის ზოგადად ხელოვნების სფეროში არსებულ პრობლემატიკასაც გადასწვდა, რაც იყო კიდეც მისი მიზანი.

**ირაკლი სამსონაძე: "თავისთავად ძალიან კარგი საქმე გააკეთა აფხაზეთის ა\რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თითქმის 16 წელია, რაც დრამატურგიაში კონკურსი არ ჩატარებულა. სიმართლე გითხრათ, ამგვარი თემატური სახის კონკურსის მოწყობა დრამატურგიაში, მთლად გამართლებულად არ მიმაჩნია დრამატურგიის, როგორც ჟანრის განვითარების თვალსაზრისით. კონკრეტული თემა თითქოს ზღუდავს ავტორს, გარკვეულ ჩარჩოში აქცევს, ის ბოლომდე ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. თუმცა, ვიმეორებ, ამას ზოგადად, ჟანრის განვითარების თვალსაზრისით ვამბობ, თორემ თავის მხრივ ძალიან კარგი საქმე გაკეთდა და საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო ჩვენი ქვეყნისათვის ასე მნიშვნელოვანმა აფხაზეთის პრობლემამ. რაც შეეხება თავად კონკურსს დრამატურგიაში, მართალია, თავისთავად ფონი იყო მდარე, მაგრამ II ადგილზე გასული პიესები საკმაოდ საინტერესოა და ისინი აუცილებლად უნდა დაიდგას თეატრებში".**

**იამზე გვათუა: "კონკურსის ჩატარება თავისთავად ხელოვნების განვითარების გზაზე გადადგმული ნაბიჯია, იმის დასტური, რომ ხელს ვუწყობთ მის განვითარებას. ეს ზოგადად, და რაც შეეხება დრამატურგიული ნაწარმოებების ამ კონკრეტულ კონკურსს, მართალია აქ შემოტანილი პიესები მაღალი დონით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ წახალისდნენ ადამიანები, ასევე, სტიმული მიეცათ სხვა შემოქმედთაც, რომლებიც ხვალ შეეცდებიან, უფრო მეტი გულისყურით შეეჭიდონ აფხაზეთის პრობლემას".**

დრო გარბის, ის არასოდეს არავის უცდის. ჩვენც, სხვა გზა არა გვაქვს, ფეხდაფეხ უნდა მივსდიოთ მას, წამითაც არ ჩამოვრჩეთ. მხოლოდ ასე, მუდმივ და განუწყვეტელ ძიებაში ყველგან და ყველა სფეროში, შესაძლოა, მივაგნოთ აფხაზეთის პრობლემის გასაღებს, რომელიც 13 წლის შემდეგაც ვერ დავადგინეთ სოხუმშია, თბილისშია, მოსკოვშია თუ... თითოეულ ჩვენგანშია სიტყვებად, ბგერებად, რწმენად, ოცნებად, საქმედ... გაბნეული, რომელთა თავმოყრის გარეშე ვერაფერს გავხდებით.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

A6 გვერდიდან

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 71 | | ბორითი | 8 | 15 | მოვლითი | 7.0 | ფოთლ | II | 161 | 192 | 353 | 6 602 | 1320 | 660 | | 0.8 |
| 72 | | ბორითი | 5 | 17 | მთავარი | 13.0 | ფოთლ | II | 213 | 265 | 478 | 8 791 | 1758 | 879 | | 0.4 |
| 73 | | ბორითი | 2 | 3 | მოვლითი | 4.0 | მურყანი | II | 32 | 37 | 69 | 388 | 78 | 39 | | |
| 74 | | რიკოთი | 2 | 9 | მოვლითი | 9.0 | ფოთლ | II | 84 | 98 | 182 | 3 433 | 687 | 343 | | 0.3 |
| 75 | | რიკოთი | 2 | 1 | მთავარი | 5.2 | თხმელა | II | 36 | 47 | 83 | 456 | 91 | 46 | | 0.5 |
| 76 | | წიფა | 3 | 9 | მთავარი | 25.0 | ფოთლ | II | 252 | 298 | 550 | 10 320 | 2064 | 1032 | | 0.5 |
| 77 | | საქასრია | ყოფილი საკოლმ. ტყე | | მოვლითი | 6.0 | თხმელა | II | 54 | 77 | 131 | 706 | 141 | 71 | | 1.5 |
| 78 | ახალგორი | კორინთა | 39 | 8-16 | მოვლითი | 14.2 | ფოთლ | IV | 115 | 199 | 314 | 3 019 | 604 | 302 | | 1.0 |
| 79 | | კორინთა | 39 | 13 | მოვლითი | 10.0 | ფოთლ | IV | 67 | 113 | 180 | 1 751 | 350 | 175 | | 1.0 |
| 80 | | ლარგვისი | 59 | 12 | მოვლითი | 13.0 | ფოთლ | IV | 92 | 246 | 338 | 2 642 | 528 | 264 | | 1.0 |
| 81 | | ახალგორი | 20 | 7 | მოვლითი | 20.0 | ფოთლ | III | 181 | 365 | 546 | 6 306 | 1261 | 631 | | 0.5 |
| 82 | | ახმაჯი | 5 | 2,3,4 | მოვლითი | 15.0 | ფოთლ | III | 168 | 259 | 427 | 6 271 | 1254 | 627 | 0.5 | |
| 83 | | ახმაჯი | 3 | 1 | მოვლითი | 15.0 | ფოთლ | III | 178 | 277 | 455 | 5 916 | 1183 | 592 | 0.5 | |
| 84 | ოდიში | თაია | 39 | 1,1ა,1ბ,1გ,2,3,17 | მთავარი | 33.1 | თხმელა | IV | 145 | 153 | 298 | 896 | 179 | 90 | | 1.0 |
| 85 | | თაია | 46 | 16,17 | მთავარი | 26.8 | თხმელა | IV | 98 | 95 | 193 | 591 | 118 | 59 | | 1.0 |
| 86 | ხაშური-ქარელი | სათივე | 24 | 4,8,9, 14 | მოვლითი | 20.3 | წიწვ | IV | 232 | 222 | 454 | 2 403 | 481 | 240 | 0.5 | 0.5 |
| 87 | ამბროლაური | სხვავა | 9 | 31 | მოვლითი | 5.0 | წიწვ | III | 73 | 130 | 203 | 1 228 | 246 | 123 | | |
| 88 | | სხვავა | 35 | 21 | მთავარი | 5.0 | ფოთლ | III | 51 | 111 | 162 | 1 805 | 361 | 180 | | |
| 89 | | სხვავა | 44 | 11 | მთავარი | 3.9 | წიწვ | III | 272 | 210 | 482 | 3 859 | 772 | 386 | | 1.0 |
| 90 | | სხვავა | 36 | 15 | მთავარი | 7.4 | წიწვ | III | 246 | 237 | 483 | 4 747 | 259 | 475 | | 2.5 |
| | | | | | | | ფოთლ | | 32 | 70 | 102 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 278 | 307 | 585 | | | | | |
| 91 | | თხმორი | 23 | 7 | მთავარი | 10.0 | ფოთლ | IV | 505 | 345 | 850 | 11 878 | 2379 | 1189 | | 1.8 |
| 92 | ონი | ღარი | 26 | 12 | მთავარი | 11.0 | ფოთლ | IV | 457 | 514 | 971 | 11 276 | 2255 | 1128 | | 0.8 |
| 93 | | ონი | 27 | 13 | მთავარი | 12.0 | წიწვ | IV | 361 | 288 | 649 | 8 016 | 1603 | 802 | | 2.2 |
| | | | | | | | ფოთლ | | 173 | 236 | 409 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 534 | 524 | 1058 | | | | | |
| 94 | | ონი | 27 | 17 | მთავარი | 5.6 | წიწვ | IV | 91 | 50 | 141 | 2 175 | 435 | 217 | | 2.6 |
| | | | | | | | ფოთლ | | 51 | 72 | 123 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 142 | 122 | 264 | | | | | |
| 95 | | ონი | 31 | 17 | მთავარი | 7.5 | წიწვ | IV | 677 | 449 | 1126 | 12 942 | 2588 | 1294 | | 2.9 |
| | | | | | | | ფოთლ | | 252 | 305 | 557 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 929 | 754 | 1683 | | | | | |
| 96 | ბაღდათი | საირმე | 23 | 17 | მოვლითი | 8.5 | წიწვ | IV | 171 | 107 | 278 | 1 673 | 335 | 167 | | |
| 97 | | საირმე | 34 | 1 | მოვლითი | 19.0 | წიწვ | IV | 254 | 188 | 442 | 2 536 | 507 | 254 | | |
| 98 | ნოხატაური | შუა სუარები | 11 | 25 | მთავარი | 11.0 | ფოთლ | IV | 374 | 439 | 813 | 9 276 | 1855 | 928 | | 1.0 |
| 99 | | შუა სუარები | 19 | 11 | მთავარი | 8.0 | წიწვ | IV | 261 | 147 | 408 | 2 525 | 505 | 252 | | 2.0 |
| 100 | | შუა სუარები | 12 | 2 | მთავარი | 2.7 | ფოთლ | IV | 120 | 143 | 263 | 2 982 | 596 | 298 | | 3.0 |
| 101 | | შუა სუარები | 23 | 5 | მთავარი | 7.0 | წიწვ | IV | 383 | 309 | 692 | 3 868 | 773 | 387 | | 0.4 |
| 102 | | შუა სუარები | 20 | 6,13 | მთავარი | 26.0 | წიწვ | IV | 1431 | 1495 | 2926 | 15 043 | 3009 | 1504 | | 2.0 |
| 103 | | შუა სუარები | 13 | 4 | მთავარი | 8.1 | ფოთლ | IV | 332 | 242 | 574 | 7 849 | 1570 | 785 | | 0.5 |
| 104 | | შუა სუარები | 3 | 4,5 | მთავარი | 11.0 | ფოთლ | III | 267 | 254 | 521 | 8 313 | 1663 | 831 | | 2.0 |
| 105 | | ზოტი | 26 | 8 | მთავარი | 11.0 | წიწვ | IV | 595 | 373 | 968 | 5 823 | 1165 | 582 | | |
| 106 | | ზოტი | 38 | 18 | მთავარი | 6.0 | წიწვ | IV | 227 | 253 | 480 | 5 588 | 1118 | 559 | | 2.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 131 | 125 | 256 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 358 | 378 | 736 | | | | | |
| 107 | | ზოტი | 52 | 15 | მთავარი | 5.0 | წიწვ | IV | 214 | 103 | 317 | 6 030 | 1206 | 603 | | |
| | | | | | | | ფოთლ | | 173 | 88 | 261 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 387 | 191 | 578 | | | | | |
| 108 | ნოხატაური | ზოტი | 51 | 10 | მთავარი | 12.0 | წიწვ | IV | 404 | 240 | 644 | 3 930 | 786 | 393 | | 2.0 |
| | | | | | | | ფოთლ | | 21 | 33 | 54 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 425 | 273 | 698 | | | | | |
| 109 | | ზოტი | 74 | 6 | მთავარი | 9.8 | წიწვ | IV | 254 | 166 | 420 | 3 294 | 659 | 329 | | 1.5 |
| | | | | | | | ფოთლ | | 31 | 47 | 78 | | | | | |
| | | | სულ: | | | | | | 285 | 213 | 498 | | | | | |
| 110 | | ზოტი | 59 | 4 | მთავარი | 5.0 | წიწვ | IV | 162 | 120 | 282 | 1 617 | 323 | 162 | | 2.5 |
| 111 | | ზოტი | 19 | 10 | მთავარი | 11.0 | ფოთლ | IV | 249 | 184 | 433 | 5 893 | 1179 | 589 | | 0.5 |
| 112 | | ზოტი | 49 | 1 | მთავარი | 5.0 | წიწვ | IV | 399 | 275 | 674 | 3 948 | 790 | 395 | | 1.0 |
| 113 | | ნოხატაური | 26 | 4,5 | მთავარი | 12.0 | ფოთლ | IV | 740 | 444 | 1184 | 17 245 | 3449 | 1724 | | |
| 114 | | ნოხატაური | 20 | 11 | მთავარი | 5.0 | ფოთლ | IV | 155 | 90 | 245 | 3 604 | 721 | 360 | | 2.0 |
| 115 | | ნოხატაური | 27 | 14 | მთავარი | 7.5 | ფოთლ | IV | 314 | 255 | 569 | 7 491 | 1498 | 749 | | |
| 116 | | ნოხატაური | 13 | 14 | მთავარი | 7.8 | ფოთლ | IV | 462 | 284 | 746 | 10 784 | 2157 | 1078 | | |



## აფიშა

11 ივნისი

**კინო**

"ამირანი"
პედრო ალმოდოვარი
Volver
დასაწყისი: 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**გალერეა**

"კოპალა"
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**კლუბები**

NIGHT OFFICE
MiniBus Presents

ALEX UNDER Live!
Gio Bakanidze
Nini

## ტიხრული მინანქრის ნიმუშები

ტიხრული მინანქრის მაღაზია-სალონ "ორნამენტში" გახსნილია გამოფენა-გაყიდვა, რომელიც 15 ივლისამდე გაგრძელდება. სალონში წარმოდგენილია 30-მდე ხელოვანის ნამუშევრები, რომელიც ძირითადად ვერცხლშია შესრულებული. ოსტატები, მართალია, მუშაობისას იყენებენ ძველ ქართულ ელემენტებს, თუმცა უპირატესობას მაინც თანამედროვე სტილს ანიჭებენ.

ტიხრული მინანქარი საქართველოში მე-8 საუკუნიდან გვხვდება, თუმცა შემდგომ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაიკარგა, ხოლო XX-ე საუკუნიდან კვლავ ჩნდება.

როგორც ერთ-ერთმა ოსტატმა თეა გურგენიძემ აღნიშნა, მათი ნამუშევრების დამთვალიერებელთა უმეტესი ნაწილი ქართველია, თუმცა სალონს ხშირად უცხოელებიც სტუმრობენ.

მინანქარზე მუშაობა მეტად რთული და შრომატევადი საქმეა და შესაბამისად ნივთების ღირებულებაც არც თუ ისე იაფია. მათი ღირებულება 30-დან 2 ათას დოლარამდე მერყეობს. **მედიანიუსი**

## ახალი რომანი

გურამ დოჩანაშვილმა ხანგრძლივი "მოსამზადებელი პერიოდის" შემდეგ ახალ რომანზე დაიწყო მუშაობა.

"ბოლო დროს არაფერი გამიკეთებია, რადგან მოსამზადებელი პერიოდი იყო ჩემთვის. სამაგიეროდ ახლა ვწერ ახალ რომანს," - აღნიშნა მწერალმა და ისიც გაამხილა, რომ ახალი ნაწარმოები ბიბლიურ თემატიკაზეა. "ეს იქნება რომანი ღმერთის მიერ დედმიწაზე მოვლენილი წარღვნის შესახებ. ეხება იმას, თუ რატომ გადაარჩინა ღმერთმა ნოე და რას ნიშნავდა ეს კაცობრიობისთვის", - აცხადებს გურამ დოჩანაშვილი და როგორც აღმოჩნდა, უკვე რომანის დასრულების დროც აქვს ნავარაუდევი. "დაახლოებით სამ წელიწადში დავამთავრებ, თუ მივედი და გავძელი მანამდე", - ასეთია მისი ჩანაფიქრი, თუმცა, წინასწარვე იცის, რომ საკუთარი შემოქმედებით კმაყოფილი ვერასოდეს იქნება. "ვიცი ერთადერთი - შრომას არასოდეს დავაკლებ, არც არასოდეს დამიკლია. მართალია, კმაყოფილი ვერასოდეს ვიქნები, მაგრამ მწერლებს, სპორტსმენებისგან განსხვავებით, ასეთი უპირატესობა გვაქვს: შეგვიძლია ერთხელ დაწერილი 25-ჯერაც გადავწეროთ, მაშინ როცა დამარცხებული სპორტსმენი სიცოცხლეს დათმობს კიდევ ერთი შანსისთვის", - ამბობს მწერალი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ახალი ორტომეული

"კავკასიურმა სახლმა" გენდერულ თემატიკაზე ორტომეულის გამოცემა მოამზადა. "ქალის სახე და პრობლემები ქართულ მწერლობაში" - ამ სახელწოდების გენდერული გამოცემა ქართველ კლასიკოს და თანამედროვე მწერლების 28 თემატურ ნაწარმოებს მოიცავს.

როგორც წიგნის რედაქტორმა შოთა იათაშვილმა განაცხადა, I ტომში, რომელიც უშუალოდ ნაწარმოებებს დაეთმო, დიდტანიანი რომანების შეტანა მოცულობის გამო ვერ მოხერხდა. ნაწარმოებები XIX საუკუნის პერიოდიდან იწყება და თანამედროვე პერიოდის უახლეს პროზაულ ნიმუშებსაც გულისხმობს. გამოცემის მეორე ტომში, რომელიც კრიტიკულ წერილებს მოიცავს, ქართულ მწერლობაში ქალის თემატიკის წარმოჩენის საკითხებია განხილული.

"გენდერს მრავალი მიმართულება აქვს, რომლებიც საქართველოშიც ვითარდება, მაგრამ ლიტერატურასთან მიმართებაში მწირი გამოცდილება გაგვაჩნია. ამიტომაც შევისწავლეთ გენდერული თემა ქართულ ლიტერატურაში", - განაცხადა იათაშვილმა.

ორტომეული ჰაინრიხ ბიოლის ფონდმა დააფინანსა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფანჯრიდან დანახული სამყარო

დღეს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში იხსნება გამოფენა სახელწოდებით "ფანჯრიდან დანახული სამყარო", რომელსაც ბრიტანეთის საელჩო აწყობს.

გალერეის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის მარინა თევდორაძის თქმით, გამოფენაზე ნამუშევრებს წარმოადგენენ 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლევ ტოლსტოი

ამერიკელი რეჟისორი მაიკლ ჰოფმანი ლევ ტოლსტოის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ ფილმს გადაიღებს. ფილმს, რომლის სახელწოდებაა "უკანასკნელი სადგური", ჯეი პარინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღებენ.

მწერლის როლს ბრიტანელი მსახიობი ენტონი ჰოპკინსი შეასრულებს, ტოლსტოის მეუღლის როლს - მერილ სტრიპი, მწერლის უახლოეს მეგობარს ვლადიმირ ჩერტკოვს კი პოლ ჯიამატი განასახიერებს. მოქმედება ტოლსტოის სიცოცხლის უკანასკნელი წლის ირგვლივ განვითარდება და მისი გარდაცვალებით დამთავრდება. მაიკლ ჰოფმანის ცნობილი ფილმებია დრამა ინგლისური ისტორიიდან "რესტავრაცია" და რომანტიკული კომედია ჯორჯ კლუნის მონაწილეობით "ერთი მშვენიერი დღე".

ფილმის გადაღებები რუსეთში ზამთარში დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ანსამბლი "ალანი"

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლი - "ალანი" აფხაზეთის სხვადსახვა ქალაქებში კონცერტებს მართავს. ანსამბლი წარმოადგენს ქორეოგრაფიულ პროგრამას, სახელწოდებით - "კავკასიელ ხალხთა ცეკვები". "ალანის" დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის იური მაკგაევის განცხადებით, ამჟამად კავკასიში არეულობაა, ამიტომ - "ამ რთულ სიტუაციაში ჩვენი ანსამბლი მეგობრობის შესახებ ქორეოგრაფიის ენაზე საუბრობს".

სოჭის მუნიციპალიტეტის თხოვნით, "ალანი" აფხაზეთის შემდეგ სოჭში გაემგზავრება, სადაც ერთადერთ კონცერტს გამართავს. **ინტერპრესნიუსი**

## ზურაბ წერეთლის გალერეა

ქართველი მოქანდაკის, ზურაბ წერეთლის მოსკოვში მდებარე ხელოვნების გალერეა გრანდიოზულ გამოფენას უმასპინძლებს. ექსპოზიცია, სახელწოდებით "რუსული ხელოვნების 200 წელი" რუსეთის XIII-XX საუკუნეების ფერწერულ ხელოვნებას გულისხმობს და მასში 150 ექსპონატია გაერთიანებული. ექსპოზიცია რუსი და დასავლეთევროპელი მხატვრების შედევრებს შეიცავს, მათ შორის აივაზოვსკის, რეპინის, ვრუბელის, სეროვის, კლოდტისა და გინზბურგის ცნობილ ნამუშევრებს. გამოფენა რუსეთის სამხატვრო აკადემიისა და კულტურის დეპარტამენტის მიერ არის ორგანიზებული. "რუსული ხელოვნების 200 წელი" 6 ივლისს გაიხსნება და 3 სექტემბრამდე გასტანს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გასტროლები უკრაინაში

ქართული საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი საქართველოს ოპერისა და თეატრის საბალეტო დასთან ერთად გასტროლებზე უკრაინაში გაემგზავრება.

ანანიაშვილის განცხადებით, ქართული დასი უკრაინაში დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ვადიმ პისარევის ორგანიზებით შემოდგომაზე ტარდება. როგორც პრიმა ბალერინამ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, პისარევი მისი დიდი ხნის პარტნიორია და ბალერინა დასთან ერთად სწორედ მისი მიწვევით მიემგზავრება. "იგი ყოველთვის მეპატიჟებოდა. შემდეგ მიხვდა, მარტო რომ არ წავიდოდი და დასთან ერთად მიმიწვია. უკრაინაში საინტერესო და ექსკლუზიურ რეპერტუარს წარვადგენთ", - განაცხადა ანანიაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სტაჟირება გერმანიაში

საქართველოს სამუზეუმო დარგის სპეციალისტები გერმანიაში 6-კვირიან სტაჟირებაზე გაემგზავრებიან. როგორც ეროვნულ მუზეუმში განაცხადეს, ქართველი სპეციალისტების ვიზიტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გერმანული მხარე აანაზღაურებს.

აღნიშნული ტრენინგი ქართველი სპეციალისტებისთვის იმ ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში ეწყობა, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორთან დავით ლორთქიფანიძესთან ერთად რაიონის სამხარეო მუზეუმთან გააფორმა. ხელშეკრულება მუზეუმებს შორის ფართო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ხელშეკრულების პირობების თანახმად გერმანელი სპეციალისტები საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

ეროვნული მუზეუმის მიერ ეს უკვე მეორე სოლიდური ხელშეკრულებაა, რომელიც მან უცხოელ პარტნიორებთან გააფორმა. პირველი მათგანი ესპანეთის ჰერცოგთა ფონდთან დაიდო, რომელის ფარგლებში 10 ქართველმა სპეციალისტმა სტაჟირება ესპანეთში გაიარა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სვანეთი - ქართული კულტურის სავანე"

კრებული "სვანეთი - ქართული კულტურის სავანე" უახლოეს მომავალში გამოვა. კრებული ითარგმნება უცხოურ ენაზე და განთავსდება ინტერნეტში, რათა უფრო ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის. როგორც ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ (კალაიჯიშვილმა) განაცხადა, კრებულში შევა კონფერენციაზე "სვანეთი - ქართული კულტურის სავანე" მომხსენებლების მიერ წაკითხული თემები, რომელიც სახარებისეულ ენას მიეძღვნა.

"სახარებისეული ენა საერთო-საეკლესიო ენაა. ყველა ამ ენაზე ლოცულობს და უახლოვდება ღმერთს. სახარებისეული ენის თანამედროვე დიალექტით შეცვლა კი არ შეიძლება", - განაცხადა მეუფე სტეფანემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნიკა ცისკარიძე

ცნობილი ბალერონი, დიდი თეატრის საბალეტო დასის წევრი ნიკა ცისკარიძე ლონდონში კოვენტ გარდენის სცენაზე 2 სპექტაკლში მიიღებს მონაწილეობას. ცისკარიძე ლონდონში დიდი თეატრის საბალეტო დასთან ერთად ივლის-აგვისტოში დაგეგმილი გასტროლების ფარგლებში წარსდგება და "გედების ტბასა" და "პიკის ქალში" ითამაშებს. ცისკარიძე კოვენტ გარდენში ჩაიკოვსკის "გედის ტბაში" ბოროტი გენიის, პიკის ქალში კი ჰერმანის პარტიას შეასრულებს. ამ უკანასკნელში მას პარტნიორობას ნელი კობახიძე გაუწევს. გასტროლები 31 ივლისს დაიწყება და აგვისტოს ბოლომდე გასტანს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მაკელენი - გავლენიანი გეი



ბრიტანელი მსახიობი სერ იენ მაკელენი დიდი ბრიტანეთის დიდი ჰომოსექსუალების ყოველწლიური ჩამონათვალის სათავეში მოექცა. ეს უკანასკნელი სია კვირას გაზეთმა Independent-მა გამოაქვეყნა. 101 გვარიდან მეორე ადგილი გაზეთში ელტონ ჯონს ეკუთვნის. ამას გარდა პირველი ათეულში მოექცნენ gaydar.co.uk-ის დამაარსებლები და მფლობელები - გერი ფრიკსი და ჰენრი ბედენხორსტი, იმპრესარიო სერ კამერონ მაკინტოში, ასევე სერ მაიკლ ბიშოპი, მოდელიორები ჯონ გალიანო და ალექსანდრ მაქკუინი, დრამატურგი ალენ ბენეტი და კომედიური ჟანრის მსახიობი მეთ ლუკასი.

გასულ წელს ყველაზე გავლენიან ჰომოსექსუალთა სიაში პირველობდა ელტონ ჯონი, მაშინ როცა წლევანდელი ლიდერი, ცნობილი მსახიობი იენ მაკელენი მეორე ადგილზე უცდიდა წარმატებას.

## პავაროტის ჩაშლილი კონცერტები



ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში, ცნობილმა იტალიელმა ტენორმა, ლუჩანო პავაროტიმ რამდენიმე დღის წინ არც თუ ისე იოლი ოპერაცია გადაიტანა. მას კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნე მოკვეთეს, თუმცა მომღერლის ინგლისელი იმპრესარიო აცხადებს, რომ პავაროტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექიმებიც კმყოფილნი არიან ოპერაციის შემდგომი მდგომარეობით.

სასექტემბროდ დაგეგმილი კონცერტები, რომლებიც არაერთ ქვეყანაში, მათ შორის: ნორვეგიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და პორტუგალიაში უნდა გამართულიყო, გადაიდო. თუმცა პავაროტის პრესატაშე არ გამორიცხავს, რომ ტენორი სცენას 2007 წლის დასაწყისშივე დაუბრუნდეს.

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში პავაროტიმ 13 კონცერტი გადადო, რისი მიზეზიც აღნიშნული ოპერაცია და ავადმყოფობასთან დაკავშირებული ძლიერი ტკივილები გახლდათ.

ლუჩანო პავაროტიმ 2004 წლიდან შეწყვიტა თეატრალურ წარმოდგენებში გამოსვლა, რისი მიზეზიც პირველ რიგში ჭარბი წონა იყო, მაგრამ საკონცერტო მოღვაწეობას იგი აქტიურად აგრძელებდა. პავაროტის დებიუტი საოპერო სცენაზე 1961 წელს შედგა, ეს იყო რუდოლფოს პარტია პუჩინის "ბოჰემიდან". 43 წლის განმავლობაში მან 379 გამოსვლა დააგროვა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე, 140 -მილანის "ლა სკალაში", 100 - ლონდონის სამეფო ოპერაში, 45 - ვენაში, პლასიდო დომინგოსა და ხოსე კარერასთან ერთად და ა.შ. სრულ ჩამონათვალს ვინ მოთვლის. ცნობილი "სამი ტენორის" პროგრამით პავაროტიმ ორმოცამდე კონცერტი გამართა. მათგან უმრავლესობა საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებოდა.

## Emmy & 24

პოლიტიკური თრილერი, სერიალი "24", რომლის მთავარ როლშიც კიფერ საზერლენდია, "ემის", ამერიკული ტელეაკადემიის პრემიის 12 ნომინაციაში დასახელდა. ლიდერობს კიდევ ერთი პოპულარული სერიალი შოუ "გრეის ანატომია", თუმცა ეს უკანასკნელი 11 ნომინაციაში დასახელდა. გასული წლის ფავორიტები "დიასახლისები" და "დაკარგულები" საერთოდ ვერ მოხვდნენ ჩამონათვალში.

"მინი-სერიალის" მიმართულებით ყველაზე ბევრი ნომინაცია სტივენ სპილბერგის პროდისერობით აღსანიშნავმა სერიალმა - "დასავლეთით" - დაიმსახურა. ცამეტ კატეგორიაში იბრძვის HBO-ს პროექტი "ელისაბედ I", ისტორიული და კოსტიუმირებული დრამა, რომელშიც მთავარ როლს ჯერემი აირონსი ასრულებს.

საუკეთესო დრამატული როლის შემსრულებლის პრემიის მოსაპოვებლად დასახელებულნი არიან კიფერ საზერლენდი ("24"), დენის ლირი ("მიშველეთ"), პიტერ კრაუზე ("კლიენტი მუდამ მკვდარია"), კრისტოფ მელენი ("კანონი და წესრიგი: სპეციალური კორპუსი") და მარტინ შინი ("დასავლეთის ფრთა"). რაც შეეხება მარტინ შინის ვაჟს, ჩარლის, იგი საუკეთესო კომედიური ჟანრის მსახიობის წოდებასა და პრემიას ელის ფილმისთვის "ორნახევარი მამაკაცი".

საუკეთესო ქალი მსახიობის ხუთეულში აღმოჩნდნენ ჯინა დევისი ("მთავარსარდალი"), კირა სეჯვიკი ("გამოსართველი"), ფრენსის კონროი ("კლიენტი მუდამ მკვდარია"), მარიშკა ჰარჟიტეი ("კანონი და წესრიგი") და ელისონ ჯენი ("დასავლეტის ფრთა").

2006 წლის "ემის" ჟიურიმ გადახედა ნომინანტთა შერჩევის პრინციპს. გადაწყდა, რომ წარმოადგინონ რაც შეიძლება ბევრი ახალი სახე და ფართო სპექტრი სერიალებისა, თუნდაც იმ ნამუშევრების სახით, რომელიც მიმდინარე წელს დაიხურა ტელეეკრანებზე.

58-ე "ემი" ლოს ანჯელესში, 27 აგვისტოს გაიმართება.


## "გაერთიანებული ქართული ბანკის" გრანდიოზული გათამაშება

### გაერთიანებული 100-ეული

შედეგები

| № | ბილეთის ნომერი |
|---|---|
| 1 | 000371 |
| 2 | 000689 |
| 3 | 001119 |
| 4 | 001233 |
| 5 | 001285 |
| 6 | 001561 |
| 7 | 001630 |
| 8 | 001646 |
| 9 | 002034 |
| 10 | 002170 |
| 11 | 002432 |
| 12 | 002651 |
| 13 | 002697 |
| 14 | 002699 |
| 15 | 003803 |
| 16 | 003885 |
| 17 | 003942 |
| 18 | 003987 |
| 19 | 004043 |
| 20 | 004084 |
| 21 | 004263 |
| 22 | 005329 |
| 23 | 005419 |
| 24 | 006007 |
| 25 | 006140 |
| 26 | 006320 |
| 27 | 006971 |
| 28 | 007443 |
| 29 | 007990 |
| 30 | 008241 |
| 31 | 009767 |
| 32 | 009854 |
| 33 | 009857 |

| № | ბილეთის ნომერი |
|---|---|
| 34 | 012597 |
| 35 | 012670 |
| 36 | 012672 |
| 37 | 012842 |
| 38 | 012938 |
| 39 | 013054 |
| 40 | 013321 |
| 41 | 014212 |
| 42 | 014520 |
| 43 | 014639 |
| 44 | 014753 |
| 45 | 015192 |
| 46 | 015848 |
| 47 | 016037 |
| 48 | 016172 |
| 49 | 016333 |
| 50 | 016361 |
| 51 | 016576 |
| 52 | 016773 |
| 53 | 017324 |
| 54 | 017376 |
| 55 | 017530 |
| 56 | 017577 |
| 57 | 017619 |
| 58 | 018144 |
| 59 | 018214 |
| 60 | 018519 |
| 61 | 019243 |
| 62 | 019323 |
| 63 | 019336 |
| 64 | 020074 |
| 65 | 020846 |
| 66 | 020983 |

| № | ბილეთის ნომერი |
|---|---|
| 67 | 021601 |
| 68 | 022057 |
| 69 | 022305 |
| 70 | 022435 |
| 71 | 022499 |
| 72 | 022668 |
| 73 | 022964 |
| 74 | 023132 |
| 75 | 023170 |
| 76 | 023817 |
| 77 | 023835 |
| 78 | 024376 |
| 79 | 024695 |
| 80 | 025014 |
| 81 | 025200 |
| 82 | 025371 |
| 83 | 025581 |
| 84 | 025601 |
| 85 | 025682 |
| 86 | 025693 |
| 87 | 026114 |
| 88 | 026134 |
| 89 | 026212 |
| 90 | 026543 |
| 91 | 026867 |
| 92 | 027702 |
| 93 | 028232 |
| 94 | 028274 |
| 95 | 028286 |
| 96 | 028298 |
| 97 | 028899 |
| 98 | 029041 |
| 99 | 029725 |
| 100 | 029801 |

მთავარი პრიზი - 100 000 ლარი გათამაშდება 16 ივლისს, 18სთ-სა 30 წთ-ზე. "გაერთიანებული ქართული ბანკის" ცენტრალურ ფილიალში (თბილისი, ჭანტურიას 14)

მთავარი პრიზის გათამაშების ტელეტრასლაცია განხორციელდება ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში.



## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესაქმნელად**

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge




დედა ნაირა (მაიკო) დაუშვილი, მამა გოჩა მაჩაიძე, ძმა მამუკა მაჩაიძე, ბიძა მანუჩარ მაჩაიძე, დეიდა ირინა დაუშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეგობრები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**დიმიტრი (დიტო) მაჩაიძე**

**პანაშვიდი: 11-12 ივლისი, 17 საათი**
**გამოსვენება: 13 ივლისს, ხუთშაბათს 15 საათი**
**მის: ნაძალადევის რაიონი, წრომის ქ.15**


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Matsushita ყველაზე დიდ პლაზმურ ტელევიზორებს გამოუშვებს

იაპონური Matsushita Electric Industrial Co Ltd წლის ბოლოს მსოფლიოში უდიდესი, 103-დუიმიანი პლაზმური ეკრანის მქონე ტელევიზორს გამოუშვებს. კომპანიამ, რომელიც Panasonic-ის ბრენდის საყოფაცხოვრებო ტექნიკას უშვებს, განაცხადა, რომ ჯერჯერობით უცნობია, რამდენი იქნება ტელევიზორის კომერციული ღირებულება. ამ დროისათვის არსებული ყველაზე დიდი, 65-დუიმიანი ეკრანის მქონე, ასევე Matsushita-ს მიერ გამოშვებული პლაზმური ტელევიზორი იაპონიაში 7500 დოლარად იყიდება. პლაზმური ტელევიზორების მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებელი Matsushita კონკურენციას ეწევა ასევე მსხვილ მწარმოებლებთან, კორეულ ფირმებთან LG Electronics Inc-თან და Samsung SDI Co Ltd-სთან. როგორც ცნობილი გახდა, ამ უკანასკნელმაც შეიმუშავა 102-დუიმიანი ეკრანის მქონე პლაზმური ტელევიზორი, თუმცა, როდის დაიწყება მისი კომერციული გამოშვება, ჯერჯერობით უცნობია.

### რუსეთში ექსპერტები ქართულ "ბორჯომს" იცავენ

რუსი ექსპერტები ქართული "ბორჯომის" დასაცავად გამოდიან. ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას სააგენტო "torgrus.com".

სააგენტოს "რბკ"-ის ტელეთერში კომპანია "ბოროდინოს" წარმომადგენლის ვიაჩესლავ კოსტენევიჩის განცხადება მოჰყავს, რომლის თანახმადაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში "ბორჯომის" არც ერთი ფალსიფიცირებული ბოთლი რუსეთში არ შემოსულა. "ეს წმინდა წყლის პოლიტიკაა," - აცხადებს კოსტენევიჩი.

"ბიზნეს ანალიტიკოსის" გენერალური დირექტორის ანდრეი სტერლინის განცხადებით, 90-იანი წლების დასაწყისში ნამდვილი "ბორჯომი" რუსულ ბაზარზე, უბრალოდ, არ არსებობდა და ამის მიზეზი რუსეთსა და საქართველოში შექმნილი რთული ეკონომიკურ-სოციალური პირობები იყო. მაგრამ, სტერლინის განცხადებით, "კომპანიამ შეძლო ამ სიტუაციის დაძლევა". ის დარწმუნებულია, რომ "ბორჯომის" 99 პროცენტი ნამდვილია და ყველა ნორმას აკმაყოფილებს.

რუსულ ბაზარზე მინერალური და სასმელი წყალი "ბორჯომი" ერთ-ერთ უმთავრეს ბრენდად ითვლებოდა. ის მე-6-7 ადგილს იკავებდა ყველაზე ცნობილ ბრენდებს შორის. თუმცა, 2006 წლის აპრილში "როსპოტრებნოდზორის" გადაწყვეტილებით, რუსულ ბაზარზე "ბორჯომის" შეტანა-რეალიზაცია აიკრძალა. მიზეზად მისი სანიტარულ ნორმებთან შეუსაბამობა დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3246 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9820 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4825 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7721 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8267 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1578 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3035 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა EGP | 0,3085 | |
| 1 | ევრო | EUR | 2,2633 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4473 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3408 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1382 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1541 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2566 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1935 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2347 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4046 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5933 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2103 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5787 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3344 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2846 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5631 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5953 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარიSGD | 1,1220 | |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4243 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5391 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4466 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5301 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8081 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1282 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1498 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4414 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2472 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4426 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0794 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2218 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2281 |




# მთავრობა დეფლაციას გვპირდება

## ინფლაციის შესაჩერებლად ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან 48 მილიონ ლარს ამოიღებს

ნინო ნატროშვილი

*საერთაშორისო სავალუტო ფონდი თბილისს აგვისტოში ეწვევა. წინასწარი პროგნოზით, ხელისუფლება ფონდის მისიისაგან საყვედურებს მიიღებს. საქართველოს მთავრობამ მათი რეკომენდაციები ინფლაციის ზრდასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა და ინფლაცია 6-7-პროცენტიან ზღვრამდე ვერ შეინარჩუნა.*

**ინფლაცია ყველაზე მტკივნეული დაბალი სოციალური ფენების, განსაკუთრებით კი, პენსიონერებისთვის აღმოჩნდა. მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო მოსახლეობის 65 პროცენტი იძულებულია, სამომხმარებლო კალათაში პროდუქტების რაოდენობა შეამციროს და უფრო მეტიც, რიგი დასახელების სურსათი ვერ იყიდოს. ექსპერტების შეფასებით, ამჯერად სამომხმარებლო ფასების ზრდაზე, ძირითადად, იმოქმედა გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაორმაგებამ.**



*რომან გოცირიძე.*

B2

# ინსპექტირების საფრთხე

## ბიზნესის 7 სფეროში ლიცენზირება გამარტივდება

თინა შავაძე

*ხელისუფლების პირველი პირები ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში ბიზნესგარემო გაუმჯობესდა და კაპიტალის დასაბანდებლად საუკეთესო პირობებია შექმნილი. ისინი პირობებში, უპირველესად, ქვეყანაში ლიცენზირებისა და ნებართვების გამარტივებული სისტემის შემოღებას ასახელებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესის დაწყებას უფრო ნაკლები დოკუმენტის გაფორმება სჭირდება, ვიდრე ახალი ხელისუფლების მოსვლამდე იყო და, ბუნებრივია, კერძო სექტორსაც მაკონტროლებელთა შემცირებული რაოდენობა ამოწმებს. ამჟამად საქართველოში მაკონტროლებელი 46 ორგანოს ნაცვლად 30 მოქმედებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, შეამოწმონ ბიზნესსექტორის სფეროები - რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს (ორი წლის წინ საქმიანობის 90-ზე მეტი სფერო იყო).*

**აღმასრულებელი ხელისუფლება გეგმავს, მოკლე დროში გააუქმოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. სავარაუდოდ, მისი ერთ ნაწილი - ეკონომიკის, ხოლო დანარჩენი - გარემოს დაცვის სამინისტროს შეუერთდება.**



*მიხო სვიმონიშვილი.*

B2

# კაპიტალდაბანდება კეთილი იმედის კონცხზე

## მაღალგანვითარებული და იაფი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

გოჩა ქიმუცაძე

*სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შავი კონტინენტის ყველაზე გამორჩეული და განვითარებული ქვეყანაა. აპარტეიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ რესპუბლიკაში ჭეშმარიტად დემოკრატიული წყობილება დამყარდა, შეიქმნა ძალზე მაღალი დონის სასამართლო სისტემა. ყველაფერ ამას დაუმატეთ აფრიკულისაგან განსხვავებული, ევროპულს მიმსგავსებული მენტალიტეტი და თავადაც მიხვდებით, რომ ქვეყანაში მეტად ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ამიტომაცაა, რომ სამხრეთ აფრიკის ეკონომიკა ბოლო დროს მაღალი ტემპით ვითარდება და ამ ქვეყანაში კაპიტალდაბანდება უდავოდ სწორი ბიზნეს-სვლაა.*



B3

## ლარის გაცვლითი კურსის ერთი დოლარი - 1.82 ლარის ფარგლებში შენარჩუნება გაძნელდება

მთავრობა სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიღწევის ერთ-ერთ ძირითად პირობად ინფლაციის დაბალი ტემპების შენარჩუნებას მიიჩნევს.

ფინანსთა სამინისტროს მიერ 2007-2010 წლებში დაგეგმილი ძირითადი მიმართულებების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება 5 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი, სავარაუდოდ, 1.82 ლარი /აშშ დოლარის ფარგლებში იქნება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ მაჩვენებლების შენარჩუნება ნაკლებად სავარაუდოა. "მთავრობა კარგად გრძნობს, რომ ქვეყანაში ინფლაციის საშიშროება არსებობს, რისი მაგალითიც პრემიერ-მინისტრის განცხადებაა, ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. სამომხმარებლო ფასების 5-პროცენტიანი ზრდა - ეს ზედმეტად ოპტიმისტური პროგნოზია. 8-11 პროცენტის შენარჩუნება თუ მოხერხდა, ესეც კარგი მაჩვენებელი იქნება," - აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე. მისივე თქმით, ფასების ზრდა პრობლემა არ არის მაშინ, როდესაც მოსახლეობის შემოსავლების მოცულობა პარალელურად იზრდება.

"ინფლაციის დონე გაყინული არსად არის, თვით განვითარებულ ქვეყნებშიც კი. მისი ზრდა, ერთი მხრივ, ბუნებრივი ინფლაციის, მეორე მხრივ, გარკვეული პრობლემებით გამოწვეული შეიძლება იყოს," - აცხადებს იგი. რაც შეეხება ლარის კურსს, გიორხელიძე დირექტიული მეთოდებით მის დაბალანსებას მიუღებლად მიიჩნევს.

"ეროვნული ბანკი ინტენსიურად ახორციელებს ბაზარზე ლარი-დოლარის ამოღებას და, ფაქტობრივად, ხელოვნურად იჭერს მის კურსს. ეს ფულად-საკრედიტო პრინციპებს ეწინააღმდეგება. თუმცა, ამ შემთხვევაში მას სხვა გამოსავალი არ აქვს - მარტოს უწევს ლარის კურსის რეგულირება და ფინანსთა სამინისტრო მას არ ეხმარება. ეროვნული ვალუტის კურსი ხელოვნურად რომ არ გამყარდეს და ინფლაცია წარმოიშვას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება," - ამტკიცებს იგი.

ექსპერტის აზრით, ინფლაციის დონის შესანარჩუნებლად მთავრობამ ეკონომიკურად აქტიური ადამიანების სტიმულირება უნდა განახორციელოს, თუმცა, არა პირად და ინდივიდუალურ, არამედ სამართლებრივ დონეზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკების მთლიანი ვალდებულებები 2708161455 ლარია

2006 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სისტემის პასივებში მთლიანმა ვალდებულებებმა 2708161455 ლარი შეადგინა. ბანკების პასივების კატეგორიაში საბანკო დეპოზიტები 272541951 ლარს შეადგენს, არასაბანკო დეპოზიტები კი - 1651892487 ლარს.

მთლიანი ვალდებულებების მიხედვით, 19 კომერციული ბანკიდან ლიდერობს "თი-ბი-სი" ბანკი. შემდეგ ადგილზეა "საქართველოს ბანკი", მესამე ადგილს კი "გაერთიანებული ქართული ბანკი" იკავებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საქჰიდროენერგომშენი" 7 მილიონ დოლარად იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს "საქჰიდროენერგომშენის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 90%-ის პრივატიზების მიზნით კონკურსი გამოაცხადა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 7 მილიონი დოლარით განისაზღვრა.

"საქჰიდროენერგომშენის" საქმიანობის სფეროა ენერგეტიკული და ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობა და მათი დანადგარების მონტაჟი; სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობა და მონტაჟი;

ობიექტი მდებარეობს ჭავჭავაძის გამზ. 50-ში; ადმინისტრაციული შენობა - 3 003 კვ.მ-ია; მიწის ფართის სიდიდე - 1 157 კვ. მ; საწესდებო კაპიტალი 2 403 000 ლარს შეადგენს, დებიტორული დავალიანება - 17 14 102.57 ლარს, ხოლო კრედიტორული - 8 122 714.78 ლარს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა საზოგადოების საქმიანობა 3 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს; დაასრულოს ს/ს "ენგურჰესის" სარეაბილიტაციო სამუშაოები და მის მიერ დასახელებული საპრივატიზებო თანხის 50%-ის გადახდა - ხელშკრულების გაფორმებიდან ერთი თვის, ხოლო დანარჩენი 50%-ის - მომდევნო ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების მომატება ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასები საკმაოდ მაღალია და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს; მათ შორის უმთავრესია ირანის პრეზიდენტის განცხადება, რომ ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომპოვებელი ეს ქვეყანა შეწყვეტს ნავთობის ექსპორტს.

ნავთობის ფასის ზრდას ისიც განაპირობებს, რომ ზაფხულობით, შვებულებების პერიოდთან დაკავშირებით, ნავთობპროდუქტების მოხმარება, ტრადიციულად, პიკს აღწევს ხოლმე. სხვა ფაქტორებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში (მაგალითად, ნიგერიასა და ვენესუელაში) ნავთობის მოპოვების შემცირება. ასევე ის, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ნავთობზე გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს.

ამ ფაქტორების შედეგად, ნიუ-იორკისა და ლონდონის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფასი 74-75 დოლარის ფარგლებში მერყეობს. რამდენიმე დღის წინათ კი ნიუ-იორკის ბირჟაზე ნავთობის რეკორდული ფასი აღინუსხა - მან 75 დოლარს გადააჭარბა.

ვანო მთვრალაშვილის თქმით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასის დაწევის პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. ეს მდგომარეობა საქართველოზეც აისახება. თუმცა, განვლილ პერიოდთან შედარებით, ნავთობპროდუქტების ფასები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირებულია.

ნავთობპროდუქტების ევროპაში თითქმის ორჯერ ძვირია, ვიდრე საქართველოში, რადგან იქ ეს პროდუქცია მაღალ ფასად იბეგრება. დღეისთვის საქართველოში დიზელის 70-80 პროცენტი აზერბაიჯანიდან შემოდის. დიზელს ვიღებთ თურქმენეთიდან და ევროპის ქვეყნებიდანაც.

"სუპერის" და "პრემიუმის" ტიპის ბენზინი, ძირითადად, ევროპიდან შემოდის, "რეგულარი" - აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელის თქმით, ნავთობპროდუქტების ფასების მომატება საქართველოში, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის. **მედიანიუსი**

# ინსპექტირების საფრთხე

პირველი გვერდიდან

მაგრამ, ლიცენზირების გამარტივებული სისტემა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად, ჯერ არ ამოქმედებულა. თანამედროვე სისტემის ამოქმედება ხომ საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებაზეა დამოკიდებული, ხოლო ამ ამოცანის გადაჭრა - იმ სახელმწიფო მოხელეებზე, რომლებიც ლიცენზიის გამცემ და მაკონტროლებელ ორგანოებში მუშაობენ. მათ ამისთვის სათანადო ცოდნა სჭირდებათ. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. აღმასრულებელი ხელისუფლება გეგმავს, მოკლე დროში გააუქმოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. სავარაუდოდ, მისი ერთ ნაწილი - ეკონომიკის, ხოლო დანარჩენი - გარემოს დაცვის სამინისტროს შეუერთდება. მოსალოდნელი სიახლის ფონზე, საკმაოდ მიზანშეწონილად გამოიყურება ის, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დოკუმენტის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით, მხარეები ლიცენზირების/ნებართვებისა და ინსპექტირების სისტემების სრულყოფას განახორციელებენ. აღნიშნული თანამშრომლობა მხარეებს შორის 3-წლიან ინტენსიურ მუშაობას მოიცავს და მიზნად ისახავს ლიცენზიების და ნებართვების მისაღებად კანონმდებლობის და პროცედურების გამარტივებას, აგრეთვე, შემოწმებების განხორციელების პროცედურების გაუმჯობესებასა და გამარტივებას.

მხარეები უკვე შეთანხმდნენ დეტალურ სამოქმედო გეგმაზე, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია დახმარებას გაუწევს სამინისტროს არსებული პროცესების გაუმჯობესებასა და კონკრეტულ ლიცენზიებსა და ნებართვებთან დაკავშირებული დარგობრივი კანონმდებლობის შექმნაში. მხარეებმა უკვე შეიმუშავეს არსებული ლიცენზირებისა და ნებართვების პროცესის სქემები 7 ძირითად სფეროში, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესს შეეხება. ლიცენზიანტები თევზჭერის, წიაღისეულის, ტყით სარგებლობის, მიწისქვეშა სივრცის გამოყენების დარგებში მალე ლიცენზიებს გამჭვირვალე და გამარტივებული პროცედურებით მიიღებენ. გამარტივება ასევე შეეხება წყალაღების, წყალჩაშვების ნებართვებსა და ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ნებართვასაც. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, სამინისტროსთან ერთად, ასევე შეიმუშავებს სალიცენზიო აუქციონის ზოგად წესებს, რაც აუქციონის მონაწილეთათვის აღნიშნულ პროცესებს უფრო ნათელს გახდის.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან გრძელვადიანი თანამშრომლობა მიზნად ისახავს კერძო სექტორისათვის გარემოს გაუმჯობესებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ორგანიზაციის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შედეგად ჩვენი სამინისტრო ლიცენზირებისა და ინსპექტირების საუკეთესო პრაქტიკას დანერგავს. ეს კი ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებას და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას."

ინსპექტირების სფეროში ჩასატარებელი სამუშაოები ქართული ბიზნესისთვის ძირითად მიმართულებად ითვლება. დღეს ბევრი საუბრობს ინსპექტირების პროცედურების შემსუბუქება-გამარტივებაზე. როგორც ირკვევა, პროექტის განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რისკის მართვის სისტემასა და პროცედურების ისე დანერგვას, რომლის შედეგადაც ადგილი არ ექნება მაინსპექტირებელი ორგანოს მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებას.

მხარეები ასევე ინსპექტირების რიგი ღონისძიებების გატარებას აპირებენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შერჩევითი ინსპექტირების სისტემას, რომლის მიხედვითაც, შესამოწმებელი ბიზნესები იმ შესაძლო საფრთხის მიხედვით შეირჩევა, რომელიც მის საქმიანობას შეიძლება ახასიათებდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს მიმართ. ასეთი მიდგომა ბიზნესის დიდ ნაწილს გაათავისუფლებს ინსპექტირებისათვის საჭირო დამატებითი რესურსების გამოყოფისაგან და, ამავდროულად, აღადგენს ინსპექტირების რეალურ დანიშნულებას, რაც საზოგადოების დაცვაში მდგომარეობს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერმა გიორგი გელოვანმა აღნიშნა:

"დარწმუნებული ვარ, სამწლიანი ერთობლივი მუშაობის შემდგომ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მდიდარი გამოცდილების გამოყენებისა და სამინისტროს მხრიდან ასეთი მონდომების შედეგად, მივიღებთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მომუშავე ლინცენზირებისა და ინსპექტირების სისტემებს."

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის** მიზანია საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება მცირე ბიზნესისათვის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების გზით. პროექტს აფინანსებს კომპანია BP და მისი გაზისა და ნავთობის პარტნიორები და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA). პროექტი ბიზნესისთვის საჭირო ნებართვების/ლიცენზიების გაცემისა და მეწარმეთა ინსპექტირების პროცედურების გამარტივებას მოიცავს.

პროექტს სამი ძირითადი ამოცანა აქვს: ბიზნესისთვის რეგულირების ტვირთის შემცირება, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემოს მონიტორინგი და კვლევა, მცირე და საშუალო ბიზნესის ინფორმირების გაუმჯობესება.

# მთავრობა დეფლაციას გვპირდება

პირველი გვერდიდან

ინფლაციის მაჩვენებელმა ივლისში 10-პროცენტიან ზღვარს გადააბიჯა. ლარის მსყიდველობითი უნარი კიდევ უფრო შემცირდა, ფასები კი სამომხმარებლო საქონლის სხვადასხვა ჯგუფებზე ფულის გაუფასურების პირდაპირპროპორციულად გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 30 ივნისიდან 6 ივლისამდე 100,11 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,89 პროცენტი იყო (ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს). წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,11 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,21 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონლის და მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა კარტოფილზე (26.5%-ით), ხახვზე (7.4%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (5.9%-ით), პომიდორზე (3.9%-ით), სტაფილოზე (2.2%-ით), კოკა-კოლაზე (0.7%-ით); ამასთან, ფასები შემცირდა კვერცხზე (13.3%-ით), ჭარხალზე (8.1%-ით), ყველზე (3.3%-ით), ქათმის ბარკლებზე (1.9%-ით) და შაქარზე (1.3%-ით). გასულ კვირასთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა მომსახურებაზე.

| | 9.06 15.06 | 16.06 22.06 | 23.06 29.06 | 30.06 06.07 |
|---|---|---|---|---|
| □□□ | - 0.59 | - 0.30 | 0.89 | 0.11 |
| □□□□□□□ | - 1.22 | - 0.47 | 1.87 | 0.21 |
| □□□□□□□□□□□□ □□□□□□□ | 0.00 | - 0.26 | 0.00 | 0.00 |
| □□□□□□□□□□□ | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

ინფლაცია ყველაზე მტკივნეული დაბალი სოციალური ფენების, განსაკუთრებით კი, პენსიონერებისთვის აღმოჩნდა. მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო მოსახლეობის 65 პროცენტი იძულებულია, სამომხმარებლო კალათაში პროდუქტების რაოდენობა შეამციროს და უფრო მეტიც, რიგი დასახელების სურსათი ვერ იყიდოს. ექსპერტების შეფასებით, ამჯერად სამომხმარებლო ფასების ზრდაზე, ძირითადად, იმოქმედა გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაორმაგებამ, გაძვირდა შაქარი, ქათმის ხორცი და კვერცხი, ფასები გაიზარდა უძრავ ქონებაზე; ხოლო სატრანსპორტო ხარჯების ზრდამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ზრდა განაპირობა; მთელ მსოფლიოში გაძვირდა ნავთობპროდუქტები. ექსპერტთა პროგნოზით, სამომხმარებლო ფასების ზრდა ივლისში კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება, როცა მომხმარებლებს ელექტროენერგიის საფასურის გადახდა უკვე გაზრდილი ტარიფით მოუწევთ. ექსპერტების შეფასებით, ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მაინც მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა გახდა. იმის გამო, რომ საბიუჯეტო ხარჯები გაიზარდა, მიმოქცევაში ფულადმა ნაკადებმა იმატა. ექსპერტების შეფასებით, ხელისუფლება ინფლაციის შესაჩერებლად კლასიკურ მეთოდს მიმართავს და მიმოქცევიდან ჭარბი ფულის მასას ამოიღებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ მიმდინარე პროცესებს აკონტროლებს და მაქსიმალურად ცდილობს, ლარის კურსი სტაბილური და მყარი იყოს. მისი პროგნოზით, შემდგომი თვეები დეფლაციური იქნება და სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასები შემცირდება. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით კი, ინფლაციის შესაჩერებლად ეროვნული ბანკი სამინისტროსთან შეთანხმებით წლის განმავლობაში ბრუნვიდან 48 მილიონ ლარს ამოიღებს. მთავრობის ეკონომიკური გუნდი იმედოვნებს, რომ ინფლაცია წლის ბოლოს ერთნიშნა ციფრი იქნება.

ბაქტ & თაგგარტ სეკიურითის GALT & TAGGART SECURITIES

10 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 554,156 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 42,412,525 |

| | 7-ივლ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.772 | ▲ | 0.05% | 1.14% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 578.3 | ▲ | 0.39% | 63.83% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 518.9 | ▲ | 0.34% | 61.96% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 8,940 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 232,512 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 55 | 11 ივლისი |
| სსბ-ს სესია No. 56 | 13 ივლისი |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.34%-ით გაიზარდა, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 554.1 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები ცხრა სხვადასხვა ფასიან ქაღალდზე დაიდო, მათ შორის იყო საქართველოს ბანკის ობლიგაცია და სამი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.55%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, გაიზარდა 12.17.%-ით), და ყაზბეგი (KAZB, ფლობა, ფასი შემცირდა 6.79%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 67.7% მოდიოდა.

პოლიტიკა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 5 ივლისს ვაშინგტონში თავის ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს შეხვდა.** აშშ პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერა. თეთრი სახლის ინფორმაციით, პრეზიდენტებმა განიხილეს საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი, თანამშრომლობა ენერგოუსაფრთხოების სფეროში, საქართველოს ევროატლანტიკური სწრაფვა და ერთად მუშაობის საერთო ვალდებულება მსოფლიოში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკელ კოლეგასთან განიხილა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები, ენერგეტიკული საკითხები და "ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, რაც საქართველოს მომავლისათვის მნიშვნელოვანია". მისივე განცხადებით, მოლაპარაკებების დროს ასევე განხილულ იქნა დიდი რვიანის მომავალი სამიტი, რომელიც 15-17 ივლისს სანკტ-პეტერბურგში იგეგმება. ოფიციალური თბილისი იმედოვნებს, რომ სამიტის დღის წესრიგში სეპარატისტული კონფლიქტების საკითხიც შევა.

პრეზიდენტი ბუში დაპირდა საქართველოს ამერიკის მხარდაჭერას ნატოში გაწევრიანებაში, თუმცა აღნიშნა, რომ "საქართველოს წინ დიდი სამუშაო ელის". "მჯერა, რომ ნატო, ისევე როგორც საქართველო, სარგებელს ნახავს საქართველოს ამ ორგანიზაციაში წევრობით და ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან ნატოში, რათა ეს გზა საქართველოსთვის ცოტათი მაინც შევამსუბუქოთ", - განაცხადა ბუშმა. ამერიკის პრეზიდენტი ასევე მიესალმა საქართველოს წვლილს ერაყში განლაგებულ კოალიციურ ძალებში სადაც ამჟამად 850-ზე მეტი ქართველი იმყოფება.

მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტი მიესალმა საქართველოს კურსს რეფორმების გზით მიაღწიოს ეკონომიკურ ზრდას. მისი თქმით, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მეგობარია და ორივე ქვეყანას საერთო ღირებულებები გააჩნიათ.

მილსადენი

**საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 5 ივლისს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვია.** სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ამოქმედებამდე ხუთ თვეზე ნაკლები რჩება და საქართველო ცდილობს ამ პროექტიდან უფრო მეტი გაზი შეიძინოს შეღავათიან ფასად, ვიდრე ეს თავდაპირველი კონტრაქტით იყო გათვალისწინებული.

თავდაპირველად შეთანხმებული იყო, რომ სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობის შემდეგ, რომელიც ცნობილია ბაქო-თბილისი-ერზრუმის და ასევე შაჰ-დენიზის გაზსადენის სახელით, საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს მიიღებდა. ამავე შეთანხმების თანახმად საქართველო წელიწადში დამატებით შეისყიდის ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს შეღავათიან ფასად-55 აშშ დოლარად 1000 კუბურ მეტრში ფასის ყოველწლიურად 1.5%-იანი მატებით შემდგომი 20 წლის განმავლობაში. სამხრეთ კავკასიური გაზსადენის საწყისი გამტარუნარიანობა წელიწადში 8 მილიარდი კუბური მეტრი იქნება, მაგრამ იგეგმება 2012 წლისთვის მისი გამტარუნარიანობის 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდა.

შაჰ-დენიზის პროექტის ფარგლებში ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით აზერბაიჯანული გაზის დამატებითი რაოდენობის საქართველოსთვის მისაწოდებელი ფასები ფიქსირებული ნორმებით დარეგულირდება, განაცხადა აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ნატიკ ალიევმა. მან დასძინა, რომ აზერბაიჯანული გაზის დამატებითი რაოდენობის საქართველოსთვის მოწოდების ფასების განხილვა ამჟამად ნაადრევია.

გავრცელებული ხმების მიხედვით საქართველო ცდილობს, რომ 2007 წლიდან მიიღოს სულ ცოტა 1.5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი შეღავათიან ფასად.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.05%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 8.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 1.0 მლნ აშშ დოლარით მეტია. ეროვნულმა ბანკმა ჯამში 4.2 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა.

ბაქტ & თაგგარტ სეკიურითის GALT & TAGGART SECURITIES

10 ივლისი 2006

საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 54, 6 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 3 | 103.80 | 103.80 | 103.80 | 3.3 | 1,025 | 106,395 | | - |
| GEB | 14 | 12.97 | 13.00 | 12.97 | 55.4 | 12,744 | 165,308 | 201,433,897 | ყიდვა |
| UTC | 39 | 0.58 | 0.60 | 0.59 | 63.9 | 53,270 | 31,417 | 60,909,644 | ფლობა |
| KAZB | 2 | 7.00 | 7.00 | 7.00 | 180.0 | 7,284 | 50,988 | 19,600,000 | რეკ. გარეშე |
| STSP | 2 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 348 | 1,740 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| SQMP | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -1.4 | 13,515 | 67,575 | 1,240,845 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 295 | 1,074 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 424,497 | | |

სესია No. 53, 4 ივლისი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 1 | 103.36 | 103.36 | 103.36 | 2.8 | 35 | 3,618 | | - |
| GEB | 15 | 12.93 | 12.94 | 12.93 | 55.0 | 7,399 | 95,673 | 200,812,714 | ყიდვა |
| UTC | 19 | 0.58 | 0.60 | 0.59 | 63.1 | 17,541 | 10,292 | 60,599,934 | ფლობა |
| KAZB | 1 | 7.00 | 7.00 | 7.00 | 180.0 | 2,285 | 15,995 | 19,600,000 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 19 | 69 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| SAV1 | 4 | 2.00 | 2.00 | 2.00 | na | 1,986 | 3,972 | 397,556 | რეკ. გარეშე |
| KTST | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 40 | 40 | 146,849 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 129,659 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

3 ივლისი, 2006 – 7 ივლისი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 0.73 | 0.68 | 0.73 | 0.70 | -4.1 | 826,700 | 138.4 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.48 | 2.55 | 2.70 | 2.63 | 6.9 | 4,566,118 | 393.6 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.30 | 1.36 | 1.27 | 1.35 | 3.8 | 56,400 | 126.9 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 12.97 | 0.55 | 55.34 | 6-ივლ-06 | 260,981 | 201,433,897 | 22.0 | 59.9 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ყიდვა | 0.59 | 12.17 | 63.89 | 6-ივლ-06 | 66,983 | 60,909,644 | 9.4 | 7.7 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.44 | 0.00 | 110.34 | 15-ივნ-06 | 0 | 51,240,000 | 10.0 | 6.9 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 6-ივლ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 12.6 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 7.00 | -6.79 | 180.00 | 29-ივნ-06 | 41,709 | 19,600,000 | 42.7 | 11.3 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 369,673 | 507,983,367 | | 100 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

3 ივლისი, 2006 – 7 ივლისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | დაფარვის თარიღი | შაპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებულებებთან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/ S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 104 | 104 | 104 | - | 11.00 | -2 | 579 | 1.01 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.15 | - | 15.10 | 15 | 1000 | 0.33 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
თამუნა ბიჭინაშვილი
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

### ისრაელი აზერბაიჯანის ნავთობს ბაქო-თბილისის ნავთობსადენით მიიღებს

ისრაელის ინფრასტრუქტურის მინისტრის ბენიამინ ბენ-ალიეზერის აზერბაიჯანში ვიზიტისას გადაწყდა, რომ ისრაელი ნავთობს ნაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით მიიღებს. კერძოდ, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჯეიჰანის პორტში ჩატვირთული ავზი ჰაიფსკის ყურეში ახალ ავზში გადაიტვირთება და ისრაელში გადავა.

როგორც მინისტრი აცხადებს, ისრაელის სურვილია, აზერბაიჯანი მისთვის ნავთობის მუდმივი მიმწოდებელი იყოს.

"ამით ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემა მოგვარდება. პარალელურად, შემცირდება ნავთობის იმპორტის ღირებულება," - აღნიშნავს ბენ-ელიეზერი. მისივე ინფორმაციით, აზერბაიჯანის ნავთობის, დაახლოებით, ერთი მეექვსედი - 2 მილიონი ტონა (მილიარდი დოლარის ღირებულების) ისრაელზე მოდის.

ისრაელის ინფრასტრუქტურის მინისტრი პირველი ნედლი ნავთობის მიღების ცერემონიალს უახლოეს დღეებში გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სომხეთი საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტს გაზრდის

დღეს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი, რომელიც ბათუმში ქართულ-სომხურ ფორუმს ესწრებოდა, სამშობლოში გაემგზავრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, ეკონომიკურ ფორუმზე საკმაოდ მნიშვნელოვანი შეთანხმებების მიღწევა მოხერხდა სატრანსპორტო და ენერგეტიკის სფეროში.

კერძოდ, სომხეთი გაზრდის საკუთარი ელექტროენერგიის იმპორტს საქართველოში და, რაც მთავარია, იმპორტი სტაბილური იქნება. **მედიანიუსი**

### რუსეთის სასაქონლო ბირჟაზე რუბლით ივაჭრებენ

სანავთობო ბირჟა, სადაც ანგარიშსწორება რუბლით მოხდება, რუსეთში ნახევარ წელში შეიქმნება,- მიიჩნევს რუსეთის პრეზიდენტის საექსპერტო სამმართველოს ხელმძღვანელი არკადი დვორკოვიჩი.

მისი თქმით, რუსეთის ენერგეტიკის სამინისტრო უკვე ამზადებს შესაბამის წინადადებას, რათა ამ ბირჟაზე დიდი მოცულობით "შავი ოქრო" მიიზიდოს.

ზუსტი ოდენობის დასახელება ჯერ შეუძლებელია, მაგრამ დვორკოვიჩის აზრით, პირველ ეტაპზე ეს, შეიძლება, ბაზრის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდეს.

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ამგვარი ბირჟის შექმნის აუცილებლობა უკვე დაჩქარებულია, რადგან ნავთობის მთელ მოცულობაზე კონტრაქტები უკვე დადებულია და გამოთავისუფლებული ოდენობა კი დასავლეთ ბირჟებზე კონკურენციის გაწევას ვერ შეძლებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გასაყიდ ქართულ ღვინოს შესაბამისობის სერტიფიკატი და დეკლარაცია სჭირდება

პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრი მურმან ქურიძე მიიჩნევს, რომ ჩამოსასხმელ ღვინოს, რომელიც შესაბამის მაღაზიებში გაიყიდება, უნდა ახლდეს შესაბამისობის სერტიფიკატი და დეკლარაცია.

მისივე თქმით, გასაყიდი ღვინის დეკლარაციაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რისგან არის დამზადებული, რომელი ადგილწარმოშობისაა, სიმაგრე, მჟავიანობა და შემცველი ნივთიერებები.

ღვინის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც ლაბორატორიის შემოწმების შემდეგ შესაბამისი სტრუქტურა გასცემს, ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული პროდუქცია ვარგისიანია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კაპიტალდაბანდება კეთილი იმედის კონცხზე

პირველი გვერდიდან

## მომავალ მუნდიალამდე

სამხრეთ აფრიკა იმით არის უნიკალური, რომ იგი, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კომფორტი და ინფრასტრუქტურა ერთობ განვითარებული ქვეყნების შესაფერისია, ფასები კი, საკვებიდან დაწყებული, ბრილიანტებითა და უძრავი ქონების ჩათვლით, უფრო მესამე სამყაროს ქვეყნების ოდენობისაა. აქვე უნდა ითქვას, რომ, თავისთავად ცხადია, ეკონომიკურ განვითარებას თან უძრავ ქონებაზე ფასების არცთუ მაღალი ტემპით, მაგრამ სტაბილური ზრდა ახლავს, ეს კი ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით სამხრეთ აფრიკაში კაპიტალდაბანდება მეტად პერსპექტიულია.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ოთხი წლის შემდეგ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ ამ ქვეყანაში გაიმართება. ეს კი ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებას და ფასების მაღალი ტემპით ზრდას ნიშნავს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რაოდენ კარგი გავლენა მოახდინა გერმანიის ეკონომიკაზე წლევანდელმა მუნდიალმა. ასე რომ, ის დროა, სამხრეთ აფრიკაში კაპიტალდაბანდებაზე იფიქროთ.

უძრავი ქონების შეძენის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დიდი ქალაქები და საკურორტო რეგიონები. კერძოდ, ქვეყნის დედაქალაქი და საქმიანი ცენტრი პრეტორია, უდიდესი ქალაქი, უმსხვილესი პორტი და მეგაპოლისი კეიპტაუნი, ყოფილი დედაქალაქი, ასევე მეგაპოლისი და საქმიანი ცენტრი იოჰანესბურგი, საპორტო და საკურორტო ქალაქები დურბანი და პორტ ელიზაბეთი.

თუ ბევრი ფული გაქვთ, ყველაზე ძვირი და პრესტიჟული უძრავი ქონება კეიპტაუნის "ბევერლი ჰილზად" წოდებულ კოსტანციას ველზეა, სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი სახლობენ, მათ შორის პრინცესა დიანას ძმა გრაფ სპენსერის ქონებაცაა. პალმებში, ფიჭვებსა და ვენახებში ჩაფლული, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი უმშვენიერესი ვილები ძალიან ძვირი ღირს, დაახლოებით 400 ათასი დოლარიდან ზემოთ. ხოლო თუ თვალს ისტორიული მნიშვნელობის შენობას დაადგამთ, ჯიბეში, სულ მცირე, მილიონი მაინც უნდა გიჩხრიალებდეთ.

რაც შეეხება არა მთლად მეფურ, მაგრამ საკმაოდ მაღალი დონის უძრავ ქონებას, ამგვარს კეიპტაუნის, იოჰანესბურგის და სხვა ზემოთ აღნიშნული ქალაქების პრესტიჟულ, ე.წ. კარგ უბნებში საკმაოდ ნორმალურ ფასად, 1 კვადრატულ მეტრს 500-დან 1000 დოლარის ფარგლებში შეიძენთ. როგორც ხედავთ, თითქმის თბილისური ფასებია. სხვა ქალაქებში კი ბევრად ნაკლები დაგჭირდებათ. ასევე გაცილებით იაფი დაგიჯდებათ ქონების შეძენა აღნიშნული ქალაქების ე.წ. ცუდ უბნებში. მხოლოდ, ამგვარში დასახლებას არ გირჩევთ, რადგან, მიუხედავად ყველა სიკეთისა, სამხრეთ აფრიკაში უსაფრთხოების საკითხები ჯერ კიდევ ბოლომდე მოგვარებული არ არის.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკაში ჭეშმარიტი სამშენებლო ბუმია, იგი საკმაოდ ძვირი ღირს. კერძოდ, ხეირიანი, მომგებიანი სამშენებლო ბიზნესის წამოსაწყებად ვარგის ადგილას 1 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 1500-დან 3000 დოლარამდე, ზოგან მეტიც ღირს. სამაგიეროდ, სამხრეთ აფრიკაში სამშენებლო მასალები და მუშახელი იაფია, ანუ, ნაგებობას საკმაოდ ნორმალური დანახარჯებით წამოჭიმავთ. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ქვეყანაში უძრავი ქონების ფასი გამუდმებით მატულობს და თუ სამშენებლო ბიზნესს ხელს დროულად მიყოფთ და 2010 წლამდე რესტორნის ან სასტუმროს მეპატრონე გახდებით, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს უზარმაზარ მოგებას ნახავთ.







## სრული თავისუფლება

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უძრავი ქონების შეძენას თავისი იურიდიული და ფინანსური თავისებურებები აქვს. როგორც წესი, იგი რწმუნებულის საშუალებით ხორციელდება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს იცავს და ფორმალობებს აგვარებს. თავდაპირველად ფორმდება წერილობითი შეთანხმება, რომელსაც იურიდიული ძალა მხარეთა მიერ კონტრაქტების გაფორმების და გაცვლის შემდეგ ენიჭება.

მყიდველი ვალდებულია, რამდენიმე დღის განმავლობაში სპეციალურ ანგარიშზე განათავსოს შესაძენი ქონების ღირებულების 10 პროცენტი და რწმუნებულს მიაწოდოს პირადი ინფორმაცია: საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები, ქორწინების, ან განქორწინების მოწმობა და ა.შ. ამასთან, არ უნდა დაივიწყოს, გამყიდველისაგან მოითხოვოს ქონების კანონიერებისა და არსებული ნორმებისადმი შესაბამისობის დამადასტურებები დოკუმენტები.

ამის შემდეგ სახელმწიფო ხაზინას უხდით შენაძენის ღირებულების 14 პროცენტს. გარდა ამისა, სააგენტოს, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებთ და რომელიც შენაძენის პოვნასა და გაფორმებაში დაგეხმარებათ, ღირებულების 3-5 პროცენტს გადაუხდით.

ადგილობრივი კანონების მიხედვით, შეძენილი ქონების მემკვიდრეობით გადაცემაში არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ, ხოლო მისი გაყიდვის შემთხვევაში მიღებული მოგების 9 პროცენტს ხაზინას გადაუხდით.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უცხოურ კაპიტალდაბანდებას მიესალმება და ყველანაირად ხელს უწყობს, ადგილობრივი ბანკების სესხითაც დაგეხმარებათ. კერძოდ, შეგიძლიათ შენაძენის გარანტიით მისი ღირებულების 50 პროცენტის კრედიტის სახით მიღების იმედი გქონდეთ. მაგრამ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყანაში, ევროპისაგან განსხვავებით, საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია და წლიურ 19,25 პროცენტს შეადგენს. სამაგიეროდ, თუ ყველა საბუთი რიგზე გექნებათ, 4-დან 10 დღეში სასურველ თანხას აუცილებლად მიიღებთ.

ერთადერთი შეზღუდვა, რამაც შესაძლოა, სასურველი ქონების შეძენაში ხელი შეგიშალოთ, ის გახლავთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით, არარეზიდენტს უფლება არ აქვს, სასოფლო-სამეურნეო, უფრო ზუსტად, მევენახეობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი შეიძინოს. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ეს ქვეყანა ხომ თავისი ღვინოებითაა განთქმული და სამხრეთ -აფრიკელები თავიანთ ეროვნულ სიმდიდრეს ძალიან უფრთხილდებიან.

### აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად საფონდო ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა გავლენაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის კლებამ და ისეთი მსხვილი კომპანიების გაყიდვების მოცულობის გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, როგორებიცაა Alcoa და General Electric-ი. გარდა ამისა, ინტერესი გამოიწვია საკვები პროდუქტების მსოფლიოს მეორე უმსხვილესი მწარმოებლის, ამერიკული კომპანია Kraft Foods-ის მიერ ბრიტანული United Bicsuits-ის ესპანურ-პორტუგალიური განყოფილების შეძენამ. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,4 პროცენტით, 11.134,71 პუნქტამდე გაიზარდა. 0,32 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.136,81 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,37 პროცენტით, 1.270,12 პუნქტამდე მოიმატა.

### ნავთობის ფასმა დაიკლო

გასული კვირის ბოლოს ნავთობის სარეკორდო გაძვირების შემდეგ, გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 72,65 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,6 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. ამის უმთავრესი მიზეზი გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია გახლდათ. ამასთან, აღინიშნება, რომ გარკვეული გავლენა ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ გავრცელებულმა დამაიმედებელმა ინფორმაციამ მოახდინა, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გახურებულ საავტომობილო სეზონში ეს ნაკლებად დამაჯერებელია. მათივე აზრით, "შავი ოქროს" გუშინდელი გაიაფება დროებითი მოვლენაა და ნავთობი კვლავ მალე გაძვირდება.

### ამერიკული ბიზნესი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების წინააღმდეგია

ამერიკული ბიზნესის წარმომადგენლებმა ქვეყნის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ უმცროსს მოუწოდეს, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების მხარდაჭერისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავოს. მათი აზრით, მოსკოვმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ მზად არის მსოფლიო სავაჭრო თანაგეგობრობის საიმედო პარტნიორი იყოს. პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელი ამერიკელ ბიზნესმენთა ინტერესების წარმომადგენელმა 16-მა ორგანიზაციამ მოაწერა, ჩამოთვლილია ის პრობლემები, რომლებიც რუსეთის მიმართ ამერიკელ ბიზნესმენთა ამგვარ დამოკიდებულებას იწვევს. მათ შორისაა: რუსეთში ინტელექტუალური საკუთრების დაუცველობა, ამერიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეტანაზე არსებული ბარიერი და საბანკო და სადაზღვევო სექტორში უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე არსებული შეზღუდვა. ამერიკელმა ბიზნესმენებმა აღნიშნული წერილი სპეციალურად "დიდი რვიანის" სამიტის წინ გაავრცელეს, რომელიც მალე რუსეთში გაიმართება. მათ მიაჩნიათ, რომ ამგვარად რუსეთში არსებული პრობლემები მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრში მოექცევა. ამასთან, მსოფლიო თანამეგობრობა რუსეთს მოუწოდებს, ხელი მოაწეროს ენერგეტიკულ ქარტიას, რაც ადგილობრივ ენერგობაზარს ღიას და ხელმისაწვდომს გახდის. თუმცა, ექსპერტები თვლიან, რომ ამაზე საუბარს აზრი არ აქვს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დუმამ ახლახან მიიღო გაზის ექსპორტის შესახებ კანონი, რომლითაც რუსული ბუნებრივი აირის მონოპოლისტი ექსპორტიორი "გაზპრომი" ოფიციალურად გახდა. ადრე პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას აფერხებს და ენერგეტიკულ ქარტიაზე ხელის მოწერის მიზნით ზეწოლა განხორციელდება, კრემლი ყველა იმ ვალდებულების შესრულებაზე უარს იტყვის, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ფარგლებში იტვირთა.

### იაპონიაში საპროცენტო განაკვეთი იზრდება

ზეგ, 13 მაისს, პირველად ბოლო 6 წლის მანძილზე, იაპონიის ცენტრალური ბანკი ნულოვან საპროცენტო განაკვეთზე უარს იტყვის და მას 0,25 პროცენტამდე გაზრდის. ამის მიზეზი ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება გახდა, რის შემდეგაც იაპონელებმა შემსუბუქებული საკრედიტო პოლიტიკის შეცვლაგანიზრახეს. იაპონელთა გადაწყვეტილება ექსპერტებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. მიმდინარე წლის იანვარში ამომავალი მზის ქვეყანაში პირველად 8 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 0,5 პროცენტის ოდენობის ინფლაცია, რამაც იაპონიის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა მოახდინა. სპეციალისტთა აზრით, აქამდე იაპონიაში გაბატონებული დეფლაცია მკვეთრად ზღუდავდა ბანკების მიერ ეკონომიკის კრედიტირებას და ინვესტორთა დაინტერესებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

### ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 621,7 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 10,92 დოლარი/უნციამდე გაიაფდა, პლატინა 1217,5 დოლარი/უნციამდე, პალადიუმის ფასმა კი 314,5 დოლარი/უნციამდე დაიკლო. ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი ნავთობის ფასების კლება და გასული კვირის ბოლოს მნიშვნელოვანი გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია გახდა. თუმცა, ანალიტიკოსთა ვარაუდით, არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ძვირფასი ლითონების ფასების კლება დროებითი მოვლენაა.







## მთლიანი აქტივების მოცულობის მიხედვით, თი-ბი-სი ბანკი ლიდერობს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 19 კომერციული ბანკის მთლიანი აქტივების მოცულობა 3224326120 ლარს შეადგენს.

აქტივების ოდენობას 182552993 ლარი უკავია, წმინდა სესხები 2022276040 ლარს შეადგენს, საწესდებო კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა კი 29940154 ლარს უდრის.

მთლიანი აქტივების მოცულობის მიხედვით ლიდერობს ს/ს "თი-ბი-სი" ბანკი (799397764 ლარი), მეორე ადგილზეა "საქართველოს ბანკი" (680575860 ლარი), მესამე ადგილს კი "გაერთიანებული ქართული ბანკი" (460066385 ლარი) იკავებს. შემდეგ ადგილებს ინაწილებენ "პროკრედიტ ბანკი" (383730177 ლარი) და "ბანკი ქართუ" (260049015). **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 11/07 | 12/07 | 13/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 30 | 31 |
| რიგა | 33 | 28 | 26 |
| ვილნიუსი | 34 | 33 | 33 |
| მოსკოვი | 35 | 33 | 32 |
| მინსკი | 37 | 37 | 33 |
| პარიზი | 28 | 28 | 28 |
| რომი | 33 | 33 | 33 |
| ლონდონი | 23 | 23 | 24 |
| მადრიდი | 36 | 31 | 30 |
| ბონი | 33 | 28 | 31 |
| ვარშავა | 38 | 37 | 33 |
| ათენა | 29 | 28 | 29 |
| ბერნი | 32 | 31 | 31 |
| ამსტერდამი | 22 | 26 | 23 |
| ოსლო | 16 | 17 | 18 |
| ანკარა | 30 | 31 | 34 |
| ვარნა | 27 | 27 | 27 |
| დელი | 45 | 44 | 43 |
| ტოკიო | 35 | 32 | 34 |
| კოპენჰაგენი | 21 | 23 | 21 |
| ბაქო | 33 | 31 | 32 |
| ერევანი | 36 | 37 | 38 |
| ასტანა | 16 | 18 | 22 |
| ჰელსინკი | 25 | 20 | 20 |
| დუბლინი | 17 | 20 | 21 |
| ლისაბონი | 30 | 30 | 35 |
| პრაღა | 33 | 30 | 28 |
| სოფია | 26 | 25 | 23 |
| ბუდაპეშტი | 35 | 34 | 33 |
| ბუხარესტი | 31 | 31 | 30 |

თვალსაზრისი

# პრივატიზაცია - ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის უმთავრესი გზა

ვანო ჩხაიძე

**დემოკრატია ანუ ხალხის მმართველობა თუ გვინდა, კერძო საკუთრებაში მეტი ქონება უნდა იყოს. ქონება ნიშნავს ძალას, ძალა კი მართვის აუცილებელი კომპონენტია.**

როცა ქვეყანაში ხალხსა და სახელმწიფოს შორის საკუთრების განაწილების სასურველ პროპორციებზეა საუბარი, აქ ყველაფერი იგულისხმება. ჯარის ან პოლიციის ქონების, ან მთავრობის სასახლის გაყიდვა არავის უფიქრია. მაგრამ, აბა, წარმოვიდგინოთ ხელისუფლების ავტორიტეტი, მას რომ, ვთქვათ, "მთავრობის სასახლე" საკუთრებაში აღარ ჰქონდეს და სტატისტიკის დეპარტამენტიდან ან "შრომის სასახლიდან" მართავდეს ქვეყანას.

შევარდნაძის შემდეგ სახელმწიფოს ხელში დარჩა ქვეყნის მთელი ქონების დაახლოებით 95 პროცენტი. ამდენი ძალა ერთ ხელში კონცენტრირებული მეფესაც არ ჰქონდა. გარდა მეფისა, ქვეყანაში საკუთარ მამულებს და ტყეებს, დიდ ქონებას ფლობდნენ ფეოდალებიც და საზოგადოებაზე მათი ზემოქმედების ძალაც შესაბამისად ნაწილდებოდა.

ძალთა პოსტკომუნისტურ ე.წ. "95-პროცენტიანი" თანაფარდობის პირობებში ხალხის ძალაუფლების ზომა ხელისუფალის ნებაზე, მის გემოვნებაზე და გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული. ქვეყანაში არსებული მთელი ქონების ანუ ძალის მეტი ნაწილი უშუალოდ ხალხის ხელში თუ არ იქნა, დემოკრატიისაკენ მისწრაფებაზე საუბარი ტყუილია. ამ კონტექსტში საინტერესოა ბადრი პატარკაციშვილის მაგალითი. სახელმწიფოსთან შედარებით, მისი ქონება თუმცა ბევრს არაფერს წარმოადგენს, მისგან გამოთქმული მცირე უკმაყოფილებაც საკმარისი აღმოჩნდა მთავრობის ყურადღების მისაპყრობად. ქვეყანაში მხოლოდ ბევრი ძლიერი კერძო სუბიექტის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი შეცდომების მიუკერძოებელი შემჩნევაც და გასწორებაც.

**ქონება, რომელიც აუცილებელია, სახელმწიფოს ხელში დარჩეს, ქვეყანაში არსებული მთელი ქონების 25-30 პროცენტს, ალბათ, არ უნდა აღემატებოდეს**. ეს პროპორცია სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ხელისუფლებას ხელი არ შეეშალოს მართვაში, თუ მართვა სამართლიანია.

**ახალი ხელისუფლების უდიდესმა ძალისხმევამ შეძლო უმთავრესი - რეალურად გააცოცხლა პრივატიზაციის ჩამკვდარი პროცესი.**

**რა ძირითად ნაკლს ხედავს ხალხი ამ დადებით პროცესში?**

**პირველი მაინც ისაა, რომ სიღატაკის გამო ხალხი რაიმეს შეძენას ვერ ახერხებს.**

ქვეყნის უძვირფასეს ქონებას ეპატრონება ჩვენს ქვეყანასთან სათუო დამოკიდებულების ჯგუფები.

ძირითადი ქონება ბაზარზე, წესით, მთავრობათა ჩარევის გარეშე, თავისითაც უნდა იყიდებოდეს. მიუხედავად ჩვენი მეგობარი ქვეყნების თვით პრეზიდენტების დონეზე უდიდესი ძალისხმევისა და შესაბამის ფორუმებზე მოწოდებისა, პრივატიზაციის პროცესის მეშვეობით ვერაფრით მოხერხდა რეალურ სექტორში სამაგალითო და რესპექტაბელური ისეთი ინვესტორების მოზიდვა, რომელნიც თავიანთი რეპუტაციით ცივილიზებულ დასავლეთს ჩვენი სივრცის ეკონომიკურ მიმზიდველობაში დაარწმუნებდა და ინვესტიციების უფრო საიმედო და სასურველ დივერსიფიცირებას უზრუნველყოფდა.

სამწუხაროდ, დღემდე, შენიღბულადაც და ღიადაც, პროცესში მკაფიოდ დომინირებს რუსეთის სწორედ ის მცირე, მაგრამ აქტიური ძალები, რომლებიც საქართველოს და ქართველების მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულში შემჩნეული ნამდვილად არ არიან. მეტიც, პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას მათი მხრიდან ზოგჯერ, ეკონომიკურზე მეტად, სამომავლო მიზნების სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილების სუნი ასდის.

დღევანდელი ბაზრის პირობაზე, ქონება საკმაოდ ძვირად, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურ ფასად იყიდება, რაც მთავრობის პატიოსნების და, გარკვეულ დონეზე, პროფესიონალიზმის მიმანიშნებელია. ნათელია, ამასთან, ისიც, რომ მომავალში, პრივატიზაციის დასრულების შემდეგ, ამავე ქონების საბაზრო ფასი კიდევ მრავალჯერ გაიზრდება. შედეგად, ჩვენი ქონების მყიდველები იმაზე ბევრად მეტ სუფთა მოგებას ნახავენ, ვიდრე დახარჯეს და ამ ქონების გაყიდვით მიიღო სახელმწიფომ. ეს, ერთის მხრივ, ჩვეულებრივი მოვლენაა და ამხელა მოგების იმედი რომ არა, უმეტეს შემთხვევაში ამოდენა თანხებს, შესაძლოა, არასასურველი მყიდველიც კი არ გაიღებდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენთვის მომავალში მაინც მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგია.

**პროცესში, ოპოზიციის აზრით, გარდა აღნიშნულისა, შეიმჩნევა აგრეთვე წინასწარი გარიგებები და შესაბამისი კორუფცია, რაც ყოველთვის გამორიცხული ნამდვილად არაა.**

**იმისთვის, რომ საფუძველი პროცესის ბოლოს მაინც გამოეცალოს ყველა პრეტენზიას,** თუნდაც ამ ბოლო ეტაპზე, მას მერე მაინც, როცა ამოღებული იქნება შეძლებისდაგვარად მაქსიმალური თანხები და დარჩენილი ქონების ადეკვატურ ფასებში ისედაც გაჭიანურებული გაყიდვა დროში კიდევ უფრო გაჭიანურდება, **ჩვენი რჩევაა, სახელმწიფომ თავის ხალხს დარჩენილი ქონება მაინც დაურიგოს უფასოდ.**

**მკითხველს ვთხოვ, თავი შეიკავოს უარყოფითი ემოციებისაგან. ამ რჩევის გაგონების შემდეგ ტიპური რეაქციაა: "ვაუჩერმა, ხომ გახსოვთ, რაც მოგვიტანა?" ან "უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია."**

**ჯერ გავერკვეთ, მართლაც რა იყო ვაუჩერი.**

საქართველოში საპრივატიზაციო ბარათების ანუ ვაუჩერების ამოქმედების შემდეგ ნებისმიერი ჩინოვნიკი, თვით ქვეყნის პრეზიდენტით დაწყებული, უძლური იყო, ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზებისას რომელიმე მყიდველს დახმარებოდა. მაშინ ჩვენთან, საქართველოში, შავი ძალების აღზევების იმ ძნელ პერიოდშიც კი, არავის ძალუძდა, მთელს რესპუბლიკაში გაფანტულ 100-მდე მიმღებ პუნქტში გაეკონტროლებინა და ემართა რომელიმე ობიექტის შესასყიდად საჭირო ვაუჩერების რაოდენობა და, მით უმეტეს, თვით ვაუჩერების შესასყიდი საბაზრო ფასი, რომელიც ხან 3 (ა.ე.) იყო, ხან 12 (ა.ე.). არავინ იცოდა, მთელი თვის განმავლობაში მარნეულში ან ხულოში, რომელიმე მრავალშვილიანი ოჯახი რომელ ობიექტზე შიტანდა თავის 10 ვაუჩერს. ვერავინ ვერავის შეჰპირდებოდა, ამა თუ იმ ობიექტს ამდენ ვაუჩერად გაყიდინებო, ან ამა და ამ თანხაში "ჩაგატევო". ვერავინ ვერავის შეუქმნიდა ხელშემწყობ გარემოს. ყველაფერს მიუკერძოებელი ბაზარი წყვეტდა.

ეს ხელს არ აძლევდა ძლიერთ ამა ქვეყნისა, კარგ და ცნობილ მსახიობს, მეცნიერს, ჟურნალისტს თუ სპორტსმენს, ნებისმიერ საყვარელ ან, პირიქით, საშიშ პიროვნებას, "თეთრს" თუ "შავს", ყველას იმათ, ვინაც საბჭოთა პერიოდში დაჩვეული იყო, ნაცნობობით და იაფად, პრივილეგირებული პირობებით მიეღო მანქანა ან მაცივარი მაინც. შესაბამისად, მათი მხრიდან დიდი იყო უჩვეულოდ ხელშემშლელი ამ ინსტრუმენტის თავიდან მოცილების სურვილი.

არა მარტო საქართველოში, ყველა სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც, ხელისუფლების ყველა შტო, მათ შორის - მეოთხე ხელისუფლება, საზოგადოებრივი "ელიტის" მხარდაჭერით, ღიად მტრობდა ვაუჩერს. იმ მასშტაბის შავი პიარი, რაც საპრივატიზაციო ვაუჩერს დაატყდა თავს, რაიმე სხვა ეკონომიკურ ინსტრუმენტს არ მოსწრებია. ამ პიარ-ფერხულში პოპულარობის ან თანამდებობის მაძებარი ვაიმეცნიერიც ბევრი ჩაერთო. არსით სრულიად უმნიშვნელო ფაქტორების, მაგალითად - ვაუჩერის ფასის, ულოგიკო მანიპულირებით სხვასაც აბნევდნენ და თვითონაც იბნეოდნენ. რომ არა მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის დიდი ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე და, როგორც მახსოვს, 40 მილიონი აშშ დოლარის სიდიდის მიზნობრივი გრანტი, ვაუჩერი საქართველოში იმ მიზერული მასშტაბითაც კი ვერ ამოქმედდებოდა. უმცირესი ქონება - მთელის, ალბათ, მხოლოდ 1% გაიყიდა ვაუჩერზე, მასმედიამ კი ლამის აპოკალიფსის სურათი დახატა და ეს უწყინარი, მთელ პროცესში შესაძლოა ყველაზე სუფთა ინსტრუმენტი ლაფში ამოსვარა.

**შედეგად, ინსტრუმენტის სარგებლობა და მნიშვნელობა სწორად გაცნობიერებული არაა.**

"რკინის ლედიდ" წოდებული მარგარეტ ტეტჩერის სიტყვებია: "ჩვენ ვერ მივაღწევთ დემოკრატიას, თუ არ მოვახდენთ პრივატიზაციას." ნობელიანტი ეკონომისტი, უდიდესი მეცნიერი **მილტონ ფრიდმენი კი ამბობდა: - "პრივატიზაციის ყველა მეთოდებიდან ჩემთან ყველაზე ახლოსაა აქციების არა გაყიდვა, არამედ სახელმწიფო საწარმოების ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის გადაცემა."**

რაიმე სქემით საპრივატიზებო ქონება დღესვე მართლა უფასოდ რომ დაურიგდეს მოქალაქეებს, ხალხის საკუთრებაში 5-ჯერ მეტი ქონება აღმოჩნდება ანუ საშუალოდ თითოეული ჩვენგანი უცებ გახდება ხუთჯერ მდიდარი.

რა პრინციპით და სქემით უნდა მოხდეს ხალხზე გასაჩუქებელი ქონების განაწილება?

ყველასთვის მისაღები პრინციპის ან სქემის მოფიქრება შეუძლებელია. მეტიც, ამ პროცესში სრული სამართლიანობა, ალბათ, არც უნდა ვეძიოთ. ყველა სქემა საბოლოო ჯამში მაინც უსამართლო იქნება. მთავარია, შემოთავაზებული გადანაწილება ორიენტირებული იყოს რაც შეიძლება მეტი სუბიექტის გამდიდრებაზე და, ყველა ცნობილ სქემასთან შედარებით, უფრო სამართლიანად ახდენდეს გადანაწილებას. სასურველია ქვეყნისთვის შედარებით უკეთეს და უფრო პატიოსან მეურნეს აძლევდეს (რადგან ეს მაინც გარდაუვალია) უპირატესობას. ჩვენი ერთი, საკმაოდ ცნობილი და, ვფიქრობთ, საინტერესო სქემით, მაგალითად, შემოთავაზებულია ამ ქონებით ბიუჯეტში გადასახადის უკეთესი გადამხდელის წახალისება. შესაძლოა, უკეთესი მექანიზმიც არსებობდეს და სასურველია, ღია სახალხო ტენდერით ან კონსენსუსით გამოვლინდეს.

**პრივატიზაციის პროცესის ხელახალ შეჩერებას თუ გამოვრიცხავთ, ქონების უფასოდ დარიგების ალტერნატივა მისი ფულზე გაყიდვა და ამ ფულით ბიუჯეტის შევსებაა. რა ნაკლი და რა უპირატესობა აქვს ამ მოქმედებას?**

ვერ გავექცევით ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ბიუჯეტი გადასახადებით უნდა ივსებოდეს. გადასახადები ეკონომიკის განვითარების თანაზომიერად ავსებს ბიუჯეტს და ამ საფუძველზე უზრუნველყოფს საბიუჯეტო დაფინანსების და, შესაბამისად, ცხოვრების დონის მდგრადობას. შესაძლო რყევა, უარეს შემთხვევაში, თუნდაც მნიშვნელოვანი პროცენტული კლება ვერ გამოიწვევს ნგრევას. პრივატიზაციით, დახმარებებით ან ჯარიმებით მიღებული ერთჯერადი შემოსავლები კი არ უნდა წარმოადგენდნენ ბიუჯეტის შევსების წყაროს თუნდაც იმიტომ, რომ მათი ამოწურვის ან რაიმე მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში განათლების, თავდაცვის თუ სამართლის დაფინანსება, მნიშვნელოვანი სოციალური და სახელმწიფო პროგრამები ერთბაშად რჩება ჰაერში. ქვეყანა ინგრევა.

ქონებას თუ იმიტომ ყიდის სახელმწიფო, რომ ფული ბიუჯეტში შეიტანოს და იქედან ისევ ხალხს არგუნოს მისი წილი, მაშინ უკეთესია, მათ ეს სიმდიდრე პირდაპირ ქონების სახით დაურიგოს. მით უფრო, რომ ზოგჯერ მყიდველი ქვეყნისათვის არასასურველი სამხედრო პოლიტიკური ნიშნით იკვეთება და იაფადაც აღწევს მიზანს. ამოგებული ფულის დიდი ნაწილი ჩინოვნიკების ხელფასებში იფლანგება, ხალხს კი სიმდიდრე არ ემატება.

ამ პროცესის შედეგად მიღებული და მისაღები თანხებიც არაა მთლად ასტრონომიული. ერთი, მაქსიმუმ ორი მილიარდი დოლარი ის თანხა ნამდვილად არაა, რომლისთვისაც საკუთარი მოსახლეობის მასობრივ პირად გამდიდრებაზე უარის თქმა ღირს. მით უფრო, რომ ეს თანხა და ბევრად მეტიც საკუთარი მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის და საქმიანობის თვითლეგალიზების ამაღლებით, ბიუჯეტში გადასახადის სახით იქნებოდა ამოღებული!

**ქონების უფასოდ გაცემის მთავარ პრობლემად განაწილების მექანიზმის შერჩევა რჩება.**

ნებისმიერი მექანიზმის შერჩევის შემდეგ მოსალოდნელია, ბევრმა შემხვედრი ნახევარი ნაბიჯიც არ გადმოდგას გაუნათლებლობის, უნდობლობის ან უამრავი სხვა მიზეზის გამო. ელემენტარულად, უარი თქვას მოსვლაზე და თავისი კუთვნილის წაღებაზე.

მიუხედავად ამისა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ როცა მიზანი იქნება, ყველას გაუნაწილდეს ქონება, კარგი ახსნის პირობებში, ყველა თუ არა, ბევრი, ხალხის მთელი რაოდენობის მეხუთედი მაინც შეძლებს, სრულფასოვნად ისარგებლოს ხელისუფლებისაგან ბოძებული უპირატესობის სიკეთით, რაც დღევანდელ მონაცემებზე გადაანგარიშებით, სხვათა ინერტულობის გამო უკვე არა ხუთჯერ, თითოეული მათგანის საშუალოდ 20-30-ჯერ გამდიდრებას ნიშნავს.

ძალიან უხეშად და გასაშუალებულად რომ ვიანგარიშოთ, დღეს 2 ოთახის მფლობელი ჩვეულებრივი გონიერი სუბიექტი რაიმე განსაკუთრებული აქტიურობის გარეშე 40-60 ოთახის მფლობელი გახდება, თუმცა, რა თქმა უნდა, "ოთახების" ნაწილს რამე საწარმოს აქციების, სასაწყობე თუ საოფისე ფართების სახით მიიღებს. ასეთი მკვეთრი და, თან, კეთილსინდისიერი გამდიდრების ფონზე, თითოეული მათგანი ძველ პრობლემებსაც გადაფარავს, უკეთეს პირობებშიც განაგრძობს ცხოვრებას და საკმარისი ქონებაც მორჩება იმისთვის, რომ თავისი სამეწარმეო აქტივობა დაიფინანსოს. მათ შორის ვინ კიდევ უფრო გამდიდრდება და ვინ გაღარიბდება, ეს უკვე მათ ნიჭზე, უნარზე და, ნაწილობრივ, იღბალზეც იქნება დამოკიდებული.



თუ ჩვეულებრივ პირობებში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პრივატიზაციის შედეგად, როგორც წესი, რამდენიმე ერთეული მულტიმილიონერი იჩეკება, ქონების უფასო გადანაწილებით ჩვენთან ასი-ათასობით, დაახლოებით მილიონი აქტიური და ქონებრივად საკმაოდ მდიდარი, საკუთარი, პატრიოტი ინვესტორი შეემატება ქვეყანას.

ბევრი, ალბათ, უპირატესობის უფლებით ვაჭრობაში ჩაერთვება. ხელისუფლების დემოკრატიული მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საყურადღებოა დიდი ეკონომისტის, რობერტ ლუკასის აზრი: **"თუ ადამიანებს აქციების იაფად შეძენის, ხოლო შემდეგ მათი ძვირად გაყიდვის საშუალება ექნებათ, ამ შემთხვევაში ისინი (ანუ ქვეყანაც - ვ.ჩ.) სწრაფად გამდიდრდებიან და მხარს დაუჭერენ არსებულ ხელისუფლებას."**

**ხალხისათვის ქონების უფასოდ დარიგებას დიდი ეკონომიკური შინაარსი აქვს.**

შედარებით რთული გასაგებია, რომ საპრივატიზაციო ბარათი (ჩეკი, საპრივატიზაციო ფული), თავისი ძირითადი დანიშნულებით არა იმდენად ანტიკორუფციული და სოციალური, სწორედაც რომ უფრო ეკონომიკური ინსტრუმენტია, პრივატიზაციის ფონზე და მის სრულ დამთავრებამდე ეკონომიკის შესაძლო ვარდნის შემარბილებელი, მართლაც შეუცვლელი, უებარი საშუალებაა.

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის დროს გარდაუვალი მასობრივი პრივატიზაცია ანუ გასაყიდი ძირითადი ქონების უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბით მიწოდება ბაზარზე (ე.წ. "მიწოდების შოკი"), თავიდანვე იყო ნათელი, რომ გარდამავალ პერიოდში - პრივატიზაციის სრულ დამთავრებამდე - გამოიწვევდა ქვეყანაში არსებული მთელი ძირითადი ქონების საბაზრო ფასების ე.წ. "სამართლიან" (ანუ პრივატიზაციის დასრულების შემდეგ მოსალოდნელ) ფასებთან შედარებით დაბლა ვარდნას და, შესაბამისად, მეურნე სუბიექტების ფუნქციონირების საფუძვლების დროებით მოშლას.

ამ პროცესის მხრიდან გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე დროებით უარყოფითი ზეგავლენის შესარბილებლად აუცილებელი გახდა პრივატიზაციის პროცესის ცალკე, მკვეთრად გამიჯნული "დაფინანსება და ხარჯვა", დამცველი ეკონომიკური ინსტრუმენტის ამოქმედება ანუ რეკომენდირებული იქნა ამ მიზნით საპრივატიზაციო ბარათის (ჩეკის) მიმოქცევაში გაშვება.

**ამ მექანიზმით მართლაც ყველაზე სწრაფად შეიძლებოდა და კვლავაც შეიძლება ეკონომიკის რეალური მასშტაბებით ამოქმედება, საფონდო ბაზრის საბოლოო გაცოცხლება და საფონდო ინდექსის რეანიმაციის შემდეგ ეკონომიკური წარუმატებლობის პერიოდის საბოლოო დასრულება.**

თემის პოლიტიზირებას ყოველთვის ვერიდებოდით, თუმცა ამჯერად უკვე შეუძლებელია, ამ მიდგომის პოლიტიკური წონა დამალო.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინმა მოატყუა გლეხები და მუშები მიწის და ფაბრიკა-ქარხნების გადაცემის დაპირებით, ამ ლოზუნგით მოახდინა რევოლუცია. ქონება მესაკუთრეებს წაართვეს და მერე არც გლეხებს და მუშებს მისცეს.

ჩვენი მიდგომა კი, პირიქით, სრულ სიმართლეს ჰპირდება ხალხს. მათი შექმნილი ქონების გაუყიდავი ნაწილის მათთვისვე დაბრუნება უფასოდ მოხდება ისე, რომ ქვეყნის ეკონომიკაც მკვეთრად გაუმჯობესდება.

ეს რომ პოლიტიკურმა ძალამ გაიაზროს და გაითავისოს, ნებისმიერ არჩევნებში მის გამარჯვებას წინ ვეღარავინ დაუდგება. მცირე განმარტებაც საკმარისი იქნება ქვეყნის შიგნიდან ხალხის შედარებით გონიერი და აქტიური ნაწილის, გარედან კი ცივილიზებული დასავლეთის სრული მხარდაჭერის მისაღებად.

ჩემი შთაბეჭდილებით ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ძალა დღეს უპირატესად ემოციების ტყვეობაში იმყოფება და ამ დონის პრაგმატიზმისაგან ჯერ შორსაა.

ამ მიდგომის პირველადი გააზრებაც, სრულყოფილი კონსულტაციების ბოლომდე მიღებაც და აღსრულებაც დღეს, თუ მოინდომა, ვფიქრობ, ყველაზე უფრო, მმართველ ძალას ხელეწიფება.

**P.S.** ცნობილია, ქართველებს ანგარიში არ გვიყვარს. საქართველო პოეტების ქვეყანაა. ჰოდა, რახან ასეა, რუსთაველს მოვუსმინოთ:

" . . . რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!"-ო!!! - ბრძანა მან.

ინტუიცია მაინც არასდროს გვღალატობდა ქართველებს . . .

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

საუკეთესოთა
შორის საუკეთესოები



C2

„ბროსო" -
ზორბა, ტლანქი, უხეში



C3

14-ქულიანი
სინზინი



C4

## ფოთში საჭადრაკო ფესტივალი დაიწყო

ფოთი ნანა ალექსანდრიას თასზე საჭადრაკო ფესტივალს მასპინძლობს. მასში ხუთი ქვეყნის - საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პატარა მოჭადრაკეები იასპარეზებენ. ფესტივალი 15 ივლისს საზეიმოდ დაიხურება და გამარჯვებულს ნანა ალექსანდრიას სახელობის თასი გადაეცემა.

**„მოხარული ვარ, რომ ჩემი სახელობის ფესტივალი ჩემს მშობლიურ ქალაქში ტარდება. იმედი მაქვს, იგი წარმატებული იქნება და ტრადიციული გახდება", - განაცხადა ჭადრაკში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ნანა ალექსანდრიამ.**

**„საერთაშორისო ფესტივალში 300 პატარა მოჭადრაკე მონაწილეობს. საპრიზო ფონდი ათი ათასს ლარს შეადგენს. თანხა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყო. წარმატებულ მოჭადრაკეებს საპატიო დიპლომები და მედლები გადაეცემათ", - თქვა ფოთის საჭადრაკო-საშაშო სპეციალიზებული** სკოლის დირექტორმა დავით კოდუამ.

## ფიფამ ესპანეთი და ბრაზილია დააჯილდოვა

ბრაზილიისა და ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებებმა მეგობრულად გაიყვეს „Fair Play"-ის ჯილდო, რომელიც მათ ფიფამ მსოფლიო ჩემპიონატზე კორექტული თამაშისთვის გადასცა.

ორივე ნაკრებმა გამოკითხვაში თანაბარი - 886 ქულა დააგროვა. თავის მხრივ, სელესაომ ზემოხსენებული ჯილდო მეოთხედ მოიპოვა, ესპანელებმა კი - პირველად. თასის გარდა, გამარჯვებული ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს მედალი და ფულადი პრიზი - 50 ათასი დოლარი გადაეცემა.

## კაპელომ "რეალის" სარეკლამო ტურნე ჩაშალა

ესპანური პრესის ინფორმაციით, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ ჩილეში გასამართი საჩვენებელი მატჩი გუნდის ახალი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს მოთხოვნით გააუქმა.

„მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო გუნდის" ხელმძღვანელობას კარგად აქვს გააზრებული კლუბის ბრენდის რეკლამირება, ამ ეტაპზე წინასასეზონო მზადებას ვანიჭებთ უპირატესობას. როდესაც კაპელომ ამ ტურის შესახებ შეიტყო, მაშინვე მოგვთხოვა გაუქმება. ამის ნაცვლად, გუნდი ორ მატჩს გამართავს ჩრდილოეთ ამერიკაში", - განაცხადა „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა.

ამერიკაში პირველ მატჩს ესპანელები 12 აგვისტოს ადგილობრივ „სოლტ ლეიკთან" გამართავენ. ჯერჯერობით უცნობია, რომელ ამერიკულ გუნდთან გამართავს მეორე შეხვედრას მადრიდის „რეალი".

## მუტუ "ფიორენტინაში" გაიყიდა

ტურინის „იუვენტუსის" პრესსამსახურის განცხადებით, კლუბმა უარი თქვა რუმინელი თავდამსხმელის ადრიან მუტუს დატოვებაზე და 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ ფლორენციის „ფიორენტინაში" გაყიდა.

სატრანსფერო თანხა ფლორენციელებმა სამი წლის განმავლობაში უნდა აანაზღაურონ.

## ზიდანი მაინც საუკეთესოა

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაძევების მიუხედავად, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი ზინედინ ზიდანი კარიერის განმავლობაში მეორედ დასახელდა მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად. პირველად „ოქროს ბურთი" ზიდანმა 1998 წელს, სამშობლოში გამართული ჩემპიონატისას მიიღო.

გამოკითხვაში ზიდანმა 2012 ხმა მოაგროვა. მას ცოტათი ჩამორჩა „სკუადრა აძურას" კაპიტანი ფაბიო კანავარო (1977 ხმა) და მისი თანამემამულე ანდრეა პირლო (715).

მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში ზიდანი მეოთხე ფეხბურთელია, ვინც მუნდიალის ფინალში სამი გოლი გაიტანა. პირველი ორი ზიზუმ 1998 წელს გაიტანა.

აქამდე მსგავსი მიღწევა სამ ფეხბურთელს ჰქონდა - 1966 წელს ინგლისელმა ჯეფრი ჰერსტმა ერთ მატჩში მოახერხა სამივე გოლის გატანა გერმანელთა კარში. ბრაზილიელმა პელემ 1958 წელს ორი გოლი შვედებს (5:2) გაუტანა, ერთი კი 1970 წელს იტალიელებს (4:1). მეორე ბრაზილიელმა ვავამ დუბლი შეასრულა 1958 წელს, ერთი გოლი კი 1962 წელს ჩეხებს გაუტანა (3:1).

## გერმანია მოგებას ითვლის

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ტურნირის ორგანიზატორებმა მოგების დათვლა დაიწყეს.

აღმოჩნდა, რომ გერმანიაში ფეხბურთის მატჩებზე დასასწრებად ორი მილიონი ტურისტი ჩავიდა, ორჯერ მეტი, ვიდრე ორგანიზატორები ელოდნენ. სოციოლოგთა მონაცემებით, ტურისტთაგან ნახევარზე მეტი პირველად ესტუმრა გერმანიას და მათ უმეტესობას ძალიან მოეწონა ქვეყანა.

ფეხბურთის გულშემატკივრებმა გერმანიას მილიარდი ევრო მოგება მოუტანეს, თუმცა კიდევ უფრო მეტი დახარჯეს თავად გერმანელებმა - 3 მილიარდი ევრო.

ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხის გარდა, გერმანიის შემოსავალზე დიდად იმოქმედა 30-გრადუსიანმა სიცხემ. ადგილობრივი კაფე-ბარები თითქმის 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ - სიცხით გათანგული ქომაგები აუარებელ ლუდსა და გამაგრილებელ სასმელს იძენდნენ.

# მადლობა და ბოდიში ბრანდენბურგის ქიშკართან




*მადლობა ბუნდესნაკრებს.*

ნინო პირველი
*გერმანიიდან*

მსოფლიო ჩემპიონატის მცირე ფინალი - ორი იმედგაცრუებული დამარცხებულის ულიმღამო მატჩი მესამე ადგილისთვის... თამაში დიდი ფინალის წინ, რომლის შედეგი მხოლოდ ფანატიკოს ფანებს და სპორტულ კომენტატორებს თუ აინტერესებთ. ნახევარფინალში განცდილი მწარე მარცხის შემდეგ ხომ უკვე ყველაფერი სულ ერთია. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ტურნირს მესამე ადგილზე დაასრულებ თუ მეოთხეზე? ისტორია ხომ მხოლოდ ბედნიერ გამარჯვებულთა სახელებს შემოუნახავს მომავალ თაობას? რა აზრი აქვს საერთოდ ამ მატჩს? ჩვეულებრივ, ასეთი სევდიანი განწყობაა ხოლმე მუნდიალის ბოლოსწინა მატჩის დღეს, მაგრამ 2006 წლის 8 ივლისს ყველაფერი სულ სხვანაირად იყო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ყველა დიდ ფინალზე და ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობდა, ნახევარფინალში იტალიასთან განცდილი მარცხის შემდეგ არავის მოსვლია აზრად დამარცხებულთა გაკრიტიკება. გერმანიის ნაკრები ფანების ისეთ მხარდაჭერას და დიდ სიყვარულს გრძნობდა, როგორსაც მხოლოდ ნამდვილი ჩემპიონები თუ იღებენ სიხარულისგან გადარეული გულშემატკივრებისგან. იურგენ კლინსმანი და მისი გუნდი ყველასთვის სათაყვანებელ ვარსკვლავებად იქცნენ. ყოველი მატჩის შემდეგ ფანები საათობით ელოდნენ ფეხბურთელებს სასტუმროს წინ, სიმღერით და დროშების ფრიალით მისდევდნენ უკან გუნდის ავტობუსს, მთელი მატჩის განმავლობაში დაუღალავად ამხნევებდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ ფეხბურთელებს, მატჩის შემდეგ კი გათენებამდე ზეიმობდნენ ეროვნული ნაკრების წარმატებას. ასე იყო მცირე ფინალის დღესაც. მთელი სამი კვირის განმავლობაში ყველა იმედოვნებდა, რომ გერმანიის ნაკრების ბოლო დიდი გამოსვლა ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე შედგებოდა და არავის უნდოდა შტუტგარტზე ფიქრი, სადაც დანიშნული იყო მატჩი მესამე ადგილისთვის, მაგრამ როცა ცხადი გახდა, რომ კლინსმანის გუნდის ნაცვლად იტალიელები მიდიოდნენ ბერლინში, გულშემატკივრებმა მაშინვე შტუტგარტში გამგზავრებისთვის დაიწყეს მზადება. ელვის სისწრაფით გაიყიდა დარჩენილი ბილეთები. გერმანელ ფანებს არაფრით არ სურდათ ეროვნული გმირებისთვის ზურგის შექცევა. მერე რა, რომ ფინალში ვერ გავედით? არც მესამე ადგილია ურიგო. ახლა მხოლოდ პორტუგალიელთა დამარცხებაა მთავარი. ჩემპიონის ტიტულს კი აუცილებლად მოვიპოვებთ 2010 წელს, სამხრეთ აფრიკაში. ახლა კი წინ, შტუტგარტისკენ!

გაგრძელება C2 გვერდზე

## 32 გუნდი 32 ისტორია

დასრულდა ერთთვიანი საფეხბურთო მარათონი. გულშემატკივარი ცოტა ხანს ფეხბურთისგან დაისვენებს. რიგით მე-18 მსოფლიო ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. დღეს იმ 32 გუნდის გახსენება გვსურს, რომლებიც ამ ერთი თვის განმავლობაში დაუვიწყარ სანახაობას გვჩუქნიდნენ. ურიგო არ იქნება, თუ თითოეულ გუნდზე რამდენიმე სიტყვას ვიტყვით და მათ სამუნდიალო მონაგარს შევაფასებთ.

### ჩემპიონი - იტალია

„აძურამ" მეოთხედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მარჩელო ლიპიმ ოდნავ განსხვავებული იტალიის ნაკრები გვიჩვენა, რომელმაც ამ მუნდიალზე რიგ შეხვედრებში თავისთვის უჩვეულო, საკმაოდ შემტევი ფეხბურთი ითამაშა. ლიპიმ კი დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. იტალიის ჩემპიონობა სრულიად დამსახურებულად უნდა მივიჩნიოთ.

### ვიცე-ჩემპიონი - საფრანგეთი

უფერულად ჩატარებული ჯგუფური ტურნირის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებმა საუცხოო ფეხბურთი აჩვენა. ფინალურ მატჩში მომხდარი ინციდენტის მიუხედავად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ზინედინ ზიდანი თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია. ზიზუმ ფაქტობრივად მარტომ მიიყვანა სამფეროვნები ფინალამდე. ესპანეთის, ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან მატჩებში კი საოცარი ფეხბურთი აჩვენა.

### მესამე ადგილი - გერმანია

კლინსმანის გუნდმა ამ მუნდიალზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბუნდესნაკრებს სრულ ფიასკოს უწინასწარმეტყველებდნენ. გერმანიაში კლინსმანის გუნდის ბრინჯაოს მედლები ტრიუმფად იქნა აღქმული.

### მეოთხე ადგილი - პორტუგალია

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი მუნდიალის ერთ-ერთ სიურპრიზადაც შეიძლება ჩაითვალოს. პორტუგალიური ფეხბურთის ოქროს თაობის უკანასკნელი მოჰიკანი ლუიშ ფიგუ კი ლამაზად დაემშვიდობა სანაკრებო კარიერას.

### მეოთხედფინალისტები

#### არგენტინა

ჯგუფურ ეტაპზე ალბისელესტემ უაღრესად ლამაზი ფეხბურთი აჩვენა. არგენტინელებს ნაწილობრივ არ გაუმართლათ, თუმცა შეიძლება ვისაუბროთ მწვრთნელის შეცდომებზეც, რომელმაც ლიო მესის არა და არ მისცა თამაშის საშუალება და გერმანიაში არ წაიყვანა ხავიერ ძანეტი.

#### ბრაზილია

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა საოცრად უსახური ფეხბურთი აჩვენა. დამძიმებული რონალდო და ადრიანო, გადაღლილი რონალდინიო და დაბერებული კაფუ. ერთადერთი, რაც ბრაზილიის ნაკრების აქტივში უნდა ჩაითვალოს, რონალდოს რეკორდია. ბრაზილიელი ფენომენი ამ მუნდიალზე გატანილი სამი გოლის წყალობით მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირად იქცა.

#### ინგლისი

გუნდი, რომელსაც საოცრად არ გაუმართლა. ჩემპიონატის დაწყებამდ ტრავმები მიიღეს რუნიმ და ოუენმა. ინგლისელებს კიდევ ერთხელ არ გაუმართლათ პენალტების სერიაში, გადამწყვეტ მატჩში კი დაშავდა ბექჰემი, ხოლო რუნი მინდვრიდან გააძევეს.

#### უკრაინა

ოლეგ ბლოხინის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის უპირველესი სენსაციაა. მუნდიალის დებიუტანტმა გუნდმა მეოთხედფინალში თამაში შეძლო. თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელთა ლიდერი ანდრეი შევჩენკო მთლად კარგ ფორმაში არ იყო.

### მერვედფინალები

#### ავსტრალია

გუუს ჰიდინკის გუნდისთვის მერვედფინალში გასვლა მაქსიმუმად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ავსტრალიელებს მეტიც შეეძლოთ - მათ ხომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან მერვედფინალური დაპირისპირება მატჩის მიწურულს უსამართლოდ დანიშნული პენალტის გამო წააგეს.

#### ეკვადორი

მსოფლიო ჩემპიონატამდე არსებობდა მოსაზრება, რომ ეკვადორელებს მხოლოდ საკუთარ მინდორზე შეუძლიათ კარგად თამაში. მუნდიალმა ამ აზრის აბსურდულობა დაგვანახა.

#### განა

ერთადერთი აფრიკული გუნდი, რომელმაც მერვედფინალურ სტადიაზე ითამაშა. განელებს ურიგო ფეხბურთი არ უჩვენებიათ, მაგრამ ბრაზილიასთან მერვედფინალურ მატჩში ამ გუნდის ფეხბურთელები მარცხს წინასწარ იყვნენ შეგუებულნი.

#### მექსიკა

მექსიკელები შესაძლოა მეტსაც იმსახურებდნენ, თუმცა ლავოლპეს გუნდს მერვედფინალში აშკარად არ გაუმართლა. ერთი კია: მექსიკა-არგენტინის მერვედფინალური მატჩი ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა გამოდგა.

#### ჰოლანდია

მას შემდეგ, რაც მარკო ვან ბასტენის გუნდმა სიკვდილის ჯგუფიდან იოლად გააღწია, ნარინჯისფერები კარგად ორგანიზებული პორტუგალიის ნაკრების ბარიერს წააწყდნენ და მუნდიალსაც სრულიად ლოგიკურად დაემშვიდობნენ.

#### ესპანეთი

ესპანეთის ნაკრები ტრადიციას არ ღალატობს. ბრწყინვალედ ჩატარებული ჯგუფური ტურნირის შემდეგ ესპანელებმა საფრანგეთის წინააღმდეგ მატჩში დაყარეს ფარ-ხმალი. არაგონესს კარგი ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა, რომელსაც გამოცდილება არ ეყო.

#### შვედეთი

მერვედფინალში თამაში ამ გუნდისთვის მაქსიმუმად უნდა ჩაითვალოს. ჯგუფურ ეტაპზე შვედებმა მხოლოდ ერთ მატჩში აჩვენეს ნორმალური ფეხბურთი და არც მერვედფინალში გამოუდიათ თავი.

# მადლობა და ბოდიში ბრანდენბურგის ჭიშკართან

პირველი გვერდიდან


რანდენბურგის ჭიშკართან გერმანიის ნაკრებს შეხვედრა მოუწყვეს.

მუნდიალის უკანასკნელ მატჩში გერმანიის ნაკრები სულ სხვა სახით წარუდგა გულშემატკივრებს. იენს ლემანის ნაცვლად მასპინძელთა კარს იცავდა კაპიტნისსამკლაურიანი ოლივერ კანი, მოქმედი კაპიტანი მიხაელ ბალაკი კი ტრამვის გამო სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ვეტერანი მცველი იენს ნოვოტნი ტრამვირებულ პერ მერტესაკერის ადგილზე თამაშობდა. მოკლედ, იურგენ კლინსმანმა ნაკრების ყველა წევრს მისცა მსოფლიო ჩემპიონატზე ერთხელ მაინც გამოსვლის შანსი. ყველაზე დიდი აჟიოტაჟი ოლივერ კანის დაბრუნებას მოჰყვა. მიუნხენის „ბაიერნის" ტიტანი წლების მანძილზე გერმანიის ნაკრების შეუცვლელი ნომერ პირველი მეკარე იყო, სანამ იურგენ კლინსმანი იენს ლემანის პირველ მეკარედ დასახელებას გაბედავდა. ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და დიდი პოლემიკის საბაბად იქცა, მაგრამ იენს ლემანმა კლინსმანის იმედი თითქმის ასი პროცენტით გაამართლა. ლონდონის „არსენალის" კარის მცველმა მთელი ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ყველას შეაყვარა თავი. მეოთხედფინალში არგენტინასთან აღებული ორი პენალტის შემდეგ ლემანი ეროვნულ გმირად იქცა, მაგრამ იმ დღეს ოლივერ კანმაც მოახერხა საზოგადოების ყურადღების დამსახურება. თერთმეტმეტრიანების სერიის დაწყებამდე „ოლი" მეგობრულად გადაეხვია თავის დაუძინებელ მტერს და წარმატებები უსურვა. ლემანი ისე გაახარა კანის მხარდაჭერამ, რომ მატჩის შემდეგ მაშინვე ყოფილი მეტოქისკენ გაიქცა და მხურვალედ გადაეხვია. ამით დასრულდა ორი დიდი მეკარის შუღლი. ლემანმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ოლივერ კანს ბოლო მატჩში მაინც მისცემოდა თამაშის საშუალება. ფანები აღტაცებით შეეგებნენ ყოფილ ნომერ პირველს. ყოველი მოგერიებული ბურთის შემდეგ მთელი სტადიონი კანის სახელს გაჰყვიროდა და აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს. მერე რა, რომ „ოლიმ" ერთი გოლი გაუშვა? სამაგიეროდ, ბასტიან შვაინშტაიგერმა სამჯერ გაამწარა პორტუგალიელთა გმირი რიკარდუ, მეოთხედფინალში ინგლისელებთან აღებული სამი პენალტის შემდეგ მთელ პორტუგალიას მსოფლიოს საუკეთესო მეკარე რომ ეგონა. ერთი გოლი არაფერია, ისიც 87-ე წუთზე, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილია. დაე, პორტუგალიელებმაც გაიხარონ ცოტა. ოდესღაც დიდ ტალანტად შერაცხული ნუნუ გომეში ნამდვილად იმსახურებს ერთ გოლს...

გერმანიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი მასპინძელი გუნდისთვის მესამე ადგილის მოპოვებით დასრულდა, მაგრამ იურგენ კლინსმანის ნაკრები გულთა ჩემპიონი გახდა და არა მარტო გერმანიაში. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მთელი მსოფლიოს პატივისცემა დაიმსახურეს. 9 ივლისს, დიდი ფინალის დღეს, გერმანიის ნაკრები ბერლინში გაემგზავრა უამრავი ფანისთვის მადლობის გადასახდელად. ბერლინის უზარმაზარი ფანთა პროსპექტი კიდევ ერთხელ გადაიჭედა ეროვნული დროშის ფერებით მორთული გულშემატკივრებით. ფეხბურთელებსაც შავ-წითელ-ოქროსფერი მაისურები ეცვათ, ზურგზე ყველას „მადლობა" ეწერა. მადლობა იმ დიდი სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის, რასაც გუნდის თითოეული წევრი მთელი ერთი თვის მანძილზე დაუსრულებლად იღებდა ფანებისგან, მადლობა იმ არაჩვეულებრივი განწყობისთვის, რამაც მთელი მსოფლიო გააოცა და გერმანელი ერი სულ სხვა სახით წარმოაჩინა. მადლობა იმისთვის, რომ ყოველთვის გჯეროდათ ნაკრების წარმატების და ასე საოცრად ზეიმობდით გამარჯვებას ყველა მატჩის შემდეგ. მადლობა და ბოდიში, რომ ზეიმი ასე ნაადრევად დასრულდა და ფინალის დღეს ჩვენს ნაცვლად იტალიელებმა იბრძოლეს ჩემპიონის ტიტულისთვის. საწყენია, მაგრამ ეს დასასრული სულაც არ არის. ოთხი წლის შემდეგ ჩვენ კიდევ მოგცემთ ზეიმის საბაბს. ახლა კი გმადლობთ ყველაფრისთვის. ეს შესანიშნავი, დაუვიწყარი ჩემპიონატი იყო!

# იტალიური ფეხბურთის ბედი ოთხშაბათს გადაწყდება

კვირას იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა და თითქოს კალჩოს წინსვლაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, „სკუადრა აძურას" მსოფლიო ჩემპიონობა, შესაძლოა, ჩრდილში მოექცეს.

წესით და რიგით, იტალიურ საფეხბურთო ტრიბუნალს გუშინ უნდა გამოეტანა ვერდიქტი ოთხი იტალიური გრანდისთვის, რომლებიც საფეხბუროთ მაქინაციებში არიან მხილებულნი. თავადაც მოგეხსენებათ, რაშია საქმე. „იუვენტუსს", „ლაციოს", „ფიორენტინას" და „მილანს" მატჩების ჩაწყობაში ადანაშაულებენ, ტურინულ გრანდს კი საერთოდ ყველა უბედურება დააბრალეს. ამ კლუბის ყოფილი მმართველი დირექტორი ლუჩანო მოჯი იტალიური ფეხბურთის „ნათლიადაც" შერაცხეს.

როგორც ჩანს, იტალიის ნაკრების ჩემპიონობამ ტრიბუნალის გულიც მოალბო, ყოველ შემთხვევაში, განაჩენის გამოქვეყნება ოთხშაბათისთვის გადაიდო.

რა არის ამის მიზეზი, ძნელი სათქმელია, თუმცა ვერსიები არსებობს. პირველი: შესაძლოა, მოსამართლემ მართლაც ვერ მოასწრო საქმის დეტალების ბოლომდე შესწავლა და საფიქრელად კიდევ ორი დღე დაიტოვა. არსებობს იმის ალბათობაც, რომ იტალიის ნაკრების ჩემპიონობის გამო მოსამართლემ გადაწყვეტილება შეცვალა და ახლა ამ ოთხეულის გამართლებას აპირებს. და კიდევ ერთი ვერსია, ალბათ, ყველაზე რეალური: პროკურატურის მოთხოვნით ოთხივე გუნდი მკაცრად უნდა დაისაჯოს. მოგეხსენებათ, „იუვენტუსი" სერია C-სთვის გაწირეს, „მილანი", „ფიორენტინა" და „ლაციო" კი სერია B-ს ბინადრები უნდა გახდნენ. ახლა თავად განსაჯეთ, როგორ უნდა გამოეცხადებინა ასეთი ვერდიქტი მოსამართლეს მას შემდეგ, რაც იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუშინ იტალიაში საყოველთაო ზეიმი იყო და, როგორც ჩანს, ტრიბუნალმა, უბრალოდ, არ ისურვა თავისი ვერდიქტით ეს ზეიმი გაეფუჭებინა.

იტალიური მედიის ვარაუდით, სწორედ ბოლო ვერსიაა სწორი: მოსამართლე ელის, როდის დაცხრებიან გულშემატკივრები, რათა იტალიური ფეხბურთისთვის ეს მეტად მძიმე ვერდიქტი გამოაცხადოს.

თუ სასამართლომ მართლაც მიიღო ოთხეულის დასჯის გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტი იტალიურ ფეხბურთს რამდენიმე ნაბიჯით უკან დახევს. ჯერ ერთი: იტალიის ელიტური დივიზიონი საკუთარ ხიბლს დაკარგავს. მეორე: ჩემპიონთა ლიგაზე იტალიური წარმომადგენლობა საოცრად სუსტი იქნება. მესამე: საერთოდ აირევა სატრანსფერო ბაზარი.

თავად განსაჯეთ, რა მოხდება, როდესაც ამ ოთხეულის წამყვანი ფეხბურთელები ტრანსფერზე დადგებიან.

მოკლედ, ოთხშაბათს იტალიის საფეხბურთო ტრიბუნალს უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. იმოქმედებს თუ არა მოსამართლეზე იტალიის ნაკრების ჩემპიონობა, ძნელი სათქმელია. ერთი კია: იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა, რომელთა უმეტესობა სწორედ ამ ოთხი გუნდის ღირსებას იცავს, უკვე მიმართეს თხოვნით სასამართლოს, რათა განაჩენი ლმობიერი იყოს.

# საუკეთესოთა შორის საუკეთესოები

დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი და დადგა საუკეთესო ფეხბურთელებისა და გუნდების დასახელების დრო. 2006 წლის მუნდიალს მსოფლიო ჩემპიონის გარდა თავისი ლაურეატებიც ჰყავს. როგორც იცით, მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ტიტული გერმანიის ნაკრების ფორვარდს ლუკაშ პოდოლსკის გადაეცა. ეს ფინალურ მატჩამდე იყო ცნობილი.

ფინალის შემდეგ კი გაირკვა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის, ბომბარდირისა და მეკარის ვინაობაც. რაც შეეხება ბომბარდირს, ამ ტიტულის მფლობელიც ფაქტობრივად ფინალამდე იყო გარკვეული. მუნდიალის „ოქროს ბუცი" გადაეცა გერმანიის ნაკრების თავდამსხმელს მიროსლავ კლოზეს, რომელმაც ამ ჩემპიონატზე 5 გოლი გაიტანა. ლევ იაშინის სახელობის საუკეთესო მეკარის პრიზით კი იტალიელთა კიპერი ჯანლუიჯი ბუფონი დააჯილდოეს. ალბათ არც ეს იწვევს გაკვირვებას. ბუფონმა ამ ჩემპიონატზე ორად ორი გოლი გაუშვა საკუთარ კარში. ერთი - პენალტით, ერთი კი - საკუთარი თანაგუნდელის დარტყმის შემდეგ. ფინალში ჯიჯი ბუფონმა ერთ-ერთ მომენტში იტალიელები ასპროცენტიანი გოლისგან იხსნა ზინედინ ზიდანის თავური დარტყმის შემდეგ. აღსანიშნავაია, რომ საუკეთესო მეკარის პრიზს 1994 წლის შემდეგ აძლევენ. ეს ტიტული უკვე მოგებული აქვთ: ბელგიელ მიშელ პრიუდომს (1994), ფრანგ ფაბიენ ბარტეზს (1998) და გერმანელ ოლივერ კანს (2002).

რაც შეეხება ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს: ჟურნალისტთა და ფეხბურთის სპეციალისტთა გამოკითხვის შემდეგ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა საფრანგეთის ნაკრების სუპერვარსკვლავი ზინედინ ზიდანი. ზიზუმ გამოკითხვაში 2012 ხმა მიიღო. მეორე ადგილზე გასულმა ფაბიო კანავარომ - 1977, მესამე ადგილზე კი 715 ხმით იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეა


ზიდანი მაინც საუკეთესოდ აღიარეს.

პირლო გავიდა. ზიდანს ოქროს ბურთს გადასცემენ, კანავაროს და პირლოს კი, შესაბამისად, - ვერცხლის და ბრინჯაოს.

ამავე დროს დასახელდა ორი გუნდი, რომლებმაც Fair Play-ს პრიზი მიიღეს. ეს ჯილდო ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს გადაეცათ.

მოკლედ, გაირკვა მუნდიალის ყველა ლაურეატი. შესაძლოა, ვინმემ ეჭვი გამოთქვას ზიდანის საუკეთესოობაში. ის, რაც ფრანგმა ფინალში ჩაიდინა, მართლაც არ შეეფერება დიდ ფეხბურთელს, მაგრამ ფეხბურთელიც ადამიანია და, შესაძლოა, ნერვებმა მასაც უღალატოს. მთლიანობაში კი ზიდანი აშკარად საუკეთესო იყო.

ცხადია, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს ასეთი საქციელი არ შეეფერება და, ვინ იცის, ვინ მოიპოვებდა ოქროს ბურთს, რომ არა ერთი საინტერესო დეტალი. როგორც გაირკვა, ხმის მიცემა ფინალური მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ დასრულდა. ამ დროისთვის კი ზიდანი უდავოდ საუკთესო იყო.

ზიდანი თითქმის ყველამ გაამართლა. ამის თაობაზე არაერთი კომენტარი გაკეთდა. ყველა აღნიშნავს, რომ დიდ ფეხბურთელებსაც ღალატობთ ნერვები. ალბათ ყველას აინტერესებს, ასეთი რა უთხრა ზიდანს მატერაციმ. ბრიტანულ გაზეთ „გარდიანის" ინფორმაციით, იტალიელმა ფეხბურთელმა ალჟირული წარმოშობის ფრანგ ვარსკვლავს ტერორისტი უწოდა. სწორედ ამან გამოიყვანა წყობილებიდან ზიდანი.

ფრანგი ფეხბურთელების აზრით, მატერაციმ ზიდანი პროვოკაციაზე წამოაგო. ერთ-ერთ უცხოურ საიტზე გამოქვეყნდა ბუფონის საინტერესო კომენტარი, რომელშიც იტალიელთა მეკარე თანაგუნდელს ამტყუნებს, ამბობს, რომ მატერაცის საქციელი უღირსი იყო და მას არ სურს ასეთ ადამიანთან ერთად ერთ გუნდში თამაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომენტარი ერთადერთმა საიტმა გამოაქვეყნა. სხვა სააგენტოები ბუფონის ამგვარ კომენტარს არ ავრცელებენ.

## 32 გუნდი 32 ისტორია

#### შვეიცარია

ამ გუნდის გასვლა მერვედფინალში ნაწილობრივ მსაჯების დამსახურებაცაა. მერვედფინალში კობი კუნის გუნდმა გარკვეულწილად ანტირეკორდიც კი დაამყარა. პენალტების სერიაში შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა ვერც ერთი პენალტი ვერ გაიტანეს.

### ჯგუფური ეტაპი

#### ანგოლა

ტიპური აფრიკული გუნდი, რომლის ფეხბურთელებსაც მუნდიალზე გამოცდილება არ ეყოთ. ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია.

#### კოსტა რიკა

კოსტა რიკის ნაკრები სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა, თუმცა თავიდანვე განწირული იყო ჯგუფში ჩარჩენისთვის.

#### კოტ-დ ივუარი

სპილოებს წილისყრით არ გაუმართლათ. ნებისმიერი სხვა ჯგუფიდან კოტდივუარელები ალბათ შეძლებდნენ მერვედფინალში გასვლას.

#### ხორვატია

ტურნირის ერთ-ერთი იმედგაცრუება. ალბათ ბევრს ეგონა, რომ ჯგუფიდან ბრაზილიასთან ერთად სწორედ ხორვატია გავიდოდა, მაგრამ 1998 წლის მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორებმა აშკარად ვერ შეძლეს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენა.

#### ჩეხეთი

ჩეხეთის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ იმედგაცრუებად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში გარკვეულ უიღბლობაზეც შეიძლება საუბარი. ჯგუფური ტურნირის პირველივე მატჩის შემდეგ ჩეხები ფაქტობრივად ფორვარდის გარეშე დარჩნენ.

#### ირანი

ირანის ნაკრებმა მუნდიალზე შესაძლებლობის მაქსიმუმი ვერ გამოავლინა. ტურნირის დაწყებამდე ეს გუნდი, სულ ცოტა, სამი ქულის აღებას გეგმავდა.

#### იაპონია

ორი გოლი და ერთი ქულა - ასეთი იყო ზიკოს გუნდის მონაგარი ამ მსოფლიო ჩემპიონატზე. ცხადია, იპონელებს მეტის იმედი ჰქონდათ, მაგრამ სათამაშო კლასი არ ეყოთ.

#### სამხრეთ კორეა

ტოგოს ნაკრების დამარცხების შემდეგ კორეელებს მერვედფინალში გასვლის იმედი მიეცათ, თუმცა, ოთხი წლის წინანდელი მუნდიალისგან განსხვავებით, ამჯერად ტურნირს ევროპა მასპინძლობდა და კორეელებს მსაჯები არ დაეხმარნენ.

#### პარაგვაი

ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ წაგებული ორი მატჩის შემდეგ პარაგვაელები ტურნირს გამოეთიშნენ და მესამე მატჩის მოგება მხოლოდ მცირე ნუგეშად ექცათ.

#### პოლონეთი

ტურნირის კიდევ ერთი იმედგაცრუება. შესარჩევი ციკლის ბრწყინვალედ გამართვის შემდეგ პოლონელებმა მსოფლიო ჩემპიონატი პირწმინდად ჩააგდეს.

#### საუდის არაბეთი

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს გუნდი ჯგუფში ჩარჩებოდა და ასეც მოხდა. არაბებმა სენსაცია ვერ შემოგვთავაზეს, თუმცა ამას მათგან არც არავინ ითხოვდა.

#### სერბეთი

ეს იყო უნიკალური გუნდი - ნაკრები ქვეყნისა, რომელიც უკვე აღარ არსებობს. შესაბამისად, მუნდიალზე სრული ფიასკო განიცადა.

#### ტოგო

მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა სამივე მატჩი წააგო, მუნდიალზე ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ამავე ნაკრებს უკავშირდება ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სკანდალი, როდესაც გუნდის მწვრთნელს ნაკრებიდან მუნდიალის დაწყებამდე ერთ დღით ადრე აგდებდნენ.

#### ტრინიდადი და ტობაგო

გერმანიაში გატარებული ორი კვირა ამ გუნდისთვის წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ტურნირის დაწყებამდე ტრინიდადელები აშკარა აუტსაიდერებად ითვლებოდნენ. შვედებთან ფრედ დამთავრებული მატჩი კი ამ გუნდისთვის უდიდეს წარმატებად იქცა.

#### ტუნისი

ტუნისელებს ჰქონდათ მერვედფინალში გასვლის შანსი, თუმცა გადამწყვეტ მატჩში უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ მსაჯმა რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და ტუნისელების იმედიც მოკლა.

#### აშშ

გერმანული მუნდიალი ამერიკელებისთვის წარუმატებელი გამოდგა. მხოლოდ ერთი ქულა ნამდვილად არ იყო ის პროგრამა-მინიმუმი, რომელსაც ამბიციური ამერიკელები მუნდიალამდე გეგმავდნენ.

# „სიონის“ სალიგო დებიუტი

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება საქართველოს ჩემპიონის, ბოლნისის „სიონის“ დებიუტი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში. წილისყრამ ბოლნისელები აზერბაიჯანის ჩემპიონს „ბაკის“ შეახვედრა.

„სიონი“ ამ ტურნირისა და მოახლოებული სეზონისთვის ემზადებოდა იალტაში, სადაც რამდენიმე ამხანაგური ტესტმატჩიც გამართა. გუნდი ერთი კვირის წინ დაბრუნდა საქართველოში და საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება გააგრძელა. გუშინ „სიონმა“ მესხის სახელობის არენაზე მატჩისწინა ვარჯიში გამართა, რომლის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ პრესკონფერენცია მოაწყვეს.



როგორც გაირკვა, მალე „სიონის“ სტადიონი საერთაშორისო დონის გახდება, რისთვისაც კლუბის ხელმძღვანელობა არაფერს იშურებს. კლუბმა უკვე ჩამოაყალიბა ფარმკლუბი „სიონი 2“, რომელიც ან რეგიონალლიგაში იასპარეზებს, ან საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში და ძირითადი გუნდის მთავარი დასაყრდენი გახდება.

„კლუბმა ყველა საკონტრაქტო ვალი გაისტუმრა და ახალი სეზონისათვის ვემზადებით. გავიარეთ უცხოური საწვრთნელი შეკრება, მოვიწვიეთ ახალი ფეხბურთელები, მათ შორის, ლეგიონერები, ვატარებთ სტადიონის რეკონსტრუქციას, შევქმენით ფარმკლუბი. ერთი სიტყვით, ბოლნისის „სიონი“ ნამდვილად არ არის ერთი წლის გუნდი. გვინდა, რომ ქვემო ქართლში ნამდვილი საფეხბურთო ცენტრი შევქმნათ. ამისთვის, დიდი სურვილის გარდა, ფინანსური ბაზაც გვაქვს“, - განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა.

კახა ცხადაძე ჩატარებული საწვრთნელი შეკრებით და გუნდის ახალწვეულებით კმაყოფილია. მეტოქეზე პატივისცემით საუბრობს და პროგნოზებისგან თავს იკავებს.

„რამდენიმე ახალწვეული გვყავს. დავიმატეთ სამი კამერუნელი - ებოჩი, ჩირემი და ჩუიოლმო. მათგან ორი მცველია, ერთი - ფორვარდი. სამივე საკმაოდ ახალგაზრდაა - 1983 და 1985 წლებში დაბადებულები. თუმცა, ოსტატობას ვერ დაუწუნებთ. მათი დიდი იმედი გვაქვს. რაც მთავარია, ყველა ფორმალობა მოვაგვარეთ და განაცხადში სამივეს შეყვანა მოვასწარით. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ხვალ ძირითად შემადგენლობაში გამოვიყვანო. შევინარჩუნეთ ჭიჭვეიშვილი. დავიმატეთ ნიჭიერი ახალგაზრდა ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე. თბილისის „დინამოსთან“ შეთანხმებას მივაღწიეთ და ქუცურუაც ჩვენთან ითამაშებს. გუნდი დატოვეს ხუციშვილმა, ხმალაძემ, სირბილაძემ და თედორაძემ. საწყენია, რომ კამერუნელები და ჭიჭვეიშვილი შეკრებაზე თავიდანვე ჩვენთან ერთად არ იყვნენ. ხელი შეგვიშალა სავიზო ფორმალობებმა. ამის გამო გუნდური თამაშის ხარისხი ისეთი არ არის, როგორსაც ვისურვებდი“, - თქვა კახა ცხადაძემ.

აზერბაიჯანული ფეხბურთი ნამდვილად აღარ არის ისეთი, საბჭოთა წლებში რომ გვინახავს.

„მეტოქეზე ბევრი ინფორმაცია არ გვაქვს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი კაპიტალდაბანდებები განხორციელდა, რის გამოც დონემ საკმაოდ აიწია. ეს ძირითადად უცხოელი ლეგიონერების მიწვევის ხარჯზე მოხდა. ჩვენი მეტოქის შემადგენლობაში ათზე მეტი ლეგიონერი თამაშობს. რუმინელი, ლიტველი, არგენტინელი, ხორვატი ფეხბურთელები, რომელთა შორისაა ორი ქართველი - ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალეკო გოგობერაშვილი და გასული სეზონის საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი გია მეგრელაძე. ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მუდმივად 8-9 ლეგიონერია. იმის თქმა, რომ „ბაკისთან“ მატჩში უდავო ფავორიტები ვართ, ნამდვილად არ შეიძლება. მეტოქე საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ასე რომ, პროგნოზის გაკეთება და შანსებზე საუბარი არასწორი იქნება. ამ თემაზე საუბარი პირველი მატჩის მერე შეიძლება“, - განაცხადა „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა.

# „გროსო“ - ზორბა, ტლანქი, უხეში

მარი ჯავახიშვილი

„გროსო“ იტალიური სიტყვაა და ქართულად ერთბაშად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ქართულად ამ სიტყვის ყველაზე გავრცელებული შესატყვისია ზორბა, ტლანქი, უხეში.

გროსო რომში დაბადებული 28 წლის ფეხბურთელის გვარიცაა. თუმცა, ფაბიო გროსო არც სიტლანქეს უჩივის და არც უხეშობას - 190 სანტიმეტრი სიმაღლისა და 79 კილოგრამი წონის მარცხენა მცველი მოედანზე საკმაოდ მსუბუქი და მოძრავია, თამაშობს ხისტად, მაგრამ წესების სრული დაცვით.

კორექტულობის მიუხედავად, ერთი „შავი ლაქა“ გროსოს წარსულსაც ამშვენებს - სერია ა-ში ხუთწლიანი თამაშის განმავლობაში მის ანგარიშზე ორი წითელი ბარათია. ამათგან ერთი იტალიის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში(!) დაიმსახურა.

2001 წელს, აგვისტოს ბოლოს, სერია ა-ს სასტარტო შეხვედრაში „პერუჯას“ ახალწვეული „ინტერთან“ მატჩში გამოვიდა მოედანზე. სამწუხაროდ, ბოლომდე თამაში არ დასცალდა. მეორე ტაიმის პირველ დამატებით წუთზე საკუთარ საჯარიმოში მოჰამედ კალონის წინააღმდეგ გამოჩენილი უხეშობისთვის მსაჯმა ფაბიო გროსოს წითელი ბარათი უჩვენა. კრისტიან ვიერიმ ბრწყინვალედ შეასრულა პენალტი და ანგარიში 3:1-მდე გაზარდა. რამდენიმე წუთში „ინტერმა“ კიდევ ერთი ბურთი მიითვალა.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და ფაბიო გროსო სწორედ „ინტერის“ მაისურას მოირგებს. მუნდიალის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მორატის კლუბმა სიცილიურ „პალერმოს“ ტანმაღალი მცველის სანაცვლოდ 5,5 მილიონი ევრო გადაუხადა. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნერიაძურის“ ხელმძღვანელობამ სარფიანი ტრანსფერი განახორციელა - ახლა მსოფლიო ჩემპიონ გროსოს სანაცვლოდ მისი შეძენის მსურველ კლუბს, სულ ცოტა, ორჯერ მეტის გადახდა მოუწევს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ გროსოს ორგზის გმირობის დამსახურებაა, „სკუადრა აძურამ“ მეოთხედ რომ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა.



პირველად „ინტერის“ მცველმა ჩემპიონატის მერვედფინალში ავსტრალიელებთან მატჩში გაიბრწყინა, როცა თამაშის დასრულებამდე ოთხი(!) წამით ადრე გუნდს პენალტის დარტყმის უფლება მოუპოვა. ესპანელი არბიტრის ლუის მედინა კანტალეხოს მიერ ავსტრალიელთა კარში დანიშნულმა თერთმეტმეტრიანმა ცხარე პოლემიკა გამოიწვია. უმრავლესობა იმ აზრზე იდგა, რომ ავსტრალიელ ნილსს წესები არ დაურღვევია, გროსოს კი სიმულანტობაში ადანაშაულებდნენ.

თავად იმ მატჩის გმირმა (თუ გნებავთ ანტიგმირმა) ინციდენტი ასე ახსნა: „საჯარიმოსთან ახლოს მეტოქე გუნდის ერთი ფეხბურთელი ჩამოვიშორე, თუმცა მერე სხვა ამეხლართა ფეხებში. ეს ნილი იყო, რომელსაც ველარ დავუძვერი. არადა, კარში დარტყმა მინდოდა. ასეა თუ ისე, ეს მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს კარიერაში. მატჩის დამატებით დროში გადასვლის შემთხვევაში, დიდი შანსი იყო, დავმარცხებულიყავით. კარგა ხანს გვიწევდა კაცნაკლულად თამაში. ახლა რომ მახსენდება, ვერც კი ვხვდები, ისე დაღლილმა როგორ შევძელი მეტოქის საჯარიმოში შეღწევა...“

ძალიან მალე 28 წლის მცველის კარიერაში კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდება. გერმანია-იტალიის ნახევარფინალური მატჩის 119-ე წუთზე ბუნდესნაკრების გოლკიპერის იენს ლემანის კარში გროსოს ზუსტად დარტყმულმა ბურთმა გროსოს და კომპანიას ფინალისკენ გაუხსნა გზა. ორ წუთში გატანილმა ალესანდრო დელ პიეროს გოლმა კი გერმანელები ფინალს მიღმა დატოვა.

ჩვენი წერილის გმირი, ისევე როგორც ავსტრალიელებთან, გერმანელებთან დაძაბულ, ნახევარფინალურ მატჩშიც საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო.

„ლემანის კარში გატანილ გოლს ჩემს ცოლსა და პატარა ბიჭუნას ვუძღვნი. ასევე ყველა იმ ადამიანს, ვისაც „სკუადრა აძურა“ ცოტათი მაინც ესიმპათიურება. დღეს ერთმანეთის პირისპირ ორი ძლიერი გუნდი წარდგა, რომლებიც ბოლომდე იბრძოდნენ, თუმცა გამარჯვება უფრო ძლიერს დარჩა. ახლა ისღა დაგვრჩენია, ეს გამარჯვება ბოლომდე მივიყვანოთ“, - ფაბიო გროსო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც გროსოს აუხდა - 9 ივლისს იტალიის ნაკრებმა მეოთხეჯერ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა და ამაში თავისი წვლილი „ინტერის“ მცველმაც შეიტანა.

„ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება, რაც ოდესმე განმიცდია. ჯერაც ვერ მოვსულვარ აზრზე, ამაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი“, - მოკლედ, მაგრამ ემოციურად გამოხატა სიხარული ჩემპიონმა მცველმა.

...ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყების წინ იტალიელი მცველის შეძენაზე ერთბაშად ორი მილანური გრანდი ფიქრობდა. საბოლოოდ მასიმო მორატის გუნდმა გაიმარჯვა და გროსომაც „შავ-წითლის“ ნაცვლად „შავ-ლურჯი“ მაისურა მოირგო.

„ინტერის“ მთავარი მწვრთნელის რობერტო მანჩინის თქმით კი, დიდი სურვილი აქვს, განახლებულ სეზონში თავის გუნდში, რაც შეიძლება, მეტი იტალიელი ფეხბურთელი ჰყავდეს.

„სხვა ევროპულმა გრანდებმა, - ამბობს მანჩინი, - მაგალითად, ლონდონის „ჩელსიმ“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“, თუ რაიმე ღირებულს მიაღწიეს, ისევ თავიანთი აღზრდილების ხარჯზე. ადგილობრივი მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებული ფრანგული „ლიონი“ და გერმანული „ბაიერნიც“. მინდა, რომ „ინტერიც“ უფრო იტალიური გახდეს - ვის შეუძლია უფრო ჯიგრიანად მოიგოს სკუდეტო, თუ არა იტალიელს?!“

როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ რობერტო მანჩინის შენაძენი შეუქეს, იტალიელმა სპეციალისტმა ცივად იკითხა: ვის გულისხმობთო. როცა შეიტყო, რომ საუბარი გროსოს ეხებოდა, „ინტერის“ თავკაცმა გაურკვევლად ჩაიბურტყუნა: „ააა, გროსო? - კი, კარგი ფეხბურთელია“. ჩანს, მანჩინის არ უნდა მოვლენებს გაასწროს - „ნერიაძურის“ ახალწვეულს ხომ კლუბისთვის ჯერ ღირებული არაფერი გაუკეთებია...

...ფაბიო გროსოს სანაკრებო, ისევე როგორც საკლუბო კარიერა, ერთი შეხედვით, უცნაურად იწყებოდა. მას არასოდეს დაუცავს თავისი ქვეყნის იუნიორთა და ახალგაზრდული ნაკრებების ღირსება. დიდ ფეხბურთში კი ქვედა დივიზიონების გუნდებში თამაშით გაიკვლია გზა.

პარადოქსია, მაგრამ 23 წლამდე მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი იტალიის მეოთხე დივიზიონის კლუბში თამაშობდა. 1994-დან 1997 წლის ჩათვლით კი სულაც მეექვსე(!) დივიზიონში მოღვაწე „რენატო კურიში“ აგორებდა ბურთს. ამ გუნდის შემადგენლობაში რომაელმა მცველმა, რომელიც იმხანად მარცხენა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, 108 მატჩში 47 გოლი შეაგდო.

მეექვსე დივიზიონში ჩატარებული ოთხი სეზონის შემდეგ ფაბიომ მეოთხე დივიზიონის „კიეტეში“ გადაინაცვლა. ამჯერად მეტოქე გუნდების კარის დალაშქვრა მხოლოდ 17-ჯერ მოახერხა.

გროსო-მცველი ფეხბურთის მოყვარულებმა „პერუჯაში“ გადასვლის შემდეგ გაიცნეს. ნიჭიერ ფეხბურთელს ახალი ამპლუა პერუჯას მაშინდელმა თავკაცმა სერსე კოსმიმ შეურჩია. კაცმა, რომელმაც ქვედა დივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელების აღმოჩენით გაითქვა სახელი.

სერია ა-ში გადასვლიდან წელიწადნახევრში გროსო „სკუადრა აძურაში“ მიიწვიეს. დებიუტი 2003 წლის 30 აპრილს შვეიცარიელებთან გასვლით მატჩში ჰქონდა, რომელშიც აპენინელებმა გაიმარჯვეს - 2:1.

სანაკრებოდან განსხვავებით, პრობლემები შეექმნა საკლუბო კარიერაში. 2004 წლის სეზონის ბოლოს „პერუჯა“ სერია ბ-ში დაქვეითდა. შედეგად ფაბიომ კლუბი გამოიცვალა და „პალერმოში“ გადაბარგდა. სიცილიაში გატარებული ორი სეზონის შემდეგ, როგორც გითხარით, რომაელი მცველი განახლებული სეზონიდან „სან სიროზე“ ითამაშებს. მილანში იმედოვნებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გროსო არც „ნერიაძურიში“ დაზოგავს თავს.

## ვინ რას ამბობდა ფინალის შემდეგ?

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ მისმა მონაწილეებმა და ფეხბურთის სპეციალისტებმა საკუთარი პოზიცია გამოხატეს ფინალური მატჩისა და ზიდანის ინციდენტის შესახებ.

**ზეპ ბლატერი:** „ვერ ვიტყვი, რომ ზიდანმა თავისი საქციელით იმედი გამიცრუა. როგორც ადამიანი, მას თავისუფლად გავუგებ. ასეთი რამ შესაძლებელია მოხდეს. ზიდანი ჩვეულებრივი მოკვდავია და, უბრალოდ, ნერვებმა უმტყუნა, რაც ჩემთვის გასაგებია. თუმცა, როგორც ფიფას პრეზიდენტს, უფლება არა მაქვს, არ გაკიცხო ის. სავარაუდოდ, ზიდანს დავსჯით, თუმცა, არა მგონია, ამას ახლა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.“

**ჟაკ შირაკი:** „ზინედინ ზიდანის შესახებ მინდა ცალკე ვთქვა. არ ვიცი რა მოხდა მინდორზე, თუმცა მინდა ყველამ იცოდეს, რას ვფიქრობ მე ზიდანზე. მთელი კარიერის განმავლობაში მან მხოლოდ საუკეთესოდ დაგვამახსოვრა თავი. ის იყო ფრანგული სპორტის და მთლიანად საფრანგეთის წარმომადგენელი. ზიდანი ბრწყინვალე პიროვნებაა. ვიცი, რომ ფეხბურთელები იმედგაცრუებულნი არიან, თუმცა მინდა მათ ვუთხრა, რომ სამარცხვინო არაფერი მომხდარა. მათ ფინალი არ წაუგიათ. პენალტების სერია, უბრალოდ, ლატარიაა“.

**ჯანლუიჯი ბუფონი:** „ამ გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ ჩვენს გუნდში არა მარტო მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, არამედ გვაქვს ღირსება და თავშეკავება. რაც შეეხება ზიდანს, არ ვიცი რა მოხდა. მისი განსჯა ჩემი საქმე არ არის.“

**დავიდ ტრეზეგე:** „მე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე. პენალტი თამაშის განუყოფელი ნაწილია. ეს ჩემპიონატი ჩემთვის განსაკუთრებული იყო. ველოდი, რომ უფრო მეტს ვითამაშებდი, მაგრამ გუნდის სათამაშო სქემის გამო ამის საშუალება არ მომეცა. მიმაჩნია, რომ, მარცხის მიუხედავად, იტალიელებზე უკეთ ვითამაშეთ.“

**ტიერი ანრი:** „საშინელებაა პენალტების სერიაში წაგება. პირველ ტაიმში იტალიელები უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში მეტოქეს აშკარად ვჯობეთ. არა მგონია, იტალიელებს ჰქონდეთ უფლება, ამ გამარჯვებით იამაყონ. ვითომ ჩვენზე ძლიერები იყვნენ? რაც შეეხება ზიდანს, ამ დროს უკვე სათადარიგოთა სკამზე ვიყავი და ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებ“

**ჯენარო გატუზო:** „იტალიურ ფეხბურთში მომხდარი სკანდალი რომ არა, ალბათ ტიტულს ვერ მოვიგებდით. ჩვენმა კლუბებმა, შესაძლოა, ყველაფერი დაკარგონ და ამან ჩვენ ზედმეტი მოტივაცია მოგვცა. ფინალის მოგების შემდეგ შოკიდან ვერ გამოვსულვარ. მატჩის წინა ღამეს ადგილს ვერ ვპოულობდი, 28-ჯერ მივიღე შხაპი, ფრჩხილები კი მთლიანად მოვიჭამე.“

**ფრანჩესკო ტოტი:** „ჩემთვის ეს ორმაგი გამარჯვებაა, რადგან მსოფლიო ჩემპიონატამდე ბევრმა ჩამომწერა. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა რომში. ეს, უბრალოდ, ფანტასტიკაა“.

**ანდრეა პირლო:** „ეს წარმოუდგენელია. არც კი ვიცი, რა მოხდა. როგორ მოვახერხეთ საკუთარ თავში ძალის პოვნა და ამ მატჩის ბოლომდე მიყვანა. იმას, რასაც ახლა ვგრძნობ, სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ამ ემოციის აღწერა შეუძლებელია. ამ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს ცოლს, შვილს და მთელ იტალიას“.

## კახა ცხადაძე: „მსოფლიო თასი მხოლოდ ერთია“

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატმა ყველა ასპექტში გაამართლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პლეი-ოფები. ამ ეტაპზე უინტერესო თამაში არ ყოფილა და, როგორც სანახაორივი მხარე, ისე დაძაბულობა, გუნდების კლებასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა. ამ თვალსაზრისით ფინალი მუნდიალის ნამდვილი მშვენება გამოდგა. საფრანგეთმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. გუნდი მატჩიდან მატჩამდე აშკარად პროგრესირებდა. ეს ფინალურ შეხვედრაშიც ნათლად გამოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით, ფუნქციონალურად საფრანგეთის ნაკრები იტალიელებზე უკეთ იყო მომზადებული. ათნი რომ დარჩნენ, მაშინაც კი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა ისევ ფრანგების მხარეს იყო. იტალიელებმა თავისი თამაში ითამაშეს. მხოლოდ ერთ კომპონენტში მოიპოვეს უპირატესობა - სტანდარტულ მდგომარეობებს კარგად ათამაშებდნენ, საიდანაც გოლიც გაიტანეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. თუმცა, ანგარიშის გათანაბრების შემდეგ იტალიელთა თამაშმა სრულიად დაკარგა სიმწვავე და მთელი მეორე ტაიმი, დამატებითი დროის ჩათვლით, უპირატესობა ფრანგების მხარეს იყო. ფაქტია, რომ საფრანგეთს მეტად უნდოდა, საქმე პენალტებამდე არ მისულიყო, ვიდრე იტალიას. დარტყმებიდანაც გამოჩნდა, რომ იტალია სერიოზულად ემზადებოდა თერთმეტმეტრიანებისთვის. ასეთი ზუსტი დარტყმები მხოლოდ გერმანელებმა გვაჩვენეს არგენტინელთა წინააღმდეგ და ბოლოს - იტალიელებმა. სერიოზული მსოფლიო ჩემპიონატი იყო, რომლის ფინალში ორი ღირსეული გუნდი გავიდა. ჩემი აზრით, ორივე თანაბრად იმსახურებდა ჩემპიონობას, მაგრამ მსოფლიო თასი მხოლოდ ერთია. სიმბოლურია, რომ გამარჯვებული ვერც მატჩის ძირითადმა დრომ და ვერ დამატებითმა ტაიმებმა ვერ გამოავლინა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად თანაბარი ძალის მეტოქეები შეხვდნენ გადამწყვეტ მატჩში. ფინალის ბედი საფეხბურთო ლატარიამ - პენალტების სერიამ გადაწყვიტა. ფორტუნა იტალიელთა მხარეს იყო. ეს ქვეყანა მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა ზიდანს. მისი ასეთი საქციელი იშვიათად თუ ვინმეს გაახსენდება. მით უმეტეს, იმ ბრწყინვალე თამაშის ფონზე, რისი დემონსტრირებაც ზიდანმა მსოფლიო ჩემპიონატზე მოახდინა. კარგია, რომ ფიფამ მხედველობაში არ მიიღო ეს ინციდენტი და ის მაინც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. რაც შეეხება იმ შემთხვევას, ვფიქრობ, ის სერიოზულად უნდა გაირჩეს.

უკვე შეიძლება შემოდგომაზე ფიქრიც. საქართველოში მსოფლიო ჩემპიონს, ვიცე-ჩემპიონს და მეოთხედფინალისტს ვუმასპინძლებთ. ასეთ გუნდებთან მეტოქეობისას ძალიან ძნელია იმაზე საუბარი, რომ აუცილებლად მიზნად დავისახოთ ქვეჯგუფიდან გასვლა, თუმცა, ძალიან პესიმისტურადაც არ ვარ განწყობილი. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ კონკრეტულ მომენტში, კონკრეტული მატჩის წინ ვინ როგორ იქნება მომზადებული. რა თქმა უნდა, ფორტუნას კეთილგანწყობაც მნიშვნელოვანი იქნება. რაც მთავარია, თუ საქართველოს ნაკრები შეძლებს ამ მატჩებში საკუთარი სახის, საუკეთესო თვისებების წარმოჩენას, ეს ძალზე ბევრი იქნება. ღირსეულად უნდა ვითამაშოთ და ამაში მაინცდამაინც არ ვგულისხმობ ისეთი მეტოქეების დამარცხებას, როგორებიცაა იტალია და საფრანგეთი. საკუთარი სახე არ უნდა დავკარგოთ.

## „ოქროს ბუცი" კლოზეს გადაეცა

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი და მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მიროსლავ კლოზე ფიფამ „ოქროს ბუცით" დააჯილდოვა. ხუთიდან ორი გოლი კლოზემ კოსტა-რიკის ნაკრებთან, ჯგუფურ ეტაპზე გაიტანა, ამდენივე - ეკვადორთან, უკანასკნელი, მეხუთე კი - მეოთხედფინალში, არგენტინასთან შეაგდო. საერთოდ, „ოქროს ბუცის" მფლობელზე ორ მსოფლიო ჩემპიონატზე გატანილი 10 გოლი დაგროვდა.

## „რეალი" შვიდი ფეხბურთელით გაძლიერდება

მადრიდის „რეალის" ახალარჩეული პრეზიდენტის რამონ კალდერონის განცხადებით, მიმდინარე სეზონში გუნდი ერთბაშად ექვს ან შვიდ ფეხბურთელს დაიმატებს.

„3 აგვისტომდე შვიდი ახალი მოთამაშე გვეყოლება. მოლაპარაკებას სხვადასხვა კლუბებთან ჯერ კიდევ მანამდე ვაწარმოებდი, სანამ პრეზიდენტი გავხდებოდი. ახლა ხელს აღარაფერი მიშლის. „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშის სურვილი გამოთქვა ისეთმა ფეხბურთელმა, როგორიცაა ბრაზილიელი კაკა. მის სანაცვლოდ „მილანი" 50 მილიონ ევროს გვთხოვს, თუმცა ვეცდებით, უფრო ნაკლებზე დავითანხმოთ", - განაცხადა კალდერონმა.

რაც შეეხება კრიშტიანუ რონალდუს „რეალში" გადასვლას, „სამეფო გუნდის" სპორტული დირექტორის პრედრაგ მიატოვიჩის თქმით, „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი თავდამსხმელი მათ გეგმებში არ შედის. ბოლო სიტყვა მაინც „რეალის" თავკაც ფაბიო კაპელოზეა, რომელმაც სურვილი გამოთქვა „სანტიაგო ბერნაბეუზე" „იუვენტუსის" რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბიროს. კაპელოს რჩეულთა შორის ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა და ემერსონი სახელდებიან.

## მაკდონალდსი ფიფას სპონსორობას აგრძელებს

ფიფას განცხადებით, კომპანია „მაკდონალდსი" 2014 წლამდე იქნება მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი.

მხარეები ჯერ კიდევ ბერლინში გასამართ ფინალამდე შეთანხმდნენ. „მაკდონალდსმა" 1994 წლის ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაიწყო ფიფასთან თანამშრომლობა.

## დოპინგი არ დაუმტკიცდათ

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორთა განცხადებით, ყველა - 476 სინჯმა დოპინგის გამოყენებაზე, რომელიც ფეხბურთელებს მუნდიალის მიმდინარეობისას ჩაუტარდათ, უარყოფითი შედეგი აჩვენა. „საბედნიეროდ, წლევანდელ მუნდიალზე არც ერთ ფეხბურთელს არ დაუმტკიცდა დოპინგის მოხმარება", - განაცხადა ბერლინში გამართილ პრესკონფერენციაზე ფიფას მთავარმა ექიმმა იერჟი დვორჟაკმა.

## აპია ფიქრობს

განას ნაკრების კაპიტანი სემი აპია ამ ზაფხულს ლონდონის „არსენალში" გადასვლას არ გამორიცხავს.

მიუხედავად იმისა, რომ აპიას ახლანდელ კლუბს თურქეთის „ფენერბახჩეს" ფეხბურთელის გაშვება არ უნდა, თურქები იმ შემთხვევაში დათანხმდებიან ლონდონელებს, თუ სანაცვლოდ სოლ კემპბელს მიიღებენ. „ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ. იმის შანსი, რომ „მეთოფეებში" გადავალ, მხოლოდ 50 პროცენტია. მართალია, ჩემით იტალიური „რომა" და „იუვენტუსიც" ინტერესდებიან, მაგრამ აპენინებზე დაბრუნება აღარ მინდა", - განაცხადა აპიამ.

## ლიპი ნაკრებში დარჩება?

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მარჩელო ლიპი აცხადებდა, რომ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება „სკუადრა აძურასთვის" მუნდიალი, იგი დატოვებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. კვირას, მას შემდეგ, რაც იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, ვითარება შეიცვალა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით ლიპის, რათა დარჩეს მწვრთნელად. დონ მარჩელომ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა და ალბათ უახლოეს დღეებში იტყვის პასუხს.

## ზიდანი იტყვის, რაც მოხდა

რა მოხდა ზიდანსა და მატერაცის შორის ფინალურ მატჩში, ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება. გუშინ უცხოური საინფორმაციო სააგენტოები სხვადასხვა ვერსიებს ავრცელებდნენ. მაგალითად, გაზეთ „გარდიანის" ინფორმაციით, მატერაციმ ზიდანს არაბი უწოდა, ერთ-ერთ რუსულ საიტზე კი ზიზუსა და მატერაცის მთელი დიალოგი გამოქვეყნდა.

„ხელით მიჭერდი", უთქვამს ზიდანს მატერაცისთვის. „არა, ცდები", იყო პასუხი. „მიდი ერთი, სხვა რა შეგიძლია. ხელით თუ არ გამაჩერე, ისე არაფერი გამოგივა. აი, მოგიგებთ პენალტების სერიაში და მერე საკმარისი დრო გექნება, რომ ხელი დანიშნულებისამებრ გამოიყენო". არ მოეშვა ზიდანი. მატერაცის პასუხმა არ დაყოვნა: „ახლა მსოფლიო ჩემპიონი გავხდები და მერე დედაშენი მინეტს გამიკეთებს". ეს კი ზიზუმ ველარ მოითმინა და მატერაცის ურქინა.

რა მოხდა სინამდვილეში, ჯერ არავინ იცის. რუსული ვარიანტის დაჯერება ცოტა ძნელია, რადგან ფეხბურთელებს ამდენი არ ულაპარაკიათ. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ზინედინ ზიდანი უახლოეს დღეებში იტყვის სრულ სიმართლეს. ფეხბურთელის მეგობარმა ფრანგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ მატერაციმ ზიდანს შეურაცხოფა მიაყენა, თუმცა, რა სახის, არ დაუკონკრეტებია.

## ფაბრეგასი „არსენალში" დარჩება

ლონდონის „არსენალის" ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი აცხადებს, რომ არ აპირებს მადრიდის „რეალში" გადასვლას.

„მომავალ სეზონს „არსენალში" გავატარებ. ამჟამად სხვა არაფერზე ვფიქრობ. შემიძლია გითხრათ, რომ 100% „არსენალის" ფეხბურთელი ვარ. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ლონდონურ კლუბს დავტოვებ, მაგრამ ეს ამ სეზონში ნამდვილად არ მოხდება", - ამბობს ფაბრეგასი.

## ერიქსონმა იამაიკა იუარა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრნელმა სვენ გორან ერიქსონმა უარი თქვა სათავეში ჩაუდგეს იამაიკის ნაკრებს. მწვრთნელის აგენტის თქმით, ის არ აპირებს ამ ეტაპზე რომელიმე ნაკრებში მუშაობას. ერიქსონს სურს იმუშაოს ერთ-ერთ ბრიტანულ კლუბში, რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს.

## „ზენიტი" „გაზპრომმა" იყიდა

სანქტ-პეტერბურგის „ზენიტი" ცნობილმა რუსულმა კომპანიამ „გაზპრომმა" იყიდა. რუსული მედიის ინფორმაციით, „გაზპრომს" საფეხბურთო კლუბის შეძენა 36 მილიონი დოლარი დაუჯდა. ალბათ ახლა გასაგებია, თუ როგორ ახერხებს „ზენიტი" თავის რიგებში ვარსკვლავების გადაბირებას. მოგეხსენებათ, ეს გუნდი ჩაიბარა ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა დიკ ადვოკაატმა. ამავე დროს ნევისპირელებმა იტალიელი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელიც იყიდეს.

# 14-ქულიანი სინბინი

სამხრეთული რაგბის პირველი სამწრიანი სამი ერის სტარტზე ჩემპიონმა ახალმა ზელანდიამ შინ დამაჯერებლად ძლია ავსტრალია, ვინც ივნისის ტესტებში უფრო შინაარსიანად კი თამაშობდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ოლ ბლექსის ოპტიმალურ რაზმთან და მეტადრე შერკინებასთან, მაინც ვერაფერს გახდა.

### ზელანდია 32:12 ავსტრალია

თამაში ზამთრის დარში გაიმართა. მეტოქეებმა გემოზე იბურთავეს და იომეს. საწყის ნახევარ საათში სტუმრებმა ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს და ერთადერთი შანსით ლელოც გაუტანეს, მაგრამ შემდეგ ვოლაბიზს 8 ნომერი როკი ელსომი გაუსინბინეს, ოლ ბლექსმა უმალ ორი ლელო გაიტანა, მეორე ტაიმში მეტოქის შეცდომებითა და თემიდის კეთილგანწყობით იხეირა და ჩაროზად პრემიაც აიღო.

ზელანდია ივნისში ცდებს რომ ატარებდა, ერთად რაგბობას გადაჩვეულმა საუკეთესო 15-ეულმა თავიდან ვერაფერი მოუხერხა ოზთა მწყობრ დაცვას. ბოჭვა იყო ლიგურად ხროვული და უხისტესი, ბურთიანის ფეხის აწევითა და აყირავებით. ბზარები თითქმის არ ჩნდებოდა, მაგრამ სად იყო და სად არა, სტუმართა ავანტიურისტმა ფულბეკმა კრის ლეითემმა ზურგში დარტყმული ბურთი წამოიღო, მოკლეზე გადაიკიდა, აიღო, ორ კივს გაუძვრა და გააქცუნა მეტ როჯერსი, ვინც წამოსწრებულ ლოტე ტუნქირს დროულად მიაწოდა.

მანამდე კიკერებმა, ჯერ დენ კარტერმა, მერე კი სთერლინგ მორტლოქმაც წყვეტილიდან თითო დაახაიეს. ოლ ბლექსის ფალავანმა ბურჯმა კარლ ჰეიმანმა მორევა დაუწყო ახალბედა მეტოქეებს. ამასობაში ელსომმა სამჯერ ჩაკლა ბურთი, კარტერმა მეორედაც, 0:7-ზე ააცილა კარს, კივთა მეტისმეტად მოყვარე აფრიკელმა რეფმა, ჯონათან კაპლანმა კი ურჩ ოზს ყვითელი ბარათი უჩვენა, ხოლო ცდომილის ცინიკურად ჩამწიხლავ ზელანდიელებს არაფერი უთხრა.

### ძველად ვერც შენიშნავდნენ

მეტობაში ოლ ბლექსმა უპასუხო 14 ქულა მოიმკო. რიკო გიარი ზედ მარჯვენა ალამთან გადადენა კიდეზე ლეითემმა, მაგრამ ავსტრალიამ დერეფნის ბოლოში (!) ააგდო ბურთი და იქ კევენ მეალამუმ ჯორჯ სმითს ცხვირწინ დაუმიწა. იქვე კივებმა სასწაული ბურთაობა გააჩაღეს, გიარმა კარის პირდაპირ სლალომი მოაწყო და როდნი სოიალოიმ მარცხენა ალამს უწია. დერეფნიდან კაპიტანმა რიჩი მაკქოუმ სამი ოზი მიიზიდა, ხაზზე გამართული რაქიდან კი მეალამუმ მოკლე ფრთაზე დაყვინა.

მეორე ტაიმი ავსტრალიამ ისევ ცოცხლად დაიწყო, მაგრამ ათი ქულა იქით გაუშვა. კივებმა გამოზომილი შექცეული პასებით მწყობრის შუაში ჭრა დაიწყეს. არონ მეიჯერმა ჩინებული რეიდი განახორციელა და წინ გადაკიდა. ოზთა ბებერმა პივოტმა სთივენ ლარქემმა ოვალი აიღო, მაგრამ ჯო როკოთოკომ შებოჭა. ლარქემი ბურთიანად საკუთარ ლელოში გადაგორდა. გაიმართა ზედახორა და მომხდარში გასარკვევად კაპლანმა ვიდეორეფი, თვისტომი მარკ ლორენსი მოიკითხა.

ამან დიდხანს არჩია ფირი და დაასკვნა, რომ ლარქემს ბურთი მუხლებშუა ედო, მაგრამ არ დაუმიწებია, წაქცეულმა მაკქოუმ კი ოვალს ზემოდან დაადო ხელი. ჰოდა, ჩაითვალა ლელო, რომელსაც ძველ დროში ვერავინ შენიშნავდა. ოზებმა იდავეს, ნამატჩევს კი მათი ოღრაში გურუ, ჯონ ქონოლი გაოცებული იყო, ამდენი კივი დაწოლილი რომ თამაშობდა, განა ჯარიმა არ იყოო? ამაზე ნასწავლმა მაკქოუმ მართლად შენიშნა, ბოჭვის შემდეგ ლელოში წაქცეულ კაცს ბურთის დამიწება შეუძლიაო (15.6 წესის გამონაკლისი).

### თამაშს დაცვა იგებს

თემიდამ ოზებს ორ წუთში გაუსტუმრა ვალი და ზედახორაში შეტანილი, არანაკლებ საჭოჭმანო ლელო ლამის გაუანალიზებლად ჩაუთვალა, მაგრამ უმალ კაპლანმა შარიც მოსდო დალალა მღლეტელ ჯორჯ სმითს და კარტერმა 15 ქულას უწია სხვაობა. აქედან მოყოლებული, ოზებმა ჯარიმის კიდეზე გადატანა დაიწყეს. საათის თავზე ელსომმა მოლიდან შეიტანა ლელო, მაგრამ ლორენსმა არ ჩაუთვალა, ხელდახელ ბურთაობაში კი ბურჯ გაი შეპარდსონს გაუვარდა ოვალი.

ვოლაბიზს თერნოვერი რომ შეემთხვა, მეალამუმ კრის ჯექმა და მაკქოუმ ბეკურად შეუტიეს, კარტერმა იქითა ფრთაზე აბრაგანი აწია და ორმეტრა ალი ვილიამსმა ბურთი მოედანში ჩამოაგდო, მაგრამ გიარმა ველარ დაიმორჩილა. იქვე კარტერმა მერვე ცდით კარს მესამედაც ააცილა, ოზთა კიდევ ორი მოლური მცდელობის შემდეგ კი ვიზავ ლარქემს შეგორებაზე დაუფარა, ბურთი იხელთა, თავად გაქუსლა და მთლად ნორჩი ისაია ტოიავა 60 მეტრზე გააჭენა.

ნამატჩევს ყოჩმა მაკქოუმ სწორად შენიშნა, რომ თამაშს დაცვა იგებს. ოლ ბლექსს ბურთი დროის მხოლოდ 41 პროცენტი ეპყრა და 43 პროცენტიც თავის ნახევარზე გაატარა, მაგრამ 154 ბოჭვიდან მხოლოდ 14 გაუცუდდა, მაშინ როცა ოზებს 145 ცდაზე 24-ჯერ გაექცათ მოიერიშე. თავად მაკქოუმ და ჯერი კოლინზმა 14-14-ჯერ დასცეს მეტოქე, ოზთაგან კი ელსომსა (12) და ბურჯ გრეგ ჰოლმსზე (9) მოვიდა უმეტესი დატვირთვა.

*მასალა მომზადებულია საიტზე www.rugby.ge*


*ზელანდიამ ავსტრალიას ოთხი ლელო აგემა.*

**ზელანდია 32:12 ავსტრალია**

**ზელანდია:** მაკდონალდი, გიარი, მულიაინა, მეიჯერი, როკოთოკო; (10-9) კარტერი, კელეჰერი / ვუდქოქი, მეალამუ, ჰეიმანი; ჯექი, ითონი; კოლინზი, მაკქოუ კაპ, სოიალო (მ) ტოიავა, მაკალისტერი, ვეპუ / ჰორი, სამერვილი; ვილიამსი, მასოი; (მწ) ჰენრი
4 ლელო: მეალამუ (ორი), მაკქოუ, ტოიავა; **3** გარდასახვა, **2** საჯარიმო: კარტერი
**ავსტრალია:** ლეითემი, ჯერარდი, მორტლოქი, როჯერსი, ტუნქირი; (10-9) ლარქემი, გრეგანი კაპ / ჰოლმსი, მაკაიზაკი, შეპარდსონი; შარფი, ვიკერმანი; ჩიზომი, სმითი, ელსომი (მ) თიუნი, გიტო, ქორდინგლი / პოლი, ბაკსტერი; ფეივა, ვო; (მწ) ქონოლი
**2 ლელო:** ტუნქირი, ფეივა; **გარდასახვა:** მორტლოქი
**სინბინი:** ელსომი (27)
**რეფერი:** კაპლანი (აფრიკა).
**ქრაისთჩერჩი, ჯეიდი** (34 500) - 0:7(17) 7:7(30) 14:7(35) / 17:7(46) 24:7(49) 24:12(51) 27:12(54) 32:12(77პ)

8/07 11.35 ზელანდია - ავსტრალია 32:12
15/07 14.00 ავსტრალია - აფრიკა
22/07 11.35 ზელანდია - აფრიკა
29/07 14.00 ავსტრალია - ზელანდია
5/08 14.00 ავსტრალია - აფრიკა
19/08 09.30 ზელანდია - ავსტრალია
26/08 17.00 აფრიკა - ზელანდია
2/09 17.00 აფრიკა - ზელანდია
9/09 17.00 აფრიკა - ავსტრალია

# ქართული შვიდეული მოსკოვისთვის დესანტს ამზადებს

გიგა გურასაშვილი

*ამჟამად 14 კაცი ვარჯიშობს, მერე ამათგან საუკეთესო ათეულს შეარჩევენ, ბოლოს კი - შვიდეულს. 15-16 ივლისს მოსკოვი შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. ორთაბრძოლები გაცილებით მძიმე და დაძაბული იქნება, ვიდრე ეს რაგბის ქართველმა გულშემატკივარმა იხილა თბილისში, როდესაც მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი FIRA-AER-ის ეგიდით ჩატარებულ ასპარეზობას მასპინძლობდა.*

მას ასე, საქართველოს რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, რომ შვიდკაცა რაგბის ტურნირისთვის ადრევე დაეჭირა თადარიგი და მოსკოვში გასამგზავრებელი ნაკრებისთვის მეტ-ნაკლებად კარგი პირობები შეექმნა. გუნდის ხელმძღვანელობამ, რომელიც გუშინ მზადების ეტაპზე გვესაუბრებოდა, გვითხრა, რომ გუნდში არის როგორც დანაკლისი, ისე შევსება. მამუკა ტყეშელაშვილისა და კახა ალანიას, გუნდის კაპიტნის ირაკლი აბუსერიძის განმარტებით, ნაკრები მოსკოვის ტურნირისთვის ინტენსიურად ემზადება. მორაგბეებს ყველა პირობა აქვთ და მთავარ მიზნად ელიტაში დაბრუნება დასუხავათ.

მოსკოვის ტრადიციული ტურნირი ერთგვარი დასკვნითი ეტაპია, უფრო სწორად, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. აქ ნაკრებები უძლიერესი შემადგენლობებით გამოდიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრების თითოეულ წევრს მძიმე სეზონი ჰქონდა, ისინი გამარჯვებისთვის მზად არიან.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მზადებას თბილისში გადის.

ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, მოსკოვის ტურნირისთვის კარგი შემადგენლობა გვყავს და არც თუ ურიგო შანსიც წარმატებისთვის. თოთხმეტი მორაგბედან, რომელიც ფინალური ეტაპისთვის ემზადება, სამი საფრანგეთში თამაშობს, დანარჩენი კი, ასე ვთქვათ, ადგილობრივი ბაზრის წარმომადგენელია. რაც მთავარია, ნაკრების ხელმძღვანელობა აქცენტს აკეთებს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეებზე. მწვრთნელები გვაიმედებენ, რომ მსოფლიოს სერიის თამაშებისთვის საქართველოს შვიდკაცა ნაკრები გაცილებით მობილური და ძლიერი იქნება.

რაც შეეხება მეტოქეებს, თითოეული შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს კონკურენტად, მათ შორის, რუსეთის ნაკრებიც, რომლისთვისაც 15-კაცა რაგბიში ყოველთვის მოგვიგია.

ქართველთა შვიდეული მოსკოვში A ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენი მეტოქეები არიან: საფრანგეთი, ლიტვა, იტალია, მოლდოვა და უკრაინა. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. B ჯგუფში გამოვლენ: რუმინეთი, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, ანდორა, ხორვატია. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ბრიტანელები არ ასპარეზობენ.

ევროპის ჩემპიონატის პირველივე დღეს, 15 ივლისს, ოთხი თამაში გვიწევს. ნაკრების წევრთა თქმით, ჯგუფიდან გასასვლელად თითოეული თამაშის მოგება გვმართებს.


*"შვიდკაცას" ხელმძღვანელობა მოსკოვისთვის მზად არის.*

შემადგენლობა, რომლისგანაც ამ დღეებში საუკეთესო ათეული შეირჩევა: ირაკლი გუნდიშვილი, კახი ახვლედიანი, რეზო გიგაური, ზვიად კობერიძე, გიორგი შკინინი, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა, ლექსო გუგავა, სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, გიორგი ასათიანი, ლევან ხუხუნეიშვილი, დავით კაჭარავა, ნიკა მხეიძე.

**A ჯგუფი**
საფრანგეთი
ლიტვა
იტალია
მოლდოვა
საქართველო
უკრაინა

**B ჯგუფი**
რუმინეთი
პორტუგალია
ესპანეთი
რუსეთი
ანდორა
ხორვატია

**15 ივლისი**
საფრანგეთი - საქართველო
იტალია - საქართველო
საქართველო - უკრაინა
მოლდოვა - საქართველო

**16 ივლისი**
საქართველო - ლიტვა
პლეი-ოფები

ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია
სარბიელი
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
24 საათი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია, აუცილებელი აღჭურვილობებით უზრუნველყოფა და ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობა კახეთის რეგიონში**

**სამშენებლო სამუშაოები კახეთის რეგიონში**

20 ჯანმრთელობის ცენტრის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კონტრაქტის მონაცემები

კონტრაქტის აღწერილობა

კახეთის რეგიონში 21 შენობის (ამბულატორიის) მშენებლობა/რეაბილიტაცია. ერთი შენობის საშუალო ფართობი 150 კვ/მ-მდე.

ლოტების ნომრები და დასახელება

ლოტი 1: სამი შენობის აღდგენა ს. ლაფანყურში, ს. სანიორეში (თელავის რაიონი), ს. საბუეში (ყვარლის რაიონი). ერთი შენობის აგება ს. შილდაში (ყვარლის რაიონი).

ლოტი 2: ორი შენობის აღდგენა ს. ზემო ხოდაშენში, ს. ჯოყოლოში (ახმეტის რაიონი). ერთი შენობის აგება ს. წინანდალში (თელავის რაიონი).

ლოტი 3: ორი შენობის აღდგენა ს. ულიანოვკაში (ლაგოდეხის რაიონი), ს. ბალღოჯიანში (ყვარლის რაიონი). ორი ახალი შენობის აგება ს. აფენში (ლაგოდეხის რაიონი), ს. მთისძირში (ყვარლის რაიონი).

ლოტი 4: სამი შენობის აღდგენა ს. ერისიმედში (სიღნაღის რაიონი), ს. ფიროსმანში, ს. სამთაწყაროში, (დედოფლისწყაროს რაიონი). ორი შენობის აგება ს. კასრისწყალში, ს. საბათლოში (დედოფლისწყაროს რაიონი).

ლოტი 5: ხუთი შენობის აღდგენა ს. ჩალაუბანში, ს. არაშენდაში, ს. კარდენახში (გურჯაანის რაიონი), ს. ქვემო ბოდბეში (სიღნაღის რაიონი), ს. გომბორში (საგარეჯოს რაიონი).

**მონაწილეობის პირობები**

საინფორმაციო შეხვედრა

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება (სამშაბათს 18.07.2006 წ., 14.00) თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს უნივერსიტეტის ქუჩა №1.

**სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადა**

სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა იყოს მათი წარდგენის ბოლო ვადიდან 45 დღის განმავლობაში.

**შესრულების ვადა**

მშენებლობისათვის 5 თვე, აღდგენისათვის 3 თვე.

**შერჩევის კრიტერიუმი**

კრიტერიუმები, რომელიც ჩამოყალიბებულია "ინსტრუქციაში ტენდერში მონაწილეთათვის" მე-4 ნაწილში.

კონტრაქტის შეთავაზების კრიტერიუმი

ტექნიკური გამოცდილება, პროექტის შესრულების ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობა, შემოთავაზებული ფასი.

ტენდერში მონაწილეობის პირობები

როგორ მივიღოთ სატენდერო დოკუმენტების პაკეტი

სატენდერო დოკუმენტების პაკეტი ხელმისაწვდომია 03.07.2006 ორშაბათიდან MERLIN საქართველოს თბილისის ოფისში - თბილისი 0179, თარხნიშვილის ქუჩა №21, I სართული, ბ. 1. ასევე თელავის ოფისში, აბაქარ მაგომედოვის ქუჩა №6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას სტანდარტული ფორმის გამოყენებით, რომელიც ჩართულია დოკუმენტთა პაკეტში და რომლის ფორმა და შევსების წესი მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

**სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა**

MERLIN-ის თელავის ოფისში, აბაქარ მაგომედოვის ქუჩა №6-ში. ორშაბათი 24.07.2006, 12.00 სთ-მდე.

ვადის გასვლის შემდეგ მიღებული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

**ტენდერის გახსნა**

თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს უნივერსიტეტის ქუჩა №1.

ორშაბათი 24.07.2006, 14.00.

**პროცედურის ენა**

ზემოხსენებულ პროცედურასთან და კონტრაქტთან დაკავშირებული წერილობითი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

საკონტაქტო პირი ირაკლი ჭითანავა. ტელ.: 899 24 27 48, logistics.merlin.georgia@gmail.com

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ბორჯომის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს "ქალაქ ბორჯომის გარე ელექტროგანათების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

შესასრულებელი სამუშაოები:

- 35 ცალი ელექტროგანათების ანძისა და ლამპიონების მონტაჟი;
- 17 კმ სადენების გაშლა ანძებზე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 ივლისიდან 2 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-2 სართული. ქ. ბორჯომის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე;
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, შეუძლიათ 12 ივლისიდან 31 ივლისამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-2 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 ანგ. № 200122900 კოდი 3006240404. ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 მე-2 სართული. ბორჯომის რაიონის გამგეობა. ტელ.: (8-267) 2-14-53.

**სატენდერო კომისია**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საფინანსო სააგენტოს'' განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" აცხადებს ტენდერს აუდიტორულ-საექსპერტო მომსახურების შესყიდვის განსახორციელებლად 2006 წლის განმავლობაში და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

აუტორულ-საექსპერტო მომსახურება ძირითადად მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება) შემდეგი ქონების შეფასებას:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებები - მსუბუქი, სამგზავრო, სატვირთო;

ბ) ძვირფასი ლითონები და მათგან დამზადებული ნაწარმი;

გ) კვების პროდუქტები;

დ) მსუბუქი მრეწველობის საქონელი;

ე) ხე-ტყე;

ვ) მოწყობილობა-დანადგარები;

ზ) წიაღისეული;

თ) საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

2. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის, (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სს "ბაზისბანკის" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101956 ანგარიშის N7434110. მიუთითეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისი სასამართლოდან, რომ ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3 როგორც იურიდიული. ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ლიცენზია (სერტიფიკატი) შესაბამისი მომსახურების განხორციელების უფლების თაობაზე.

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ პრეტენდენტი ( ხელმძღვანელი პირი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და ამჟამად მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

ვ) სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, მისი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

4. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეეძლებათ 2006 წლის 17 ივლისიდან 2006 წლის 3 აგვისტოს 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N70; I სართული, საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო''-ს სატენდერო კომისიის აპარატში.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 აგვისტოს 1200 საათამდე ორ ეგზემპლარად (ოროგინალი და ასლი) მისამართზე: თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. N70.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეფასდება, თუ იგი ზემოაღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოაღნიშნულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან: თამილა ლომიძე, ეკატერინე წიკლაური ტელ: 25-34-21, 25-34-22.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 11.04.25**

**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA-37580-GE**

**გორის რაიონის, სოფელ დიცის გაზიფიცირება**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **გორის რაიონის სოფელ დიცის გაზიფიცირება.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება დიცის საკრებულოს სათემო კავშირთან "დიცურა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, დიცის საკრებულოს სათემო კავშირი "დიცურა" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 10 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**

**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**

**ა/ა: 34080001**

**კოდი: 220 101 757**

**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**

**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

**წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 7 აგვისტოს 12:00 - მდე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 7 აგვისტოს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**

**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**

**ფაქსი: (995 32) 94 04 39**

**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.05.02**

**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA-37580-GE**

**დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. აჩაბეთის სპორტდარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოები**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. აჩაბეთის სკოლის სპორტდარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სათემო კავშირთან "ლიახვი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სათემო კავშირი "ლიახვი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 11 ივლისიდან ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**

**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**

**ა/ა: 34080001**

**კოდი: 220 101 757**

**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**

**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

**წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 11 აგვისტოს 13:00-მდე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, 2006 წლის 11 აგვისტოს 13:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**

**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**

**ფაქსი: (995 32) 94 04 39 www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 11.04.26**

**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA-37580-GE**

**გორის რაიონის სოფელ ტირძნისის გაზიფიცირება**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **გორის რაიონის სოფელ ტირძნისის გაზიფიცირება.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ტირძნისის საკრებულოს სათემო კავშირთან "ლიახვი-2005", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ტირძნისის საკრებულოს სათემო კავშირი "ლიახვი-2005" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 10 ივლისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**

**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**

**ა/ა: 34080001**

**კოდი: 220 101 757**

**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**

**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4.300 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 7 გვისტოს** 13:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 7 აგვისტოს** 13:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**

**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**

**ფაქსი: (995 32) 94 04 39**

**www.mdf.org.ge**

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 26
26 ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურის დებულება, დანართის თანახმად.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N ბრძანებით**
**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**საკადრო რესურსების სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1**

1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახური (შემდგომში-სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომლის უფლებამოსილება, ვალდებულებანი და მართვის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებით.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ", შრომის კანონთა კოდექსით, საქართველოს კანონით "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", "საქართველოს დადაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ქ. თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, ქ. თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულებით, წინამდებარე დებულებით, ადმინისტრაციის შინაგანაწესით, საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

**თავი II სამსახურის ძირითადი ამოცანები და მიზნები**

**მუხლი 2**

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საქმიანობის მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია;

ბ) საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის მართვის ძირითადი პროცედურების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განხორციელება, შესაბამისი ნორმატიული, ინსტიტუციური და ორგანიზაციული საფუძვლებისა და მექანიზმების შემუშავება;

გ) ადმინისტრაციისა და ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ადამიანური რესურსების პერმანენტული სრულყოფა - განვითარება და თანამედროვე სისტემის შექმნა, ამ მიზნით შესაბამისი პროგრამების რეალიზება.

2. სამსახურის ძირიადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაცია და ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები პროფესიონალი, გამოცდილი, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესაბამისი ეთიკური ნორმების მქონე კადრებით, რითაც არსებითად ხელს უწყობს ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურების მისიის, მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა იმიჯის ამაღლებას;

ბ) თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე, განახორციელოს ადამიანური რესურსების განვითარების პერმამენტული პროცესი;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს საჯარო სამსახურის პერსონალის მართვის სახელმწიფო პოლიტიკა, შემოქმედებითად განავითაროს იგი ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით;

დ) უზრუნველყოს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კანონთა კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესრულება, რომლებიც სამსახურის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებიან;

ე) მოახდინოს ყველა ზემოთ აღნიშნულ სამუშაოთა მეთოდური უზრუნველყოფა, კოორდინირება და მართვა.

**თავი III სამსახურის ფუნქციები**

**მუხლი 3**

სამსახურის ფუნქციებია:

ა) პერსონალის მართვის საქმიანობის სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის შექმნა, საჯარო სამსახურის საბჭოსა და საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების (კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის) გამოყენებით;

ბ) ადმინისტრაციის, ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, პერსონალზე რიცხოვნობის მოთხოვნის განსაზღვრა;

გ) ადმინისტრაციის, ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების პერსონალის სტაბილურობის, მოძრაობისა და დენადობის სისტემური ანალიზი, ძირითადი მიზეზებისა და ტენდენციების განსაზღვრა და ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი ანალიტიკური მასალისა და რეკომენდაციების მიწოდება;

დ) პერსონალის საქმიანობის მართვის მთელი სისტემის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა;

ე) პერსონალის საქმიანობის მართვის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზებისათვის, შესაბამისი პროექტების მომზადება და ხელმძღვანელობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ვ) ადმინისტრაციაში, საქალაქო სამსახურებში საკადრო პოლიტიკის გატარების მეთოდურ-პრაქტიკული უზრუნველყოფა, ორგანიზება, მართვა, კოორდინირება და კონტროლი;

ზ) მოხელეთა ქცევის ცივილიზებული წესებისა და ფასეულობათა სისტემის დამკვიდრება;

თ) მოხელეთა სოციალური დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა;

ი) ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა და მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;

კ) პერსონალის მართვის საკითხებში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან სისტემური და საქმიანი თანამშრომლობა და ამ სფეროში მათი მეთოდურ-საკონსულტაციო უზრუნველყოფა;

ლ) ქალაქ თბილისის მერის, პრემიერის, პრემიერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების საჯარო მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვა და მომსახურება, პირადი საქმეების, ნამსახურობის ნუსხისა და შრომის წიგნაკების წარმოება; ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება, სისტემატიზაცია თანამედროვე საინფორმაციო ბაზის შექმნა, მისი სისტემური განახლება; პერსონალის მართვის სფეროში მიმდინარე პროცესების პერიოდული ანალიზი და მათი სრულყოფის რეკომენდაციების მომზადება;

მ) საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის მოწყობა, ატესტაციის ჩატარება, საკადრო რეზერვის ფორმირებისას, საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის ორგანიზაციული ხელშეწყობა;

ნ) კონსულტაციების გაწევა ადგილობრივი თვითმართველობის მოსამსახურეებისათვის მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვებისა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ო) არსებული ყველა თანამდებობისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერის) მომზადების მეთოდიურ პრაქტკული და ორგანიზაციული მხარდაჭერა, ამ სამუშაოს კოორდინირება და მართვა;

პ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდური მხარდაჭერა, შესაბამისი დოკუმენტებისა და სხვა მასალების მომზადება, სისტემატიზაცია, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

ჟ) შრომის ორგანიზაციისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა და კოორდინირება;

რ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განსაზღვრა; ამ პროგრამების მომზადებისა და რეალიზების საჭიროობის განსაზღვრა, ორგანიზება, კოორდინირება და კონტროლი;

ს) პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის პროცედურების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ტ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ტექნიკური ხასიათის პროცედურების (თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება, შრომითი ხელშეკრულებების, შვებულებების, მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა დოკუმენტების მომზადება და გაფორმება) დროული და ხარისხიანი შესრულება;

უ) არსებული წესის მიხედვით, თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციების (თანამდებობის პირთა რეესტრის შესაბამისად), სხვა მოსამსახურეთა მიერ შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პირად საქმეებში მოთავსება;

ფ) ხელმძღვანელობასთან ერთად შინაგანაწესის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში მონაწილეობა, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით შრომითი დისციპლინის დაცვის კონტროლი, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და ხელმძღვანელებისათვის პერიოდულად მიწოდება;

ქ) ქალაქ თბილისის მერიის შენობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა და გარეშე პირთა შესვლის ეფექტიანი პროცედურების შემუშავებაში ხელშეწყობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების, საშვების გაცემა და კონტროლის უზრუნველყოფა;

**თავი IV სამსახურის უფლებამოსილებანი და ვალდებულებანი**

**მუხლი 4**

სამსახური უფლებამოსილია:

ა) პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების სფეროში აწარმოოს საერთო მონიტორინგი, მოითხოვოს და უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, შრომის კანონთა კოდექსის, საქართველოს სხვა კანონების შესაბამისი კანონქვემდებარე და ადმინისტრაციული აქტების განუხრელი დაცვა;

ბ) პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების საკითხში კოორდინირება და მეთოდურ - პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ქალაქ თბილისის რაიონულ გამგეობებს, ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებს, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს და მოსთხოვოს მათ შესაბამისი ინფორმაცია;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს წარუდგინოს პერსონალის მართვის მეთოდური, პრაქტიკული, პროცედურული და სხვა ნებისმიერ საკითხებზე სათანადო წინადადებები, საინფორმაციო ანალიტიკური მასალა და რეკომენდაციები;

დ) გაეცნოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, მათ შორის უცხო ქვეყნების გამოცდილებას, პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების სფეროში და დაამყაროს მათთან საქმიანი ურთიერთობა.

**მუხლი 5**

სამსახურის ვალდებულება:

ა) მკაცრად დაიცვას "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, შრომის კანონთა კოდექსი, პერსონალის მართვის და ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებული სხვა კანონების მოთხოვნები, საჯარო სამსახურის საბჭოს რეკომენდაციები;

ბ) თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უზრუნველყოს ადმინისტრაციის დებულებით ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციაში მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის დაცვა და ამ დებულებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება;

გ) უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციაში, ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებში პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების საკითხებისადმი ერთიანი მეთოდური და სისტემური მიდგომა, ამ სამუშაოს კოორდინირება, საქმიანობის სრულყოფა, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე მოსამსახურეთათვის კონსულტაციებისა და მეოდურ-პრაქტიკული დახმარების გაწევა;

დ) სისტემატურად გააანალიზოს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მოსამსახურეთა მიერ შრომის დისციპლინის, შინაგანაწესის, ეთიკური ნორმებისა და ქცევის წესების დაცვა, პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელობას;

ე) მოამზადოსა და ხელმძღვანელობასთან შეათანხმოს სამსახურის ოპერატიული და სტრატეგიული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, შესაბამისი პროგრამები და გეგმები, პერიოდულად მოამზადოს ანგარიშები მათი შესრულების შესახებ;

ვ) ხელი შეუწყოს სამსახურში შრომის სათანადო პირობების, თანამშრომელთა შორის კეთილსასურველი, ჯანსაღი კლიმატისა და დამოკიდებულების შექმნას, მათი პროფესიული დონის ამაღლებას;

ზ) ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსს პერიოდულად წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია, ანგარიშები და ანალიტიკური მასალა ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურების პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების, არსებული ვითარების, პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტის შესახებ.

**თავი V. სამსახურის მართვა**

**მუხლი 6**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი;

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

3. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებაზე;

ბ) თანამშრომლებს შორის ანაწილებს ფუნქციებს, ადგენს თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

გ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციაში შემავალ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

დ) ანაწილებს კორესპოდენციებს სამსახურის თანამშრომლებზე და უზრუნველყოფს შესრულების კონტროლს;

ე) წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციის უფროსს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე;

ვ) უფლებამოსილია, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვოსა და მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 7**

ა) სამსახურის თანამშრომლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებენ კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს;

ბ) სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

**თავი VI. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 8**

1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით, სამსახურის დებულებას Aამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 25
26 ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**კორესპონდენციის**
**სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კორესპონდენციის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის . . . . .**
**N . . . ბრძანებით**
**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**კორესპონდენციის სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებები**

მუხლი 1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კორესპონდენციის სამსახური (შემდგომში სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულებით, მერიის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით, ადმინისტრაციის შინაგანაწესით, აღნიშნული დებულებით და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 3. კორესპონდენციის სამსახურის საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის ძირითადი ამოცანები**
**და ფუნქციები**

მუხლი 4. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის საფუძველზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი სრულყოფა.

ბ) დოკუმენტების საექსპედიციო დამუშავება, დროული განხილვა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაცია. ხელმძღვანელობისათვის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;

გ) ქალაქ თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მიერ კონტროლზე აყვანილ დოკუმენტებზე კონტროლის აღმნიშვნელი შტამპის დასმა და ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრული საკონტროლო ვადის დაფიქსირება;

დ) ხელმძღვანელობის მიერ განხილული დოკუმენტების დამუშავება, გამრავლება, შემსრულებლებისათვის დროულად მიწოდების ორგანიზება;

ე) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის რაიონული გამგეობების აპარატებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა.

მუხლი 5. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქალაქ თბილისის მერის, ქ.თბილისის პრემიერის, პრემიერის პირველი მოადგილის, მერიის ადმინისტრაციის უფროსის და სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილებისა და განცხადებების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, საქართველოს პარლამენტიდან, საქართველოს მთავრობიდან, ქალაქ თბილისის საკრებულოდან გადმოგზავნილი კორესპონდენციის, მოქალაქეთა განცხადებების, სამართლებრივი აქტების აღრიცხვა, დამუშავება და ხელმძღვანელობისათვის განსახილველად გადაცემა, განხილული დოკუმენტების შესაბამისი შემსრულებლებისათვის ოპერატიულად მიწოდება;

ბ)"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში გატარება, ავტომატურად ნომრის მინიჭება და მოქალაქისათვის სარეგისტრაციო ნომრის გადაცემა;

გ) კორესპონდენციებსა და მოქალაქეთა მიერ შემოტანილ განცხადებებზე შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეთა მომართვების საფუძველზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება;

დ) ქალაქ თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მიერ კონტროლზე აყვანილი დოკუმენტების დამრავლება და მერიის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურისათვის გადაცემა;

ე) მერის, მერიის ხელმძღვანელობის მიერ განხილული და ხელმოწერილი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების, საოქმო დავალებების დანიშნულების მიხედვით დაგზავნა;

ე) საუწყებო არქივში ჩასაბარებელი დოკუმენტაციის დამუშავება და შესაბამისი განყოფილებისათვის გადაცემა;

ვ) არსებული საინფორმაციო ბაზის საფუძველზე 6 თვეში ერთხელ ანალიტიკური მასალის მომზადება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის მოხსენება, სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ხელმძღვანელობისათვის მოსაზრებებისა და წინადადებების წარდგენა.

ზ) რაიონული გამგეობებისა და მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაბამის განყოფილებებთან ურთიერთობა, მეთოდური დახმარების გაწევა.

**თავი III**
**კორესპონდენციის სამსახურის უფლებები**
**და პასუხისმგებლობა**

მუხლი 6. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ზომები დოკუმენტბრუნვის შუალედური მოცდენების შესამცირებლად;

ბ) აკონტროლოს ადმინისტრაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების დაცვა;

გ) დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებიდან წერილობითი ან ზეპირი ინფორმაცია სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

დ) შეისწავლოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში კორესპონდენციებზე, მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობა და წერილობით მოახსენოს ხელმძღვანელობას არსებული მდგომარეობის შესახებ;

ე) "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა" და "საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 01.07.1999 წლის N414 ბრძანებულების შესაბამისად არადანიშნულებისამებრ შემოსული კორესპონდენცია გადაუგზავნოს შესაბამის ორგანოს და აღნიშნულზე აცნობოს კორესპონდენციის ავტორს;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი მოაწეროს და ვიზა მისცეს დოკუმენტებს;

ზ) დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მოახსენოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას;

8) მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მიერ დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციისა და სრულყოფის შესახებ საკითხების განხილვაში;

თ) მოამზადოს და ადმინისტრაციის უფროსს წარუდგინოს ანალიტიკური მასალა შესაბამისი რეკომენდაციებითა და წინადადებებით;

მუხლი 7. სამსახური პასუხისმგებელია მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული დავალებების შესრულებასა და თანამშრომელთა შრომის პირობების დაცვაზე.

**თავი IV**
**კორესპონდენციის სამსახურის სხვა**

სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ურთიერთობა

მუხლი 8. სამსახური თანამშრომლობს:

ა) მერის, პრემიერის, პრემიერის პირველი მოადგილის, ადმინისტრაციის უფროსის აპარატებთან კორესპონდენციებთან მუშაობის საკითხებზე;

ბ) მერიის ადმინისტრაციის იურიდიულ სამსახურთან - დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე;

გ) ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურთან - მერიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულიE სამართლებრივი აქტების, საოქმო დავალებების დაგზავნის უზრუნველყოფის საკითხებზე;

დ) ადმინისტრაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურთან - პროგრამული და ქსელური უზრუნველყოფის საკითხებზე;

ე) ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურთან - ქალაქ თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მიერ კონტროლზე აყვანილი დოკუმენტების, ზემდგომი ორგანოებიდან საკონტროლო ვადით გადმოგზავნილი აქტების, წერილებისა და მოქალაქეთა განცხადებების კონტროლის განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოფის საკითხებზე;

ვ) ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახურთან - ქალაქ თბილისის მერიის ხელმძღვანელობასთან მიღებაზე მოსული მოქალაქეების განცხადებების რეგისტრაციისა და მათთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხებზე;

ზ) ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურთან - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

თ) ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან -კომპიუტერული ტექნიკით, საკანცელარიო ნივთებით მომარაგებისა და თანამშრომელთა სამუშაო ადგილების შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებზე,

ი) ქალაქ თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან - ინსტრუქციებისა და მეთოდური მასალის საფუძველზე დოკუმენტებზე მუშაობის საკითხებზე;

კ) ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების სამსახურთან - დოკუმენტებთან მუშაობის საკითხებზე;

ლ) რაიონულ გამგეობებთან და ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

**თავი V**
**სამსახურის მართვა**

მუხლი 9. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

მუხლი 10. სამსახურის უფროსი:

ა)Uუშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურის ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაზე;

გ) შეიმუშავებს სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ანაწილებს დავალებებს, ისმენს თანამშრომელთა ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) უზრუნველყოფს სამსახურის მუშაობის ორგანიზებას თანამშრომელთა შორის მოვალეობების განაწილების შესაბამისად;

ე) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) წარადგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, პრემირების შესახებ, აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულებების გამოყენების საკითხს;

ზ) ახორციელებს ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

თ) თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

მუხლი 11. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის წინადადებით წარდგენილი პირი.

**თავი VI**
**დასკვნითი დებულებები**

მუხლი 12. სამსახურის რეორგანიზაცია და გაუქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 27
26 ივნისი 2006 წ.

**ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N ბრძანებით**
**ქალაქ თბილისის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციის კონტროლის სამსახური (შემდგომში -კონტროლის სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიაში და მთავრობაში შემოსული, აგრეთვე დამუშავებული კორესპოდენციის და სხვა მასალის შესრულების კონტროლსა და მონიტორინგს;

2. კონტროლის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტით, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულებით და საქართველოში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით;

3. კონტროლის სამსახური ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

**მუხლი 2 . კონტროლის სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:**

**1. კონტროლის სამსახურის ძირითადი ამოცანაა:**

**ა)** ადმინისტრაციაში საქმისწარმოების კონტროლის უზრუნველყოფა;

**ბ)** ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, დავალებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ხელმძღვანელობის მითითებით ახორციელებს საკონტროლო დავალებათა ვადების დაცვას.

**გ)** ადმინისტრაციაში შემოსული და გასული საკონტროლო დოკუმენტების, წერილების, განცხადებებისა და სხვა სახის კორესპონდენციების შესრულების შედეგების ანალიზი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის განსაზღვრის მიზნით.

**დ)** ქალაქ თბილისის მერიის, ქალაქ თბილისის მთავრობის, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლი.

**ე)** შესრულებული საკონტროლო დავალებების სტატისტიკური ანგარიშის შედგენა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან წარდგენა პერიოდულად.

**ვ)** ადმინისტრაციის სტრუქტურაში შემავალი სამსახურებისა და მათი თანამდებობის პირთა მიერ შეუსრულებელი, ან ვადაგადაცილებულ დავალებათა ანალიზის წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, შემდგომი რეაგირების მიზნით.

**ზ)** შესრულებული საკონტროლო კორესპოდენციების წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისა და მთავრობისადმი მათი კონტროლიდან მოხსნის მიზნით.

**თ)** ახორციელებს დოკუმენტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლის ორგანიზებას და დადგენილ ვადაში ამ დავალების შესრულების კონტროლს;

**ი)** ზეპირად ან წერილობით ატყობინებს საქალაქო სამსახურებსა და რაიონულ გამგეობებს, ასევე სხვა უწყებებს, თბილისის ადმინისტრაციიდან კონტროლით გაგზავნილ წერილებზე რეაგირების დროულად მოხდენის შესახებ.

**კ)** ამზადებს სათანადო ინფორმაციას რეაგირების გარეშე დარჩენილ ან/და ვადაგადაცილებული შემოსული და გასული წერილების შესახებ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად.

**ლ)** ამზადებს ქ.თბილისის მერიასა და მთავრობაში შემოსული საკონტროლო წერილების, განცხადებების მიხედვით ანალიზს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის განსაზღვრის მიზნით. ანალიზს პერიოდულად წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს.

**მ)** ყოველკვარტლურად ამზადებს სტატისტიკურ ანგარიშს მიღებული საკონტროლო დავალებების რაოდენობისა და მათზე რეაგირების შედეგების შესახებ.

**მუხლი 3: სამსახურის უფლება-მოვალეობა**

**1. სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:**

**ა)** მოითხოვოს ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებიდან, რაიონული გამგეობებიდან, ასევე ადმინისტრაციაში შემავალი სხვა სტრუქტურებიდან, წერილობითი ინფორმაცია და მასალები, რომლებიც აუცილებელია მთავრობისა და ადმინისტრაციის დავალებების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად.

**ბ)** თბილისის მერის, მთავრობის, ადმინისტრაციის უფროსის მიერ გაცემული საკონტროლო დავალებების შეუსრულებლობის, ვადის დარღვევით ან უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს ინფორმაცია მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;

**2. სამსახური ვალდებულია:**

**ა)** ოპერატიულად მოახსენოს თბილისის მერს, მთავრობას, ადმინისტრაციის უფროსს საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების თანამდებობის პირთა მიერ გაცემული საკონტროლო დავალებათა შეუსრულებლობის, ვადის დარღვევით ან არასრულყოფილად შესრულების ფაქტებზე.

**ბ)** მოამზადოს სტატისტიკური ანგარიში და ანალიზი შესრულებული საკონტრლო დავალებების მდგომარეობის შესახებ ქ.თბილისის მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

**გ)** კონტროლის მექანიზმის სრულყოფისა და საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების მიზნით, ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის აპარატებისათვის სარეკომენდაციო და მეთოდური დახმარების გაწევა პერიოდულად.

**მუხლი 4. სამსახურის მართვა**

**1.** სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

**2. სამსახურის უფროსი:**

**ა)** უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებს.

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციას და დაგეგმარებას.

დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერის, პრემიერის, ადმინისტრაციის უფროსის დავალებების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათ ოპერატიულ შესრულებაზე.

ე) წარადგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, პრემირების და მათზე დისციპლინალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, აწესრიგებს მოსამსახურეთა შვებულებების გამოყენების საკითხებს;

ვ) თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 28
26 ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის პრემიერის აპარატის (სამსახურის) სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის პრემიერის აპარატის (სამსახურის) სამსახურის დებულება, დანართის თანახმად.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**
**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N ბრძანება**

**ქალაქ თბილისის პრემიერის აპარატის (სამსახურის)**

**დებულება**

**თავი 1. ზოგადი დებულება**

**მუხლი 1.**

1. ქალაქ თბილისის პრემიერის აპარატის (სამსახურის) (შემდგომში აპარატი (სამსახური)) არის "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ქ. თბილისის პრემიერის საქმიანობას.

2. აპარატი (სამსახური) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დეაქალაქის ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქარტველოს .პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. აპარატი (სამსახური) ანგარიშვალდებულია მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

**თავი 2. აპრატის (სამსახურის) უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 2.**

1. აპარატი (სამსახური) უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იმოქმედოს ქ. თბილისის მერის, პრემიერის, ვიცე-პრემიერისა და ადმინისტრაციის უფროსის სახელით და მისი დავალებით;

ბ) მოითხოვოს და მიიღოს მერიის ნებისმიერი სამსახურიდან ის ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება ქ. თბილისის პრემიერის მიერ მიცემულ დავალებების შესასრულებლად;

გ) არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დაამუშაოს წინადადებები მერიის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ქ. თბილისის პრემიერთან შეთანხმებით, მისცეს მათ ოფიციალური მსვლელობა.

**2.** აპარატის (სამსახურის) ვალდებულებებს განეკუთვნება:

ა) კორესპონდენციების მიღება, მომზადება და შესაბამისი წინადადებებით (რეზოლუციის პროექტი, მოსაზრება) წარდგენა;

ბ) ქ. თბილისის პრემიერის მიერ განხილული კორესპონდენციების კორესპონდენციის სამსახურისათვის ოპერატიულად მიწოდება;

გ) ქ. თბილისის პრემიერის მიერ აპარატის (სამსახურის) თანამშრომლებზე გაცემული დავალებების შესრულებაზე კონტროლი;

დ) ქ. თბილისის პრემიერთან მოქალაქეთა მიღების საკითხების ორგანიზაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფა, წინასწარი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების გზით;

ე) მოქალაქეთა მიღებაზე ქ. თბილისის პრემიერის მიერ გაცემული დავალებების აღრიცხვა და მოქალაქეთა მისაღებისთვის გადაცემა;

ვ) ქ. თბილისის პრემიერის ოფიციალური მიღებებისა და ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, საგარეო ურთიერთობების სამსახურთან ერთად;

ზ) ქ. თბილისის პრემიერის ბრიფინგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, მედიასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად;

თ) პრემიერის მიერ ჩატარებული თათბირების საოქმო ჩანაწერების მომზადება ოქმისთვის საჭირო რეკვიზიტების (დამსწრეთა სია, განხილული საკითხი, გაცემული დავალების შინაარსი, ადრესატი და თარიღი) დაფიქსირებით და საქმისწარმოების სამსახურისათვის გადაცემა;

ი) გაფორმებული ოქმის ვიზირება პრემიერის ხელმოწერამდე;

კ) საოქმო დავალებების შესრულების კონტროლი, კონტროლის სამსახურთან ერთად;

ლ) შესაბამისი სამსახურებიდან ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და ქ. თბილისის პრემიერისათვის წარდგენა;

მ) ქ. თბილისის პრემიერის სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულება.

**თავი 3. აპარატის (სამსახურის) ხელმძვანელობა**

**მუხლი 3.**

1. აპარატს (სამსახურს) ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. აპარატის (სამსახურის) უფროსი:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს აპარატის (სამსახურის) საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს აპარატზე (სამსახურზე) დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე;

გ) უზრუნველყოფს აპარატის (სამსახურის) მუშაობის ორგანიზებას, თანამშრომელთა შორის მოვალეობების განაწილებას;

დ) ახორციელებს აპარატის (სამსახურის) დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

ე) თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

3. აპარატის (სამსახურის) უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას დროებით ასრულებს აპარატის (სამსახურის) უფროსის წინადადებით წარდგენილი პირი.

**თავი 4 . დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 4**

1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. აპარატის (სამსახურის) რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 29
28 ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება, თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N ბრძანებით**
**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებები**

მუხლი 1

1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში „სამსახური") წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციას.

3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს კონსტიტუციით", "საჯარო სამსახურის შესახებ" და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონებით, "საქართველოს დედაქალაქის -ქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

**თავი II**
**სამსახურის ძირითადი ფუნქციები**

მუხლი 2

1. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უცხოეთის ქალაქებთან ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების ურთიერთობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება და გატარება;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საზღვარგარეთის ქალაქებთან ეკონომიკის, განათლების კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროებში ურთიერთობების ორგანიზება და კოორდინაცია;

გ) დაძმობილებულ და პარტნიორ ქალაქებთან ურთიერთობის წარმართვა და მათთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;

დ) უცხოელ პარტნიორებთან ხელშეკრულებისა და ოქმების მომზადებასა და გაფორმებაში მონაწილეობის მიღება;

ე) მერიის სისტემის დარგობრივი უწყებების და ორგანიზაციების საგარეო ურთიერთობების კოორდინაცია;

ვ) ოფიციალური ვიზიტების საპროტოკოლო ღონისძიებათა ორგანიზება.

2. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა ფუნქციებს.

თავი III

სამსახურის უფლება-მოვალეობები

მუხლი 3

სამსახური დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საელჩოებიდან (დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან), საქართველოს მთავრობიდან, სხვა სახელმწიფო უწყებებიდან;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად ითანამშრომლოს მერიის უწყებებთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებთან, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

გ) უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მმართველობის სისტემაში შემავალი სტრუქტურების თანამშრომელთა უცხოეთის სახელმწიფოებში მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

დ) სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა ქმედებები.

მუხლი 4

სამსახური ვალდებულია:

ა) მიაწოდოს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ინფორმაცია ქ. თბილისის მერიისა და მთავრობის სტრუქტურულ ერთეულებს:

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქ. თბილისის მერიისა და მთავრობის, ხელმძღვანელობის რეზოლუციის საფუძველზე აწარმოოს კორესპონდენციების მართვა;

გ) მოამზადოს სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ყოველწლიური ანგარიშები;

დ) მოამზადოს და ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს ქალაქის საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებილი საკითხების ანალიზი და წინადადებები;

ე) ხელმძღვანელობის დავალებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა ქმედებები.

**თავი IV**
**სამსახურის უფროსი**

მუხლი 5

1. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

2. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

დ) ანაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს შორის და აწესებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

ე) უფლებამოსილია ადმინისტრაციის უფროსის და ქ. თბილისის მერის წინაშე დააყენოს წინადადებები სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს და ფუნქციურ დატვირთვას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესრულების შესახებ. კონტროლს უწევს სამსახურში მომუშავე მოსამსახურეთა მიერ ადმინისტრაციის შინაგანაწესის დაცვას;

ზ) ორგანიზებას უწევს ქ. თბილისის მერის, პრემიერისა და ადმინისტრაციის უფროსის დავალებების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

თ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის მატერიალური დახმარების თაობაზე, აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მივლინებების საკითხებს;

ი) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს ხელშეკრულებით მისაღებ პირთა კანდიდატურებს.

კ) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს სტაჟირებაზე მისაღებ პირთა კანდიდატურებს.

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით და ადმინისტრაციის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობებს დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის წარდგინებით ადმინისტრაციის უფროსის მიერ განსაზღვრული სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი

მუხლი 6

1. სამსახურის უფროსი არის ადმინისტრაციის თანამდებობის პირი.

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას;

**თავი V**
**დასკვნითი დებულებები**

მუხლი 7

1. წინამდებარე დებულებას ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი.

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 30
"28" ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საიდუმლო- სამობილიზაციო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საიდუმლო-სამობილიზაციო სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**
**საიდუმლო-სამობილიზაციო სამსახური**

**თავი I.**
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1**

1. საიდუმლო-სამობილიზაციო სამსახური (ტექსტში შემდგომ - "სამსახური") არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის (ტექსტში შემდგომ - "ადმინისტრაცია") სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სისტემაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას, ქ. თბილისის რაიონული გამგეობების სამხედრო განყოფილებათა მიერ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო საქმიანობის კოორდინაციას;

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მერიის დებულებით, ადმინისტრაციის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტებით;

3. სამსახურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ადმინისტრაციისა და სამსახურის დებულებებით, რომლებსაც ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ქ.თბილისის მერი.

**თავი II. სამსახურის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება**

**მუხლი 2**

1. **სამსახურის ძირითადი ამოცანებია:**

ა) ადმინისტრაციაში სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა, კოორდინაცია და კონტროლი აღნიშნული კანონმდებლობის განხორციელებაზე, ქ. თბილისის გამგეობებსა და მერიას დაქვემდებარებულ სამსახურებში (ორგანიზაციებში);

ბ) ადმინისტრაციაში, ქ.თბილისის რაიონულ გამგეობებსა და მერიას დაქვემდებარებულ სამსახურებში (ორგანიზაციებში) სამობილიზაციო მომზადების, მობილიზაციისათვის მზადყოფნის საქმიანობის კონტროლი და კოორდინაცია. ადმინისტრაციასა და საქალაქო სამსახურებში მომუშავე რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სამხედრო აღიცხვიანობისა და დაჯავშნის საქმიანობის უზრუნველყოფა;

გ) ადმინისტრაციაში სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის ღონისძიებათა განხორციელება;

დ) ქ. თბილისის მერისათვის მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და მათი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის კოორდინაციის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობა.

2. **სამსახურის ფუნქციებია:**

ა) არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფა და კონტროლი;

ბ) ქ. თბილისის მერიის, მთავრობისა და საქალაქო სამსახურების განსაკუთრებით მნიშვნელოვან, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო მონაცემებზე დასაშვებ თანამდებობათა ნომენკლატურის შემუშავება. საიდუმლო სამუშაოებზე, დოკუმენტებსა და ნაკეთობებზე დასაშვებ პირთა გაფორმების უზრუნველყოფა, დაშვების გასაფორმებლად მასალების შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დროულად წარდგენა და დაშვების მოქმედების ვადებზე კონტროლის გაწევა;

გ) განსაკუთრებით მნიშვნელოვან, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო დოკუმენტებისა და საქმეების ევაკუაციის გეგმის შემუშავება;

დ) განსაკუთრებით მნიშვნელოვან, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება და ხელმძღვანელობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ე) კონკრეტული ინფორმაციისათვის საიდუმლოობის ხარისხის განსაზღვრა, საიდუმლოობის გრიფის მინიჭების სისწორეზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ვ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;

ზ) ქ. თბილისის მერიის, მერიას დაქვემდებარებული სამსახურების (ორგანიზაციების) მოსამსახურეებისათვის, საიდუმლო ინფორმაციასთან მუშაობის საკითხებში კონტროლისა და მეთოდურ-საკონსულტაციო დახმარების გაწევა;

თ) ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებში, საქალაქო და მერიას დაქვემდებარებულ სამსახურებში (ორგანიზაციებში) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობის პერიოდულად ადგილზე შესწავლა. საიდუმლოების დაცვის ორგანოების მუშაობის კოორდინაცია და კონტროლი;

ი) მშვიდობიან პერიოდსა და ექსტრემალური სიტუაციების დროს ადმინისტრაციაში სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შემუშავება და გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფაზე კონტროლის დაწესება;

კ) დადგენილი წესისა და ფორმის მიხედვით ადმინისტრაციასა და საქალაქო სამსახურებში მომუშავე რეზერვისტთა და წვევამდელთა აღრიცხვა;

ლ) ქ. თბილისის მერიის, მთავრობის, გამგეობების, საქალაქო სამსახურებსა და მერიის სისტემაში მომუშავე რეზერვისტთა დაჯავშნას დაქვემდებარებული თანამდებობებისა და პროფესიების ნუსხის მომზადება და შესაბამისი წესით ხელმძღვანელობისათვის დასამტკიცებლად წ ა რ დ - გენა. ადმინისტრაციაში მომუშავე, რეზერვში მყოფ, სამხედროვალდებულ მოხელეთა დაჯავშნა და არსებული წესით შესაბამის სამხედრო (სამობილიზაციო) განყოფილებათა შეტყობინების უზრუნველყოფა;

მ) ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებში, საქალაქო სამსახურებსა და საწარმოებში მობილიზაციისათვის მზადყოფნისა და რეზერვში მყოფ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვიანობის საქმიანობაზე კონტროლის გაწევა. სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვიანობის საქმიანობაზე კოორდინაციის გაწევა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და ფორმის მიხედვით.

ნ) ქ. თბილისის რაიონული გამგეობების სამხედრო განყოფილებებისათვის მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საქმიანობის განხორციელებაში მეთოდურ-საკონსულტაციო დახმარებისა და მონიტორინგის გაწევა. აღნიშნული საქმიანობის პერიოდულად ადგილზე შესწავლის განახორციელება და გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ წინადადებათა ადმინისტრაციის უფროსის, ქ.თბილისის მერისა და მთავრობისადმი წარდგენა;

3. **სამსახურს უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს ადმინისტრაციისა და მერიას დაქვემდებარებულ სამსახურების (ორგანიზაციების) მოსამსახურეებისაგან საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;

ბ) ადგილებზე შეისწავლოს მერიას დაქვემდებარებულ სამსახურებსა და ორგანიზაციებში საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მდგომარეობა და გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ წინადადებათა ადმინისტრაციის უფროსის, ქ.თბილისის მერისა და მთავრობისადმი წარდგენა;

გ) ქ.თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურებიდან არსებული წესისა და ფორმის მიხედვით მოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის, სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო საქმიანობის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) არსებული წესის (ფორმის) მიხედვით მოითხოვოს საჭირო მასალები ქ.თბილისის რაიონული გამგეობების სამხედრო განყოფილებათა მიერ, მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

ე) ადგილებზე განახორციელოს ქ.თბილისის რაიონული გამგეობების სამხედრო განყოფილებების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საქმიანობის შესწავლა;

ვ) სამსახურის ფუნქციათა განხორციელებისათვის დადგენილი წესით აწარმოოს მიმოწერა ქ.თბილისის რაიონულ გამგეობებთან, საქალაქო სამსახურებთან, საწარმოებთან და სხვა დაწესებულებებთან.

**თავი III. სამსახურის მართვა**

**მუხლი 3.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოხელეები, რომლებიც ასრულებენ კანონმდებლობით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს;

3. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

4. **სამსახურის უფროსი:**

ა) პასუხისმგებელია სამსახურის ამოცანებითა და ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) ანაწილებს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციურ მოვალეობებს;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციასა და დაგეგმარებას.

**თავი IV. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 4**

1. სამსახურის სტრუქტურა და მუშაკთა რიცხოვნობა განისაზღვრება ქ. თბილისის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად;

2. სამსახური თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ანგარიშვალდებულია უშუალოდ ქ. თბილისის მერის, პრემიერისა და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

3. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ქ. თბილისის მერის ბრძანებით;

4. სამსახურის რეორგანიზაცია ან გაუქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 31
"28" ივნისი 2006 წ.

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის დებულება, დანართის თანახმად.

ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**
**დამტკიცებულია**
**ქ. თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N--- ბრძანებით**
**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. სამსახურის სტატუსი**

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური (შემდგომში სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

**მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს კანონით "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", საქართველოს კანონით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონით "ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ", ინსტრუქციით საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ (ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის N 1278 ბრძანება), საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N 120 ბრძანებულებით დამტკიცებული, საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის პრინციპებით.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის**
**ძირითადი მიმართულებები და ამოცანები**

**მუხლი 4. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები**

სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ისეთ ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებს როგორიცაა:

ა) არსებული ნორმატივებისა და გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების Fფარგლებში მერიის ადმინისტრაციის და მათი მოსამსახურეების, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების საფინანსო მომსახურებით უზრუნველყოფა.

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა და მერიის და ქ. თბილისის მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების დაფინანსება.

გ) კონტროლი სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვაზე და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე. საბანკო და საკასო ოპერაციებზე კონტროლის წარმოება და ხელმძღვანელობა, საბიუჯეტო ანგარიშებისა და ბალანსების ანალიზის გაკეთება, საბანკო ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

დ) მერიის ადმინისტრაციის სამეურნეო პროცესების და საქმიანობის შედგენის შესახებ სრული ინფორმაციის ჩამოყალიბება.

ე) მერიის ადმინისტრაციის ქონებისა და მისი მოძრაობის მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენება, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობა, ინვენტარიზაციის შედეგების თავისდროული გამოვლენა და აღრიცხვაში მისი ასახვა.

ვ) დადგენილი წესით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ანგარიშგების კონტროლისა და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციულ ფორმას, განახორციელებს წინასწარ კონტროლს საბუთების თავისდროულ გაფორმებასა და მომხდარი ოპერაციების კანონიერებაზე.

ზ) პასუხს აგებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების და სხვა გასაცემი თანხების თავისდროულ დარიცხვა-გაცემაზე.

თ) დებიტორ-კრედიტორებთან წარმოშობილ ანგარიშსწორებათა თავისდროული აღრიცხვა.

ი) დადგენილი წესით, დამოუკიდებლად განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას და საბუღალტრო დოკუმენტების (საბუთების) გაფორმება-შევსებას. ბუღალტრული ანგარიშების შედგენას და დაწესებულ ვადებში წარდგენას.

კ) ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრაციის, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშებების და სხვა საბუთების შენახვა და დადგენილი წესით მათი არქივში ჩაბარება.

**თავი III**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 5. სამსახურის უფროსი**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც არის მერიის ადმინისტრაციის თანამდებობის პირი და რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი - მთავარი ბუღალტერი განსაზღვრავს ბუღალტერიის მუშაკთა სამსახურებრივ მოვალეობებს ისე, რომ თითოეულმა მუშაკმა იცოდეს თავისი ვალდებულება და აგებს პასუხს მათი შესრულებისათვის.

4. მთავარი ბუღალტრის მოთხოვნა დოკუმენტებისა და ცნობების გაფორმების წესისა და ბუღალტერიაში წარდგენის ნაწილში სავალდებულოა დაწესებულების ყველა სამსახურის მუშაკისათვის.

5. ყველა ბუღალტრულ საბუთს, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტის სახსრების ხარჯთანუსხების შესრულებასთან, ხელს აწერს ადმინისტრაციის უფროსი და მთავარი ბუღალტერი ან მათი შემცვლელი პირები.

6. ბანკის საბუთებს, აგრეთვე სალაროს გასავლის ორდერებსა და ხელფასის საგადასახადო უწყისებს, ხელს აწერს ადმინისტრაციის უფროსი და მთავარი ბუღალტერი ან მათი შემცვლელი პირები.

7. სალაროს შემოსავლის ორდერებს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი და მოლარე.

**მუხლი 6. სამსახურის საშტატო შემადგენლობა**

1. სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნება განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი - საკრებულოს მიერ დადგენილი სარგოების შესაბამისად.

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებით, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით და საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

**თავი IV**
**დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 7. სამსახურის რეორგანიზაცია**

სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების შეტანა**

დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 32
"28" ივნისი 2006 წ.

**ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა**
მიღების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაშია "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**
**დამტკიცებულია**

**ქ. თბილისის მერის**
**2006 წლის**
**........................**
**N .......**
**ბრძანებით**
**ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი 1**
**ზოგადი დებულება**

**მუხლი 1**

1. ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახური არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

2. მოქალაქეთა მიღების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით; "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულებით, ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით, ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის შინაგანაწესით, ამ დებულებით და საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. მოქალაქეთა მიღების სამსახურის საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქალაქეთა მიღების სამსახურის დებულებით, რომელსაც ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ქ.თბილისის მერი.

**თავი 2**
**სამსახურის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

**მუხლი 2**

1. მოქალაქეთა მიღების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქ.თბილისის მერთან, პრემიერთან, პრემიერის მოადგილესთან და ადმინისტრაციის უფროსთან მოქალაქეთა შეხვედრის ორგანიზება;

ბ) ქ.თბილისის მერის, მთავრობის ხელმძღვანელობის და ადმინისტრაციის უფროსის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა;

გ) ქ.თბილისის მერთან, პრემიერთან, პრემიერის მოადგილესთან და ადმინისტრაციის უფროსთან მოქალაქეთა ურთიერთობის კოორდინაცია;

2. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) მოქალაქეთა მიღების სამსახურში მოსულ მოქალაქეებისათვის მათ მიერ დასმულ საკითხებზე განმარტების და კონსულტაციების მიცემა. საჭიროების შემთხვევაში მათი მიღებაზე შეხვედრის ორგანიზაცია ქ.თბილისის მერთან, პრემიერთან და პრემიერის მოადგილეებთან;

ბ) მოქალაქეთა შეხვედრისათვის სიების შედგენა და გადაცემა შესაბამისი თანამდებობის პირის აპარატისათვის;

გ) მოქალაქეთა მიღების თაობაზე ექვს თვეში ერთხელ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ხელმძღვანელობისათვის;

დ) მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე მათ მიერ შემოტანილი განცხადებების განხილვისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ ინფორმაციის გაცემა;

ე) ქ.თბილისის რაიონული გამგეობებისა და საქალაქო სამსახურებისათვის საკონსულტაციო-მეთოდური დახმარება და საქმიანობის კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში.

ვ) სამსახურის ფუნქციებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

ზ) ცალკეული სამსახურების მიზნების, ამოცანების, დანიშნულების განმარტება მოქალაქეებისათვის.

**თავი III**
**მოქალაქეთა მიღების სამსახურის უფლებები**

**მუხლი 3.**

1. მოქალაქეთა მიღების სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს რაიონული გამგეობებიდან, მერიის საქალაქო სამსახურებიდან და ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან საჭირო ცნობები;

ბ) მოქალაქეთა მოწვევა მათი წერილობითი განცხადებების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში მათი შეხვედრის ორგანიზება ქ.თბილისის მერთან, პრემიერთან, პრემიერის მოადგილესთან ან ადმინისტრაციის უფროსთან;

გ) თანამდებობის პირებს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები მოქალაქეთა მიღების განყოფილების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ;

დ) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგინოს წინადადებები მოქალაქეთა მიღების სამსახურში მოხელეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ე) შეიმუშაოს მოქალაქეთა მიღების სამსახურის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები.

**თავი I(**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 4.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს მოქალაქეთა მიღების სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიღების სამსახურზე თანამშრომელთა შორის მოვალეობების განაწილების ორგანიზებას;

დ) განსაზღვრავს მოქალაქეთა მიღების სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივ მოვალეობებს, ანაწილებს დავალებებს და ისმენს თანამშრომელთა ანგარიშსს გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) ამზადებს მასალებს და ცნობებს მოქალაქეთა მიღების სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) აწესებს კონტროლს მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა წერილობით და ზეპირ განცხადებებზე, ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დაპირების შესრულებაზე;

ზ) მეთოდურ დახმარებას უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს და რაიონულ გამგეობებს მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეში;

თ) ახორციელებს ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით გათვანისწინებულ სხვა ფუნქციებს

ი) თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

**თავი (I**
**დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 6.**

1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით სამსახურის დებულებას Aამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია და გაუქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 33
„30" ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**ქ. თბილისის მერიიის ადმინისტრაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის**

**სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დაბულებანი**

მუხლი 1

1. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქ. თბილისის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქციაა ქ. თბილისის მერიის ადმინისტარციის კომპიუტერული მომსახურება (უფლებამოსილების ფარგლებში) სამსახურის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების გადაწყვეტა.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს კონსტიტუციით", "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის -ქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, ქ. თბილისის მეიის ადმინისტრაციის დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები-ფუნქციები**

მუხლი 2

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეისწავლოს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, მოამზადოს წინადადებები ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციაში მათი შესაძლო დანერგვის შესახებ;

b) ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირების მიზნით, ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციაში უზრუნველყოს საინფორმაციო სისტემების შექმნა, განვითარება და ექსპლუატაცია;

გ) უახლოესი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით Y განახორციელოს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ტექნიკური, პროგრამული და ინფორმაციული მომსახურეობა.

2. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება;

ბ) ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციაში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი გამართული ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კომპიუტერიზაცია, ინფორმატიზაციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა;

დ) დანერგილი პროგრამულ-აპარატურული კომპლექსების გამართული ფუნქციონირება, მომხმარებლის შესაბამისი კონსულტაცია და კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური უზრუნველყოფა;

ე) უზრუნველყოს ქ. თბილისის მერიის ადმინისტარაციაში დანერგილი ინტერნეტის კვანძის და შიდა კომპიუტერული ქსელის ფუნქციონირება და ადმინისტრირება. ვებ და ინტერნეტის სერვერების ინფორმაციით შევსების ადმინისტრირება, მომხმარებელთა კონსულტაცია.

ვ) მოახდინოს ახალი ქსელური პროგრამული საშუალებების დანერგვა, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა შიდა კომპიუტერული ქსელის დაპროექტებასა და დანერგვაში.

ზ) მოახდინოს ნებისმიერი შესაძენი კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა.

**თავი III**
**სამსახურის უფროსი**

მუხლი 3

1. სამსახურის უფროსს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

2. სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას.

დ) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს დ აწესებს კონტროლს მათ შესრულებაზე.

ე) უფლებამოსილია ადმინისტრაციის უფროსის და ქ. თბილისის მერის წინაშე დააყენოს წინადადებები სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს და ფუნქციურ დატვირთვას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესრულების შესახებ. კონტროლს უწევს სამსახურში მომუშავე მოხელეთა მიერ ადმინისტრაციის შინაგანაწესის დაცვას;

ზ) ორგანიზებას უწევს მერის, პრემიერისა და ადმინისტრაციის უფროსის დავალებების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

თ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის მატერიალური დახმარების თაობაზე, აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მივლინებების საკითხებს;

ი) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს ხელშეკრულებით მისაღებ პირთა კანდიდატურებს.

კ) ახორციელებს კანონმდებლობით და ადმინისტრაციის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ადმინისტრაციის დებულებით დადგენილი წესით, მის მოვალეობებს დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი პირი (იმავე სამსახურში მომუშავე).

მუხლი 4

1. სამსახურის უფროსი არის ადმინისტრაცის თანამდებობის პირი.

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას;

**თავი IV**
**დასკვნითი დებულებები**

მუხლი 5

1. წინამდებარე დებულებას ქ. თბილისის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი.

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 34
„30" ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**
**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის**
**N ბრძანებით**
**ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის**
**დებულება**

***მუხლი I***

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მედიასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში სამსახური) არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

***მუხლი 2 - სამსახურის ამოცანები და ფუნქციები:***

ა) ქ. თბილისის მთავრობის საქმიანობის გაშუქების ხელშეწყობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (ბეჭვდითი და ელექტრონული მედია, რადიო);

ბ) საქალაქო თემატიკის ამსახველი საინფორმაციო, ვიზუალური მასალების სისტემატიზაცია და არქივის შექმნა;

გ) თანამშრომლობა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, საინფორმაციო სააგენტოებთან და ელექტრონულ მასმედიასთან;

დ) მერიის ადმინისტრაციაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა ყოველწლიური აკრედიტაცია.

ე) თბილისის მერიის ადმინისტრაციაში აკრედიტებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლების ინფორმირება მერიაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მომზადებისა და წარმართვის უზრუნველყოფა;

ზ) თბილისის მერიის საქმიანობის შესახებ ყოველდღიური და ყოველკვირეული საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება და მომართვის შემთხვევაში მათი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, საზღვარგარეთ აკრედიტებული საქართველოს დიპლომატიური კორპუსისათვის, საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიური კორპუსისათვის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მიწოდება;

თ) მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში საქალაქო თემატიკის მიმოხილვა და ანალიზი;

ი) პრესის ყოველდღიური მიმოხილვა, რაც გულისხმობს დედაქალაქში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული თითოეული სტატიის განხილვა-დამუშავებას და აღნიშნულის საფუძველზე ქ. თბილისის მერის, პრემიერის, ვიცე-პრემიერის, ადმინისტრაციის უფროსის ინფორმირება-კოორდინაციას და მეთვალყურეობას უწევს საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების მუშაობას პრესასთან ურთიერთობაში.

***მუხლი 3.***

1. სამსახურის უფროსს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

2. სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას.

დ) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს და აწესებს კონტროლს მათ შესრულებაზე.

ე) უფლებამოსილია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე დააყენოს წინადადებები სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს და ფუნქციურ დატვირთვას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესრულების შესახებ. კონტროლს უწევს სამსახურში მომუშავე მოხელეთა მიერ ადმინისტრაციის შინაგანაწესის დაცვას;

ზ) ასრულებს მერის, პრემიერისა და ადმინისტრაციის უფროსის დავალებებს.

თ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის მატერიალური დახმარების თაობაზე, აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მივლინებების საკითხებს;

ი) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს ხელშეკრულებით მისაღებ პირთა კანდიდატურებს.

კ) ახორციელებს კანონმდებლობით და ადმინისტრაციის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს დროებით ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი, სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.

***მუხლი 4 დასკვნითი დებულებები***

1. წინამდებარე დებულებას ქ. თბილისის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნების დღიდან.

4. სამსახურის რეორგანიზაცია (გაუქმება) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 35
„30" ივნისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დამტკიცებულია**
**ქ. თბილისის მერის**
**2005 წლის .............................**
**N ......... ბრძანებით**
**ქალქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის**
**საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური**

**დებულება**
**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**

1. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტუქტურული ერთეული და იგი შექმნილია ქ. თბილისის მერიის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებისა და დედაქალაქის მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", საქართველოს კანონის - "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების, ამ დებულებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

**თავი II. განყოფილების ამოცანები, ფუნქციები და უფლება მოვალეობანი**

**მუხლი 2.**

სამსახურის ამოცანებია:

ა. საზოგადოების, დედაქალაქის მოსახლეობის ოპერატიული და სისტემატური ინფორმირება მერიის საქმიანობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

ბ. ქ. თბილისის მერიის (ქ. თბილისის მთავრობის) ქვედანაყოფების, რაიონული გამგეობების, საქალაქო სამსახურებისა და ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების ინფორმირება საზოგადოებასთან, დედაქალაქთან, მოსახლეობასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე.

გ. ქ. თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ მიზნობრივ პროგრამებში საზოგადოებისა და დედაქალაქის მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზება.

დ. ქ. თბილისის მთავრობის, მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, ცალკეულ სამსახურებთან საქმიანი, მჭიდრო კონტაქტის დამყარება. ურთიერთკოლეგიალობის საფუძველზე საჭირო მასალების მიღება, დამუშავება, ანალიტიკური ინფორმაციების მიწოდება მერიისა და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებისათვის.

ე. მჭიდრო კონტაქტები მოქალაქეებსა და ინტერეს ჯგუფებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, განათლების, კულტურის, ხელოვნების წარმომადგენლები), მათი წინადადებების, შენიშვნების, მოსაზრებების დამუშავება, გაანალიზება და მიწოდება მერიისა და შესაბამისი დარგის ხელმძღვანელებისათვის.

ვ. ცალკეული სამსახურების მიზნების, ამოცანების, დანიშნულების განმარტება საზოგადოებისა და მოსახლეობისათვის.

ზ. საზოგადოებისთვის ფასეული პროექტების განხორციელება.

თ. საზოგადოების ჩართვა მუნიციპალიტეტის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ი. საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა.

კ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მონაცემთა ბაზის, არქივის შექმნა, ინფორმაციის ანალიზი.

**მუხლი 3.**

სამსახურის ფუნქციებია:

ა. ქ. თბილისის მერიის საქმიანობის შესახებ ყოველკვირეული და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ყოველდღიური ინფორმაციის მიღება, დამუშავება და მიწოდება საზოგადოებისა და დედაქალაქის მოსახლეობისათვის;

b. საქალაქო სტრუქტურებსა და დედაქალაქში მომხდარი სიახლეების, სამომავლო პროგრამების პროექტების ოპერატიული გაცნობა საზოგადოებისა და მოსახლეობისათვის;

g. მოქალაქეთა მისაღებისა და შესაბამის სამსახურებთან კოლეგიალური თანამშრომლობის საფუძველზე მიღებული ინფორმაციისა და წინადადებების, შენიშვნების გაანალიზება და მონიტორინგი მათ დაწესებულ ვადებში შესრულებაზე;

დ. ქ. თბილისის საქალაქო სტრუქტურების ხელმძღვანელების, თბილისის მთავრობის წევრების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება რაიონებისა და უბნების მიხედვით;

ე. შეხვედრების, ბრიფინგების, პრესკონფერენციების მომზადება და ჩატარება წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით;

ვ. მოსალოდნელი კონფლიქტური სიტუაციის პროგნოზირების საფუძველზე მწვავე საკითხებისა და პრობლემების წინასწარი გაანალიზება და შემხვედრი ღონისძიებების ორგანიზება მათ თავიდან ასცილებლად;

ზ. დედაქალაქის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების თაობაზე კონფერენციების, თემატური შეხვედრების, კონკურსების, გამოფენების, პრეს-ტურების და სხვა სახის სპეცღონისძიებების ჩატარების ორგანიზება;

თ. შესაბამის სამსახურებთან ერთად, საზოგადოებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საინფორმაციო ბიულეტენების, ბუკლეტების, ბროშურების, ცნობარების და სხვა ინფორმაციული სახის ბეჭდვითი პროდუქციის მომზადება და გამოშვება;

ი. სატელევიზიო არხებით გადაცემული და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში მასზე რეაგირება საზოგადოების, მოსახლეობის სწორი ინფორმირებისათვის;

კ. მოსახლეობის გამოკითხვა არსებული პრობლემების და საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით;

ლ. ცხელი ხაზის საშუალებით ორმხრივი ეფექტური კომუნიკაციების დამყარება.

მ. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ნ. პასუხისმგებელია ვებ გვერდისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებაზე და დამუშავებაზე.

**მუხლი 4.**

სამსახური უფლებამოსილია:

ა. მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და შესაბამისი მასალები ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებისაგან, საქალაქო სამსახურებისა და სხვა შესაბამისი უწყებებისაგან, კანონით დადგენილი წესით;

ბ. ითანამშრომლოს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მედიასთან ურთიერთობის, მოქალაქეთა მიღების, კორესპონდენციის, კონტროლის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურებთან.

გ. სამსახურის შემდგომი სრულყოფის მიზნით მოამზადოს და წარუდგინოს ადმინისტრაციის უფროსს წინადადებები და მოსაზრებები, შეიმუშაოს და განახორციელოს განყოფილების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, დისციპლინის განმტკიცების, წახალისების, საქმიანი სამუშაო პირობების შექმნის ღონისძიებები.

დ. დედაქალაქის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების თაობაზე კონფერენციების, სოც. რეკლამების, თემატური შეხვედრების, კონკურსების, გამოფენების, პრეს-ტურების და სხვა სახის სპეცღონისძიებების ჩატარების ორგანიზება.

ე. ინფორმაციის მიღების მიზნით კონფერენციებზე, სხდომებზე, თათბირებსა და შეხვედრებზე დასწრება.

ვ. ცხელი ხაზის საშუალებით მიიღოს მოქალაქეებისაგან შეტყობინება კომუნალური საკითხების შესახებ.

**მუხლი 5.**

სამსახური ვალდებულია:

ა. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს ამ დებულებით მინიჭებული და განსაზღვრული უფლებების, ამოცანების, მიზნების განხორციელების პროგრამები და წინადადებები;

ბ. ხელი შეუწყოს ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს საზოგადოებასთან, დედაქალაქის მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და დასახული პროგრამების განხორციელებაში, მწვავე პრობლემებზე ოპერატიულად რეაგირებაში;

გ. უზრუნველყოს მოქალაქეთა წერილების, განცხადებების, შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა-გაანალიზება, მათში დასმული პრობლემატური საკითხების შესრულების მონიტორინგი;

დ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან ურთიერთობისას უზრუნველყოს სწორი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება.

**თავი III. სამსახურის მართვა**

**მუხლი 6.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერიის ადმინისტყრაციის უფროსი

2. სამსახურის უფროსი:

ა. უძღვება სამსახურის საქმიანობას და პასუხს აგებს ქ. თბილისის .ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წინაშე;

ბ. ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციაში შემავალ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ. ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის;

დ. აწესებს კონტროლს სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაზე;

ე. უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს სამსახურისთვის საჭირო დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ. ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე;

ზ. ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**თავი IV. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 7.**

1. სამსახურის დებულებას ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია და გაუქმება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 36
30 ივნისი 2006 წ.

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

**მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

**მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებით.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის**
**ძირითადი მიმართულებები და ამოცანები**

**მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ძირთადი მიმართულებები**

სამსახური თავისი საქმიანობის ფარგლებში, არსებული ნორმატივებისა და გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს მერის, მთავრობის თანამდებობის პირთა, მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

ბ) ახორციელებს ადმინისტრაციული შენობის მოვლისა და დაცვის, კომუნიკაციების, განათების, სატელეფონო ქსელის, გათბობისა და სხვა სისტემების მოვლა-პატრონობის, სისუფთავისა და სანიტარული მდგომარეობის დაცვით ღონისძიებებს და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

გ) აწესრიგებს მერის, მთავრობის თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციის მოსამსახურეთა სამუშაო პირობებს, ზრუნავს მუშაობისათვის აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვისათვის;

დ) ორგანიზებას უწევს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასა და შესყიდვებისათვის ტენდერების ჩატარებას; გამარჯვებულ ორგანიზაციებთან, კომპანიებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან და ფიზიკურ პირებთან კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულებების მომზადებასა და გაფორმებას;

ე) უზრუნველყოფს მერის და მერიის ადმინისტრაციის მომარაგებას აუცილებელი ნივთებით, მანქანა-მოწყობილობებით, ტრანსპორტით, სამშენებლო, საკანცელარიო და სხვა დანარჩენი აუცილებელი ინვენტარით;

ვ) თავისი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცენტრალიზებულ აღრიცხვას, ყოველწლიურად მათ ტექნიკურ დათვალიერებას;

ზ) ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული შენობისათვის აუცილებელი კაპიტალური, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მოცულობის განსაზღვრას, შესაბამისი დეფექტური აქტების (პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების) განხილვას და დამტკიცებას;

თ) ზედამხედველობს კაპიტალური სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების განხორციელებას დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

ი) უზრუნველყოფს ადმინისტრაციის სისტემაში ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

**მუხლი 5. სამსახურის ამოცანები**

სამსახურის ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მერიის ადმინისტრაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების ანალიზი, შესაბამისი ინფორმაციების მომზადება;

ბ) მერიის ადმინისტრაციაზე რიცხული ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების შიდა კონტროლი, რეზერვების გამოვლენა და მობილიზება;

გ) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დაკისრებული და ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა დავალებების შესრულება.

**თავი III**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 6. სამსახურის უფროსი**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც არის ადმინისტრაციის თანამდებობის პირი და რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას და შეიმუშავებს წინადადებებს მისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) პასუხს აგებს დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ტენდერების სამუშაოების ჩატარებას, მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებას და მათი შესრულების კონტროლს;

დ) უზრუნველყოფს მუშაობის ორგანიზებას, თანამშრომელთა შორის მოვალეობების განაწილებას;

ე) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს წინადადებებს დაქვემდებარებულ სამსახურში საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) განსაზღვრავს თანამშრომელთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ზ) ანაწილებს დავალებებს და ისმენს თანამშრომელთა ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ორგანიზებას უწევს მერის, პრემიერის, ადმინისტრაციის უფროსის დავალებების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

ი) აანალიზებს სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობას; წარადგენს წინადადებებს დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის წახალისების, აგრეთვე, მათზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; შეიმუშავებს ღონისძიებებს მათ მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით;

კ) აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულებების გამოყენების საკითხებს;

ლ) იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

**მუხლი 7. სამსახურის საშტატო შემადგენლობა**

1. სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნება განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი - საკრებულოს მიერ დადგენილი სარგოების შესაბამისად.

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და სამსახურებრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

**თავი IV**
**დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 8. სამსახურის რეორგანიზაცია**

სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დებულების შეცვლა**

დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 37
3 [illegible] 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულება თანახმად დანართისა.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*გიორგი უგულავა*

**დანართი**

**ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**თავი I**
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.**

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული.

**მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

**მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებით.

**თავი II**
**სამსახურის საქმიანობის**
**ძირითადი მიმართულებები და ამოცანები**

**მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ძირთადი მიმართულებები**

სამსახური თავისი საქმიანობის ფარგლებში, არსებული ნორმატივებისა და გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს მერის, მთავრობის თანამდებობის პირთა, მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

ბ) ახორციელებს ადმინისტრაციული შენობის მოვლისა და დაცვის, კომუნიკაციების, განათების, სატელეფონო ქსელის, გათბობისა და სხვა სისტემების მოვლა-პატრონობის, სისუფთავისა და სანიტარული მდგომარეობის დაცვით ღონისძიებებს და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

გ) აწესრიგებს მერის, მთავრობის თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციის მოსამსახურეთა სამუშაო პირობებს, ზრუნავს მუშაობისათვის აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვისათვის;

დ) ორგანიზებას უწევს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასა და შესყიდვებისათვის ტენდერების ჩატარებას; გამარჯვებულ ორგანიზაციებთან, კომპანიებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან და ფიზიკურ პირებთან კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულებების მომზადებასა და გაფორმებას;

ე) უზრუნველყოფს მერის და მერიის ადმინისტრაციის მომარაგებას აუცილებელი ნივთებით, მანქანა-მოწყობილობებით, ტრანსპორტით, სამშენებლო, საკანცელარიო და სხვა დანარჩენი აუცილებელი ინვენტარით;

ვ) თავისი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცენტრალიზებულ აღრიცხვას, ყოველწლიურად მათ ტექნიკურ დათვალიერებას;

ზ) ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული შენობისათვის აუცილებელი კაპიტალური, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მოცულობის განსაზღვრას, შესაბამისი დეფექტური აქტების (პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების) განხილვას და დამტკიცებას;

თ) ზედამხედველობს კაპიტალური სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების განხორციელებას დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

ი) უზრუნველყოფს ადმინისტრაციის სისტემაში ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

**მუხლი 5. სამსახურის ამოცანები**

სამსახურის ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მერიის ადმინისტრაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების ანალიზი, შესაბამისი ინფორმაციების მომზადება;

ბ) მერიის ადმინისტრაციაზე რიცხული ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების შიდა კონტროლი, რეზერვების გამოვლენა და მობილიზება;

გ) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დაკისრებული და ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა დავალებების შესრულება.

**თავი III**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 6. სამსახურის უფროსი**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც არის ადმინისტრაციის თანამდებობის პირი და რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას და შეიმუშავებს წინადადებებს მისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) პასუხს აგებს დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ტენდერების სამუშაოების ჩატარებას, მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებას და მათი შესრულების კონტროლს;

დ) უზრუნველყოფს მუშაობის ორგანიზებას, თანამშრომელთა შორის მოვალეობების განაწილებას;

ე) წარუდგენს ადმინისტრაციის უფროსს წინადადებებს დაქვემდებარებულ სამსახურში საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) განსაზღვრავს თანამშრომელთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ზ) ანაწილებს დავალებებს და ისმენს თანამშრომელთა ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ორგანიზებას უწევს მერის, პრემიერის, ადმინისტრაციის უფროსის დავალებების შესრულებას, ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე;

ი) აანალიზებს სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობას; წარადგენს წინადადებებს დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის წახალისების, აგრეთვე, მათზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; შეიმუშავებს ღონისძიებებს მათ მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით;

კ) აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულებების გამოყენების საკითხებს;

ლ) იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

**მუხლი 7. სამსახურის საშტატო შემადგენლობა**

1. სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნება განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი - საკრებულოს მიერ დადგენილი სარგოების შესაბამისად.

2. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და სამსახურებრივი ინსტრუქციებით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

**თავი IV**
**დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 8. სამსახურის რეორგანიზაცია**

სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დებულების შეცვლა**

დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზუგდიდის ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ტენდერს ქალაქ ზუგდიდის გაზმომარაგების არსებული მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 31 ივლისის 12.00 საათიდან 2006 წლის 31 ივლისის 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, 2100, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული.

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

5.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან).

ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან).

გ) ცნობა, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან).

5.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო ცენტრიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

5.3. როგოც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი ან ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შსს-ს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობა, შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

ე) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ).

ვ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ზ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიულ და ფიზიკურ პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

6. ტენდერში მონაწილე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა უნდა უზრუნველყონ

ქ. ზუგდიდის გაზმომარაგების არსებული დაბალი წნევის ქსელის რეაბილიტაცია და განვითარება.

7. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი

აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

8. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (ანგ. N33030129, საინდ. კოდი 220019575, ს.ს "სახალხო ბანკი"-ს ზუგდიდის ფილიალი, ბანკის კოდი

220101464) სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 17 ივლისის 12.00 საათიდან

2006 წლის 30 ივლისის 17 საათანდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, 2100, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნვეყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები გაიხსნება 2006 წლის 31 ივლისს 17 საათზე, პრეტენდენტთა თანდასწრებით.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვს წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - აკაკი სარალიძე. საკონტაქტო ტელეფონი: 8(99) 15 55 26, 8 (215) 5 01 04. მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ქ. ზუგდიდში და ქ. სენაკში სპორტული ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შესყიდვისათვის.**

**შესასყიდი ობიექტები დაყოფილია 2 (ორი) ლოტად, შემდეგი სახით:**

| ლოტი | რაიონი | ობიექტი | მისამართი |
|---|---|---|---|
| № 1 | ზუგდიდი | სპორტული დარბაზი | დავით აღმაშენებლის გამზ. №222 |
| № 2 | სენაკი | სპორტული დარბაზი | ღვინჯილიას ქ. №3/ თბილისი სენაკი ლესელიძის გზადტკეცილი |

**ობიექტების მოკლე აღწერილობა:**

**ლოტზე N1 და ლოტზე N2** პროექტით გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის კაპიტალური მშენებლობა, 500-ს მაყურებელზე (ხელბურთის მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრემბურთის და ყველა სპორტული სახეობების და ა.შ.) მშენებლობისათვის არქიტექტურული კონსტრუქციული სანტეხნიკური ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია და ა.შ.)

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ 1 აგვისტოს 17.00 საათამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**
*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*
*სახაზინო კოდი - 302003000*
ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით არაუგვიანეს **2006 წლის 2 აგვისტოს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**- იურიდიული პირისათვის:**
- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**- ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
- ინფორმაციას ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების ურზუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 2 აგვისტოს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **3 აგვისტოს 17.00 საათზე.**

**- ტენდერი ითვალისწინებს მრავალწლიან შესყიდვას კერძოდ (2006-2007) წლებში.**

- სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლისათვის მთლიანი სამუშაოს 40%-ის შესრულებით, ხოლო ობიექტების ჩაბარების საბოლოო ვადაა 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

**- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ:**
**ირაკლი სამყურაშვილი- 899 77-71-03**
**თენგიზ ღურწკაია - 899 22-92-80**

**სატენდერო კომისია**

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

## ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების თაობაზე

| სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | სულ სარგებლობა, კბმ | | | საწყისი ფასი | „ბე“ | `ბიჯი“ 10 % | ახალი გზის მშენებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სამასალე | საშეშე (ვარჯის ჩათვლით) | სულ (ლიკვიდი) | | | | სამანქანე |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| ქედის | მერისის | 4 | 14, 13 | მოვლითი | 36 | ფოთლ | IV | 113 | 323 | 436 | **3299** | 660 | 330 | 1,0 |
| | | 8 | 16, 20 | მოვლითი | 25 | ფოთლ | IV | 76 | 254 | 330 | **2315** | 463 | 232 | 1,0 |
| | | 17 | 2, 3 | მოვლითი | 20 | ფოთლ | III | 88 | 319 | 407 | **3558** | 712 | 356 | – |
| | | 31 | 2, 5 | მოვლითი | 35 | ფოთლ | IV | 138 | 389 | 527 | **4015** | 803 | 402 | 1,0 |
| | | 32 | 1, 12 | მოვლითი | 45 | ფოთლ | IV | 199 | 631 | 830 | **5972** | 1194 | 597 | 0,7 |
| | | **სულ** | | | | | | **614** | **1916** | **2530** | | | | |
| | მახუნცეთის | 4 | 4, 6 | მოვლითი | 29 | ფოთლ | III | 63 | 194 | 257 | **2428** | 486 | 243 | 0,5 |
| | | 5 | 6, 10 | მოვლითი | 18 | ფოთლ | III | 57 | 201 | 258 | **2285** | 457 | 229 | 1,0 |
| | | 13 | 1, 11 | მოვლითი | 24 | ფოთლ | II | 69 | 193 | 262 | **3407** | 681 | 341 | 1,0 |
| | | 14 | 4,9,12 | მოვლითი | 25 | ფოთლ | II | 119 | 341 | 460 | **5918** | 1184 | 592 | 0,7 |
| | | 15 | 1, 3, 12 | მოვლითი | 23 | ფოთლ | II | 107 | 304 | 411 | **5308** | 1062 | 531 | 1,0 |
| | | **სულ** | | | | | | **415** | **1233** | **1648** | | | | |
| | ცხმორისის | 15 | 17, 18 | მოვლითი | 41 | ფოთლ | IV | 161 | 406 | 567 | **4559** | 912 | 456 | 1,0 |
| | | 2 | 4, 5 | მოვლითი | 15 | ფოთლ | IV | 60 | 141 | 201 | **1672** | 334 | 167 | – |
| | | 19 | 11, 16 | მოვლითი | 41 | ფოთლ | IV | 206 | 353 | 559 | **5399** | 1080 | 540 | 1,0 |
| | | **სულ** | | | | | | **427** | **900** | **1327** | | | | |
| შუახევის | ოლადაურის | 6 | 14, 18 | მოვლითი | 47 | წიწვ | IV | 177 | 404 | 581 | **2242** | 448 | 224 | 0,8 |
| | | 33 | 14, 16 | მოვლითი | 52 | წიწვ | IV | 231 | 449 | 680 | **2790** | 558 | 279 | 0,8 |
| | | **სულ** | | | | | | **408** | **853** | **1261** | | | | |
| | შუახევის | 27 | 4, 5 | მოვლითი | 53 | წიწვ | IV | 64 | 177 | 241 | **864** | 173 | 86 | 2,0 |
| | | 29 | | მოვლითი | 82 | წიწვ | IV | 92 | 379 | 471 | **1459** | 292 | 146 | 1,5 |
| | | 31 | 5, 7 | მოვლითი | 85 | წიწვ | IV | 103 | 395 | 498 | **1583** | 317 | 158 | 0,6 |
| | | **სულ** | | | | | | **259** | **951** | **1210** | | | | |
| | ჭვანის | 13 | 2, 5, 6, 7 | მოვლითი | 48 | წიწვ | IV | 179 | 337 | 516 | **2143** | 429 | 214 | 1,2 |
| | | 34 | 5, 6, 8 | მოვლითი | 68 | წიწვ | IV | 131 | 321 | 452 | **1697** | 339 | 170 | 0,5 |
| | | | | მოვლითი | | ფოთლ | IV | 42 | 111 | 153 | **1203** | 241 | 120 | |
| | | 40 | 9, 10, 11 | მოვლითი | 35 | წიწვ | IV | 183 | 549 | 732 | **2546** | 509 | 255 | 0,6 |
| | | 41 | 7, 8, 10 | მოვლითი | 47 | წიწვ | IV | 107 | 138 | 245 | **1170** | 234 | 117 | 1,0 |
| | | | | მოვლითი | | ფოთლ | IV | 83 | 160 | 243 | **2222** | 444 | 222 | |
| | | 42 | 7, 5 | მოვლითი | 52 | წიწვ | IV | 134 | 328 | 462 | **1736** | 347 | 174 | 0,5 |
| | | **სულ** | | | | | | **859** | **1944** | **2803** | | | | |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.№6 ტელ. 7 35 95. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 11 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 11 აგვისტოს 12 საათიდან აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შენობაში. |
| ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება აუქციონში მონაწილეობის თაობაზე სასურველი ტყე-კაფის მითითებით(სატყეო, კვარტალი, უბანი).<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი |
| სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. **მოსაკრებელი შეადგენს 8 ლარს,**<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები)ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300694008 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე“-ს გადახდის ანგარიში:**<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის და ტყეკაფის გამოყოფის ხარჯების გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 2(ორი) კვირა. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| ლიცენზიის მოქმედების ვადა | **ლიცენზია მოქმედია გაცემიდან 1(ერთი) წლის განმავლობაში** |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს |
| **აუქციონზე ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის – 10%** | |
| აუქციონში გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყე-კაფის გამოყოფის ხარჯები – 2,70 ლარი ერთ კუბ. მ. ლიკვიდურ მერქანზე | |

# შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონებს საზოგადოების საწესდებო ნკაპიტალში რიცხული ქონებების რეალიზების მიზნით, მათ შორის:

**1. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე I კორპუსის სარდაფის 682,5 კვ.მ. ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**
**- ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**- მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა, I კორპუსი.
**- ობიექტის საერთო ფართობი:** 682,5 კვ.მ.
**- ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 212,94 კვ.მ.
**- საწყისი გასაყიდი ფასი:** 140000 (ასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**- ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია I კორპუსის სარდაფის სართულზე.

**2. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე II კორპუსის სარდაფის 564,8 კვ.მ. ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**
**- ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**- მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა, II კორპუსი.
**- ობიექტის საერთო ფართობი:** 564,8 კვ.მ.
**- ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 176,22 კვ.მ.
**- საწყისი გასაყიდი ფასი:** 115000 (ასთხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**- ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია II კორპუსის სარდაფის სართულზე.

**3. ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ში მდებარე I კორპუსის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელის 163,19 კვ.მ. საერთო ფართობი, მასზე არსებული წესით დამაგრებულ წილობრივ მიწის ფართთან ერთად**
**- ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**- მისამართი:** ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N42-42ა-ს I კორპუსი.
**- ობიექტის საერთო ფართობი:** 163,19 კვ.მ.
**- ობიექტზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი:** 50,91 კვ.მ.
**- საწყისი გასაყიდი ფასი:** 165000 (ასსამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**- ობიექტის დახასიათება:** სარეალიზაციო არასაცხოვრებელი ფართობი განლაგებულია I კორპუსიის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელში. აღნიშნული ფართობიდან 115,73 კვ.მ. ფართი გაცემულია იჯარით 2008 წლის 7 მაისამდე.

**4. ქ. თბილისში, კრწანისის ქ. N49-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 11 183 კვ.მ. მიწის ფართობი, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები და მათში არსებული აქტიური ნაწილი**
**- ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**- მისამართი:** ქ. თბილისი, კრწანისის ქ. N49-ის მიმდებარე ტერიტორია.
**- შენობა-ნაგებობების ფართობი:** 6006,49 კვ.მ.
**- ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11 183 კვ.მ.
**- საწყისი გასაყიდი ფასი:** 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
**- ობიექტის დახასიათება:** ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები: 4 სათბური, სამრეცხაო, საჯინიბო, ავტოფარეხი და საყარაულო ჯიხურები. აქტიური ნაწილი: სარეცხი მანქანა (სამრეცხაო N1), სარეცხი მანქანა, საწური ცენტრი 2ც, საუთაო მანქანა, მაგიდა ჟურნალის (მეცხ. ფერმა), ტელევიზორი შავ-თეთრი, თერმექსი, კარადა ტანსაცმლის, მაგიდა ძველი 3ც, სასწორი, ელ.წისქვილი, საბეჭდი მანქანა, ელ.რადიატორი, ტურბო გენერატორი.

საჯინიბოს შენობა დაკავებული აქვთ აფხაზეთიდან დევნილ ორ ოჯახს. ობიექტის მყიდველს (აუქციონში გამარჯვებულ პირს) ეკისრება მითითებული შენობის გამოთავისუფლება საკუთარი ძალებით და გამყიდველის პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოირიცხება.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 25 ივლისს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 08.07.06წ N24 (472), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35

# შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს კონკურსს

## შ.პ.ს. "გამომცემლობა-სტამბა კრწანისის" 100% წილის რეალიზების მიზნით

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
**ობიექტის მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის შესახ. N5.
**მთავარი საწარმოო კორპუსის საერთო ფართობი:** 4262,84 კვ.მ.
**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 4041 კვ.მ.
**საწყისი გასაყიდი ფასი: 1 200 000** (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**საკონკურსო პირობა (თანხის გადახდის ვადები):**
ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა. ამასთან, "მყიდველი" ვალდებულია საბოლოო გასაყიდი თანხა გადაიხადოს კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან ექვსი თვის განმავლობაში ყოველ ორ თვეში ერთხელ თანაბარპროპორციულად.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 25 ივლისს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 08.07.06წ N24 (472), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35


# ივერია მოტორსი



- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების
- გარანტიით ხელსაყრელ ფასებში
- სათადარიგო ნაწილები

**მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, მობ.: 899 51 30 49**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

**ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად ერთი წლის ვადით. საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა. აუქციონზე "ბიჯი" შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტყეკაფები მთავარი და მოვლითი სახის ჭრებით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განცხადება სასურველი ტყეკაფის მითითებით (სატყეო, კვარტალი, უბანი)

2) იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას თან უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები

3) სალიცენზიო მოსაკრებლის (8 ლარი) გადახდის ქვითარი

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **300033050.**

**4)** "ბე"-ს გადახდის ქვითარი

"ბე"-ს გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **302003000.**

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 11 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 10 აგვისტოს 3 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.

T 27-57-60.

www.moe.gov.ge

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ჭრის სახე | ფართობი | ჯიში | სანიხრე | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კბმ: სამასალე | საშეშე | შეშა ვარჯიდან | სულ (ლიკვიდი) | საწყისი ფასი | „ბე" | „ბიჯი" 10 % | ახალი გზის მშენებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 1 | გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა | ორმოცი | 20 | 43.41 | მთავარი | 10 | ფჭ | IV | 2 | - | - | 2 | **1 835** | 367 | 183 | 2.0 |
| | | | | | | | ნძ | | 86 | 40 | 30 | 156 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 99 | 22 | 28 | 149 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 187 | 62 | 58 | **307** | | | | |
| 2 | | ორმოცი | 15 | 21 | მთავარი | 7 | ფჭ | III | 76 | 31 | 13 | 120 | **1 848** | 370 | 185 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 52 | 48 | 19 | 119 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 128 | 79 | 32 | **239** | | | | |
| 3 | გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა | ორმოცი | 14 | 11,13 | მთავარი | 7 | ფჭ | III | 127 | 61 | 19 | 207 | **2 300** | 460 | 230 | 3.0 |
| | | | | | | | ნძ | | 38 | 19 | 13 | 70 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 165 | 80 | 32 | **277** | | | | |
| 4 | | ორმოცი | 24 | 27 | მთავარი | 4 | ფჭ | III | 25 | 13 | 5 | 43 | **1 518** | 304 | 182 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 65 | 19 | 22 | 106 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 21 | 1 | 4 | 26 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 111 | 33 | 31 | **175** | | | | |
| 5 | | დანახვისი | 28 | 3,10,11 | მთავარი | 4 | ფჭ | II | 108 | 4 | 14 | 126 | **2 016** | 403 | 202 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 6 | 7 | 3 | 16 | | | | |
| | | | | | | | სოჭი | | - | 6 | 1 | 7 | | | | |
| | | | | | | | წიფ | | - | 10 | 3 | 13 | | | | |
| | | | | | | | ვერხ | | - | 11 | 1 | 12 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 114 | 38 | 22 | **174** | | | | |
| 6 | | ზნავისი | 43 | 13 | მთავარი | 5 | ფჭ | III | 124 | 11 | 15 | 150 | **1 796** | 359 | 180 | 2.0 |
| | | | | | | | ნძ | | 3 | 2 | 1 | 6 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 13 | 4 | 2 | 19 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 140 | 17 | 18 | **175** | | | | |
| 7 | | ზნავისი | 37 | 15,16 | მთავარი | 4 | სჭ | III | 128 | 86 | 17 | 231 | **1 987** | 397 | 199 | 2.0 |
| | | | | | | | წიფ | | - | 30 | 10 | 40 | | | | |
| | | | | | | | ვერხ | | - | 8 | - | 8 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 128 | 124 | 27 | **279** | | | | |
| 8 | | ატენი | 37 | 9 | მთავარი | 4 | ფჭ | II | 32 | 1 | 4 | 37 | **2 863** | 572 | 286 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 40 | 7 | 12 | 59 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 98 | 8 | 26 | 132 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 170 | 16 | 42 | **228** | | | | |
| 9 | | ატენი | 33 | 5,6 | გავლითი | 5 | ფჭ | II | 81 | 18 | 13 | 112 | **1 503** | 301 | 150 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 4 | 2 | 1 | 7 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 3 | 1 | 1 | 5 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 88 | 21 | 15 | **124** | | | | |
| 10 | | ატენი | 38 | 23,25 | მთავარი | 9 | ფჭ | III | 31 | 3 | 4 | 38 | **4 203** | 841 | 420 | 1.5 |
| | | | | | | | ნძ | | 211 | 81 | 74 | 366 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 61 | 6 | 16 | 83 | | | | |
| | | | | | | | წიფ | | - | 8 | 2 | 10 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 303 | 98 | 96 | **497** | | | | |
| 11 | | ფელი | 9 | 7 | მთავარი | 3 | ნძ | III | 81 | 32 | 30 | 143 | **2 370** | 474 | 237 | 2.0 |
| | | | | | | | სჭ | | 75 | 35 | 26 | 136 | | | | |
| | | | | | | | წიფ | | - | 34 | 9 | 43 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 156 | 101 | 65 | **322** | | | | |
| 12 | | ფელი | 3 | 6 | მთავარი | 3 | ნძ | III | 50 | 6 | 15 | 71 | **1 750** | 350 | 175 | 1.0 |
| | | | | | | | სჭ | | 83 | 7 | 22 | 112 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 133 | 13 | 37 | **183** | | | | |
| 13 | | ფელი | 8 | 12 | მთავარი | 3 | ნძ | III | 13 | 1 | 3 | 17 | **2 089** | 418 | 209 | 2.0 |
| | | | | | | | სჭ | | 141 | 37 | 41 | 219 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 154 | 38 | 44 | **236** | | | | |
| 14 | | ფელი | 8 | 11 | მთავარი | 3 | ნძ | III | 48 | 3 | 13 | 64 | **1 795** | 359 | 179 | 1.0 |
| | | | | | | | სჭ | | 90 | 5 | 23 | 118 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 138 | 8 | 36 | **182** | | | | |
| 15 | გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობა | საყავრე | 25 | 19,17 | გავლითი | 5 | ფჭ | III | 78 | 48 | 17 | 143 | **1 120** | 224 | 112 | 2 .0 |
| 16 | | ბოშური | 27 | 4,5 | მთავარი | 3 | ფჭ | III | 32 | 15 | 3 | 50 | **908** | 182 | 91 | 1.5 |
| | | | | | | | ნძ | | 31 | 19 | 2 | 52 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 3 | 1 | - | 4 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 66 | 35 | 5 | **106** | | | | |
| 17 | | ბოშური | 45 | 14 | მთავარი | 4 | ნძ | IV | 11 | 6 | 1 | 18 | **1014** | 203 | 101 | 1.5 |
| | | | | | | | სჭ | | 93 | 48 | 8 | 149 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 104 | 54 | 9 | **167** | | | | |
| 18 | | ბოშური | 42 | 18 | მთავარი | 2.5 | ფჭ | IV | 34 | 20 | 4 | 58 | **555** | 111 | 55 | 2.0 |
| | | | | | | | ნძ | | 23 | 9 | 1 | 33 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 57 | 29 | 5 | **91** | | | | |
| 20 | | ბოშური | 42 | 24 | მთავარი | 7 | ფჭ | III | 34 | 16 | 4 | 54 | **1 824** | 365 | 182 | 1.0 |
| | | | | | | | ნძ | | 103 | 34 | 6 | 143 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 137 | 50 | 10 | **197** | | | | |
| 21 | | ბოშური | 17 | 4 | გავლითი | 5 | ნძ | III | 25 | 28 | 7 | 60 | **1 243** | 249 | 124 | 2.0 |
| | | | | | | | სჭ | | 66 | 14 | 3 | 83 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 91 | 42 | 10 | **143** | | | | |
| 22 | | ბოშური | 2 | 22 | გავლითი | 7 | ფჭ | III | 34 | 7 | 4 | 45 | **1 388** | 277 | 139 | 1.2 |
| | | | | | | | ნძ | | 71 | 26 | 5 | 102 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 105 | 33 | 9 | **147** | | | | |
| 23 | | ბოშური | 33 | 25,28 | სანიტარული | 10 | ფჭ | III | 5 | 1 | - | 6 | **1 420** | 284 | 142 | 1.5 |
| | | | | | | | ნძ | | 99 | 46 | 12 | 157 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 104 | 47 | 12 | **163** | | | | |
| 24 | | ბოშური | 21 | 10 | სანიტარული | 10 | ფჭ | III | 36 | 24 | 4 | 64 | **1 020** | 204 | 102 | 1.5 |
| | | | | | | | ნძ | | 35 | 10 | 2 | 47 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 4 | 1 | - | 5 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 75 | 35 | 6 | **116** | | | | |
| 25 | | ბოშური | 43 | 13.17 | სანიტარული | 16 | ფჭ | IV | 53 | 72 | 23 | 148 | **1 351** | 270 | 135 | 2.0 |
| | | | | | | | ნძ | | 50 | 49 | 8 | 107 | | | | |
| | | | | | | | სჭ | | 21 | 4 | 1 | 27 | | | | |
| | | | | | **სულ:** | | | | 124 | 125 | 32 | **282** | | | | |

## საქართველო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო ტყის განვითარების პროექტი

**(კრედიტი #3699-GE)**
**ეროვნული შესყიდვები**
**მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად # G24-3**
**თარიღი: 10 ივლისი, 2006**

1. გაქვთ შესაძლებლობა წარმოგვიდგინოთ თქვენი ფასების ნუსხა შემდეგი საქონლის მოწოდებაზე:

(i) ტყის თესლის შესანახი მინის ჭურჭელი (ბოცა) - 200 ცალი

2. სავალდებულოა ზემოაღნიშნული წარმოდგენილი საქონლის ფასის მითითება. შემოთავაზებების შეფასება მოხდება ერთიანი ნუსხის მიხედვით და კონტრაქტი მიენიჭება კომპანიას, რომელიც შემოიტანს ყველაზე დაბალი ჯამური ფასის განაცხადს.

3. სათანადო ფორმატში მომზადებული თქვენი განაცხადი უნდა მიაწოდოთ:

***მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო***
*მე-6 სართული, გულუას ქ. 6, თბილისი, საქართველო*
*ქ-6 ნინო რამიშვილის, შესყიდვების მენეჯერის საყურადღებოდ*
*ტელ: + (995 32) 75 24 15, 75 24 16, 75 24 17*
*E-mail: nramishvili@iberiapac.ge*

4. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, კატალოგები და სხვა ბეჭდითი მასალები ან სრულყოფილი ინფორმაცია საქონლის შესახებ, მათ შორის, მომსახურების მომწოდებელი ეროვნული კომპანიის სახელწოდება და მისამართი.

5. მყიდველისათვის განაცხადების 5-ე პარაგრაფში მითითებულ მისამართზე მიწოდების ბოლო ვადა: **24 ივლისი, 2006**

6. მიიღება ფაქსით ან ელ-ფოსტით შემოსული განაცხადებებიც.

7. განაცხადების შემოტანა უნდა განხორციელდეს ქვემოთ აღნიშნული ინსტრუქციების მიხედვით, აგრეთვე დანართში (Annex 1) წარმოდგენილი შესყიდვის ორდერში მითითებული წესებისა და პირობების გათვალისწინებით. გთხოვთ შესაბამის გვერდზე ხელმოწერით დაადასტუროთ შესყიდვების წესებისა და პირობების აღიარება, რომელიც შემდგომ გახდება შერჩეულ მომწოდებელთან დადებული კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.

(i) ფასები: ფასები განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, INCOTERMS, უკანასკნელი გამოცემის შესაბამისად, დანიშნულების ადგილზე მიტანის ხარჯების ჩათვლით, მისამართზე:

საქართველო, გარდაბნის რაიონი, სართიჭალა, სანერგე

ქ.თბილისიდან 40 კმ დაშორება აღმოსავლეთის მიმართულებით

(ii) შეფასება და შესყიდვის ორდერის მინიჭება: შემოთავაზებები, რომლებიც სრულად პასუხობენ ტექნიკურ მოთხოვნებს, შეფასდება საბოლოო ღირებულების გათვალისწინებით, დანიშნულების ადგილზე მიტანის ხარჯების ჩათვლით. უპირატესობა მიენიჭება კომპანიას, რომელიც განსაზღვრავს ყველაზე დაბალ ფასს და დააკმაყოფილებს ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის საჭირო სტანდარტებს. გადასახადები (დღგ) და სხვა ადგილობრივი ვალდებულებები ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი.

(iii) განაცხადის ძალაში ყოფნის პერიოდი: თქვენი განაცხადი ძალაში იქნება 6-ე პარაგრაფში აღნიშნული ფორმით მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

***მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო***
*მე-6 სართული, გულუას ქ. 6, თბილისი, საქართველო*
*ქ-6 ნინო რამიშვილის, შესყიდვების მენეჯერის საყურადღებოდ*
*ტელ: + (995 32) 75 24 15, 75 24 16, 75 24 17*
*E-mail: nramishvili@iberiapac.ge*

პატივისცემით,
რატი ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

ახმეტის რაიონული სასამართლოს, მდებარე ქ. ჩოლოყაშვილის ქ. N110, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1.შენობის საერთო ფართი -300 მ2**
**2.სამუშაო ფართი- 250 მ2**

**ლოტი N2**

ლენტეხის რაიონული სასამართლოს, მდებარე აღმაშენებლის ქ. N7, შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. შენობის საერთო ფართი -277 მ2**

(ერთსართულიანი შენობა)

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.)

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება.*

*ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 31 ივლისის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32, ტ. 921189